

ქადა მოცეკვის

იოსებ სიბოგვილი

რომანი

იოსებ სიმოზვილი

ქადა პეტრების



გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი 2019

რომანში მოვლენები ვითარდება მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს. ავტორს მოთხრობილი აქვს მაშინდელი საბჭოთა პერიოდის, ე. წ. უძრაობის წლების, საერო და სასულიერო ყოფა-ცხოვრება. მკითხველი წიგნში ბევრი საინტერესო ამბის მომსწრე გახდება, ისეთი თემებისაც, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

**რედაქტორი
მანანა გორგიშვილი**

**მხატვარი
ნინო მლებრიშვილი**

**დამკაპადონებელი
თამარ ტყაბლაძე**

ISBN 978-9941-485-26-8

...ჰერენი სიკათა!

„დიდებას ეძებ? - სიკეთე ჰქმენი“, - წერდა ნიზამი განჯელი. იოსებ სიბოშვილი მთელი ცხოვრება სიკეთისთვის იღწვის და არა დიდებისა და სახელისათვის, სიკეთეა მისი ცხოვრების უმთავრესი პრინციპი. სამშობლო, უფალი და სიკეთის ქმნა - აი, მისთვის სათაყვანებელი სამება. მისი ნაწარმოებების გმირებიც ამ პრინციპით ცხოვრობენ. ქვეყანაზე არსებულ მრავალ ბოროტებას, ადამიანის სულში დაბუდებულ მანკიერებას სიკეთით ამარცხებენ.

მისი ბოლო რომანი „უამი მიტევებისა“ სწორედ იმითაა განსხვავებული და განსაკუთრებული, რომ მისი გმირები ცხოვრებაში მრავალი ტკივილის გადატანას და პრობლემის მოგვარებას რწმენასთან ზიარებით ახერხებენ, ბოროტებას სიკეთით პასუხობენ, რაც საბოლოოდ ამარცხებს უკეთურობას, მტრობას.

მაყვალა გონაშვილი



მიტევების მადლი

მკითხველის სამსჯავროზე იოსებ სიბოშვილის მორიგი წიგნია წარმოდგენილი - „უამი მიტევებისა“, სადაც ავტორს ერთი უბრალო, ჩვეულებრივი რიგითი ადამიანების ცხოვრების პერიპეტიების აღწერით გასული საუკუნის სიღრმეში გადაჰყავს მკითხველი, ათეიზმის ეპოქაში, რომელიც ჩვენი უახლოესი წარსულის ტკივილის, დამოუკიდებლობაგამოცხადებული სახელმწიფოს წინააღმდეგობების, პოლიტიკური კატაკლიზმების და ბოლო დროს რეალობაში გამეფებული მოუგვარებელი პრობლემების გამოძახილია. კითხულობ და თითოეული ფურცლიდან უკვე განცდილსა და გადატანილ სატკივარს იხსენებ.

ყოველი მხატვრული ნაწარმოები ყოველთვის თავისი შემოქმედის ერთგული სარკეა და არავის შეუძლია მასში თავისი ბუნება შენიღბოს. სწორედაც ასეთი ერთგული სარკეა წინამდებარე წიგნი, რომლის ფურცლებზეც ნათლად დაღიადი კითხება ავტორისეული ხელწერა, სათქმელი, სურვილი, ოცნება, რაც შემდეგ სიტყვებში ნათლად არის გამოკვეთილი: „ამიტომ, საყვარელნო ძმანო, გაუხსენით გულის კარნი მეუფეს დიდებისას და დაამკვიდრეთ თქვენს სულსა და გულში და მით განინმიდენით. გაუხსენით სინანულის კარნი სულს თქვენსას და მწუხარების ცრემლებით



განიბანენით. გახსენით გულისა და გონების კარნი თქვენი და ღვთის მადლით ალორძინდით და გამართლდით. მაგრამ ვიდრე გავმართლდებოდეთ უფალ ღმერთან, საჭიროა გამართლება მის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანთან, გამართლება ჩვენს მოყვასთან. აკი ბრძანებს ამაზე მაცხოვარი: „უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი, არცა მამამან თქვენმა მოგიტევნეთ თქვენ შეცოდებანი თქვენიო“, ამიტომ ღვთის შეწევნით ვგონებ დადგა უამი ურთიერთშენდობისა და პატიების. დადგა უამი ერთმანეთთან მუხლის მოდრევისა და შერიგების. დადგა უამი გულიდან ძვირის განდევნისა და ქრისტესმიერი სიყვარულის დამკვიდრებისა“. დიახ, სწორედაც რომ ამ სულისკვეთებით არის გაუღენთილი ოსებ სიბოშვილის რომანი - „უამი მიტევებისა“, სადაც ავტორი, გასულ საუკუნეში მომხდარი უბრალო რიგითი ადამიანების თავგადასავლის მოთხრობით, მკითხველს უამბობს, ათეიზმის ეპოქაში მცხოვრებთ როგორ აზიარებს ზეციური ძალა თავისი ჰუმანური, მოყვასისადმი უანგარო სიყვარულის მაგალითებით სულიერების ხიბლსა და სათნოების მადლს, მართლმადიდებლობის ძალასა და მნიშვნელობას.

გადაფურცლეთ ეს წიგნი და დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით. დიდი ძალა აქვს მოთხრობილ ამბავს, სადაც ბოროტებას ბოროტებით არ პასუხობენ, სადაც მტერს მტრობით არ უხდიან სამაგიეროს, მკვლელსაც, დამნაშავესაც კი შენდობით და მიტევებით პასუხობენ, რასაც ბოლოს პიროვნების გარდაქმნა მოჰყვება, რაც იმ ადამიანში ახალი ადამიანის დაბადებას იწვევს, რომელიც ცხოვრების გადასაცემად მოგვიანებული იქნება.



ბას ქრისტეს სიყვარულით აგრძელებს... „გიყვარდეს მოყვასი შენი...“ ეს შეგონება ერთგვარ რეფრენად მიჰყვება წინამდებარე წიგნს და ყოველი გვერდის გადაფურცვლი-სას იკვეთება ადამიანის დანიშნულება, რითიც მან უნდა გალიოს საკუთარი სიცოცხლე, რაც სიკეთის კეთებასა და მადლმოსილებაში გამოიხატება და რაც, ისევე როგორც სი-ბოროტე, უკან უბრუნდება ათმაგად...

„უამი მიტევებისა“ სწორედ ამ ქრისტიანულ შეგონება-თა ანარეკლია, რომლის წაკითხვის შემდეგ, დარწმუნებუ-ლი ვარ, წაკლებად იქნება ჩვენს გარშემო სიბოროტისა და მტრობის მსურველთა რიცხვი და იოსებ სიბოშვილის ახალი წიგნი სათანადო და საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს ქა-რთველ მკითხველთა გულებში.

მანანა გორგიშვილი



თბილისში გაზაფხულის საღამო იდგა. მზე დღისით თითქოს ათბობდა ზამთრის ყინვაგამოვლილ ქალაქს, მაგრამ საღამოს ისევ სუსხი დაისადგურებდა ხოლმე და ადამიანებიც იძულებულნი იყვნენ უკვე მობეზრებული თბილი ტანსაცმლით გამოსულიყვნენ გარეთ. უძრაობის წლებმა ქალაქი ერთ მთლიან ნაცრისფერ დასახლებას დაამსგავსა. ერთი და იგივეს კეთებას და ერთფეროვნებას ისე დაებუდებინა ადამიანებში, რომ გაღიმებულ სახეებს იშვიათად დაინახავდით. ხალხს რაღაც ახალი სჭირდებოდა, რომელიც არ ჩანდა და ასე მდორე მდინარესავით მიდიოდა ცხოვრება მთელი საბჭოეთის მასშტაბით. თითქოს სიხალისე სადღაც დაკარგვულიყო. ეს გაზაფხულიც აღარ დადგა ქალაქში, რომ პალტოს გახდით მაინც შეემსუბუქებინა ადამიანს ცხოვრებით შეძენილი მძიმე ტვირთი. ხალხის გამოცოცხლების ადგილებად ტრადიციულად მიჩნეული იყო სტადიონი, ისიც საფეხბურთო მატჩების დროს, კინოთეატრები, ისიც მორიგი სეანსის დამთავრების შემდეგ და რესტორნები, სადაც ქეიფის ხასიათზე რომ მოხვიდოდი, სწორედ მაშინ დაგადგებოდა რესტორნის ადმინისტრატორი და მორიდებით, რა თქმა უნდა, თქვენი შეზარხოშებული ხასიათის გამო, გამოგიცხადებდა: „მეგობრებო, უკვე ლა-

მის თერთმეტი საათი ხდება და რესტორანი იკეტება“. ამ დროს, ეგრეთ წოდებული, შაბაშით დაუკმაყოფილებელი მუსიკოსებიც ზანტად იწყებდნენ ინსტრუმენტების ჩალ-აგებას და თუ ვინმეს სიმღერების მოსმენის სურვილი მოეძალებოდა, ამას ადმინისტრატორის კეთილი ნება და გაორმაგებული შაბაში სჭირდებოდა. „ბრუტის“ მარკის შაპანურით ან სხვა ალკოჰოლური საფასურის გადახ-დის შემდეგ, დასძლევდა აკრძალვის ბარიერს, ჩამოჯ-დებოდა უკვე სხვა კლიენტებისგან გათავისუფლებულ, ჯერ კიდევ აულაგებელ, ესტრადასთან ახლოს მდებარე მაგიდასთან მდგომ რომელიმე სკამზე და თითების ერთი გატკაცუნებით შეუკვეთავდა იმ დროს თბილისში მო-დადქცეულ მუსიკას კინოფილმიდან „ქვიშის კარიერის გენერლები“. შემდეგ გაუკიდებდა დახლის ქვეშიდან ნაყიდ „კოსმოსის“ სიგარეტს, დაარტყამდა გემრიელ ნაფასს და სიგარეტის ფილტვებიდან ამოშვებით ამოაყ-ოლებდა თავის დარდსა თუ სიხარულს.

აი, ასეთი ერთფეროვნებით ცხოვრობდა ქალაქი და ელოდებოდა გაზაფხულის მოსვლას იმ იმედით, რომ ცხ-ოვრებაში რაიმე შეიცვლებოდა, რაიმე ახალი გამოჩნდე-ბოდა, რაც დაეხმარებოდა ადამიანებს გაეხალისებინათ თავიანთი ყოფა და აღარ გაემეორებინათ უკვე მრავალ-ჯერ ნათქვამი, გახუნებული და გაცვეთილი ფრაზა: „ეს რა უბედურებაა! ამ ქვეყანაზე დაიბადო ერთხელ და ისიც საბჭოთა კავშირში!“

ნიკა სადგურის მოედანზე ტროლეიბუსით მივიდა. ტრანსპორტიდან ჩამოსვლისთანავე მეტროპოლიტენის



შენობაზე მოციმციმე ელექტრონულ საათს შეხედა და თავისთვის უხასიათოდ ჩაილაპარაკა: „ადრე მომივიდა მოსვლა, მატარებლის გასვლამდე აქ უნდა ვიყურყუტო. რა მომარბენინებდა ნეტავ!?” მცირე პაუზის შემდეგ, ისევ შეუძახა თავის თავს: „ან სახლში რა უნდა მეკეთებინა. მარტო გინდა იქ ყოფილიყავი და გინდა აქ. მე შენ გეტყვი ტელევიზორში ნახავ რაიმე ახალს. თბილისის და მოსკოვის არხებზე მთელი დღეა ბრეჟნევის მოხსენებას გადასცემენ. ასე რომ, მატარებლის გასვლამდე ორი საათი აქეთ-იქით ბოდიალში უნდა მოველა“.

ნიკა ნაცვლიშვილი ახალგაზრდა კაცი გახლდათ, საშუალო სიმაღლის, ყოფილი სპორტსმენი, ვარჯიშისგან ჯერ კიდევ კუნთებდაბერილი, სანდომიანი შესახედაობის მამაკაცი, მრგვალი ქართული სახით და ხუჭუჭა თმებით. ორი წელიწადია რაც დაემთავრებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი და როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას უკვე მოესწრო ერთ-ერთ სამინისტროში წამყვანი თანამდებობის დაკავება. ცხოვრობდა მარტო, ვერაზე, ბებიისგან მემკვიდრეობით დატოვებულ ბინაში, რომელიც, როგორც ძველ უბანში ბინების უმრავლესობა, ერთ-ერთ ე.წ. „იტალიურ ეზოში“ მდებარეობდა. მშობლები ახალი გარდაცვლილი ჰყავდა, ხოლო ერთადერთი ძმა, თავისი სამსახურიდან გამომდინარე, ოჯახთან ერთად რაიონში გადასულიყო საცხოვრებლად. ახლა კი ნიკა ქუთაისში მიდიოდა მივლინებით. არ უყვარდა მივლინებაში სიარული, თუმცა თავს ინუგეშებდა ხოლმე: „მარტო კაცი გინდა თბილისში ვყოფილვარ და გინდა მივლინებაში, რა მნიშვნელო-

ბა აქვსო“. საკუთარი მანქანით მივლინებაში იშვიათად მიდიოდა, რადგან ხშირად უწევდა ადგილზე გამართულ პურ-მარილებზე სასმელის დალევა. ახალგაზრდა კაცს კი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მანქანის საჭისკენ უწევდა გული და ამიტომ თავს იკავებდა ავტომობილით მგზავრობისგან და ხშირად იტყოდა ხოლმე: „ჩემი თავი ჯანდაბას, ცოლი მე არა მყავს და შვილი, მაგრამ სხვა ვინმე არ გავაუბედურო ჩემი გაუფრთხილებლობითო“.

ახლაც, როსტოკის მატარებელზე ნაცნობობით ქუთაისამდე იშოვა კუპეს ბილეთი ქვედა ადგილით და მთელი ღამე ძილ-ღვიძილში უნდა გაეტარებინა დან-გრეულ საბჭოთა მატარებელში. სანამ ამ „კოჯორეთში“ ჩაჯდებოდა, თავისუფალი დრო უნდა „მოეკლა“ როგორმე. გახედა სადგურის მოედანს, კარგად მოავლო თვალი ალაგ-ალაგ განათებულ, მისთვის კარგად ნაცნობ ადგილებს და ფიქრობდა, შემოვლა მარჯვნიდან დაწყო თუ მარცხნიდან. ბოლოს, გადაწყვიტა მოედანი პირდა-პირ გადაეჭრა და მეორე მხარეს მდებარე დიდ და გრძელ გასტრონომში შესულიყო, „თვალს წყალს დავალევინებო“ — ფიქრობდა ნიკა. ის იყო მაღაზიიდან გამოსვლას აპირებდა, რომ გასტრონომის ფართო კარში უამრავი ხალხი შემოიჭრა და გაიქცნენ ხორცისა და თევზის სექციებისკენ. ნიკამ გაოცებულმა გააყოლა თვალი ბრბოს, სადაც ძირითადად სლავური წარმოშობის ადამიანები სჭარბობდნენ და გაკვირვებულმა იქვე მდგომ მაღაზიის თანამშრომელს ჰკითხა:

— რა სჭირს ამ ხალხს!? რამ გადარია, ასე გამწარებულები რომ დარბიან!?



— ამ ბოლო ხანებში სულ ასეა, — გაეღიმა გასტრონომის თანამშრომელს, — ესენი მოსკოვის მატარებლის მგზავრები არიან. ახლა ნახავ, ათ წუთში აღარც ძეხვი იქნება და აღარც თევზის კონსერვი. ესენი რომ არ გვყავდეს გეგმას ვერ შევასრულებდით.

— კი, მაგრამ, — იკითხა გაოცებულმა ნიკამ, — ეს კონსერვები რუსეთიდან აქეთ შემოდის და თვითონ არა აქვთ?

— ასეა, ქართველები მაინც და მაინც არ ვეტანებით თევზის კონსერვებს და ძეხვეულს, — მშვიდად უპასუხა გასტრონომის თანამშრომელმა, — ჩვენთან ამ საქონელს სტუდენტი თუ იყიდის, თორემ ოჯახებში ვინ ჭამს კონსერვს და ძეხვს — იშვიათად. რუსეთში კი უკვე დეფიციტია, ჩვენ კი ვერ ვითვისებთ. ახლა ესენი რომ გაასუფთავებენ დახლებს, მერე შევავსებთ როსტოვის მატარებლისთვის. აი, ასე ვმუშაობთ.

ნიკას არ მოეწონა ეს ყოველივე. რესპუბლიკიდან გადიოდა საქონელი და მხოლოდ ფული რჩებოდა. ეს ინფლაციას გამოიწვევდა. აშკარად ჩანდა, რომ საბჭოეთში ღრმა ეკონომიკური კრიზისი იწყებოდა.

გასტრონომში კი რადიო ხმამაღლა ჰქონდათ ჩართული და ვითომ დიდი გულისყურით უსმენდნენ ქვეყნის მეთაურის — ბრეზნევის საანგარიშო მოხსენებას, რომელიც ყოველ ხუთ წუთში მხურვალე ტაშის გრიალში მიმდინარეობდა.

მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათით ადრე ნიკა რკინიგზის იმ ბაქნისკენ დაიძრა, სადაც როსტოკში მი-მავალი მატარებელი უნდა ჩამომდგარიყო. როგორც კი ბაქანზე შედგა ფეხი, დასავლეთიდან გამომქროლი ნია-ვი მოესალბუნა სახეზე, რომელსაც თან მოჰქონდა ტე-ქნიკური ზეთით გაუღენთილი შპალების სუნი. ნიკას არ სურდა ამ სუნში გაჩერება და მოსაცდელი დარბაზისკენ წავიდა. დარბაზში შესვლისთანავე უჟანგბადობა იგრძ-ნო, ირგვლივ დამყაყებული ოფლის სუნი იდგა. ისევ გა-რეთ გამოვიდა. ნიკას სხვა გზა არ ჰქონდა, მატარებლის მოსვლამდე უნდა მოეთმინა.

ბაქო-როსტოკის მატარებელი ცოტა დაგვიანებით, მაგრამ საყვირის გრიალით ჩამოდგა პირველ ლიან-დაგზე. გაჩერება და ხალხის ვაგონებიდან გამოვარდნა ერთი იყო. ყველანი თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ სადგურის მოპირდაპირედ მდებარე გასტრონომისკენ. თხუთმეტ წუთში თბილისის ვაჭრობის სამმართველომ კიდევ ერთი დიდი ფინანსური შევსება მიიღო, ხოლო მატარებლის ვაგონები გაივსო თევზის კონსერვებით, ძეხვეულით და თქვენ ნარმოიდგინეთ მანდარინის მურა-ბით, რომელსაც საბჭოთა კავშირში მხოლოდ საქართვე-ლოში აწარმოებდნენ და რესპუბლიკის სავაჭრო ქსელში ერთ-ერთ „ჩანოლილ“ საქონლად ითვლებოდა. მისი მყ-იდველები კი მხოლოდ სხვა რესპუბლიკების წარმომად-გენლები იყვნენ.



ნიკამ მოძებნა თავისი ვაგონი, გამყოლს ბილეთი წარუდგინა, შევიდა კუთვნილ კუპეში, სამივლინებო ჩანთა საწოლის ქვეშ მდებარე სათავსში ჩადო, დაჯდა კუპეს პატარა მაგიდასთან, საათს დახედა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- როდის ჩახრიალდება ეს მატარებელი ქუთაისში?
- მოწყენილმა გაიხედა კუპეს ფანჯარაში და ფიქრებს მიეცა.

ფიქრებში ჩაძირული ნიკა ვაგონის გამცილებლის რუსულად წათქვამმა სიტყვებმა გამოაფხიზლა:

- თქვენი კუპე ეს არის! — ბრძანების კილოთი წარმოთქვა ქალმა და თან ახალგაზრდა გოგონას შემოუძღვა.

ნიკამ შეხედა დროებით თანამგზავრ გოგონას, ფეხზე წამოდგა და თავაზიანად მიესალმა. გამცილებელი კი თავისას აგრძელებდა:

- თეთრეულის ფული გადაიხადეთ! ჩაი თუ გნებავთ ახლავე შემიკვეთეთ!

ნიკამ ათმანეთიანი მიაწოდა გამყოლს და უთხრა:

- ორი წყვილი თეთრეული, ერთი ჩემთვის და ერთი ახალგაზრდა გოგონასთვის. ჩაი კი მოგვიანებით შემოგვიტანეთ. ხურდა თქვენ დაიტოვეთ.

გამცილებელს ნიკას წათქვამი ბოლო სიტყვები ძალიან მოეწონა. ფული უნიფორმაზე მიკერებულ ჯიბეში ჩაიდო, მერე აზლუდი ორივე ხელის გულით გაისწორა, თავი მაღლა ასწია და თავისი „კაბინეტისკენ“ წავიდა.

იმ დროს ქართველებისთვის ხურდის გამორთმევა ერთგვარ სირცხვილად და თან შეურაცხყოფად ითვლე-

ბოდა. ეს გამცილებელმაც კარგად იცოდა და ამიტომ უცბად მოამთავრა თავისი საქმე.

გამცილებლის კუპედან გასვლის შემდეგ, ნიკამ მხ-ოლოდ მერე შენიშნა, რომ მისი თანამგზავრი ახალგაზ-რდა გოგონა ერთ ადგილას იდგა გაშეშებული და თავ-ჩაღუნული, თითქოს გამყოლის გასვლას ელოდებოდა, მერე კი მიმართა ნიკას:

— ბოდიში, ბატონო, მაგრამ მე არ მითხოვია თქვენთ-ვის, რომ ჩემთვის თეთრეულის ფული გადაგეხადათ ან კიდევ ჩაი შეგეკვეთათ, მით უმეტეს ღამე ჩაის არ ვსვამ.

ნიკა ფეხზე წამოდგა, გოგონას წინაშე მონინებით თავი დახარა და მორიდებით უთხრა:

— მაპატიეთ, პატივცემულო, რომ ჩემი ნაუცბათევი ქმედებით თქვენი გალიზიანება და გულისწყრომა გა-მოვიწვიე. რატომძაც ეს ყოველივე ჩემს ვალდებულე-ბად ჩავთვალე. გთხოვთ, მომიტევოთ.

გოგონა მშვიდად წავიდა კუპეს კარისკენ, იქვე ჩამო-ჯდა, კვლავ შეწუხებული სახით გაიხედა ნიკასკენ და დაბალ ხმაზე წარმოთქვა:

— მე... მე ლია... ლიკა მქვია...

ამის თქმა იყო და კვლავ აწრიალდა, შემდეგ ისევ შეხედა ნიკას და გააგრძელა:

— არ იყო ამის გაკეთება საჭირო. მადლობას გიხდით პატივისცემისთვის. თუმცა მე თქვენთან სულ სხვა თხ-ოვნა მქონდა და უკვე ძალიან მერიდება.

ნიკას არ გაჰკვირვებია ლიკას სიტყვები, რადგან ასეთი თხოვნა, რომელზეც ახლა მისი თანამგზავრი ფი-



ქრობდა, ბევრს გასჩენია მატარებლით მგზავრობისას. ამიტომ გაეღიმა და უთხრა:

— ჩათვალეთ, რომ თქვენი თხოვნა დაკმაყოფილებულია.

ლიკა შეკრთა, ათასმა აზრმა გაუელვა გონებაში და განცვიფრებულს აღმოხდა:

— რას გულისხმობთ!?

— რა თქმა უნდა, ადგილის გაცვლას, — კვლავ გაეღიმა ნიკას, — გამოვიცანი?

ლიკა გაწითლდა, დაიმორცხვა, მიხვდა, რომ ნორმალურ ადამიანთან ჰქონდა ურთიერთობა, გაულიმა ნიკას და დაბალი ხმით წარმოთქვა:

— დიდი მადლობა, მაპატიეთ, რომ გავცხარდი. მაინც იმერელი ვარ და ეს ჩემს გენეტიკაშიც დევს.

ნიკამ მხოლოდ ახლა შეხედა ლიკას, მანამდე თვალს არიდებდა, შეურაცხყოფად არ მიიღოსო. სხვისი ეჯავრებოდა ასეთი ჩვევა, რომ მიაშტერდებოდნენ ხოლმე უცხო ქალებს და თვალს არ აცილებდნენ. თუმცა ახლა ნიკა ჩავარდა ამ ცოდვაში — შეხედა ლიკას და თვალი ვერ მოაცილა. მის წინ ფრესკიდან გადმოსული ანგელოზი იჯდა, მრგვალი ქართული სახით, ზედ გაწყობილი ულამაზესი თვალ-წარბით, როგორც დიდი შოთა იტყოდა: „... ქება წარბთა და წამნამთა, თმათა და ბაგე-კბილისა, ბროლ-ბადახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა...“, ლამაზად დავარცხნილი თმა, თეთრად მოელვარე სახის კანთან ისე იყო შერწყმული, რომ მიუხედავად ნიკას მცდელობისა სახე მოერიდებინა ლიკასთვის, შეუძლებელი იყო. წარმოუდგენელი სილამაზის გამო ბიჭი დაიბნა. ყოველთვის თავისუფლად მოსაუბრე და დახ-

ვეწილი მანერების მქონე ვაუკაცი, უძლური შეიქმნა მის წინ დაბრძანებული ღვთაებრივი ანგელოზის მიმართ. უცებ, გონიერაში გაუელვა ასეთმა აზრმა: „იქნებ ამ ნახევრადბნელ კუპეში მეჩვენება ეს სილამაზე?“ ადგა, შუქი აანთო და თან დააყოლა:

— რას ვსხედვართ სიბნელეში, ბოლო-ბოლო მეოცე საუკუნეა.

ნიკამ ეს სიტყვები უფრო იმისთვის წარმოთქვა, რომ მიზეზი მისცემოდა და კიდევ ერთხელ შეეხედა ლიკასთვის, რათა დარწმუნებულიყო თავის თავში, მართლა ასეთი ლამაზი იყო ლიკა თუ ეჩვენებოდა და ჰოი, საოცრებავ! მის წინ სამყაროს სრულყოფილება იჯდა. ლიკამ თავისი ლოპოტის მარმარილოსავით თეთრად მოელვარე ლამაზად ნათალი თითებით თმა უკან გადაიწია და დაიჭირა რა ნიკას გამჭოლი მზერა, თავი დახარა.

უხერხულობა რამდენიმე წამს გაგრძელდა, რომელიც როგორც ნიკას, ასევე ლიკას მთელ საუკუნედ მოეჩვენა. უხერხული სიტუაციის განმუხტვა ისევ ნიკამ ითავა:

— ახლა ჩავწვდი აინშტაინის ფარდობითობის თეორიას. მართალია მეცნიერულად ამას ვერ დავასაბუთებ, მაგრამ მივხვდი, რომ ეს სამყარო ჩემთვის ამოუცნობია.

— ფილოსოფოსი ხართ? — ჰკითხა ლიკამ ნიკას და თავისი ლამაზი თვალებით გამომწვევად შეხედა.

— არა, ეკონომისტი. თუმცა უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ფილოსოფიას კარგად ვსწავლობდი.

— მე კი ვერ ვიტან ფილოსოფიას, — თქვა ლიკამ და გაელიმა, — როგორ უდებთ მას გულს?



— თვითონ ფილოსოფია, როგორც საგანი, თავისი დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმით არც მე მეხატება გულზე, რადგან კომუნისტებმა სათავისოდ გაამრუდეს, — უპასუხა ნიკამ, — ხოლო რაც შეეხება თვითონ ფილოსოფოსებს, მათი გამონათქვამები ათასნაირ სიბრძნეს შეიცავს და ადამიანი ბევრ რაიმეს სწავლობს, განსაკუთრებით ცხოვრებისეულს.

საყვირის ხმა გაისმა და მატარებელი დაიძრა. საყვირის დასრულების შემდეგ, უმაღ გაისმა ვაგონის გამცილებელი ქალის საყვირზე არანაკლებ გამყინვა ხმა:

— ამხანაგო მგზავრებო! გთხოვთ, წარმოადგინოთ ბილეთები და წაიღოთ თეთრეული!

გამცილებლის „რუსული ბრძანების“ შემდეგ, ლიკას და ნიკას, რომლებმაც მატარებლის საყვირის ხმაზე საუბარი შეწყვიტეს, გაეცინათ და ვინაიდან ამ დროს ქალ-ვაჟის თვალებმა ერთმანეთს ამოუცნობი და ცეცხლოვანი მზერა მიაპყრეს, ამ უხერხულობის გასაფანტავად ორივემ კუპეს ფანჯრიდან გაიხედა და განსაკუთრებული ყურადღებით დაუწყეს დათვალიერება ნახევრად ჩაბნელებული სადგურის დანგრეულ და ნაგვით სავსე ტერიტორიას, თითქოს ძალიან აინტერესებდათ. თუმცა იქ სანახავი არაფერი იყო.

უხერხული დუმილი ლიკამ დაარღვია:

— ნიკა, წელან აინშტაინზე საუბრობდით. ასეთი რა იგრძენით, ან რას ნიშნავს ეს, ხომ არ ახსნიდით?

ნიკას გაეღიმა, შეხედა ლიკას და უთხრა:

— როგორც გატყობთ, დაინტერესდით ფილოსოფიით.

— არა, ეს ისე, დროებით, — უპასუხა ლიკამ, — ქალურმა ცნობისმოყვარეობამ მძღია.

შემდეგ მცირე დროით შეჩერდა ახალგაზრდა ქალბატონი და საუბარი კვლავ განაგრძო:

— მგონი აინშტაინზე შევჩერდით, ხომ?

— კი, აინშტაინზე და მის თეორიაზე ფარდობითობის შესახებ, — თქვა ნიკამ, — რომელიც თეორიადვე დარჩა, თუმცა მას ცხოვრებაში ყველა ადამიანი განიცდის.

— მაინც. — ცნობისმოყვარეობას ვერ მალავდა ლიკა.

— მაგალითად, ადამიანი უკუნეთ ღამეში, სადლაც ტყე-ღრეში მარტო რომ მიდის და სიცივის, ქარის, ნამქერის და შიშის გამო ჰგონია, რომ სამი საათია გზა-შია, ამ დროს დედამიწის დროით სულ ათი წუთია გა-სული. ხოლო, როდესაც ახალგაზრდა კაცი ახლადგაც-ნობილ, ასევე ახალგაზრდა ულამაზეს ქალბატონთან უკვე ერთი საათია საუბრობს, ჰგონია, რომ დედამიწის დროით სულ თხუთმეტი წამია გასული.

ლიკა, რა თქმა უნდა, მიხვდა მთლად არაპირდაპირ ნათქვამს, გონებაშიც გაუელვა ბანალურმა ფრაზამ: „ყველა მამაკაცი ერთნაირია“, მაგრამ მაინც ქალური კდემამოსილებით წარმოთქვა:

— აი, თურმე რატომ გიყვართ ფილოსოფია, — გაეღ-იმა ლიკას და განაგრძო, — მე კი, პატივცემულო აინ-შტაინ, მომიწევს თქვენი მიტოვება, თქვენს ფარდობი-თობის თეორიასთან ერთად, რადგან, როგორც ვატყობ, ამ კუპეში სხვა მგზავრები აღარ ამოვლენ და არ მინდა, რომ მარტო დავრჩე თქვენს დედამიწის წამზომთან და ვიმოგზაურო დროში.



ნიკა მიხვდა, რომ ზღვარს გადააბიჯა, თუმცა ერთი წუთითაც არ უგულისხმია ის, რაც ლიკამ გაიფიქრა. კი, ვნებათა ლტოლვის მომენტი ჰქონდა, მაგრამ როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე ხშირად: „კაცი მაშინ ხარ, როდესაც გაქვს ვაჟკაცობის, სამართლიანობის, გონებრიობის და, რა თქმა უნდა, თავშეკავების უნარი“.

ნიკა უხერხულად აწრიალდა, ფეხზე ადგა და დამნაშავესავით წარმოთქვა:

— ბოდიშს ვიხდი, ლიკა, თუ ჩემი სიტყვები სხვანაირად გაიგეთ. გეფიცებით, არაფერი ცუდი არ მიგულისხმია. პირიქით, შეგატყვეთ, რომ მოაზროვნე ახალგაზრდა ბრძანდებით და მსურდა, საუბარი ინტელექტუალურ დონეზე წარმემართა. კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი, შეგვიძლია სასაუბრო თემა შევცვალოთ.

— არა მგონია, ამის საჭიროება იყოს. ვინმეს გავუცვლი ადგილს, სადმე ქალებთან იქნება ადგილი.

— ნება თქვენია, ლიკა. — თქვა ნიკამ და ხელები გაშალა.

3

ნიკამ გონებიდან ყურადღების გადატანის მიზნით, სულ ახლახანს ნაყიდი საღამოს გაზით „თბილისის“ ახალი ნომერი გადაშალა და კითხვა დაიწყო, მაგრამ გული ვერ დაუდო. მისი ფიქრი ახლა ლიკას გარშემო ტრიალებდა. თავის თავს ადანაშაულებდა. უცებ, ფიქრი ვაგონის გამცილებელმა შეაწყვეტინა:

— თქვენი ჩაი, ამხანაგო! — კვლავ ბრძანების კილოთი წარმოთქვა ქალმა და ორი ჭიქა ჩაი დადგა მაგიდაზე, თან იკითხა:

- მეორე სად არის?
- არ ვიცი. — უპასუხა ნიკამ, — მგონი ადგილის
გაცვლა სურს.
- ოჟ! ეს ქართველი ქალები! — ჩაიბურდლუნა გამ-
ცილებელმა და კუპედან გავიდა.

სულ რაღაც თხუთმეტ წუთში კუპეში ლიკა შემოვი-
და, დაღონებული დაჯდა მაგიდასთან, თავი ჩალუნა და
თითების ნერვიულად ათამაშება დაიწყო.

- რა ქენით? — ჰერთხა ნიკამ, — იშოვეთ ადგილი?
- ვერა. ყველა კუპეში ან კაცები არიან ან ქალები,
ასე რომ...
- მოგვიწევს ღამის თეთრად გათენება. — დაასრუ-
ლა ნიკამ და გაზეთის მეოთხე გვერდის დათვალიერება
დაიწყო.

— თქვენ არ ხართ ვალდებული, — თქვა გაბუტული
ხმით ლიკამ, — შეგიძლიათ მოისვენოთ, მე გარეთ გავალ.

— ნუ შეწუხდებით, მაინც არ მეძინება, მატარებელ-
ში ვერ ვიძინებ, თან სულ რაღაც ხუთ საათში ქუთაისში
ვიქწებით და რა აზრი აქვს დაძინებას? თუ თქვენ გეძინე-
ბათ, მე გავალ გარეთ და საერთოდ არ შემოვალ. რა მნიშ-
ვნელობა აქვს გაზეთს აქ წავიკითხავ თუ გარეთ.

— ალბათ ძალიან საინტერესო გაზეთია, რომ თვალი
ვერ მოწყვიტეთ. — ნიშნის მოგებით შეაგება ლიკამ, თან
თავი ჩალუნა და გაელიმა.

ნიკას არ გამოპარვია ლიკას დაფარული ღიმილი,
თუმცა არ შეიმჩნია, გაზეთის მეოთხე გვერდს ხელი
მსუბუქად დაჰჭკრა და ისე, სხვათა შორის მიუგო:





— ნერვები მეშლება ამ კარის პოეტიზზე. რა ლექსებს ნერენ და რა დითირამბებს უძღვნიან პარტიულ მუშაკებს.

— კი, მაგრამ გაზეთ „თბილისში“ ლექსებს პირველ გვერდზე ბეჭდავენ და თქვენ მეოთხე გვერდზე რა ლექსებს კითხულობთ?

— აქაც წერია. — იცრუა ნიკამ.

— აბა, დამანახე! — ჩაეძია ლიკა.

— აი! — დაანახა ნიკამ ლიკას გაზეთის გვერდები.

ლიკამ შეხედა და გაღიმებულმა მიუგო:

— ხომ გითხარით, რომ მაგ გვერდზე ლექსებს არ ბეჭდავენ-მეთქი, აქ მხოლოდ საფეხბურთო ჩემპიონატის ცხრილებია, ცოტა ქვევით მიცვალებულთა ჩამონათვალი და არა ლექსები პარტიულ მუშაკებზე. სად ხედავთ აქ პარტიას და კომუნიზმს!?

ნიკა მიხვდა რა, რომ ჩიხში შევიდა, საშველად იუმორს მიმართა და ხმამალლა წარმოთქვა:

— აბა, „დინამო“ და „ტორპედო“ კაპიტალისტურია!?

ნიკა და ლიკა რამდენიმე წამის განმავლობაში ერთმანეთს უყურებდნენ, მერე ორივეს აუტყდა სიცილი და კარგა ხანს არ გაჩერებულან. ბოლოს, ნიკამ ითავა საუბრის გაგრძელება და ჰკითხა ლიკას:

— ლიკა, ფეხბურთი, ოპ! ბოდიში... პოეზია თუ გიყვართ?

— ფეხბურთი არა და პოეზია კი. ამას პროფესიაც მავალდებულებს.

— ასეთ ახალგაზრდას უკვე პროფესიაც გაქვთ?



— ჯერ არა, მაგრამ სამ წელიწადში მექნება. თეატრა-ლურზე ვსწავლობ.

— მომავალი მსახიობი ხართ?

— უფრო რეჟისორი.

ნიკამ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და უთხრა ლიკას:

— ბედნიერი ხართ, რომ კულტურის სფეროში იმოლ-ვანევებთ, აბა, ჩემსავით ხომ არ იქნებით... დამდალა ამ საბჭოთა ეკონომიკამ, სადაც ეკონომიკის გარდა ყვე-ლაფერია.

— და რატომ აირჩიეთ ეს სპეციალობა? — გაიკირ-ვა ლიკამ, — მით უმეტეს, როდესაც თქვენ აბარებდით, იმ დროს უნივერსიტეტში მაგ სპეციალობაზე დიდი კონკურსი იყო?

— კი, გეთანხმებით, — უპასუხა ნიკამ, — მუავანაძის დროს, ერთ ადგილზე ოცდახუთი აბიტურიენტი მოდიო-და. არადა, მე ისტორია და არქეოლოგია მიტაცებდა, მა-გრამ ოჯახს უჭირდა და ამიტომ ჩავაბარე ეკონომიკურზე.

— მერე, გაამართლა? — დაინტერესდა ლიკა.

— კი, როგორც არქეოლოგიით დაინტერესებული, ყოველდღიურად ფულს ვეძებ და თქვენ წარმოიდგინეთ — ვპოულობ.

— და, ბედნიერი ხართ ხომ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არა.

— რატომ?

— ფული ცუდი არ არის, იკმაყოფილებ შენს ყვე-ლა მოთხოვნილებას, მაგრამ კომბინატორების ისეთ იერარქიაში გინევს მუშაობა, სადაც ინტელექტის მქონე ადამიანს იშვიათად ნახავ, ხოლო თუ ინტელი-

გენტებთან ურთიერთობის დროს, შენს პროფესიას და სამუშაო ადგილს გაამჟღავნებ, ყველა „ფულის ტომრის“ სტატუსს მოგანიჭებს და არავის აქვს სურვილი შენთან ურთიერთობის.

ლიკას გაელიმა, მას კარგად ესმოდა ნიკას გულის ტკივილი და ამიტომაც მთელი სერიოზულობით შენიშნა:

— მე არაინტელიგენტობის თქვენ ვერაფერი შე-გამჩნიეთ, რატომ იკომპლექსებთ თავს?

— გმადლობთ დამშვიდებისთვის, ლიკა, მაგრამ მე ახლა სულ სხვა რამ მაკომპლექსებს.

— მაინც რა!? — სახე შეეცვალა ლიკას.

— გეტყვი, თუ პირობას მომცემ, რომ ვაგონში კვლავ ადგილის ძებნას არ დაიწყებ. — თქვა ნიკამ და ლიკას თვალებში შეხედა.

— დაიწყო ისევ, — ჩაილაპარაკა ლიკამ, — გისმენთ!

— მინდა, რომ ერთმანეთს შენობით მაინც მივმარ-თოთ, თორემ სულ იმ შეყვარებული წყვილის ურთიერ-თობა მახსენდება.

— რომელი შეყვარებულების?

— თბილისში ახლა ყველგან ამ ანეკდოტს ჰყვებიან, ხომ იცით ქალაქის ამბავი? უცებ ითვისებენ ჭორებს და ანეკდოტებს. შეყვარებული წყვილი ვაკის პარკში სეირნობდა და ბიჭი გოგოს სულ შენობით მიმართავ-და. გოგონამ ითმინა, ითმინა და მერე ნაწყენმა მიმართა ბიჭს: „ჯერ სულ რამდენიმე დღეა გავიცანით ერთმანე-თი და უკვე შენობით მომმართავ?“ გაოცებულმა კავალ-ერმა ბოდიში მოუხადა გოგონას და ორივემ დუმილით განაგრძეო გზა. არც ერთი ხმას არ იღებდა. რომელიმეს



ხომ უნდა დაეწყო საუბარი? აბა, ეს რა პაემანი იქნებოდა? ბოლოს, ბიჭმა შადრევანის გვერდზე შეაჩერა გოგონა და გაიხედა ჭავჭავაძის პროსპექტისკენ, სადაც „თბილქალაქპროექტის“ შენობა თითქმის დამთავრებული იყო და გაოცებულმა იყვირა: „შეხედე, ძვირფასო! ეს რამხელა თქვენობა აუთქვენებიათო!?”

ლიკა სიცილისგან თავს ვეღარ იკავებდა:

— ვაიმე!.. ნამდვილად არ გამიგია. რა კარგი რამ მითხარით... გოგოებს ვაცინებ.

მცირე პაუზის შემდეგ კი ნიკას უთხრა:

— კარგი, ნიკა, თანახმა ვარ. ეს უხერხულობა მოვხსნათ.

ამ დროს ვაგონის გამცილებელი შემოვიდა. გააბოტა ფეხები შუა კუპეში და როგორც სჩვეოდა, მბრძანებლური კილოთი წარმოთქვა:

— თქვენ რიონში ჩამოხვალთ, ხომ!? დაიძინეთ დროზე! ვიცი ქართველების ამბავი, ვერ გაიღვიძებთ, არადა დაგვიანების გამო სულ ხუთი წუთი გავჩერდებით!

— არ ინერვიულოთ, ქალბატონო, ჩვენ პრობლემას არ შეგიქმნით. — დახვეწილი რუსული აქცენტით უპასუხა ლიკამ.

გამცილებელმა რატომლაც ზიზღით დახედა ლიკას, ალბათ შეშურდა მისი სილამაზე და ზევიდან დასძახა:

— ქალბატონო კი არა, ამხანაგო! ისნავლეთ მიმართვები!

გამცილებელი ჩქარი ნაბიჯით გავიდა კუპედან. დროულად რომ არ შეტრიალებულიყო მარჯვნივ, ალბათ სარკმელს დაეჯახებოდა.

ნიკა და ლიკა სიცილისაგან კარგა ხანს ვერ დაწყნარდნენ.



— საკმაოდ მაღალ რანგში კი აიყვანე, ხო იცი? —
შენიშნა ნიკამ.

- რატომ? — გაიკვირვა ლიკამ.
- მაგას ქალბატონობისა რა ეტყობა, ამხანაგოს
მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს, — გაეცინა ნიკას
და უცებ შეცვალა საუბრის თემა, — კი, მაგრამ ასეთი
სუფთა და უაქცენტო რუსული სად ისწავლე?
- როგორც იტყვიან ხოლმე, ჩვენთან, სოფელში.
- თუ საიდუმლო არ არის, სად არის შენი სოფელი?
- იკითხა ნიკამ.
 - ქუთაისთან ახლოს, მთისა ჰქვია.
 - ყველა ასე კარგად ფლობს თქვენთან რუსულს?
 - არა, ჩვეულებრივი იმერული სოფელია. უბრალოდ,
მე ბებია მყავდა ფინური წარმოშობის რუსი და ოჯახში
მას შემდეგ რუსული ენის ცოდნა თაობიდან თაობას გა-
დაეცემა.
 - აქაური რუსი იყო?
 - არა, პირველი მსოფლიო ომის დროს, ჩემს ბა-
ბუას გაუცვნია ლტოლვილთა ბანაკში, მოსწონებია და
წამოუყვანია საქართველოში. ვორონეჟის სოფელ კა-
მენკადან იყო — ოქსანა-ქსენია სკაკუნი. თურმე ხშირად
ამბობდა: „მე ოცდაოთხ იანვარს დავიბადე, ნეტარი ქსე-
ნია პეტერბურგელის ხსენების დღეს, ამიტომ დამარქვეს
ქსენია. ჩემმა მფარველმა ანგელოზმა ქსენია პეტერ-
ბურგელმა მამცნო, რომ გავთხოვილიყავი ქართველზე
და მეცხოვრა ღვთისმშობლის ქვეყანაში — საქართვე-
ლოში. ისიც მითხრა, დადგება დრო და მეც საქართვე-
ლოში ჩამოვალო“.

— მეც მიკვირდა, — განცვიფრება გამოხატა ნიკამ, — რუსული იერი გადაკრავს სახეზე. ვერ გაგიბედე, რომ მეთქვა. საინტერესო ქალბატონი ყოფილა.

— კი. ჩემი და ბებიაჩემის სურათი რომ დადო გვერდი-გვერდ, ბევრ საერთოს ნახავ.

— იმედია წილად მხვდება ეს ბედნიერება.

ლიკამ ნიკას ეს წინადადება უპასუხოდ დატოვა და უხერხულობის გასამუხტავად, ნიკას მიერ მაგიდაზე დადებული და ლექსებით დახუნდლულად „მონათლული“ გაზეთი „თბილისი“ აიღო და ნიკასავით მეოთხე გვერდიდან კი არა, პირველი გვერდიდან დაიწყო კითხვა. ყურადღებით ჩაიკითხა გვერდი, მერე დაკეცა გაზეთი, ისევ მაგიდაზე დადო და ნიკას უთხრა:

— არ შემცდარხარ, ერთი მედროვე პოეტის ლექსი მართლა ყოფილა დაბეჭდილი.

ნიკა ფიქრებიდან ლიკას სიტყვებმა გამოიყვანა. კიდევ ერთხელ შეხედა მის წინაშე დაბრძანებულ მშვენიერებას და უთხრა:

— ლიკა, მე იმერელი არ ვარ, კახელი ვარ, ამიტომ სათქმელსაც პირდაპირ ვამბობ ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე.

— დედა, მიშველე! — გაიკვირვა ლიკამ და თან გაიღიმა, — რა უნდა მითხრა ასეთი?

ნიკა ოროსანი მოსწავლესავით აიწურა და ძლივს ამოღერლა:

— ჩვენ ერთ საათში დავშორდებით ერთმანეთს, თუ, რა თქმა უნდა, დაგხვდება ვინმე შენიანი, თუ არა და მე მიგაცილებ სახლამდე.

— არა, დამხვდებიან, ასე რომ, არ შეგაწუხებთ.
— ჰო, კი, — თითქოს დაიბნა ნიკა, თუმცა, მერე თავი
მოუყარა სათქმელს, — ამის თქმა არ მინდოდა ჯერჯე-
რობით.... მაგრამ... მე მინდა გთხოვო, რომ, როდესაც
თბილისში ჩამოხვალ, იქნებ შევხვდეთ. მე თქვენს ინსტი-
ტუტთან ახლოს ვმუშაობ და ახლოსვე ვცხოვრობ.

კუპეში დუმილი ჩამოვარდა, მხოლოდ მატარებლის
თვლების ლიანდაგებთან „შეხმატკბილებული“ ხმა ის-
მოდა და მოძველებული ვაგონის ჭრიალი.

ლიკას გაეცინა. ნიკა კი სულმოუთქმელად ელოდა
პასუხს.

ლიკა არ ჩქარობდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხე-
ლოვნების მომავალმა მსახურმა, ხატოვანი ფრაზა წარ-
მოთქვა:

— მგონი აინშტაინის დუმილი ჩამოვარდა.
— ნეტავ დიდხანს გასტანს? — არ დააყოვნა ნიკამ.
ლიკა პასუხის გაცემას არ ჩქარობდა. ჩანთა გახსნა,
პატარა ქაღალდი ამოილო, ზედ ტელეფონის ნომერი
დაწერა, გადასცა ნიკას და უთხრა:

— მე, დეიდაჩემთან ვცხოვრობ საბურთალოზე, ეს
მისი ბინის ტელეფონის ნომერია. მე, გავაფრთხილებ,
რომ მეგობარი დარეკავს, სახელით ნიკა და შეგეძლება
ჩემთან გასაუბრება.

ნიკას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გულის ჯიბე-
ში სათუთად შეინახა ქაღალდი და აღფრთოვანებულმა
ლიკას მიმართა:

— დიდი ხანია ასეთი სიხარული და აღმაფრენა არ
განმიცდია. დიდი მადლობა, ლიკა. დღეიდან ჩათვალე,
რომ შენ ღირსეული მეგობარი გეყოლება.



როგორც იქნა მატარებელმა მიაღწია დანიშნულების სადგურს. ვაგონის გამცილებელმა ქალმა ლამის შეანგრია კუპეს კარი და რა იხილა, რომ ახალგაზრდები არც კი განძრეულან თავიანთი ადგილებიდან, გაკვირვებულ-მა შესძახა:

— აი, ახალგაზრდობა! არც დასვენება იციან და არც ნორმალური საუბარი... თქვენი ჩასვლის დროა!

ნიკას და ლიკას გაეღიმათ და არაფერი უპასუხეს გამყოლს, რადგან მასთან საუბარს აზრი არ ჰქონდა. ნიკა და ლიკა ჩამოვიდნენ მატარებლიდან. ლიკას ბაქანზე შუახნის მამაკაცი დახვდა, რომელიც ლიკას მამა აღმოჩნდა. ნიკა დაემშვიდობა მამა-შვილს და ტაქსების გაჩერებისკენ წავიდა.

4

ნიკას მივლინებაში წასვლა უხაროდა ხოლმე, რადგან მარტო კაცისთვის ეს ერთგვარი გახალისებაც იყო. დრო შეუმჩნევლად გადიოდა და თან უცხო ადამიანებთან ურთიერთობაც ცხოვრებას საინტერესოს ხდიდა. ლიკასთან შეხვედრის შემდეგ კი ნიკა ძალიან შეიცვალა, მალევე დაამთავრა მივლინება ქუთაისში და სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში, რომ ლიკასთვის დაერეკა და პაემანი დაენიშნა.

ბინაში შესვლისთანავე ჩანთა შესასვლელში დააგდო და იქვე კედელზე ჩამოკიდებულ ტელეფონის აპარატს სწვდა, მაგრამ რატომღაც ყურმილში ზუმერის ხმა არ შემოდიოდა. რამდენჯერმე მოსინჯა ტელეფონის ლილა-

კი, მაგრამ ამაოდ. შემდეგ შემომავალი სატელეფონო ხაზი შეამონმა. აქაც ყველაფერი რიგზე იყო.

— რა სჭირთ!? რა უბედურებაა!? — იყვირა ნიკამ და მეზობელთან გაიქცა. ჯერ მეზობლის ბინის კართან არ იყო მისული, რომ ფანჯრიდან შესძახა:

— ტელეფონზე დარკევა მინდა, მერიკო!

— არ მუშაობს! — გაისმა ბინიდან ქალის ხმა.

— ჩვენს ეზოში ყველგან გათიშულია!? — იკითხა ნიკამ.

— ჰო, ყველგან! — უპასუხა მერიკომ, — რაღაც გაწყდაო, გაუწყდათ მაგათ პატრონები! ამ ქვეყანას ხომ არ ეშველა!

— ჩართავენ დღეს თუ არ ჩართავენ? ესეც არ ვიცით, ხომ? — არ ისვენებდა ნიკა, — მე მივლინებიდან ახლა დავბრუნდი და არაფერი ვიცი!

მერიკომ, როგორც იქნა, გააღო ბინის კარი ისე, რომ, როგორც სჩვეოდა, ლაპარაკი არ შეუწყვიტავს. მერიკო კარგად, გემრიელად ჩასუქებული ქალბატონი გახლდათ. თავის სიმსუქნეს რაღაც ჰორმონებს აბრალებდა, სინამდვილეში კი მთელი დღე იცმუცნებოდა. ყოველ ერთ ან ორ საათში ყავის დალევას მოიმიზეზებდა ხოლმე, განა იმიტომ, რომ ყავა ძალიან უყვარდა — არა — ბლომად შოკოლადს ან ნამცხვარს აყოლებდა ზედ. ხოლო, როდესაც არ ჭამდა, მაშინ ლაპარაკობდა. ასე რომ, მისი პირი არ ჩერდებოდა. თუ თანამოსაუბრე არ ჰყავდა, მაინც ლაპარაკობდა, თავის თავს ელაპარაკებოდა. ზოგჯერ, თავის თავთან საუბრის დროს, ისე შეიჭრებოდა ხოლმე როლში, რომ ხან ლოყაზე გაირტყამდა ხელს, ხან კეფაზე



წამოირტყამდა. რა ექნა საცოდავს, ქმარი გარდაცვლილი ჰყავდა, შვილები ცალკე ცხოვრობდნენ თავიანთ ოჯახებში, ტელევიზორი მაუწყებლობას საღამოს ექვს საათზე იწყებდა, ხაზის რადიოსა არ უსმენდა იმ მიზეზით, რომ ძალიან ნელა ლაპარაკობენ და ნერვებს მიშლიანო. თუ ვინმეს დაიჭერდა სასაუბროდ, მისი საქმე წასული იყო, ერთადერთი, ვისაც შეეძლო მერისათვის საუბარი შეეწყვეტინებინა, ნიკა იყო, რადგან მერიკო დიდ პატივს სცემდა თავის კარის მეზობელს. ნიკა ხშირად ეხმარებოდა მერიკოს, უფრთხილდებოდა, ამიტომ ცდილობდა, მასთან თავშეკავებული ყოფილი ყოფილი ყოფილი, თუმცა ხანმოკლე ვადით. მერიკო პატიოსანი, მაგრამ მიამიტი ქალბატონი გახლდათ, ამიტომ ადამიანებისაგან ხშირად მოტყუებული რჩებოდა და მისი საჩივრების და აღსარების მომსმენი ერთადერთი ნიკა გახლდათ. ახლაც, აქოთქოთებული მერიკო თავისი ბინის კარში იდგა და შეუჩერებლად ლაპარაკობდა. ერთი სიტყვით, მოუსავლეთში გაუშვა თბილისის მთელი სატელეფონო სამსახური, არც კავშირგაბმულობის სამინისტრო დავიწყებია. ბოლოს კი ნერვებმოშლილ ნიკას შეხედა და ახლა მასზე „გადაერთო“:

— რა გჭირს!? რა ტელეფონი აგიტყდა!? ბრეუნევი ხომ არ მოკვდა!? ჯანდაბამდე გზა ჰქონია!.. ჰო, მართლა, შენს ჩამოსვლას ველოდებოდი, ერთი შეკითხვა მაქვს.

— რა გინდა, მერიკო? ახლა ნამდვილად არ მცალია, მითხარი მალე! — ძლიერ ამოილულლუდა მერის ლაპარაკოსაგან დაუძლურებულმა ნიკამ და მეზობელს შეხედა.





- რა გჭირს, ბიჭო!? — იკივლა მერიკომ, — შემომ-ხედე, აპა, კარგად!
- აპა! — ამოღერლა ნერვებისგან დაცლილმა ნიკამ და მერიკოს მიაშტერდა.
- შეხედეთ ამას! — ხმამალლა გაეცინა მერიკოს, — როდის მოხდა ეს?
- რა მოხდა? არ გამაგიურ ახლა! — იკივლა ამჯერად უკვე ნიკამ.
- როდის მოასწარი, ბიჭო!? — არ ცხრებოდა მერიკო,
- ეტყობა ახალი მომხდარია, თორემ ჩემზე ადრე ვინ გაიგებდა მაგ ამბავს?
- რა მოვასწარი! ნუ გადამრიე, მერიკო!
- რა და ზედ გაწერია, რომ ყურებამდე ხარ შეყვარე-ბული!
- ნიკა ერთ ადგილას გაქვავდა, მერიკოს მიაშტერდა და ჰკითხა:
- თუ ჩემი და ხარ, არ დამიმალო, შენ საიდან გაიგე? ახლა ჩამოვედი თბილისში.
- ჩიტმა მომიტანა ამბავი! — გადაიხარხა მერი-კომ, — ზედ გაწერია, ბიჭო! მომილოცავს! ვეღირსეთ, როგორც იქნა, რომ საყვარელი ქალი გამოჩნდა შენს ცხ-ოვრებაში, რომელმაც შენი გული დაიპყრო. ვინ არის ის ბედნიერი, ხომ არ გამანდობ?
- თავი დამანებე, მერიკო! არ შემიყარო ახლა ქვეყა-ნა! — გაცხარდა ნიკა და სცადა შეეცვალა საუბრის თემა,
- რა უნდა გეკითხა ჩემთვის? მითხარი, მეჩქარება.
- ნუ ნერვიულობ, დაგელოდება, — უთხრა მერიკომ და ხელების პრანჭვა-გრეხვის დემონსტრირება მოახდი-

ნა, — თუ გადაგაგდო და ჯანდაბამდე გზა ჰქონია... ჰოპ! გამახსენდა! — წამოიყვირა მერიკომ და განაგრძო, — ჯანდაბაზე გამახსენდა! მაინტერესებს, ჯანდაბა არის სწორი თუ ჯანაბა.

ნიკამ სახე გვერდით შეატრიალა, ამოსუნთქვისას ხელის გულები თავზე დაიდო და წარმოთქვა:

— რა დავაშავე? — მერე მერიკოს შეხედა და გააგრძელა, — თუმცა, შენ რა შუაში ხარ.

მერიკომ გაუღიმა ნიკას და უთხრა:

— აბა, გისმენ, გაუკაც! ჯანდაბა თუ ჯანაბა!

— ჰო, კარგი. ბოდიში, რომ ავღელდი, — თქვა ნიკამ, მერიკოს გაუღიმა და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო, — ეგ სიტყვა კახეთში წარმოიშვა. ცხონებული დედაჩემი ჯანაბას ამბობდა ხოლმე. აღრე, ერეკლე მეფის დროს, ქართველი მეომრები ინდოეთში, მორიგე ჯარში მსახურობდნენ. სხვათა შორის ჩემი წინაპარიც ახლდა ერეკლეს ინდოეთში და ჯილდოდ აზატობა მიიღო. როდესაც ინდოეთში წასული მეომრების დედებს შეეკითხებოდნენ ხოლმე: „შენი შვილი სად არისო?“ — პასუხობდნენ: „ჯანაბაშიო“, რადგან ინდოეთის დედაქალაქის — შაჰ-ჯანაბადის სახელს ვერ იმახსოვრებდნენ და შემოკლებით ჯანაბად მოიხსენიებდნენ. ვინაიდან ინდოეთიდან სახლში ბევრი ქართველი ვეღარ დაბრუნდა, ამ სიტყვამ ჯოჯოხეთის ტოლფასი დანიშნულება მიიღო და ამასთან, გაუაზრებლად ყოველდღიურ გამოსაყენებელ ჟარგონადაც იქცა. შემდეგ კი, როგორც მრავალმა სიტყვამ, ჩვენს სასაუბრო ენაში, ფონეტიკური ცვლილება განიცადა და ჯანდაბად იქცა.



ნიკამ მერიკოს სახტად დარჩენილ თვალებში ჩახედა
და უთხრა:

— თავისუფალი ვარ? წავიდე, ქალბატონო?

— ჰომ! ეგ კარგი რამე მითხარი, — გაუხარდა ახალი
ამბის მოსმენისაგან ჯერ კიდევ შთაბეჭდილებების ქვეშ
მყოფ მერიკოს და შესახა, — ჯანაბამდე გზა ჰქონია ამ
ტელეფონის გამთიშავებს! აგერ, შენ ორკაპიკიანები და
გარეთ, ავტომატიდან დარეკე. თუ ისიც გათიშული არ
არის.

მერიკოს ჯერ საუბარი არ ჰქონდა დამთავრებული,
რომ ნიკა იქ აღარ იდგა. ჩაიქნია ხელი ქალმა და თავისთ-
ვის ჩაილაპარაკა:

— ანი რა ეშველება ამას? ღმიერთო, შენ უშველე...

ნიკას ავტომატიც გათიშული დახვდა. სხვა უბანში
უნდა წასულიყო ტელეფონზე დასარეკად. ტაქსი გააჩ-
ერა. ჯერ ჩამჯდარი არ იყო, რომ მძღოლს მიაძახა:

— პლეხანოვზე, ჩერეზ ვერის ხიდი!

როგორც კი მარჯანიშვილის სახელობის თეატრს
მიუახლოვდნენ, ნიკას იქვე კედელზე დაკიდებული
ტელეფონის ავტომატი ეგულებოდა. ყველა თბილისელ-
მა ზეპირად იცოდა, რომელ უბანში, სად და რამდენი
სატელეფონო ჯიხური და სატელეფონო წერტილი იყო.
ნიკამ სწრაფად მიირბინა ტელეფონთან და მაშინვე
აკრიფა ლიკას დეიდის ტელეფონის ნომერი, რომელიც
ლიკას გაცნობის დღიდან ზეპირად იცოდა.

— ალო! გამარჯობა, ქალბატონო, — დიდი მოკრძა-
ლებით მიესალმა ლიკას დეიდას ნიკა, — თუ შეიძლება,
ლიკას სთხოვეთ?

- ვინ კითხულობს? — იყითხა ქალბატონმა.
— მე... მე... ნიკა ვარ, ლიკას მეგობარი. — უპასუხა
დაბნეულმა ნიკამ.
— ლიკას მეგობრებიდან ნიკა რომ არავის ჰქვია? —
ისევ იყითხა გაკვირვებულმა ქალბატონმა.

ნიკა უკვე მართლა დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეპასუხა
ლიკას დეიდასთვის. ტყუილის თქმას ბავშვობის შემდეგ
გადაჩვეული იყო. ბოლოს, როგორც იქნა მოახერხა და
იმის შიშით ყურმილი არ დამიკიდოს ქალბატონმაო, ისევ
დაბნეულმა უპასუხა:

— სულ ახლახანს გავიცანით ერთმანეთი მატარებ-
ელში მგზავრობისას და მაშინ გადმომცა ეს ტელეფონის
ნომერი... ძალიან მინდა, რომ დაველაპარაკო და იქნებ
სთხოვოთ?

— დიდი ბოდიში, შვილო, მაგრამ თქვენს თხოვნას
ვერ შევასრულებ, რადგან ლიკა ჯერ კიდევ არ ჩამოსუ-
ლა. მამამისმა დამირეკა ქუთაისიდან და მითხრა, რომ
ხვალ გამოამგზავრებს ლიკას.

ნიკას ამ სიტყვების გაგონებაზე ხასიათი წაუხდა
და მხოლოდ ის მოახერხა, რომ ლიკას დეიდას ბოდიში
მოუხადა შეწუხებისათვის და ნებართვა სთხოვა, რომ
ხვალ საღამოსთვის კიდევ დარეკავდა.

— მე არ შევწუხდები, შვილო. როდესაც გენებოს მა-
შინ დარეკე. — იყო პასუხი.

ნიკას ორი დღის ლოდინი, თითქმის ორ საუკუნედ ექცა. მერიკო მოსვენებას არ აძლევდა, ნიკასგან ახალი ამბების გამოცინცვლა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ნიკა სამსახურიდან გვიან მოდიოდა და მაშინვე დასაძინებლად წვებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა შეხვდა ლიკას თეატრალურ ინსტიტუტთან, მეგობრებთან ერთად რესტორანშიც დაპატიჟა, მაგრამ სესიების მოახლოებასთან დაკავშირებით, სტუდენტებმა მომავლისთვის გადადეს შეხვედრა. ნიკა ბედნიერი იყო, რადგან თითქმის ყოველ საღამოს საშუალება ჰქონდა ლიკა მიეცილებინა სახლამდე. შემდეგ რუსთაველის თეატრში დაპატიჟა ახალ სპექტაკლზე — „კავკასიური ცარცის წრე“. ბილეთები ძლივს იშოვა. სპექტაკლმა ორივეზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ნიკას და ლიკას ურთიერთობა ისე წარიმართა, რომ არც ერთ სპექტაკლს აღარ ტოვებდნენ. ლიკა აღფრთოვანებული იყო და ნიკას ხშირად ეუბნებოდა:

— ნიკა, როგორი მადლობელი ვარ შენი, რომ თეატრში მეპატიჟები. მე ვერ დავდიოდი სპექტაკლებზე, რადგან გვიან მთავრდებოდა და ღამე ქუჩაში სიარულის მეშინოდა. დეიდაჩემს და ბიძაჩემს კი ყოველთვის ვერ შევანუხებდი.

— პირიქით, დიდი მადლობა შენ, რომ ყოველი საღამო ჩემთვის ბედნიერი გახადე, რომ ახლა მაინც დავისვენე გაუთავებელი პურ-მარილებისაგან და იმას ვაკეთებ,

რაზეც მთელი ჩემი ახალგაზრდობა ვოცნებობ. — პა-
სუხობდა ხოლმე ნიკა.

— როგორ მეხმარება, იცი, ჩემი პროფესიის სიღრმ-
ისეულად შესწავლაში. ნიკა, ნეტავ მელირსება იდესმე
მეც დავდგე დიდ სცენაზე? ან დავდგა ღირებული
სპექტაკლი?

— მე ასე ვფიქრობ, რომ რასაც მოინდომებს ადა-
მიანი, იმას მიაღწევს, როგორი ძალისხმევაც არ უნდა
დასჭირდეს. შენ ნიჭიერი ხარ, ლიკა, და ეს აუცილებ-
ლად გამოგივა.

ასე გადიოდა დღეები. აპრილის ბოლოს გაზაფხულ-
მა მაინც თავისი გაიტანა და სძლია ზამთარს. თბილის-
ში ბუნებამ გამოღვიძება დაიწყო. ეს ადამიანებსაც
დაეტყოთ, ადულდა ახალგაზრდული სისხლი, ცხოვრე-
ბამ მეტი სიხალისე შეიძინა.

შაბათი დღე იყო. ნიკამ და ლიკამ მთანმინდის პარკ-
ში დიდხანს ისეირნეს და საბაგირო გზით დაბრუნდნენ
ქალაქში. როგორც კი რუსთაველზე გამოვიდნენ, ნიკამ
ხელი მოჰკიდა ლიკას, თვალებში ჩახედა და უთხრა:

— უკვე თითქმის ორი თვეა ერთმანეთს ვხვდებით და
არც კი იცი, სად ვცხოვრობ. მე კი ძალიან მინდა, რომ
მესტუმრო, ჩემი ბინა ხომ აქვეა, ახლოს.

— არც კი ვიცი, რა გითხრა, ნიკა, — დაიმორცხვა
ლიკამ, — რომ გითხრა, არ გენდობი და მეშინია-მეთქი,
არ ვიქნები სწორი. ქვეყნის დასალიერამდე გამოგყვები,
მაგრამ მერიდება შენთან სახლში მოსვლის.

— რატომ? — გაოცდა ნიკა.



— თბილისურ ეზოში ცხოვრობ და მეზობლები რომ დამინახავენ, რას იფიქრებენ ჩემზე? ვინ მოიყვანაო?

— მივხვდი, რაც იგულისხმე, — გაელიმა ნიკას, — ჩათვალე, რომ ეგ პრობლემა მოხსნილია. ერთი მეზობელი მყავს, მერიკო, რომლის გაუგებარი არაფერი ხდება ქალაქში. შენ უკვე დაუსწრებლად გიცნობს. ასე რომ, შენი მოსვლის შემდეგ, ხუთ წუთში ეცოდინებათ ვინც ხარ.

ლიკა შეცტუნდა და ნიკას წარბშეკრულმა უთხრა:

— და ვინ ვარ!?

ნიკა დაიბნა, ცოტა წამოწითლდა კიდეც, ლიკას შეხედა, მიხვდა, რომ ენამ წინ გაუსწრო. დრო იყო, რომ სათქმელი ეთქვა:

— ლიკა, ვერც წარმოვიდგენდი, რომ ამის თქმა ამ ხალხმრავალ ადგილას მომინევდა. სულ ვფიქრობდი, რომ შემერჩია დრო ამის სათქმელად. მართალია ეს ადგილი ხალხმრავალია, სამაგიეროდ საქართველოს შუაგულია და მინდა, რომ ჩემი გული გადაგიშალო და გითხრა დიდი ხნის განმავლობაში ამ გულში ჩადებული და გათავისებული სიტყვა — მიყვარხარ!

— აკი, მეგობარი ვარო!? — გაცხარდა ლიკა.

— ლიკა მე... მე მინდოდა მეთქვა... — სიტყვებს თავს ვეღარ უყრიდა ნიკა.

— აკი, ტყუილი არ ვიციო!? — არ ცხრებოდა ლიკა. თუმცა, ამას ხმამაღლა ვერ ამბობდა, რადგან ირგვლივ უამრავი ხალხი მოძრაობდა. ნიკა კი თავის სათქმელს ძლივს უყრიდა თავს:

— მე... მე მინდოდა მეთქვა, რომ მეგობარზე მეტი ვარ... გთხოვ, გამიგო!

ლიკა კი უცებ მოწყდა ადგილს და სწრაფი ნაბიჯით წავიდა მეტროსადგურის მიმართულებით.

ნიკა გაოგნდა. წარმოიდგინა, რომ ყველაფერი ეცლებოდა ხელიდან. ლიკა ხომ მისთვის ამ ყველაფერზე მეტი იყო. მის თვალწინ წამებში ინგრეოდა ის, რასაც ასე რუდუნებით აშენებდა. თითქოს უხილავმა ძალამ ხელი ჰკრადა მთელი შემართებით გამოეკიდა ლიკას, რადგან მისი ახლა დაკარგვა, სამუდამო დაკარგვა იქნებოდა. წამოენია, წინ გადაუდგა, აფორიაქებულმა ძლივს მოახერხა ეთქვა საყვარელი ქალისთვის:

— ლიკა! სად მიდიხარ?.. ნუ მიმატოვებ, გთხოვ.

ლიკამ მთელი სერიოზულობით შეხედა და ისევ წარბ-შეკრულმა უთხრა:

— ვინ გითხრა, რომ უნდა მიგატოვო!?

— აბა, ეს რას ნიშნავს? — აცახცახებული ხმით ჰკითხა ნიკამ, — სად მიდიხარ?

ლიკას გაელიმა, თვალზე ცრემლი მოადგა, დაინახა რა, თუ როგორმა დიდმა სიყვარულმა იფეთქა ნიკას სულში. შერცხვა კიდეც, რომ ასე გამომცდელად და აგდებულად მიუდგა ამ, ორივესთვის სათუთ და ხელის გულზე სატარებელ გრძობას. თავი ჩაღუნა და სირცე-ვილისგან ძლივს ამოთქვა:

— შენთან, სახლში... როგორც ამიხსენი, აქეთ ცხოვ-რობ, ხომ?

— კი, დიახ, ლიკა, ჩვენთან სახლში. ჩემს და შენს სახლში. — ძლივს მოახერხა ამ სიტყვების თქმა ნიკამ, რადგან თმიდან ფეხის ფრჩხილებამდე ცახცახებდა ერთ დროს წარმატებული სპორტსმენი.





ნიკა კიდევ ერთხელ დარწმუნდა საუკუნეებით გად-
მოცემულ სიბრძნეში: „სიყვარულის წინაშე თვით
ძლიერნი ამაქვეყნისანიც კი უძლურნი არიან“.

რამდენიმე წუთში ნიკამ და ლიკამ ბინის კარი შეაღეს.
ნიკამ ლიკას შემოპატიუების შემდეგ, მაგიდაზე მდგარი
გრაფინიდან ჭიქაში წყალი ჩამოასხა, დალია, მერე სა-
ვარძელში დაპრძანებულ მომლიმარ ლიკას შეხედა,
თვითონაც ჩაეშვა იქვე მდგარ მეორე სავარძელში, ისე,
რომ საყვარელი ქალისთვის თვალი არ მოუცილებია და
უთხრა:

- ცოტაც და გული გამისკდებოდა!
- ბოდიში, ნიკა, არ მეგონა თუ ასეთი ემოციური იყა-
ვი, მეც დავიბენი... არ ველოდებოდი ასე უცებ მოვლენ-
ების განვითარებას... მეც სულ მაკანკალებს.

რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ ლიკამ
განმუხტა ეს უხერხულობა:

- ისე, უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მართლა
გყვარებივარ. მაგრამ მე უფრო ძალიან მიყვარხარ, ჩვენი
შეხვედრის პირველივე დღიდან.

ნიკა წამოდგა ფეხზე, ხელი მოჰკიდა ლიკას, წამოაყ-
ენა სავარძლიდან, ჯიბიდან ამოილო ბეჭედი, თავის სა-
ტრფოს თითზე გაუკეთა და უთხრა:

- ეს მარადიულობის სიმბოლო იყოს დასტური
სიცოცხლის ბოლომდე ჩვენი სიყვარულისა და ერთ-
გულებისა.

ნიკამ ლიკას თმებზე გადაუსვა ხელი და მკერდში
ჩაიხუტა თავისი ოცნების ქალი.



საყვარელი მამაკაცის მკლავებში ლიკა მთლიანად მოდუნდა და ორივენი გადაეშვნენ სიყვარულისა და ვნებების მარადიულობაში.

6

ნიკას და ლიკას უერთმანეთოდ ყოფნა აღარ შეეძლოთ. პირველ რიგში მერიკო ჩააყენეს საქმის კურს-ში, შემდეგ ლიკას დეიდა, იმ პირობით, რომ ლიკას მშობლებს არაფერს ეტყოდა ახალგაზრდების სოფელში ჩასვლამდე. ხელიც მოაწერეს, გახდნენ ოფიციალურად ცოლ-ქმარი და ნიკამ ნაცნობობით ისიც მოახერხა, რომ ლიკა ჩაწერა თავის სახლში.

ყოველივე ამის შემდეგ, ნიკამ და ლიკამ გადაწყვიტეს, რომ უკვე დრო იყო მშობლები ჩაეყენებინათ საქმის კურსში.

შაბათს დილით, ნიკას „ჟიგულით“ ორივენი გაუდგნენ გზას დასავლეთისკენ.

სოფელი მთისა, ქუთაისთან ახლოს, სულ ოციოდე წუთის სავალზე მდებარეობს. პატარა, ტყეში ჩაფლული დასახლება, მთაზეა შეფენილი და ამიტომაც ჰქვია მთისა. ლიკას ოჯახში, ვინაიდან სტუმრებს არ ელოდებოდნენ, მხოლოდ დედა დახვდათ სახლში. ლიკა ხომ დედისერთა გახლდათ და ამიტომ მათ ოჯახში ყოველთვის სიწყნარე სუფევდა. მარტოდ დარჩენილ მშობლებს შვილიშვილების ყოლა სანატრელად გაეხადათ, მაგრამ იცოდნენ, რომ მათი ერთადერთი ქალიშვილი გათხოვდებოდა და მისი შვილებიც იშვიათად გაახალისებდნენ დე-

დუღეთის კერიას. ხანდახან ცოლ-ქმარი ერთმანეთთან საუბრის დროს ნატრობდნენ, რომ იქვე ახლოს გათხოვილიყო მათი ქალიშვილი, რომ შვილიც და შვილიშვილებიც ახლოს ჰყოლოდათ. რას იფიქრებდა სტუმრის და ქალიშვილის შესახვედრად, იმერული სტუმართმოყვარეობით აღტკინებული ლიკას დედა, რომ სწორედ ახლა, თავისი თბილისელი სიძის შესახვედრად მიიჩქაროდა ეზოს ჭიშკრისკენ.

ლიკას დედამ, ქალბატონმა ირინემ, შორიდანვე დაიწყო სტუმრის მიღების დროს იმერული სტუმართმოყვარეობის ეტიკეტისთვის დამახასიათებელი ხმამაღალი საუბარი:

— მობრძანდით! ლიკა შვილო, რატომ არ გამაფრთხილე წინასწარ, რომ სტუმარი მოგყავდა, შევემზადებოდით სათანადოდ!

ლიკა დედას გადაეხვია, გადაკოცნა, მოიკითხა და მერე მორიდებით უთხრა:

— დედა, ნიკა სტუმარი არ არის, ის უკვე ჩემი მეუღლეა.

— დედა, შვილო! რა მითხარი ეს! როდის მოხდა ეს ამბავი!? რა გიყო ახლა მე შენ!? გავგიუდი ქალი!?

აფორიაქდა ირინე. რა თქმა უნდა, მეზობლებმაც მოჰკრეს ყური ახალ ამბავს და ნელ-ნელა დაიწყეს მიყურადება საყვარელიძების კარ-მიდამოსკენ.

ირინემ ხელი ჩამოართვა ნიკას, თუმცა ყოველგვარი აღფრთვანების გარეშე, რადგან ოჯახში პირველი სიტყვა მის მეუღლეს, მალხაზ საყვარელიძეს ეკუთვნო-



და. სიძე და ქალიშვილი მიიპატიუა ოჯახში და თვითონ მეუღლის მოსვლამდე ვახშმის სამზადისს შეუდგა.

იმ საღამოს, სოფელ მთისაში ყველამ გაიგო ლიკას გათხოვების ამბავი. ოჯახში სადღესასწაულო სუფრაც გაიშალა, ოღონდ ლიკამ მშობლებისგან კარგი საყვედურიც მიიღო, გათხოვებაზე ნებართვის აუღებლობის გამო. მეუღლემ დაიცვა ლიკა და ყველაფერი თვითონ დაიბრალა, თუმცა არც ცდებოდა.

ბოლოს, ყველაფერი კარგად დამთავრდა, ქორწილის დღეც დანიშნეს. ლიკა სესიების დაწყებამდე სოფელში დარჩებოდა მშობლებთან, ხოლო ნიკა კი კვირას თბილისში დაბრუნდებოდა და ქორწილის სამზადისს შეუდგებოდა.

მეორე დღეს საყვარელიძეებმა სიძე დიდი ზარ-ზეიმით გააცილეს და თვითონ მეზობლებთან და ნათესავებთან ერთად გააგრძელეს წინა დღეს დაწყებული ქეიფი.

ნიკას სოფლიდან ხუთი კილომეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ ჭალასთან ორმა „მოსკვიჩა“ გზა გადაუჭრა. ნიკამ მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და დაუძახა მანქანაში მსხდომთ:

— რა ხდება? ცოტაც და დაგარტყამდით, თავს იკლავთ, ხალხო!?

ერთ-ერთი „მოსკვიჩიდან“ ახალგაზრდა მსუქანი კაცი გადმოვიდა, ბეჭებში მოიხარა და ნიკას შორიდან დაუბრუნა პასუხი:

— თავს შენ იკლავ, სიმონ! თუ გვონიათ თბილისლებს, რომ ყოლიფერის უფლება გაქთ, სიმონ!?



— რას გეტყვი, იცი!? — თავში სისხლი მოაწვა ნიკას, სიმონები შენსკენ მოიკითხე, ჩემს შეურაცხყოფას კი თავი დაანებე და გამატარე!

— რომ არ გაგატარო, რას მიზამ, სიმონ!? ჯერ ეგი იკითხე, რეიზა გაგაჩერე! — აუნია ხმას მომხვდურმა.

— ვერ გავიგე!? — იყვირა ნიკამ და ხელით ანიშნა რა ხდებაო.

— ქალის სათხოვნელად რომ მიდიხარ, სიმონ, არ უნდა იკითხო, მაგ ბალანას ჰყავს თუ არა შეყვარებული!? თუ თბილისლებისთვის ყოლიფერია ნებადართული, სიმონ!?

ნიკა ადგილზე გაქვავდა და გაკვირვებულმა იკითხა:

— ლიკაზე მეუბნები!?

— ჰო! ლიკაზე, სიმონ!? — მაგ ქალს ვერ წეიყვან აქიდან! ეგი ჩემი ცოლი უნდა გახდეს!

— ლიკა უკვე ჩემი მეუღლეა და მის შეურაცხყოფას არავის ვაპატიებ! — წარმოთქვა უკვე განრისხებულმა ნიკამ და იმ ვიღაც „სიმონასკენ“ გაიწია.

— რაფერაა შენი ცოლი!? ქორწილი გუშინ დაგეგმეთ, იყვირა „სიმონამ“ და ჯიბიდან დანა ამოილო.

ნიკამ, როგორც ყოფილმა სამბისტმა, ერთი მოძრაობით გააგდებინა დანა ხელიდან. თითქოს ნიშანს ელოდნენო და ორივე „მოსკვიჩიდან“ ხუთი თუ ექვსი ახალგაზრდა გადმოვიდა და შეუტიეს ნიკას. ნიკამ ორი მათგანი მაშინვე დასცა მიწაზე, ხოლო როგორც კი ისევ იმ „სიმონასკენ“ გაიწია, ერთ-ერთი თავდამსხმელი უკნიდან წამოეპარა, მთელი ძალით ქვა ჩაარტყა თავში. ნიკას თვალთ დაუბნელდა, წაბორძიკა და დაეცა მომხვდურის წინ. თითქოს ამას ელოდნენო ეს არაკაცები, ტურქებივით



დაესივნენ მიწაზე დავარდნილ ნიკას და ფეხებით უმოწყ-
ალოდ დაუწყეს ცემა.

გული რომ იჯერეს, „სიმონამ“ ხელის ანევით გააჩერა
თავისი ძმაკაცები და იყვირა:

— სანამ ვინმე გამეივლიდეს, ჩააგდეთ მანქანაში და
დევეშვათ სადგურში, სიმონ! რავარც მევილაპარაკეთ.
ჯემალი! გააქრე აი, „შიგული“ აქიდან, ისე, რომ ვერავინ
მიაგნოს მაგის კვალს, სიმონ! და ყველა კვალი მოსპეტ!

ყველაფერი წამებში მოხდა.

ქუთაისი-მთისას გზაზე მხოლოდ ერთი „მოსკვიჩი“
მიჰქოდა რკინიგზის სადგურისკენ...

სულ მალე სადგურში თბილისი-მოსკოვის მატარე-
ბელი ჩამოდგა, რომელიც როგორც ჩანდა, მოძრაობის
გრაფიკიდან იყო ამოვარდნილი.

— ამას გავაყოლოთ, სიმონ! — გადაწყვიტა „სიმო-
ნამ“, — ნახეთ, ხომ სუნთქავს!?

— კი, სუნთქავს! — დაიძახა ულვაშიანმა ახალგაზრ-
დამ და დახურა საბარგული.

— ანზორიე! ნახე, ამ მატარებელში თემურიე უნდა
იყოს მეხუთე ვაგონში, პრავადნიკი როა! უთხარი მოგი-
ტანეს-თქო, გუშინ რომ გელაპარიკნენ-თქო!

თემურიე-პრავადნიკმა თავის „კაბინეტში“ ააყვანინა
ნიკა და ზედა საწოლზე მოათავსეს.

— ჰო ცოცხალია, ბუჯო!? — იკითხა თემურმა, — ხომ
არ შემოგაკვტათ? თუ მკვტარია არ წევიყვან!

ანზორმა ორმოცდაათმანეთიანების შეკვრა ამოილო
ჯიბიდან, თემურს გადასცა და თან დააყოლა:



— საქართველოს ტერიტორიაზე არ დატოვო, სადმე რუსეთში ჩამოაგდე! არ გიცნობთ, არ გვიცნობ!

თემურს ფულის დანახვაზე თვალები გაუბრნყინდა და ალარაფერი უკითხავს ბიჭებისთვის.

მატარებელი დაიძრა.

ბოროტმოქმედებმა გეგმა ბრწყინვალედ განახორ-ციელეს. ლიკა ერთ-ერთ მათგანს უყვარდა. მოულოდ-ნელმა გათხოვებამ, მისი მოტაცების გეგმა „ყირაზე“ დააყენა. ამიტომ სასიძოს მოშორება დადგა დღის წეს-რიგში. მისი გაქრობაც წინასწარ შეათანხმეს მატარებ-ლის გამცილებელთან, რაშიც დიდი ფული გადაუხადეს. თუ სასწაული მოხდებოდა და მილიცია ოდესლაც იპო-ვიდა ნიკას, მისი მოტაცება მატარებლის გამცილებ-ელს დაბრალდებოდა. ხოლო ლიკა თავისი საქმროს და-კარგვას დროთა განმავლობაში შეეგუებოდა, მერე კი მოიტაცებდნენ და ამით დასრულდებოდა ყველაფერი.

ლიკა გამოცდებისთვის მზადებას გულს ვერ უდებდა. ახალგზრდა ქალს სიყვარულის ცეცხლი ისე მოსდებო-და, რომ იჯდა მაგიდასთან, წინ გადაშლილი წიგნები და კონსპექტები ედო, მაგრამ თვითონ მთაზე შეფენილი ტყისკენ იყურებოდა, მერე მზერას ლურჯი ცისკენ გა-დაიტანდა და ასე იჯდა გაღიმებული. ამ ცქერაში გადი-ოდა საათები და მხოლოდ დედის შეძახილი თუ გამოი-ყვანდა ხოლმე სიყვარულის მორევში მოცურავე ლიკას ფიქრებიდან:



— დედა! ლიკა შვილო! შენს მაგივრად გამოცდებს სხვა არ ჩააბარებს! იმეცადინე, საყვარელო, და მერე იფიქრე შენს სიყვარულზე!

— რა ვქნა, დედა!? — გაიღიმებდა ლიკა და აღფრთოვანებული წამოიძახებდა ხოლმე, — საყვარელიძე ვარ და არ შემიძლია სიყვარულზე არ ვიფიქრო! ხვალ ჩავალ ქუთაისში და დაუურეკავ ნიკას, რომ ჩამოვიდეს. ვეღარ ვძლებ უიმისოდ.

ირინე კი ხელისგულებს ლოყებზე მიიღებდა და თავისთვის ჩალაპარაკებდა ხოლმე:

— შეყვარებული მინახავს, მაგრამ ასეთი გადარეული არ შემხვედრია ჯერ.

ქალიშვილის სიყვარულთან ერთად, სხვა სადარდებელიც ჰქონდა ირინეს. ლიკა არაფერს ჭამდა. მხოლოდ დედის გაკეთებულ კომპოტებს თუ გეახლებოდა ან ცოტაოდენ რძეს.

,,არ დამისუსტდეს შვილიო“, — ფიქრობდა შეწუხებული დედა, მაგრამ მის გულში სიხარულს დაესადგურებინა, რადგან ლიკა სიყვარულით გათხოვდა და არა, როგორც თვითონ. ისე გაურიგეს საქმრო, რომ საერთოდ არ იცნობდა. თუმცა გაუმართლა და შესანიშნავი ოჯახი შექმნა, — „მაგრამ ყველას ხომ არ უმართლებს. მე ბედნიერი ვარ ამ მხრივ და ამიტომ სადარდებელიც არა მაქვს“.

ლიკამ ორი დღე მოითმინა და მესამე დღეს, მამას სთხოვა, რომ დილით ადრე ჩაეყვანა ქუთაისში, რადგან სანამ ნიკა სამსახურში წავიდოდა სახლის ტელეფონზე ესაუბრა. სამსახურში არ უნდოდა დარეკვა, რადგან

ერიდებოდა — „რას იფიქრებენ თანამშრომლები, ჯერ არ მოუყვანია ცოლად და უკვე აგვიკლოო“.

მალხაზმა შვილი დილით ადრე წაიყვანა ქუთაისში. ლიკა მთელი გზა ცქმუტავდა, ვერ ისვენებდა, ისე უნდოდა ნიკას დალაპარაკებოდა. თითქოს გზაც გაიწელა და გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა მიაღწიეს საქალაქთაშორისო სატელეფონო პუნქტს. ლიკამ სასწრაფოდ გადაახურდავა ფული და თხუთმეტკაპიკიანი სატელეფონო აპარატებისკენ გაიქცა.

მალხაზი უყურებდა თავის ქალიშვილს და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ლიკა ასეთი ბედნიერი იყო.

— ღმერთმა ბედნიერები გამყოფოთ, შვილო. — ჩაილაპარაკა თავისთვის მალხაზმა და იქვე მდგომ ერთმანეთზე გადაბმულ ხის სავარძლებიდან ერთ-ერთში ჩაჯდა.

ლიკამ სასწრაფოდ აკრიფა უკვე თავისი სახლის ტელეფონის ნომერი და დაელოდა ზუმერს.

— გავიდა. — ჩუმად თქვა ლიკამ და მოუთმენლად ელოდა, როდის აიღებდა ნიკა ყურმილს.

ლიკამ რამდენჯერმე აკრიფა სახლის ტელეფონის ნომერი, მაგრამ ამაოდ. იქვე კედელზე დაკიდებულ საათს შეხედა, ჯერ დილის შვიდი საათი იყო, ამ დროს ნიკა სახლში უნდა ყოფილიყო, რადგან სამსახურში რვა საათისთვის მიღიოდა ხოლმე. რამდენიმე წუთს დაელოდა, კვლავ არავინ უპასუხა. ასე განმეორდა რვა საათამდე. ლიკას სხვა გზა არ ჰქონდა, უკან უნდა დაბრუნებულიყო. ათასი რამ იფიქრა. რა უნდა მომხდარიყო?

ბოლოს, ისევ მამამ დაამშვიდა:

— შვილო, ის შენს ზარს არ ელოდებოდა. შეიძლება ძმასთანაც წავიდა სოფელში. ხომ იცი, ქორწილისთვის ემზადება და ათასი საზრუნავი აქვს.

ლიკა მამის სიტყვებმა დროებით დაამშვიდა, მაგრამ გულში მაინც აფორიაქებული იყო. ორი დღის განმავლობაში ქუთასისში დადიოდა, მაგრამ ამაოდ, ვერ დაუკავშირდა ნიკას. სამსახურშიც დარეკა. თანამშრომლები აქეთ ეკითხებოდნენ: „სად არისო?“ მეზობელ მერიკოს დაუკავშირდა, ის სულ გადაირია: „საერთოდ არ მინახავს, როდის ჩამოხვალთო?“

ლიკა მიხვდა, რომ საქმე იმაზე სერიოზულად იყო, ვიდრე თვითონ და მისი მშობლები ფიქრობდნენ. სასწრაფოდ უნდა წასულიყო თბილისში. ეს რომ დედამისმა გაიგო, სულ გადაირია:

— სად უნდა წახვიდე, შვილო!؟ მოვიცადოთ კიდევ რამდენიმე დღე და თუ არ გამოჩნდა, მერე ერთად წევ-იდეთ თბილისში.

როგორც იქნა გადააფიქრებინეს ლიკას თბილისში წასვლა.

ლიკას ძილიც გაუკრთა. მეცადინეობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო.

ერთ საღამოს, ნერვიულობისაგან დაღლილ ლიკას, როგორც იქნა ჩაეძინა. ირინემ საბანი ფრთხილად დააფარა და საძინებლიდან ფეხაკრეფით გავიდა. თუმცა შორს არ წასულა. დედას დედის გული არ უშვებდა შორს, ამიტომ ირინე იქვე ლიკას საძინებლის კართან მდგარ სავარძელში ჩაეშვა და ფიქრებს მიეცა.

ლიკა კი დაძინებისთანავე სულ სხვა სამყაროში აღ-
მოჩნდა. მატარებლის საერთო ვაგონში იჯდა. იმ ვაგონ-
ში მის გარდა არავინ იყო. სულ ორი ნათურა ანათებდა
ვაგონს, აქედან ერთი ხან ინთებოდა და ხან ქრებოდა.
ლიკა კი ფანჯარაში იყურებოდა, მაგრამ ვერაფერს ხედა-
ვდა, რადგან ირგვლივ უკუნი სიბნელე ჩამოწოლილიყო,
ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა ადამიანს, რომ სადღაც
დიდ გვირაბში მიჰქროდა მატარებელი, რომელსაც და-
სასრული არ უჩანდა. ლიკა გაუნდრევლად იჯდა ვაგონის
ხის სკამზე და ფიქრობდა: „ნუთუ არავინ შემოვა ვაგონ-
ში, რომ გავიგო სად ვარ ან საით მივდივარ?“ უცებ, გაი-
ღო ვაგონის კარი და რკინიგზელის ფორმაში ჩაცმული
კაცი შემოვიდა. შეხედა ლიკას. ქალს შეეშინდა, როდე-
საც მისი დანაოჭებული სახე და ჩანითლებული თვალები
დაინახა. სახის მორიდება უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო,
რკინიგზელი მიშტერებოდა ლიკას, თითქოს რაღაცის
თქმა უნდოდა, მაგრამ არ იცოდა, საიდან დაეწყო, უფრო
ლიკასგან ელოდებოდა ინიციატივას საუბრის დაწყები-
სას. ლიკა მიუხვდა საწადელს და ჰკითხა:

— ვინ ხარ და რა გინდა!?

რკინიგზელს გაეცინა და თავისი ვერცხლისფერი
რკინის კბილები გამოაჩინა. ლიკამ ვერ გაუძლო ამ არაა-
დამიანურ მზერას და იკივლა:

— ვინ ხარ და სად მივდივართ!?

თითქოს ამ კითხვას ელოდაო, არამიწიერი ხრიალ-
ით გადაიხარხარა რკინიგზელმა და ვითომ შინაურული
ხითხითით წარმოთქვა:



— ეს ორვაგონიანი მატარებელია, აქ შენ ზიხარ! წინა ვაგონში კი კაცი წევს და ორივე საქორწინო მოგზაურობაში მიდიხართ დიდ რუსეთში!

— მერე, ირგვლივ სიბნელე რატომ არის!? — იკითხა შეშინებულმა ლიკამ.

— შენზეა დამოკიდებული სინათლეზე გასვლა! — გადაიხარხარა რკინიგზელმა და ვაგონის კარში გაუჩინარდა...

— დედა!.. დედა!.. — იყვირა ლიკამ და შეშინებული საწოლიდან გადმოვარდა.

ფიქრებში წასულმა ირინემ, გაიგონა რა ლიკას სასონარკეთილი ხმა, მაშინვე შეაღო საძინებლის კარი და იატაკზე დავარდნილი შვილისკენ გაიქცა.

დედა-შვილი ერთმანეთს ჩაეხუტნენ და დიდი ხანი ასე გაუნდრევლად ისხდნენ იატაკზე.

ლიკა მთელი სხეულით კანკალებდა. როდესაც დაწყნარდა, დედას სიზმარი მოუყვა და უთხრა:

— უნდა წავიდე თბილისში, რაღაც ხდება. ნიკა არსად ჩანს, უნდა მოვძებნო!

— მარტო არსად გაგიშვებ, შვილო! მეც მოვდივარ!

მეორე დღეს ლიკა და ირინე უკვე თბილისში, ვერაზე ნიკას სახლში, მეზობელ მერიკოსთან ერთად ისხდნენ და საუბრობდნენ:

— მე რომ გამიჭირდება თბილისში ადამიანის მოძებნა, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ საქმე სერიოზულად არის, — ამბობდა მერიკო და ნერვიულობისაგან ხელებს იფშვნეტდა, — მილიცია ხშირად მე მაკითხავს, როდესაც ვინმეს მოძებნა უნდათ. ყველა უბანში ვიცნობ ძველსაც



და ახალსაც. არსად არ ჩანს, არც თვითონ და არც მანქანა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქალაქში არ შემოსულა, თორემ არ არსებობს ვარიანტი მე ვერ მომეძებნა.

— ვაიმე, დედა! არ მინდა ცუდი ვიფიქრო! — ატირდა ლიკა, — გული ცუდს მიგრძნობს, განსაკუთრებით იმ სიზმრის ნახვის შემდეგ.

— სიზმარს არ დაუჯერო, შვილო, ეშმაკის მოგონილია, — ლიკას დაწყნარებას შეეცადა ირინე, — გამოჩნდება.

— ნიკას ძმასთან მინდა ჩასვლა სოფელში, — თქვა მერიკომ, — იქნებ იმან იცოდეს რამე. თან ფეხს ვითრევ, არ მინდა ავაფორიაქო, ძალიან ემოციური კაცია. მაგრამ სხვა გზა აღარ გვრჩება? უნდა წავიდეთ.

მერიკომ თავის ბიძაშვილს დაურეკა და თხუთმეტ წუთში უკვე ახალი „ვოლგა“ კახეთისკენ მიჰეროდა.

ნიკას ძმას, ზაზას ძალიან გაეხარდა ქალბატონების სტუმრობა, განსაკუთრებით კი თავისი რძლის, რომელიც ნანახიც არ ჰყავდა, მაგრამ ახალი ამბის შეტყობის შემდეგ ადგილს ვეღარ პოულობდა, არ იცოდა, რა გაეკეთებინა. მერიკომ მოუყვა ყველაფერს, რომ ქალაქში უბანი არ დატოვა, ყველგან ეძება, მაგრამ უშედეგოდ.

— ზაზა, იცი შენ ჩემი ამბავი, ამ საქმეს ცდას არ დავაკლებ, — უთხრა მერიკომ ზაზას, — ახლა ყველამ მომისმინეთ კარგად, წამოსვლამდე ნიკას უფროსს ველაპარაკე და შევთანხმდით, თუ მეუღლე და ძმა თანახმა იქნებიანო, მილიციას ძებნას დავაწყებინებო.

— ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ წინააღმდეგნი? — გაიკვირვა ზაზამ, — რა თქმა უნდა.



— ჰო, მეც ასე ვუთხარი, — თქვა მერიკომ, — ეს ისე, ფორმალობისთვის აუცილებელია.

— აუცილებლად, მერიკო, — წამოდგა ზაზა, — მე თვითონ წამოვალ და დავინწყოთ ეს საქმე.

— არ არის შენი წამოსვლა აუცილებელი, — უთხრა მერიკომ, — მე უკვე ყველაფერზე ვიზრუნე. აი, ამ განცხადებაზე იქნება შენი და ლიკას ხელმოწერა საჭირო, დანარჩენს მე და ნიკალაევიჩი მივხედავთ.

— ნიკალაევიჩი ვინ არის? — იკითხა ლიკამ.

— ნიკას უფროსი. — თითქმის ერთდროულად უპასუხეს ლიკას მერიკომ და ზაზამ.

— კარგი, ზაზა, მაშინ ჩვენ წავალთ, — თქვა მერიკომ, — შენ არაფერზე ინერვიულო, საქმეს მე მივხედავ. თუ შემთხვევით შენთან გამოჩნდა ნიკა, მაშინვე შემატყობინე.

— აუცილებლად, — უთხრა ზაზამ, რომელიც ნერვიულობისაგან ადგილს ვეღარ პოულობდა, — მერიკო, მე ყოველდღე დაგირეკავ. აქ, სამხედრო ნაწილში მეთაურს ქალაქის სპეცსატელეფონო ხაზი აქვს შემოყვანილი და, როგორც გამონაკლისი უარს არ მეტყვის დარეკვაზე. კარგი კაცია, ვიცნობ. ავუხსნი სიტუაციას და არა მგონია, უარი მითხრას. თუ არა და მეც თბილისში ჩამოვალ.

ზაზას თითქოს რაღაც გაახსენდაო, სახლისკენ შეტრიალდა და მეუღლეს გასძახა:

— ნათელა, რას შვრები!

ნათელა გარეთ გამოვიდა, თან კისერზე შემოხვეული თავსაბურავით თვალებიდან ცრემლებს იწმენდდა.



ბოლოს, როგორც იქნა ნამტირალევი ხმით მიმართა სტუმრებს:

— მობრძანდით! სუფრა გაშლილია, ისადილეთ და ისე წაპრძანდით.

ქალებმა ბოდიშის მოხდით უარი თქვეს მიპატიუებაზე და მანქანისკენ წავიდნენ. ზაზა ერთ ადგილას იდგა გაშეშებული, მერე თითქოს გამოფხიზლდაო, სახლში შევიდა და ნათელასთან ერთად მუყაოს ყუთებით ხელ-დამშვერებული დაბრუნდა. სტუმრებს შეხედა და შენუხებულმა თქვა:

— აბა, რა გამოვიდა, ჩემი რძალი და მძახალი პირველად მოვიდნენ ჩემს ოჯახში და ასე უპატივცემულოდ გიშვებთ. აი, ამ სამ ყუთში თანაბრად არის ჩალაგებული ჩირი, ჩურჩხელები, ბადაგი და ჭაჭა. ღმერთმა შეგარგოთ.

მერე ლიკას მიუახლოვდა, გულში ჩაიკრა და უთხრა:

— მთელ ქვეყანას შევძრავ და ვიპოვი! ნიკა უპასუხისმგებლო ბიჭი არ არის, ალბათ რაღაც შეემთხვა, შენ არ ინერვიულო, ლიკა. დაწყნარდი, სწავლას მიხედე. ჩვენ ამ საქმესაც მივხედავთ, არც შენ მოგაკლებთ ყურადღებას და ლამაზ ქორწილსაც გადავიხდით.

როდესაც მძღოლმა მანქანის მოტორი აამუშვა, თვალცრემლიანმა ზაზამ ლიკას ხელი ხელზე დაადო და კვლავ გაიმეორა:

— არ ინერვიულო, იცოდე, სიყვარულს სულ სხვა ძალა აქვს, მას ვერავინ მოერევა ამ ქვეყნად.

სანამ მანქანა თვალს არ მიეფარა, ზაზას და ნათელას ადგილიდან ფეხი არ მოუცვლიათ. ახლა ორივეს ფიქრი მხოლოდ ნიკას გარშემო ტრიალებდა.



მერიკომ, ნიკას უფროსთან ერთად, მიღიციას მიაკითხა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურებმა იმავე დღეს დაიწყეს რესპუბლიკის მასშტაბით ნიკას და ნიკას მაძეანის სამძებრო ოპერაციები.

ირინე რამდენიმე დღე დარჩა თბილისში. მერიკომ სთხოვა, რომ დაბრუნებულიყო სახლში, რადგან მიღიცია იქაც მიაკითხავდა და საჭირო იქნებოდა დახმარება, ლიკას მოვლა-პატრონობის საკითხი კი თავის თავზე აიღო.

8

თბილისი-მოსკოვის სამგზავრო მატარებელმა სწრაფად გაიარა აფხაზეთი და ადლერის სადგურიდან შევიდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. ვაგონის გამცილებელი თემური, რომელსაც გათიშული ნიკა თავის კუთვნილ კუპეში ზედა საწოლზე ჰყავდა დაწვენილი, ხელის გულებით ნერვიულად ათამაშებდა თხევადი კლოფელინით სავსე პატარა ბოთლს. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, რომ ნიკა გამოფხიზლებულიყო, ამიტომ სწრაფად უნდა ჩაესხა კლოფელინი პირში, რომ კვლავ ღრმა ძილს მისცემოდა მსხვერპლი. ამასთან თავისი შემდგომი მოქმედების გეგმას, კვლავ მრავალჯერ დაატრიალებდა ხოლმე გონებაში. მატარებლიდან რომ გადაეგდო, ნიკა ცოცხალი ვერ გადარჩებოდა. შეიძლება ეს შემთხვევა გაუხსენელ საქმედაც დარჩენილიყო, მაგრამ რისკი მაინც დიდი იყო. ბოლოს, მაინც თავდაპირველ გეგმას დაუბრუნდა და გადაწყვიტა, ნიკა დაეტოვებინა ვორონეჟის ოლქის სადგურ კამენკაზე. ეს სადგური,



ყველა სხვა სადგურებთან შედარებით, მიყრუებული იყო და სადგურის მოპირდაპირე მხარეს პატარა მიგდებული ფანჩატური ეგულებოდა. მატარებლის მეორე კარიდან ნიკას ჩათრევა და სიბძნელეში მისი ფანჩატურში დაგდება უფრო შეუმჩნეველი დარჩებოდა ყველასთვის. თან ამ დროს თუ მატარებელი გრაფიკით ივლიდა, მგზავრები ღრმა ძილში იქნებოდნენ ჩაძირულნი. ასე რომ, თემურს ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე — „უმაღლეს დონეზე“, მხოლოდ მისი შესრულება იყო დარჩენილი. მას ერთი ბარიერიც ჰქონდა გადასალახი. რადგან მატარებელი შევიდა რუსეთის ტერიტორიაზე, რკინიგზის შიდა განაწესის შესაბამისად, სპეციალურ ინსპექციას უნდა შეემოწმებინა მატარებლის ყველა ვაგონი. თემურმა ეს კარგად იცოდა და ელოდებოდა კიდევ მათ. სულ მალე ინსპექცია სამი კაცის შემადგენლობით შემოვიდა ვაგონში, მგზავრებს ბოდიში მოუხადეს შენუხებისათვის და კუპეები შეათვალიერეს, შემდეგ კი ვაგონის გამცილებლის კუპეს მიადგნენ. ინსპექტორებმა კარგად იცოდნენ, რომ თითქმის ყველა გამცილებელს, ჯიბის ფულის საშოვნელად, გზადაგზა მგზავრები აჰყავდა. ზოგი მათ მალავდა, მაგრამ ეს ხერხი ხშირად არ ამართლებდა და გამცილებლებს ეს ზოგჯერ სამსახურის დაკარგვად უჯდებოდათ. თემური ამ საქმეში კარგად გამოცდილი იყო, ამიტომ ინსპექტორების უფროსს შემოსვლისთანავე ჯიბეში ორმოცდაათმანეთიანი ჩაუცურა, არაფერი უთქვამს, ხელები გაშალა, გაუღიმა და ხელით მძინარე ნიკასკენ მიანიშნა. თემურმა და ინსპექტორებმა უსიტყვოდ მიაღ-



ნიეს შეთანხმებას და ხელის ჩამორთმევით გასცილდნენ ერთმანეთს.

ინსპექტორებმა როგორც კი გაიხურეს ვაგონის კარი, ნიკამ ამოიხრიალა და მარჯვენა ხელი საწოლიდან ჩამოუვარდა. თემურმა ფერი დაკარგა. მაშინვე დაკეტა კუპეს კარი, ნიკას ლოყებზე ხელი მოუჭირა, რათა ტუჩები იღნავ მაინც გაეღო და მთელი ბოთლი კლოფელინი ჩაასხა პირში. ნიკამ რამდენჯერმე დაახველა და კვლავ ძილს მიეცა.

თემური თავის საწოლზე ჩამოჯდა, იდაყვებით კუპეს მაგიდას დაეყრდნო, ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა და თვალები რუსეთის თვალუწვდენელ სტეპებს მიაპყრო. რუსეთის არემარე ლამისთვის ემზადებოდა.

მატარებელი სადგურ კამენკას შუალამეს მიადგა. თემურის განკარგულებაში სულ ათი წუთი იყო. მატარებლიდან სადგურზე არავინ ჩასულა, არც წამსვლელი ჩანდა, მგზავრების უმრავლესობას კი ეძინა. ასე რომ, როგორც თემურს ჰქონდა წინასწარ გათვლილი, ზუსტად ისეთი სიტუაცია დახვდა, მხოლოდ მოქმედება იყო საჭირო. გააღო ვაგონის კარი, რომელიც სადგურის მეორე მხარეს იყო მოქცეული, გაიხედ-გამოიხედა, მის წინ ის ფანჩატური მოჩანდა, სადაც ნიკა უნდა დაეგდო. შემობრუნდა კუპეში, ფრთხილად გადმოიყვანა ნიკა საწოლიდან, მხარზე გაიღო და ნელ-ნელა დაეშვა ვაგონის კიბეზე, მალევე მივიდა ფანჩატურთან, ფრთხილად მოიხსნა ნიკას სხეული მხრებიდან და ცდილობდა, ასევე ფრთხილად დაეწვინა ფანჩატურის იატაკზე, მაგრამ ვერ მოზომა და ნიკა ბეჭებით დაახეთქა მიწაზე.

— ვაი, დედა! — წამოიძახა ნიკამ და თითქოს წამოდგომა დაპირა.

მსხვერპლი რომ გამოფხიზლებულიყო, თემურის საქმე წასული იყო. სულ პატარა დაყვირებაც კი, ამ უკუნეთ ღამეში სადგურის მილიცის მოსვლას გამოიწვევდა, დაყვირება აღარ შეიძლებოდა. თემურმა იქვე დაგდებული ქვა აიღო ხელში, რაც ძალი და ორნე ჰქონდა ნიკას დაარტყა თავში და მატარებლისკენ გაიქცა.

ვაგონში ასული თემური სულს ძლივს ითქვამდა, მაშინვე ფაჯარასთან მივიდა და ფანჩატურისკენ გაიხედა. როგორც იქნა შეამჩნია სიბნელეში ნიკას სხეული, კარგად დააკვირდა, დარწმუნდა, რომ არ მოძრაობდა, შემოტრიალდა კუპესკენ, პერანგის საყელო გაისწორა, ოფლი მოიწმინდა და საათს დახედა. ამ დროს მატარებელიც დაიძრა, თემურმა კვლავ გაიხედა ფანჩატურისკენ, რათა დარწმუნებულიყო, მსხვერპლი ისევ იმ მდგომარეობაში იყო თუ არა. რადგან კუელაფერი რიგზე იყო, შევიდა თავის სამუშაო კუპეში, ჯიბიდან საქმეში აღებული ორმოცდაათმანეთიანების შეკვრა ამოიღო, მაღლა ასწია, მერე თავზე შემოიტარა, აკოცა, ჩაიდო ჯიბეში, წამოწვა საწოლზე, მოეშვა, დახუჭა თვალები და ნეტარებას მიეცა.

ნიკა კი, ბედის ანაბარა, გათიშული ეგდო ფანჩატურში და მისი გადარჩენა მხოლოდ გათენებაზე იყო დამოკიდებული, რადგან ამ უკუნეთ სიბნელეში, ისედაც ამ გადაკარგულ სადგურში, კაცის ჭაჭანება არ იყო.

იმ ღამეს სადგურ კამენკაში მხოლოდ ორმა ადგილობრივმა საქალაქთაშორისო მატარებელმა გაიარა.



დილით ლიანდაგებს შუა ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა, რომელსაც ერთ ხელში ანკესის ჯოხი, ხოლო მეორე ხელში სათლი ეჭირა. როგორც ჩანს სათევზაოდ მიდიონდა. ჯერ ფანჩატურამდე დააპირა გადახვევა, მაგრამ როგორც ჩანს იქ ბილიკი არ მოეწონა და ისევ გააგრძელა გზა. როგორც კი ფანჩატურს გაუსწორდა, შეამჩნია, რომ იქ ვიღაც კაცი ეგდო. ზიზღით შეხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ამ ფანჩატურში ლოთები არ წვებოდნენ და როგორც ჩანს, ვიღაცას აქ ახალსახლობა მოუწყვია. ახალგაზრდა კაცი ასე როგორ უნდა გაძლეს! ტფუ თქვენი!...

გადააფურთხა ფანჩატურისკენ და ის იყო გზა უნდა გაეგრძელებინა, რომ მისგან ლოთად მონათლულმა ადამიანმა დაიკვნესა. მეთევზე მიხვდა, რომ ეს ლოთის კვნესა არ იყო. ნაბიჯი აღარ გადაუდგამს წინ, უმაღ შეტრიალდა ფანჩატურისკენ და დაინახა თუ არა ადამიანის ნაწამები სახე, მაშინვე ატეხა ყვირილი:

— ჩქარა გვიშველეეთ!.. გვიშველეეთ!..

სადგურის ტერიტორიაზე კაციშვილის ჭაჭანება არ იყო და, რა თქმა უნდა, მეთევზეს არავინ გამოხმაურებია. მხოლოდ ბაქანის ერთ-ერთი სკამის ქვეშ მწოლიარე ძალლმა ასწია თავი და მალევე ისევ იმ მდგომარეობას დაუბრუნდა. მეთევზე არ ჩერდებოდა და შველას ითხოვდა. ბოლოს, როგორც იქნა, ბაქანზე სადგურის მორიგე გამოვიდა. მორიგე ქალი აღმოჩნდა, კარგად ჩამრგვალებული შუახნის დედაკაცი. ჯერ გაიზორა, როგორც ჩანდა ახალი გაღვიძებული იყო, მერე გაიხედა იქით კუნ, საიდანაც ყვირილი ისმოდა და ნაძალადევი ხმით დაიძახა:

— რა გაყვირებს! ? ვინ ხარ! ?
— მე ნიკალაი ვარ! სადგურის დასახლებიდან! —
გასძახა მეთევზემ, — აქ, ფანჩატურში კაცი გდია!
— მერე, რა ვქნა! ? — იყვირა გაბრაზებულმა სად-
გურის მორიგემ, — ასი გრამი ხომ არ მივართვა! ? მაგის-
თანები სადგურის წინ ერთი დუჟინი ყრია! ამათ გამოფხ-
იზლებას ერთი ყუთი არაყი და ლუდი არ ეყოფა. მეტი
საქმე არა გაქვს! ? წადი სათევზაოდ თუ მიდიხარ, თუ
არადა მე თავი დამანებე, მაგას მილიცია მოუკლის. წაიყ-
ვანს გამოსაფხიზლებელში და საღამოს ან ხვალ დილით
გამოაგდებს!

სადგურის მორიგემ ერთი გემრიელად გადააფურთხა
ლიანდაგებისკენ, გვარიანად შეიგინა და სადგურის შეს-
ასვლელისკენ დაიძრა.

— ამხანაგო! — ხმას უფრო აუწია ნიკალაიმ, — აქა-
ურ ლოთებს ყველას ვცნობ, ეს აქაური არ ჩანს და არც
სიმთვრალე ეტყობა, თან მგონი მაგრად არის ნაცემი!

მორიგე ქალი, ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, შეჩ-
ერდა და მეთევზესკენ გაიხედა. მიხვდა, რომ განსხვავე-
ბულ შემთხვევასთან ჰქონდა საქმე, რომელიც იშვიათად
თუ ხდებოდა კამენკაში. სადგურში და მის დასახლებაში
ცხოვრება ერთფეროვნად მიდიოდა. გაუკუდმართებუ-
ლი ყოფა მხოლოდ ლოთობა და პროსტიტუცია იყო. ჩხ-
უბი ნაკლებად, ან ვის უნდა ეჩხუბა, მამაკაცების უმრავ-
ლესობა დღისით სამსახურში იყო და საღამოს კი არყით
გათიშულებს ეძინათ. მორიგემ რაცია მოიმარჯვა და
სასწრაფოდ ვიღაც ივანს მოუხმო ბაქანზე.



სულ მალე ორი მილიციელი გამოჩნდა ბაქანზე, სად-გურის მორიგესთან გასაუბრების შემდეგ, ფანჩატურ-ისკენ გაიქცნენ. ნიკასთან ჩაცუცქული ნიკალაი ერთმა მილიციელმა ხელით განია გვერდზე, ხოლო მეორემ ნიკას ყელზე დაადო ორი თითი და თავის მეწყვილეს უთხრა:

- ცოცხალია, სასწრაფოს დაურეკე!
- მე კი დავურეკავ, მაგრამ ის როდის ჩამოვა რაიონ-იდან!?

— შენ დაურეკე და მერე მედპუნქტიდან საკაცე გად-მოიტანე, სასწრაფოს მოსვლამდე იქ დავაწვინოთ!

— არის, ამხანაგო სერუანტო! — მარჯვენა ხელი შუბ-ლზე მიიღო რიგითმა მილიციელმა, შეტრიალდა და სად-გურისკენ გაიქცა.

სერუანტმა მეთევზეს შეხედა და ჰკითხა:

- თქვენ ვინ ხართ, ამხანაგო!?
- მე აქაური მაცხოვრებელი ვარ, ნიკალაი ილიას ძე.
- შენ აღმოაჩინე ეს ამხანაგი!?
- დიახ, ამხანაგო მილიციელო, მე სათევზაოდ მი-ვდიოდი და...

— არ არის საჭირო, — შეაწყვეტინა სერუანტმა, ჩვენ-თან ერთად წამოხვალ და ყველაფერს განყოფილებაში მოგვიყვები.

— კი, მაგრამ... — წამოიძახა ნიკალაიმ და ხელები გაშალა.

— არაფერი „კი მაგრამ!“... — იყვირა მილიციელმა, კანონი გავალდებულებს!

ნიკა საკაცით სადგურის სამედიცინო პუნქტში გადაი-ყვანეს. სასწრაფო დახმარება დაახლოებით ორ საათში



მოვიდა და ნიკა ვორონეჟის ცენტრალურ საავადმყოფო-ში წაიყვანეს, ხოლო ნიკალაი კი დარჩა განყოფილებაში, სადაც გამომძიებლის კითხვებისთვის უნდა ეპასუხა.

ერთი თვის სამძებრო ღონისძიებებშა შედეგი არ გა-მოიღო. ვერც ნიკას კვალი აღმოაჩინეს და ვერც მისი მანქანის. მერიკო ლიკას ყურადღებას არ აკლებდა. შე-დეგმაც არ დააყოვნა და ლიკამ სემესტრის ყველა გა-მოცდა კარგად ჩააბარა, თუმცა ბოლო დროს თავს ვერ გრძნობდა კარგად.

— სულ გულისრევის შეგრძნება მაქვს, — შესჩივლა ლიკამ მერიკოს, — ალბათ ნერვიულობის ბრალია.
— თავი ხომ არ გიბრუის ხოლმე ხანდახან? — ჰკითხა მერიკომ და გაელიმა.

— კი, თავი რაღაცნაირად მიბრუის ხოლმე. ნეტავ რისი ბრალი უნდა იყოს, მერიკო? — იკითხა ლიკამ.

მერიკო ლიკას მიუახლოვდა, გადაეხვია და ყურში ჩასჩურჩულა:

— ფეხმძიმედ ხარ, ძვირფასო!
ამ სიტყვების გამგონე ლიკა შეკრთა. აღარ იცოდა, გახარებოდა თუ არა. მერიკოს უყურებდა და მისგან ელოდა იმას, თუ რა უნდა მოემოქმედა. მერიკო მიუხვდა სანადელს, ხელით ანიშნა, დამელოდეო და მეზობელთან წავიდა. მალევე მობრუნდა უკან, ლიკას რაღაც პატარა სამედიცინო პრეპარატი გადასცა და უთხრა:



— წამოდი, გასწავლი, ტესტი როგორ უნდა ჩაიტარო. მერიკო არ შემცდარა. ტესტი დადებითი აღმოჩნდა. ლიკა ფეხმძიმედ იყო.

გამოცდილი ქალბატონი გახლდათ მერიკო, მაგრამ ამ შემთხვევაში ლიკას უკვე დედის ხელი სჭირდებოდა, ამიტომ გადაწყვიტა, არ დაეყოვნებინა და ლიკა სიფელში წაეყვანა დედასთან. მეორე დღეს, დილით ადრე, ისინი უკვე მერიკოს ბიძაშვილის „ვოლგით“ დასავლეთისკენ მიჰქროდნენ.

მიუხედავად ნიკას გაუჩინარებით მიყენებული ტკივილისა, იმ საღამოს საყვარელიძეების ოჯახში ყველანი კარგ ხასიათზე იყვნენ. ლიკა ხომ უკვე მარტო აღარ იყო, ის თავისი სხეულით ნიკას და თავის შვილს ატარებდა.

მეორე დღეს, დილით მერიკო დაემშვიდობა მასპინძლებს და თბილისში დაბრუნდა. მოილაპარაკეს, რომ ხშირად დაეკონტაქტებოდნენ ერთმანეთს. მერიკო ნიკას თავის არხებითაც ეძებდა, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

სოფელ მთისაში კი დრო ნელა გადიოდა. მშობლებს ლიკა მუდმივი ყურადღების ქვეშ ჰყავდათ. საყვარელიძეების მეზობელი გახლდათ ქუთაისის ერთ-ერთი სამშობიაროს ბებია-ქალი, რომელსაც ორსულ ქალებთან ურთიერთობის მრავალწლიანი პრაქტიკა ჰქონდა გავლილი. ამიტომ ლიკას მშობლები დამშვიდებულნი იყვნენ, რომ უეცარი გართულების შემთხვევაში ექიმის მოძებნა არ გაუჭირდებოდათ.

ივნისის საღამო იდგა. ლიკა იჯდა თავისი სახლის აივანზე, გაჰყურებდა მთაზე შეფენილ ტყეს და მისი

ფიქრები ისევ ნიკას გარშემო ტრიალებდა: „სად არის ნეტავ? ვინ იცის, როგორ უჭირს. რომ არ უჭირდეს, აქამ-დე კავშირზე აუცილებლად გამოვიდოდა. ღმერთო, გად-მოხედე ჩემს ნიკას, გევედრები. არავისთვის ცუდი არას-დროს გაუკეთებია, უფალო, შეგვიწყალე!..“

უცებ, ლიკას ყურადღება მათი ეზოს ჭიშკართან გა-ჩერებულმა თეთრმა „ვოლგამ“ მიიქცია. მანქანიდან ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა, გაჩერდა ჭიშკართან და დაიძახა:

— მასპინძელო!

ლიკა ადგა სავარძლიდან, აივნისპირა ოთახში შევი-და და იქიდან აკვირდებოდა მოვლენებს. სტუმარი უცხო ჩანდა. მალხაზი ჩვეული სტუმართმოყვარეობით შეხვდა სტუმრებს. მათ ძალიან მცირე დროით ისაუბრეს ჭიშკარ-თან, მერე ორი ახალგაზრდა მამაკაცი კიდევ გადმოვიდა მანქანიდან და მალხაზი შემოუძლვა მათ ეზოში. ლიკა სასტუმრო ოთახის გვერდით მდებარე ბიბლიოთეკაში შევიდა. იქიდან ყველა სტუმრის დანახვასაც შეძლებდა და მათ საუბარსაც კარგად მოისმენდა.

სტუმრებმა როგორც კი საუბარი დაიწყეს, ლიკა მა-შინვე მიხვდა, რომ არ შემცდარა. ისინი ქუთაისელები აღმოჩნდნენ.

მალხაზმა სტუმრებს სავარძლებზე დაბრძანება შეს-თავაზა, თვითონაც მათ წინ დაჯდა და მოკრძალებით, იმერული თავაზიანობით წარმოთქვა:

— გისმენთ, ბატონო, რაზე შეწუხებულხართ?

მალხაზი-ბატონო, — დაიწყო საუბარი ახალგაზრ-და კაცმა, რომელიც პირველი მოადგა ეზოს ჭიშკარს,



— გვაპატიეთ, წინასწარი გაფრთხილების გარეშე რომ გეახელით, მაგრამ შორებლები არ ვართ, ქუთეისლები ვართ, ალბათ არ დაგვძრახავთ და თავხედობაში არ ჩამოგვართმევთ, რომ ასე მოვადექით თქვენი ოჯახის ჭიშკარს.

— სტუმარი ღვთისაა, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, ასე რომ, ბოდიშს რატომ იხდით? მობრძანდით, ბატონო! — კიდევ ერთხელ მოიპატიუა სტუმრები მალხაზმა.

— დიდი მადლობა, მალხაზი-ბატონო, იმერლებს არ გვეშლება ამფერი რაცხები და ამიტომაც გავბედეთ მოსვლა. მე ანზორი მქვია, ქუთეისურად ანზორიეს მეძახიან. ეგი, ჩემს გვერდზე რომ ზის, ჯემალიეა და იგი, მორცხვად რომ ჩამოჯდა სავარძელზე, გენოიეა ანუ გენადი...

— სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ჩემო ბატონო, — შეაწყვეტინა საუბარი მალხაზმა ანზორს, — ვხედავ მეც, რომ კაი ბიჭები ჩანხართ, მარა ნამეტანი შორიდან უვლით სათქმელს და ხომ არ სჯობს თითო ჭიქა ციც-კა-ცოლიკოური გაგვეშინჯა და სათქმელსაც ადვილად ვეტყოდით ერთმანეთს?

— არა, ბატონო, არ შეწუხდეთ, მაგას მერეც მოვას-ნრებთ. — იუარა ანზორმა.

მალხაზმა ხელები გაშალა და ის იყო ირინესთვის უნდა დაეძახა სუფრის გაშლასთან დაკავშირებით, რომ სამივე სტუმარმა ერთხმად შესძახეს:

— აპა-პა-პა!.. არა, მაგიზა არ მოვსულვართ აქანე! — მაშინ გისმენთ, ბატონო. — თქვა მალხაზმა და სტუმრებს გადახედა.



— მალხაზი-ბატონო, — დაიწყო ისევ ანზორმა, — გევიგეთ თქვენი ოჯახის ამბები და სიმართლე გითხრათ, ნამეტანი გვეწყინა.

— დიდი მადლობა, ჩემო ბატონო, თანაგრძნობისთვის, მარა ჯერ გაურკვევლობაში ვართ და ამიტომ წინასწარ ვერაფერს ვიტყვით.

— გასაგებია თქვენი მდგომარეობა, მარა ჩვენ ვიცით სიმართლე და რომ არ გითხრათ, არ ვიქნებით მართალნი, ბოლოს და ბოლოს ერთი მხრის ხალხი ვართ და ერთ-მანეთს გვერდში უნდა დოვუდგეთ ჭირშიც და ლხინშიც.

ლიკა ამ უკანასკნელმა სიტყვებმა შეაკრთო, ვაი, თუ... მაგრამ თავი შეიკავა და საუბრის მოსმენა განაგრძო.

მალხაზს ხმა არ ამოუღია. ხელის მოძრაობით ანიშნა ანზორს გაეგრძელებინა საუბარი.

ანზორმა ძალიან სერიოზული სახე მიიღო და გააგრძელა საუბარი:

— ის ბიჭი, ვისაც თქვენ ლიკას მითხოვებას უპირებთ, აფერისტი და ნაძირალაა. ეგი, მაგის პირველი შემთხვევა არ ყოფილა, აგრ დამემონმებიან ბიჭები. — თქვა დამწუხრებულმა ანზორმა და ბიჭებს გადახედა.

ჯემალმა და გენომ თავები ჩაღუნეს და თანხმობის ნიშნად ხელების უაზროდ მოძრაობა დაიწყეს.

მალხაზი ანრიალდა, ფეხზე წამოდგა, გაიარ-გამოიარა, მერე ბიჭებს შეხედა და ალელვებულმა ძლივს წარმოთქვა:

— მერე!.. ნუ გამაგიუეთ კაცი!.. თქვით სათქმელი!..

ანზორი წელში გაიმართა და მთელი სერიოზულობით განაგრძო საუბარი:



— ასე, ბოდიში ამ სიტყვაზე, გეიცნობს გოგოს, ასე მიყვება-მოყვება, შეაყვარებს თავს, ქორწილს დაან-იშნინებს და მერე გაქრება. როგორც, ჩვენმა ძმებმა, თბილისლებმა გვითხრეს, სხვა სახლიც ქონია და იქანე ცხოვრობს. რომ მიწყნარდება თურმე ყოლიფერი, მერე გამოჩნდება.

— კი, მარა, — იკითხა მალხაზმა, — რას აღწევს ამით? — ეგი მანიაკების ჩვევა ყოფილა, ბატონო მალხაზ. — ჩაერთო საუბარში გენო.

— და ამით რა სიამოვნებას იღებს მანიაკი? — ისევ იკითხა უკვე ანერვიულებულმა მალხაზმა.

— არ გვინდოდა ამის თქმა, — დაიწყო ჯემალმა, რო-მელიც აქამდე ჩუმად იჯდა, — მაგრამ კაცები ვართ და, — მერე ოთახში გაიხედ-გამოიხედა და განაგრძო, — არ ქონია თურმე კაცობა და ქალებზე ასე იყრის ჯავრს. მა-ნიაკია, აბა, რაა!?

მალხაზი მიხვდა, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ იყო. ბიჭები ქუთაისიდან ამის სათქმელად არ ამოვიდოდნენ. მათ, როგორც ჩანდა სხვა მიზანი ამოძრავებდათ. ჩაჯდა სავარძელში, ფეხი-ფეხზე გადაიდო და ბიჭებს მიმართა:

— როგორც ვხვდები, თქვენ სულ სხვა საქმეზე ხართ ამოსული და ჩემი სიდე აქ არაფერ შუაშია.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, ანზორმა და ჯემალ-მა გენოსკენ გაიხედეს და ანიშნეს, რომ დრო იყო ეთქვა სათქმელი.

გენო ანრიალდა, თავისი კოტიტა თითები ჟღალ თმე-ბზე გადაისვა, მერე სავარძელში უხერხულად მჯდომმა ლიპი გაისწორა და როგორც იქნა დაიწყო საუბარი:



— მალხაზი-ბატონო, სწორედ ეგია შუაში, თქვენ რომ სიძეს ეძახით. მაგირომ არ გამოჩენილიყო, მე ვაპირებდი ლიკას ცოლად მოყვანას, მარა ჩემი სიმორცხვის გამო, დავაგვიანე. თუმცა, რაც ეს ამბავი გევიგე, მოსვენება დავკარგე კაცმა და ბოლო-ბოლო გადავწყვიტე ამოვ-სულიყავი და ლიკას ხელი მეთხოვა. მე ლიკა ძალიან მიყვარს და მისი გულისოთვის ყოლიფერზე თვალს დავხუჭავ, სიცოცხლის ბოლომდე ხელის გულზე ვატარებ და არაფერს მოვაკლებ.

მალხაზს სიმწრისაგან გაეღიმა. ეს ბიჭები სხვაგან რომ შეხვედროდნენ ანალოგიურ სიტუაციაში, ალბათ არ დაინდობდა, მაგრამ ახლა საკუთარ ოჯახში იყო და თან გრძნობდა, რომ ლიკა გვერდით ოთახში იჯდა და უსმენდა ყველაფერს. ამიტომ ნერვები მოთოქა და წყნარად გააგრძელა საუბარი:

— ჩემი ქალიშვილი უკვე გათხოვდა და ფეხმძიმედაც არის თავისი კანონიერი მეუღლისგან.

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, სამივე სტუმარს ყბა ჩამოუვარდა ამ სიტყვების გაგონებაზე. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს, გენომ დაარღვია ეს გაუგებარი სიტუაცია:

— კი, მარა, მალხაზი-ბატონო, ქორწილი ჯერ არ ყოფილა, და?..

— ახლანდელი ახალგაზრდები ხომ იცით? — უპასუხა მალხაზმა, — ისე მოაწერეს ხელი და ისე ჩაწერა თავის ბინაში ნიკამ, რომ მე და ირინემ არაფერი ვიცოდით.

— გამოდის, რომ ჩვენ არასწორი ინფორმაცია მოგვაწოდეს თბილისიდან? — ჩაილაპარაკა ანზორმა და ფეხზე წამოდგა.



— ბოდიშს ვიხდით, მალხაზი-ბატონი, შეწუხებისთვის, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, თუ მართლა ასეა, როგორც თქვენ ამბობთ. — თქვა გენომ და სტუმრები წამოდგნენ ფეხზე.

მალხაზმა სტუმრები გააცილა და როგორც კი შემობრუნდა სახლში, ლიკა კარის ზღურბლთან დახვდა.

— მამა, აქ რაღაც ვერ არის ისე, როგორც საჭიროა. ამათი მოსვლა არ მომენტია.

— არც მე, — ჩაილაპარაკა მალხაზმა, — საერთოდ არ ვიცნობ, ვინ არიან. გავარკვევ მაგას. შენ კი, ჩემს გარეშე ფეხი არ გაადგა გარეთ!

ბოლოს წარმოთქმულ სიტყვებში მალხაზმა განსაკუთრებული სიმკაცრე გაურია, ამის გამგონე ლიკა შეკრთა. მამისგან მისი მისამართით ასეთ სიტყვებს არ იყო მიჩვეული. მალხაზმაც შეამჩნია ეს ლიკას და ამიტომ მოტრიალდა, ქალიშვილი გულში ჩაიკრა, აკოცა შუბლზე და უთხრა:

— შენ არ ინერვიულო, შვილო, ყველაფერი რიგზე იქნება.

გენოს მანქანა კი მიჰქროდა ქუთაისისკენ.

— როის მოასწრეს, სიმონ!? — თავისთვის ბურტყუნებდა გენო, — ხელიც მოუწერიათ, სიმონ!?

— არ იმუშავა ტყუილმა, — თქვა ანზორმა, — რაცხაუნდა მევიფიქროთ სხვა.

— მივხედავთ! მაგ ქალს მე ხელიდან არ გოუშვებ, სიმონ, — ანინმატდა გენო, — თემურიეს იმ ნიკასთვის ერთი კაი ქვაც უდღლეზია, ისე, რომ კაი ხანი ვერ მოვა ის ჭკუაზე.



- ქალს რა ვუყოთ, გენოიე? — იკითხა ჯემალმა.
- რა უნდა ვუყოთ და უნდა მევიტაცოთ, სიმონ, — თქვა გენომ, — იმდენს ვიზამ, რომ მუცელსაც მოვუშლი და მეყოლება სადამდისაც მინდა.
- მაინც არ ეშვები, ხომ? — გაეცინა ანზორს.
- რას მევეშვები, სიმონ! მაბოდებს მაგ ქალზე, — მიუგო გენომ და მაქანის სიჩქარეს მოუმატა, — მევეშვათ ახლა მაგაზე ბაზარს და უანაიასთან წევიდეთ, გოგოების ახალი სასტაცი ყოლია რუსეთიდან ჩამოყვანილი.

10

ნიკა ვორონეჟის ცენტრალურ საავადმყოფოში მიიყვანეს. მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, პირდაპირ რეანიმაციის განყოფილებაში მოათავსეს. დოკუმენტების უქონლობის გამო, ექიმებმა მხრები აიჩეჩეს, მაგრამ ვინაიდან სასწრაფო დახმარების დოკუმენტაციას თან ახლდა მილიციის მიერ შედგენილი ოქმი მომხდარი ინციდენტის შესახებ, სამედიცინო პერსონალს არ ჰქონდა უფლება არ მიეხედა პაციენტისთვის.

— ისე, იგორ ნიკოლაევიჩ, ძალიან გახშირდა ამ ბოლო დროს ბომუჟების შემოყვანა საავადმყოფოში, — უთხრა საავადმყოფოს მთავარ ექიმს რეანიმაციის განყოფილების უფროსმა.

— სერგეი ვასილევიჩ, მე დავხედე პაციენტს, ის ჩვენებურს არ ჰგავს, მე ვფიქრობ, უფრო კავკასიელი უნდა იყოს, რადგან მათი იერი აქვს. სიტყვის აბრევიატურის მნიშვნელობით ბომუჟია, თუმცა რასაც ჩვენ ბომუჟს ვეძახ-



ით, ამის ნამდვილად არაფერი ეტყობა, თუ არ ჩავთვლით სახეზე და სხეულზე მიყენებულ დაზიანებებს.

— შეიძლება თქვენ სწორი ბრძანდებით, იგორ ნიკოლაევიჩ, დანარჩენს პოლიცია გაარკვევს. — თქვა სერგეი ვასილევიჩმა და წასვლა დააპირა.

— სერგეი ვასილევიჩ! — შეაჩერა რეანიმაციის განყოფილების უფროსი მთავარმა ექიმმა, — უცნობი პაციენტის დიაგნოზი საინტერესო იქნება, იქნებ დროულად მომაწოდოთ.

— რა თქმა უნდა, იგორ ნიკოლაევიჩ, ხვალ დილით, უცნობი პაციენტის დიაგნოზი ანალიზებთან ერთად თქვენს მაგიდაზე იდება.

რეანიმაციის განყოფილებაში უცნობი პაციენტის მდგომარეობის შესწავლა და მკურნალობის გზების მოძიება განსაკუთრებულ კონტროლზე იქნა აყვანილი.

მეორე დღეს მთავარი ექიმი უკვე ეცნობოდა უცნობი პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას. დიაგნოზი მაინც და მაინც არ იყო იმედის მომცემი — „პაციენტი უგონო, კომატოზურ მდგომარეობაში, ხელოვნური სუნთქვის აპარატზე მყოფი შემოყვანილი იქნა ვორონეჟის საავადმყოფოში. მას ტრავმის შედეგად აღენიშნებოდა მარჯვენა საფეთქლის ძვლის მრავალფრაგმენტოვანი კომპრესიული მოტეხილობები და მწვავე სუბდურული ჰემატომა. შესაძლო ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, თითქმის მთელ სხეულზე აღენიშნება სისხლჩაქცევები“.

მთავარმა ექიმმა მდივანს უხმო და დაავალა, მასთან შემოსულიყვნენ რეანიმაციის განყოფილების უფროსი



და ამავე განყოფილების მთავარი მედდა. მანამდე კი ან-ალიზების დათვალიერება დაიწყო.

ამასობაში, იგორ ნიკოლაევიჩთან შემოვიდნენ სერ-გეი ვასილევიჩი და მთავარი მედდა.

— რა ხდება? — ექიმების შემოსვლისთანავე იკითხა მთავარმა ექიმმა.

— რაც მთავარია, იცოცხლებს. — შეაგება განყო-ფილების უფროსმა.

— ეგ კარგია. დანარჩენი!?

— ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული, — თქვა სერგეი ვასილევიჩმა, — ძვლის ფრაგმენტების და სუბდურულად ჩაქცეული სისხლის ამოლების შედეგად, ტვინი გაიშალა და დაიწყო პულსაცია. ასე რომ, მკურ-ნალობა დაწყებულია და ვფიქრობ, შედეგი დადებითი უნდა იყოს.

— ესე იგი, წინ მივდივართ, — აშკარა კმაყოფილებით ნარმოთქვა მთავარმა ექიმმა, — როგორც ამბობენ: „ასეთი კურსი გეჭიროთ!“

— ისე ინტელიგენტს ჰეგავს, იგორ ნიკოლაევიჩ, — თქვა მთავარმა მედდამ, — თავისი კავკასიური იერით.

მთავარ ექიმს გაეღიმა. მან კარგად იცოდა, რომ რუსი ქალები კავკასიელი მამაკაცებისადმი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი, ამიტომ წამოდგა სავარძლიდან, რაც აუ-დიენციის დამთავრებას ნიშნავდა და ხმამაღლა წარ-მოთქვა:

— მაგას შინაგან საქმეთა ორგანოები გაარკვევენ, პეტროვნა, ჩვენ კი ჩვენი საქმე გავაკეთოთ და ადამიანს სიცოცხლე შევუნარჩუნოთ.



მედპერსონალმა მართლაც კარგად იმუშავა და ერთ თვეში ნიკას უკვე საწოლზე წამოჯდომის უფლება მისცეს. ნიკა ყველას გაკვირვებით შესცქეროდა, არ იცოდა, აქ რა უნდოდა, ან ეს თეთრხალათიანი ადამიანები ვინ იყვნენ. ყველაზე დიდი უბედურება კი ის იყო, რომ თვითონ ვინ იყო, ისიც არ იცოდა.

ექიმების მცდელობამ, გაეგოთ ნიკას ვინაობა, შედეგი არ გამოიღო. პაციენტი კარგად საუბრობდა რუსულად და კიდევ გაუგებარ ენაზე, რომელიც შემდეგ ქართული აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მას საკუთარი სახელიც კი არ ახსოვდა, სხვა დანარჩენზედ რომ არაფერი ვთქვათ.

საქმეში შინაგან საქმეთა ორგანოები ჩაერთნენ. მიუხედავად ბევრი მცდელობისა, სადგურ კამენკაში მომხდარი ინციდენტის, ნიკალაის და რკინიგზის სადგურის მორიგე ქალის დაკითხვების ოქმების მეტი არაფერი გააჩნდათ. გამომძიებლები იმედს გამოჯანმრთელებული ნიკას დაკითხვაზე ამყარებდნენ, მაგრამ უშედეგოდ. ნიკა გამოწერეს საავადმყოფოდან, ჩაიყვანეს კამენკის რკინიგზის სადგურში, დაათვალიერებინეს შემთხვევის ადგილი, დააპირისპირეს ნიკალაისთან და მორიგე ქალთან, მაგრამ აქაც ამაოდ, ნიკა ყველას და ყველაფერს გაკვირვებული უყურებდა.

— კიდევ ერთი საქმე დაგვეწერება გაუხსნელი, — ნერვიულობდა გამომძიებელი, — რა უბედურებაა, ყველაფერი მე როგორ უნდა შემხვდეს.

— ამხანაგო გამომძიებელი, — თქვა ნიკალაიმ და თან ნიკას გახედა, რომელიც დიდი ყურადღებით ათვა-





ლიერებდა სადგურის ტერიტორიას, — ამ კაცს, რომელ-საც უცნობად მოიხსენიებთ, რა უნდა უყოთ?

— ჩემს უფროსობას ვუთხარი და ასე მიპასუხეს: — თქვა გამომძიებელმა, — „რადგან ქართულად საუ-ბრობს, საქართველოში გავაგზავნოთო“.

— მე ვუთხარი, რუსულადაც, რომ ლაპარაკობს, მაინც და მაინც საქართველოში რატომ უნდა გავაგზა-ვნოთ-მეთქი, ხომ შეიძლება რუსეთის მოქალაქე აღ-მოჩნდეს-მეთქი. მერე გადაწყდა, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში გაეგზავნათ მისი სურათები ამო-საცნობად. ეჭვი მეპარება, სურათით იცნონ, რადგან სახე ჯერ კიდევ დეფორმირებული აქვს და სხვა დოკუ-მენტი ჩვენ არ გაგვაჩნია.

— ამ კაცმა მანამდე რა უნდა ქნას? — არ ეშვებოდა გამომძიებელს ნიკალაი, — სად უნდა იცხოვროს?

— ალბათ, ფსიქიატრიულში გაამწესებენ. — ყოველ-გვარი ყოყმანის გარეშე წარმოთქვა გამომძიებელმა. როგორც ჩანს, ასეთი პრეცედენტი ბევრჯერ ჰქონიათ ქვეყანაში.

— რას ამბობთ, ამხანაგო გამომძიებელო? — გაიკ-ვირვა ნიკალაიმ, — იქ ხომ გააგიუჟებენ ამ წესიერ კაცს.

— მაშინ, ვინმემ უნდა წაიყვანოს თავისთან ოჯახში და პასუხისმგებლობაც აიღოს მის ქცევებზე, — უთხრა გამომძიებელმა, თან გაეცინა და დაამატა, — შენ ხომ არ გინდა წაიყვანო? სახლში საქმეს მაინც გაგიკეთებს, სა-ნამ იპოვნიან.

ნიკალაის მართლა ეცოდებოდა მისთვის უცნობი ადა-მიანი, სიკეთის ნიშნები დაინახა მასში. ნიკალაი ჭკვიანი

კაცი იყო, არ ლოთობდა, მუშაობდა რკინიგზის სად-გურის საამქროში ზეინკლად, პატარა ბოსტანიც ჰქონდა სახლის წინ, რომელსაც ამუშავებდა. თავისუფალ დროს კი, სათევზაოდ დადიოდა.

ზემდგომ ორგანოებში შეთანხმების შემდეგ, გად-აწყდა, სამძებრო სამუშაოების დამთავრებამდე, ნიკა დროებით საცხოვრებლად დარჩებოდა ნიკალაისთან კა-მენკაში.

11

გენოს შემუშავებული გეგმის მიხედვით, ყოველდღიური, ეგრეთ წოდებული, „მორიგეობა“ დაწესდა სოფელ მთისაში, ლიკას სახლის სიახლოვეს. როგორც კი ლიკას სახლის გარეთ დაიგულებდნენ, ვინც არ უნდა ყოფილიყო იმ დღეს „მორიგე“, თავისი ამფსონების დახმარებით, უნდა მოეტაცათ ლიკა და მიეგვარათ თავიანთი ბანდის უფროსისთვის. რა თქმა უნდა, ამ „მორიგეობაში“, თუ „საქმით არ იყო დაკავებული“, თვით გენოც იღებდა მონანილეობას, რადგან მას დიდი სურვილი ჰქონდა თა-ვისი სატრფო თვითონ მოეტაცა.

სოფელი მთისა პატარა დასახლება იყო და ამიტომ უცხო ადამიანების და განსაკუთრებით სხვა სატრანს-პორტო საშუალებების გამოჩენა, ყოველთვის იქცევდა სოფლელთა ყურადღებას. ეგრეთ წოდებული „მორიგეე-ბი“, თავიანთი მიზნის დაფარვისთვის, მთელ სოფელში დაშლიგინობდნენ.



მალხაზმა ქუთაისში, თავის მოკეთებში, გაიკითხა მისი დაუპატიჟებელი სტუმრების შესახებ და აღმოჩნდა, რომ „გენოიეს კუტოკი“ კარგი და კეთილი საქმეების გარდა, ყველაფრით ყოფილა „დაკავებული“.

— მაგენი, მალხაზ-ჩემო, ყოლიფერზე ხელის მომწერები არიენ, — უთხრა მალხაზს თავისმა ერთ-ერთმა ძმაკაცმა, — გვინია მაგას ფულის გულიზა აკეთებენ?

— აბა! ავალებს ვინმე? — გაოცდა მალხაზი.

— აპა! არ დეიჯერო, — თქვა მეორემ, — ახლა როგორ ამბობენ, ბუჯო? ეგი... მეიცა... ხო, გევიხსენე... კაიფობენ.

— კი, მარა ვინ ყავთ ამისთანა მფარველი? არაფრის რომ არ ეშინიათ? — დაინტერესდა მალხაზი.

— გენოიეს მამა პარტიული მაღალჩინოსანია, არც ფული აკლია და არც კაი ცხორება. აი, ბაღანე კი ბავშობიდან ერთობა. რასაც მეისურვებს, ყოლიფერს ისრულებს და ვერც ძალლობა და ვერც ქურდობა ვერაფერს ეუბნება.

— ესე იგი საშველი არ არის? — იკითხა დამწუხრებულმა მალხაზმა.

— ყველაფერს ეშველება, ჩემო მალხაზ. უსაშველო არაფერია ამ ქვეყნად. — დაიწყო საუბარი ერთ-ერთმა ძმაკაცმა, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა სკამზე და მეგობრებს უსმენდა.

მალხაზმა მოწყალების თვალით შეხედა მეგობარს და ჰკითხა:

— და რაშია ეს საშველი?

— ღმერთში, ჩემო მალხაზ! ღმერთში, რომელიც დაგვავიწყეს კომუნისტებმა და მის მაგივრად ლენინის სურათი შეგვაჩეჩეს ხელში. უღმერთობამ ბოროტი გააძლიერა და ხალხი მედროვეთა ხელში ჩააგდო.

— კი, გეთანხმები, ჩემო გოგი, — თქვა მალხაზმა და ხელი ჩაიქნია, — არც ხატია ჩემს სახლში და არც სანთელი ინთება. შენ ფიქრობ, რომ ხატი და სანთელი მიხსნის ამ გაჭირვებისგან?

— მალხაზ, — მიუგო გოგიმ, — ბოროტებას ადამიანი ვერ დაამარცხებს, რადგან ის დაცემული ანგელოზისგან, ლუციფერისგან მოდის, იმ ლუციფერისგან, რომელიც ღმერთთან იყო, მაგრამ ხიბლში ჩავარდა და უფალმა ის გადმოაგდო სასუფევლიდან. მას შემდეგ დაძრნის სამყაროში, მთვარესაც კი ეჯიბრება დედამინის განათებაში, განსაკუთრებით დილით, რადგან დღისით მზისგან იჩრდილება. ადამიანებში თესავს ბოროტებას. ხომ ხედავ, სტალინის აშენებულ ქვეყანას დღემდე ჭამენ, ანგრევენ და გენოისნაირ შვილებს უზრდიან ქვეყანას, რომელიც ადამიანთა გაუბედურებით ტკბება და იხალისებს ცხოვრებას.

— აბა, რა ვქნა, ძმებო! — აღელდა ყოველთვის დინჯი მალხაზი, — მომინევს თავი შევაკლა ამ გარეწრებს, რადგან ვიცი, რომ ხვალ ან ზეგ სახლში შემომივარდებიან.

— დაწყნარდი, მალხაზ, — დაიწყო გოგიმ, — მისი მინე ახლა კარგად. ნუ გადადებ და ხვალვე ადი აგერ, მონამეთაში. ხომ იცი მონამეთას მონასტერი?

— რავა არ ვიცი, გოგი! — გაიკვირვა საყვარელიძემ.



— ჰომდა, იქანე ნახავ, მღვდელია ერთი ჩვენებური,
მამა გიორგი ჰქვია.

— ჭოგნარელი იქნება მაგი. — სიტყვა ჩაურთო
მალხაზმა.

— კი, ჭოგნარელია, — დაუდასტურა გოგიმ, — სულ
იქანეა მონასტერში, თუ არადა სახლში მეიკითხავ, ჭოგ-
ნარში. ხანდახან უყვარს ფეხით სიარული, მიდის ხოლმე
საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, მარა ახლა არაა
წასული, გუშინ იყვნენ ჩემი ახლობლები სამტრედიდან
ასული და იქანეაო, მითხრეს.

— კი, მივაკითხავ, გოგი, და ოვუხსნი ჩემს გაჭირვე-
ბას, — თქვა მალხაზმა და თან ხელები გაშალა, — მარა,
რა უნდა მიშველოს მღვდელმა, ეს ღმერთის რწმენა ჩემს
ტვინამდე ვერ დავიდა

— ე! ზუსტად მაგ სიტყვები ვუთხარი მეც და რაც
დამმართა მოგიყვები. მაგის შემდეგ ვინამე ღმერთი. —
გაელიმა გოგის და მეგობარს დაარტყა ზურგზე ხელი.

— მაგისთანა რა შეგემთხვა? — დაინტერესდა მალხ-
აზი და მოსასმენად მოემზადა.

გოგი შემთხვევის გახსენების გამო სახეზე წამოწით-
ლდა, მერე გასწორდა, გაელიმა, ჩაახველა და დაიწყო:

— კი იცი შენ, რომ ახალგაზრდობიდან ტაქსიზე
ვმუშაობ. ერთხელაც გამაჩერა მამაომ. არ ვიცნობდი
მაშინ მამა გიორგის. ხალხი ახლდა თან. იცი შენ ტაქ-
სისტების და მით უმეტეს ჩემი ამბავი, რომ დევინებ
ლაპარაკს, აღარ ვჩერდები და მამაო რომ დევინახე,
დევინები თავის გამოჩენა და რაც ვიცოდი და არ ვიცო-
დი ეკლესიურ ცხოვრებაზე ყველაფერზე ავლაპარაკდი.

მერე შეკითხვების დასმა დოვუწყე. მამაომ ზოგიერთზე პასუხი გამცა, ზოგი კი არც მოისმინა. მე არ ვეშვებოდი, როგორც იტყვიან, ჩემი ცოდნის დემონსტრირებას ვახდენდი, რათა ჩემი რელიგიური ცოდნა გამომეხატა. მამაომ მისმინა, მისმინა, ბოლოს შემაწყვეტინა საუბარი და მკაცრად მითხრა:

„რა იცი, ბიჭო, შენ ღმერთზე, ამდენს რომ ლაქლაქებ!“

— სიმართლე გითხრა, შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი და ცოტა დაბოლმილად ვუთხარი: რასაც ეკლესია-ში ასწავლიან, ის ვიცი მეც, როგორც სხვებმა.

გადმომხედა, ასე სხვათა შორის და მკაცრად მითხრა:

„რას ასწავლიან ეკლესიაში!? შენ, ბიძია, ის ისწავლე, რომ ღმერთი მოწყალეა და ამის იმედად მექაქანები მე აქ, მარა, ის არ გასწავლეს ეკლესიაში, რომ ღმერთი სასტიკიც არის და ულმობელიც!؟

— ეგი რა შუაშია-თქვა, მამაო? — მივუგე მე.

„ეგ იმ შუაშია, რომ შენ არაფერი არ იცი ღმერთზე და არც მან იცის რამე სიმართლე ღმერთზე, რომ იძახი, მას-წავლაო“.

ისევ ავენთე კამათის უინით და ვეუბნები მამაოს:

— მამაო, ღმერთზე როგორ არ ვიცით? ამდენი წიგნი, ამდენი ქადაგება... როგორ მძლავრობს ეშმაკი, რამდენი მხრიდან გვიტევს და რა დღეში ჩაგვაგდო, ყველაფერი გაუფასურდა, ხორცი დეფიციტია, ფული არ ფულობს და რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ ხდება უბედურება ამ დუნიაზე.

მამაო მომიბრუნდა და მითხრა:



„ვინაა, ბიჭო, ეშმაკი!.. ესე იგი გამოდის, რომ ყველაფერს ეშმაკი აკეთებს და ჩვენი ღმერთი შორიდან უყურებს! ესე იგი, ეშმაკი რასაც უნდა იმას აკეთებს და ღმერთი ზომებს არ ღებულობს! ხომ გითხარი, ბიძია, რომ არაფერი იცი ღმერთზე შენ და არა მარტო შენ, არამედ დიდმა უმრავლესობამ დღეს ადამიანებისა — ესე იგი ღმერთი ვერ ხედავს? და თუ ხედავს, ზომებს ვერ ღებულობს, არა? ღმერთია, ბიძია, ამ ქვეყნის ბატონ-პატრიონი, უღმერთოდ აქ ბალახიც არ ტოკდება. უღმერთოდ არავის კლავენ, უღმერთოდ ვერავის ვერ მოერევა ბოროტი. ჩვენ რომ გვიჭირს, ეს იმიტომ კი არაა, რომ ეშმაკია მაგარი, არამედ იმიტომ, რომ ღმერთი დაგვავინყდა! და ღმერთი გვსჯის სწორედ, ჰოდა, ეშმაკია დასჯის იარაღი. დღეს ეშმაკის ძლიერებაზე უფრო ქადაგებენ, ვინემ ღმერთის ყოვლისშემძლეობაზე! ვინაა, ბიჭო, ეშმაკი!? მას ღმერთი ისე გააქრობს, როგორც გააჩინა, რას უზამს ეშმაკი მართალს!? ოღონდ მართლები საიდან იქნებით, როცა საღმრთოს არაფერს აკეთებთ! რომ იძახით წიგნებიო! ჯერ ერთი, წიგნებს ყურადღებით უნდა კითხვა, მეორე, წიგნით გინდათ ღმერთი იცნოთ!? გგონია, ღმერთი მარტო იქ, ზევითაა და ტელევიზორით გვიყურებს!.. ღმერთი აქაცაა!.. ღმერთი ყველგანაა! ღმერთი ამ მანქანაშიც არის ახლა!.. კიდევ გიმეორებს: ღმერთისაა აქ ყველაფერი, რასაც ხედავ! და გვათხოვა დროებით! რომ ებლაუჭებიან ქონებას და ღმერთის გაგონებაც არ უნდათ, არ არიან დასასჯელნი!? — ჰოდა, ისჯებიან კიდევაც! ღმერთი სულ იყო ქვეყანაზე, სულ დადიოდა ხალხში! ეს შენ არ იცი და იმან, რომ იძახი,

მასწავლაო, რომელმაც გასწავლა, რომ პოროტია ძლიერი. არის ის ძლიერი, მარა, რამდენზედაც ღმერთი მიუშვებს!..

მერე შემომხედა და მითხრა: „რას მომჩერებიხარ! ნინი იყურე, რავა, საჭე მე მიჭირავს თუ!?” — მაშინვე გამოვერკვიე და საჭე გავასწორე. მამაომ კი განაგრძო საუბარი:

„ღმერთს ვინ შეზღუდავს!.. ღმერთი იქ გამოჩნდება, სადაც მის დიდებულებას მოესურვება და გამოჩნდება იმ სახით, როგორსაც მოისურვებს! ღმერთს, ბიძია, ნიგნით ვერ იცნობ, ოღონდ ნმინდა სულით, უბრალო და თავმდაბალი სულით. ღმერთი აქ დადის ადამიანის სახითაც! ჩვენი წინაპრები არ იყვნენ განვითარებულნი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებით, მაგრამ ხალხში მოსიარულე ღმერთს ცნობდნენ!.. ვისი სახითაც მოესურვება ღმერთს, იმის სახით მოვა. ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილზე, შეუძლია რამდენიმე სახით გამოჩნდეს!.. იმას აღიარებთ, რომ მთავარანგელოზები დადიან და ეხმარებიან ადამიანებს. როცა ღმერთის დაშვებაა მათზე და რომ ღმერთი მოისურვებს მინაზე სიარულს, ვინ უნდა შეზღუდოს!? ვის უნდა შეუთანხმდეს ღმერთი მის შექმნილ მინაზე გამოჩენას!? — ცეკას, ტეკას, ნატოს, რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ეკლესიის მსოფლიო საბჭოს თუ რომელიმე პატრიარქს!? ბევრი მორწმუნეც ვერ ფლობს ღმერთზე ჭეშმარიტ სწავლებას. ადამიანის მიერ რამეში შეზღუდული ან კანონში მოქცეული ღმერთი, ჭეშმარიტი ღმერთი არ არის!.. რა იცი, როცა კაცი რაიმეს გთხოვს, კაცია იგი თუ ღმერთი!?”



— მე საიდან უნდა ვიცოდე-თქვა! — ვუპასუხე გაბრა-ზებულმა.

„ჰოდა, რომ არ იცი, მაგიტომაც გთხოვს და კი არ გაიძულებს!“ — გააგრძელა მამაომ, — „ხომ შეუძლია არ გთხოვოს, არამედ მოგთხოვოს! ღმერთი პიროვნულია, ბიძია! შეუძლია შენ მყაცრად დაგსაჯოს, ხოლო სხვას, იგივე ცოდვის ჩამდენს, ცოტა გაუწყრეს. რავა, არა აქვს ამის უფლება თუ!? ღმერთის სამართალი სხვა სამარ-თალია. ის არ არის მიწიერი კაცების დარი! შენ რომ ღმერთს ვერ ცნობ, ვისი ბრალია!.. შენი ბრალია, შენი, ბიძია!.. წიგნები და წიგნები დაგიჩემებია!.. ბევრი რამ წერია მაგ შენ წიგნებში და ბევრიც დამახინჯებით წე-რია!.. რომელი წიგნებით სცნობდა ძველად წერა-კითხ-ვის უცოდინარი ხალხი ღმერთს!? არადა, სცნობდნენ!.. სულით სცნობდნენ, სულით!.. ღმერთი აქ დადის, ბიძია. ქრისტე ებრაელებმა არ იცნეს და ვერც დღეს სცნობს მას კაცობრიობა! ამიტომ უნდა იყო ფრთხილი ნებისმი-ერ ადამიანთან ურთიერთობისას — აკვნის ბავშვიდან დაწყებული, წელში მოხრილ მოხუცამდე, გლახაკიდან დაწყებული მეფემდე და ასე შემდეგ... ამიტომ უნდა გე-შინოდეს ადამიანების შეურაცხყოფისა და შევიწროვე-ბისა. ღმერთს შეუძლია, შენს ირგვლივ ყველა ადამიანში იყოს, გარდა შენისა“.

ამ დროს მამაო შეჩერდა, მეც ვისარგებლე შემთხ-ვევით და გამოვხატე ჩემი აზრი:

— არ გეწყინოთ, მამაო, მაგრამ ღმერთი რომ ქვეყ-ანაზე დადის, ეს ვერანაირად დადის ჩემამდე.



შემომხედა მამა გიორგიმ და ახლა უკვე პირდაპირ მომახალა:

„შენს გონიერამდე, ბიძია, შიშველი ქალები და დაკუჭული თუმნიანები დადის!.. ეგ შენი სატირალია და არა ჩემი!.. გაგაგებინებს ახლავე ღმერთი, რა უნდა დადიოდეს შენამდე!“

ეს თქვა მამაომ და ის იყო პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესიის წინ რაღაცამ მაღალ ხმაზე იფეთქა. კიდევ რამდენიმე ხანში ეს ხმა მეორეჯერ განმეორდა. მაშინვე საჭეს ჩავეჭიდე და მანქანა გავაჩერე. გადმევედი მანქანიდან და ჩემს მხარეს ორივე „პაკრიშკა“, წინა და უკანა, გახეთქილი იყო. არაფერზე გადამივლია, ასფალტზე მივდიოდი, მთელი ქუთხისის გზები ზეპირად ვიცი. მამაო კი გადმევიდა მანქანიდან, ფული წინა „სიდენიაზე“ დააგდო, იქვე მეორე ტაქსი გააჩერა, კარები გამოალო და იქიდან გადმომძახა:

„ახლა კი ჩემამდის ვერ დადის ახალი „პაკრიშკები“ რამ გაგიხეთქა!?“

ასე დავიდა, ჩემო მალხაზ, ჩემამდე ღმერთი და ამის შემდეგ აღარც მოვცილებივარ არც მოწამეთას მონასტერს და არც მამა გიორგის.

მალხაზი დააფიქრა გოგის მონათხრობმა, შეხედა მეგობარს და უთხრა:

— ძმობას გაფიცებ! გამომყევი ხვალ მამა გიორგისთან, როგორც ვატყობ, ჩემი და ჩემი ოჯახის ხსნა მხოლოდ ღმერთშია.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, — გაელიმა გოგის, — მაგაზე რავა გეტყვი ვარს!

ნიკალაი და ნიკა რკინიგზის ლიანდაგს გაჰყუნენ და სულ მალე მარცხნივ გადაუხვიეს სოფლის გზაზე. ეს იყო ჩვეულებრივი სოფელი, ეგრეთ წოდებული „რუსული ხატებით“, რომლებიც თავისი კოპნიად მოვლილი ეზოებით, მნახველის თვალს „ახარებდა“. ყველა სახლი — „ხატა“ თითქმის ერთნაირ ფერებში იყო შეღებილი და ერთმანეთს ჰგავდა. ორლობეებში ბატების და იხვების გუნდები იყვნენ გაფანტულნი. მსუბუქ მანქანას იშვიათად დაინახავდით, სამაგიეროდ თითქმის ყველა ეზოში, რკინიგზელთათვის სახელმწიფოს მიერ უფასოდ დარიგებული საბჭოთა წარმოების ველოსიპედი — „ლასტოჩიკა“ იყო სახლის კედელთან ან მესერთან მიყუდებული.

ეს გახლდათ სადგურის დასახლება კამენკა, სადაც დაიბადა, გაიზარდა, დაოჯახდა, ცხოვრობდა და საქმიანობდა ნიკალაი.

ნიკალაის სახლი იქვე, შესახვევიდან ორმოცდათ მეტრში მდებარეობდა. ქუჩის მხარეს, სახლის წინ მდებარე ყვავილნარს ხის მესერი ჰქონდა გავლებული, რომელიც ლურჯად იყო შეღებილი და ყვავილნარში ჩადგმულ თეთრ და ლურჯ ფერებით დამშვენებულ სახლთან ერთგვარ ჰარმონიას ქმნიდა. ნიკალაიმ ხის კარი გააღდა და ნიკა სახლში მიიპატიუა:

- კეთილი იყოს შენი ფეხი, უცნობო, ჩემს სახლში!
- გმადლობ, კარგო კაცო. — გაეღიმა ნიკას და ფეხი ეზოში შედგა.

კაცები ყვავილნარში დაგებულ ქვაფენილს გაუყვნენ
და მალე სახლში შევიდნენ.

— ლენკა! — დაიძახა ნიკალაიმ, — გამოხედე სტუმარს.

მისაღებში ახალგაზრდა ქალი გამოვიდა, ჩვეულებრივი სლავური შესახედაობის მანდილოსანი, ბუნებრივი ქერა თმით, თეთრი ქათქათა სახით და ცისფერი თვალებით. თან პატარა, თავისი მსგავსი, ასე ხუთი წლის გოგონა ახლდა. ქალი ღიმილით შეეგება სტუმარს, ხელი ჩამოართვა და ნაზი ხმით წარმოოთქვა:

— ელენა ნიკალაევნა, შეგიძლიათ ლენკა დამიძახოთ. ეს ჩემი და ნიკალაის ქალიშვილია — ტატიანა-ტანკა. მობრძანდით და თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში, ნიკალაიმ ყველაფერი მომიყვა.

ცოლ-ქმარმა ნიკა მისაღებ ოთახში შეიპატიუეს. მაგიდა, საწოლი, ბალიშები, დივანი, სკამები და საერთოდ, რაც ოთახში იდგა სულ მაქმანებით იყო გაწყობილი. ყველაფერი ირგვლივ ბრნყინავდა და ქათქათებდა ისე, რომ ადამიანი ამ საგნებზე ხელის შეხებისგანაც კი თავს შეიკავებდა, იმ მიზეზით, რომ მათ სილამაზეს ან სისუფთავეს ზიანი არ მივაყენოო.

ნიკამ კედლის საათს შეხედა, უკვე საღამოს ექვსი საათი სრულდებოდა. კედლის კუთხისკენ გაიხედა და თეთრი, ლამაზად ჩამოკიდებული ფარდა შენიშნა.

— ეს რა არის, ნიკალაი? — იკითხა ნიკამ.

— მანდ ხატების კუთხეა. პაპაჩემი და ბებიაჩემი მორწმუნე ხალხი იყვნენ და ერთი პერიოდი, ამის გამო სდევნიდნენ კიდეც. იქიდან, ჩვენს ოჯახს ერთგვარი შიში გამოჰყვა ხელისუფლების მხრიდან რელიგიურო-



ბის აკრძალვასთან დაკავშირებით და ხატებიც, როდე-საც არ ვლოცულობთ, ფარდის უკან გვაქვს დამალული. თუმცა არც ლოცვით არ ვიკლავთ თავს.

— არც მე მახსოვს, ოდესმე თუ ვლოცულობდი. — თქვა ნიკამ და ამოიოხრა.

— არ მიკვირს, — ჩაილაპარაკა ნიკალაიმ და მერე ცოლს მიუბრუნდა, — ლენკა, მოგვხედე რა?

ლენკამ და ნიკალაიმ ნიკას თავისი ოთახი აჩვენეს, მერე კი სასადილო ოთახში მიიპატიჟეს. ლენკას რუ-სული „აკროშე“ მოემზადებინა. ნიკალაიმ ერთი ჭიქა არყით ადლეგრძელა უცნობის შემოსვლა ოჯახში, ნიკას ჩაით სავსე ჭიქას მიუჭახუნა და თქვა:

— ეჰ! დალევა მაინც შეიძლებოდეს შენთვის.

ნიკას გაელიმა ნიკალაის ნათქვამზე და მიუგო:

— კარგი კაცი ხარ შენ, ნიკალაი! დადგება დრო, გა-ვიხსენებ ყველაფერს და ჩემზე იყოს შენი პატივისცემა.

საღამოს ლენკამ ნიკას საშინაო ტანსაცმელი შეუტა-ნა ოთახში და ძილი ნებისა უსურვა.

ნიკა წამოწვა საწოლზე და ფიქრებში ჩაიძირა: „კარგი ოჯახია, როგორი პატივისცემით მეპყრობიან, ჩემი მდგო-მარეობის გამო, როგორ მერიდება, ღმერთო, ამ ხალხის. ვინ ვარ ნეტავი? საიდან გავჩნდი აქ? რადგან ქართულად ვფიქრობ, ქართულად ვაზროვნებ, ქართულად ვსაუბრობ, ალბათ საქართველოდან ვარ!“ — არ ასვენებდა ერთი და იგივე კითხვა ან უკვე უცნობად წოდებულ ნიკას.

ჯერ კიდევ ავადმყოფობისაგან დასუსტებულ ნი-კას მალევე ჩაეძინა. ვინაიდან ბოლო დროს სიზმრების ნახვა დასჩემდა, არც ამ ღამეს ჩაუვლია მის გარეშე.



ტრიალ მინდორზე იდგა ნიკა. შორს მთები ამოიზარდა და ამ მთებიდან შავი ჩრდილები დაიძრნენ მისკენ. ნიკას შეეშინდა, სიშორის გამო ვერ არჩევდა ვინ თუ რა მოჰქონდა. ბოლოს, გამოიკვეთა ცხენოსანი მხედრების კონტურები. ისინი სადღაც მიიჩეაროდნენ, რადგან გზი შეიცვალეს და ნიკას გვერდის ავლით უნდოდათ გზის გაგრძელება. ნიკას ცნობისმოყვარეობამ სძლია და ხმამაღლა დაიყვირა:

— ჰე! ვინ ხართ!? საიდან მოდიხართ ან საით მიდიხართ!?

ცხენოსანთა გუნდს ერთი ახოვანი ვაჟკაცი გამოეყო, ნიკასკენ მიაგდო ცხენი და შესძახა:

— შენ აქ რა გინდა, შვილო!? აქ რას აკეთებ ამ უცხო ქვეყანაში!?

— თქვენ ვინა ხართ!? რატომ არ მეუბნებით!? — იყვირა ნიკამ.

სხვა ცხენოსნებიც შეჩერდნენ, შეატყვეს რა, რომ მათი თანამებრძოლი შეფერხდა ვიღაც უცხოსთან სალაპარაკოდ.

გზაზე მტვრის ბული დადგა, ადამიანთა სახეების გარჩევა ძნელი იყო.

— ჩვენ ინდოეთიდან მოვდივართ, სახლში ვბრუნდებით, მორიგე ჯარი ვართ. ერეკლე მეფესთან მივიჩეარით, რათა ჩვენს მაგივრად ახლა სხვები უნდა გაუშვან შაჰ-ჯანაბადში.

ნიკა შეშფოთდა და ძლიერ ამოთქვა:

— მე... მე... ვინ ვარ?..



ჯერ სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ცხ-ენოსნები უკვე გზის გასაგრძელებლად ცხენებს ყალყზე აყენებდნენ, ერთი მათგანი კი ყვიროდა:

— ჩვენი წინაპარი ნაცვალი იყო მეფისა, გამაგრდი, ბიჭო!.. არ დანებდე... მოგაკითხავენ... მოგაკითხავენ...

ნიკას გამოეღვიძა, როცა გამოფხიზლდა, გვერდით ოთახიდან საათის წიკწიკი შემოესმა. ეს ნიკალაის საა-თის ხმა იყო. ფანჯრისკენ გაიხედა. უკვე ცა გაწითლე-ბულიყო. მალე გათენდებოდა.

ნიკას ალარ დაეძინა, ადგა, ჩაიცვა და სახლის ეზო-ში გამოვიდა სუფთა ჰაერზე. ბუნება უკვე იღვიძებდა. ზაფხულის სიცხე საამო სიგრილეს ჩაენაცვლებინა, მახ-ლობელი მდინარის ჭალიდან ჩიტების ჭიკიკი და წყლის საამო დუდუნი ერთმანეთთან ისეთ არაამქვეყნიურ პო-ლიფონიას ქმნიდნენ, რომ ეს ჰანგები თვით მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსებს და კომპოზიტორებს შეშურდ-ებოდათ. ყვავილები ნელ-ნელა წელში იმართებოდნენ, ელოდებოდნენ ქვეყნიერების მნათობთა მეფეთ-მეფე მზის, ამქვეყნიური სამების სითბოსა და წყვდიადის და-მანგრეველ სხივებს, რათა უფრო ლამაზნი და მომხიბვ-ლელი შეხვედროდნენ ღმერთის მიერ თავის მსგავსად და ხატად მოვლინებულ ქმნილებას — ადამიანს. მიწაც ამობურცულიყო. ეტყობოდა სავსე მთვარეობის პერი-ოდი დამდგარიყო და დედამინას მთელი სიკეთე თავისი გულიდან ზედაპირისკენ წამოედო, რათა გაენაყოფიერ-ებინა ყველაფერი, რაც ღმერთმა უბოძა ადამიანს თავის გაძლიერებისა და დღეგრძელობისათვის.

სახლიდან ნიკალაი გამოვიდა. ერთი კარგად გაიზმო-
რა და მისკენ ზურგით მდგარ ნიკას შეეხმიანა:

- რა ადრე ამდგარხარ! გამარჯობა! არ დაგეძინა ალბათ!
- არა, მეძინა, — უპასუხა ნიკამ, — მაგრამ უცნაური
სიზმარი ვნახე და ადრე გამეღვიძა. გადავწყვიტე ავმდ-
გარიყავი და ჰაერზე გამოვსულიყავი.
- რა ნახე ამისთანა? — უთხრა ჯერ კიდევ ნახევრად-
მძინარე ნიკალაიმ, — მაინტერესებს ჩემს სახლში პირვე-
ლად რა სიზმარი ნახე?

ნიკამ გაიარ-გამოიარა ყვავილნარის ბილიკზე და
დაფიქრებულმა დაიწყო:

- ცოტა ბუნდოვანი ამბავი იყო საქართველოს ისტო-
რიიდან. ქართველ ცხენოსნებს გადავეყარე და დავრწ-
მუნდი, რომ მგონი საქართველოში უნდა იყოს ჩემი სახლი.
- ჰოდა, ძალიან კარგი, — თქვა ნიკალაიმ, — მილი-
ციას საქართველოშიც აქვს გაგზავნილი შენი სურათი
და როგორც კი დასტური მოვა გაგვზავნიან სახლში.

— ეგ მეც მითხრეს ჯერ კიდევ ვორონეჟში, — ხელი
ჩაიქნია ნიკამ, — მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ისმის.

ნიკალაის გაეცინა და ლიმილით უთხრა თავის უცნობ
სტუმარს:

— რა გიკვირს? არ იცი ჩვენი ორგანოების მუშაობის
პრინციპი? ერთი დღის საქმეს ათი დღე უნდებიან და
მერე წუნუნებენ, გეგმებს და ვალდებულებებს ვერ ვას-
რულებთო.

— არ ვიცი, ეგენი ალარ მახსოვს, — დანანებით თქვა
ნიკამ.



— ერთ ანეკდოტს მოგიყვები და ყველაფერს მიხვდები. — გაეცინა ნიკალაის.

— აბა, გისმენ! — ყურადღება დაძაბა ნიკამ.

ნიკალაიმ ხელები მოიფშვნიტა და დაიწყო:

— მოკლედ, მოკვდა ჩვენი ბრეუნევი, საბჭოთა კავშირის უფროსი და სამოთხისა და ჯოჯოხეთის გზაგა-საყარზე მის სულს არსთა გამრიგე დახვდა და უთხრა: „გადაწყვეტილია, რომ შენი საქციელების გამო ჯოჯოხეთში უნდა წახვიდე. ნაცნობობით ერთ შეღავათს გაგიკეთებ, აირჩიე საით წახვალ? კომუნისტურ ჯოჯოხეთში თუ კაპიტალისტურში. ბრეუნევის სული დაფიქრდა: „ეს კომუნისტური კი ვნახე და ვიცი, რა ნაგავიც არის და მოდი კაპიტალისტურში წავალ, იქ მეტი თავისუფლება და დემოკრატია და ცოტა დავისვენებ მაინცო“. არსთა გამრიგემ უთხრა: „შენი ნებაა, მე არჩევანის საშუალება მოგეციო“ და გაუშვა. კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში როგორც შევიდა, ეგრევე ადუღებული კუპრის ქვაბში უკრეს თავი. „ვაიმე, დედაო!“ — იყვირა და კუპრიდან ხრუშჩოვმა ამოყო თავი, ისიც ჩვენი უფროსი იყო ადრე და ჰკითხა: „შენც აქ მოხვედი, ლეონიდ ილიჩო?“ ბრეუნევმა უპასუხა: „აბა, სად წავიდოდი, მეგონა აქ შეღავათი მექნებოდა და მგონი შევცდი“. ხრუშჩოვმა უთხრა: „იქ რა სულელიც იყავი, აქაც ის დარჩიო, მაგრამ მეც რომ ეგ შეცდომა დავუშვიო“. ბრეუნევი დაიბნა: „ბოლო-ბოლო ამიხსენი, რა ხდებაო!“, „რა ხდება და,“ — უთხრა ხრუშჩოვმა, — „აქ, კაპიტალისტურში საათივით აქვთ საქმე აწყობილი, შეშაც თავის დროზე მოდის, კუპრიც და ეშმაკებიც არ აგვიანებენ სამსახურშიო და



დღეში ასჯერ მაინც ჩაგვყრიან კუპრში და გვხარშავენო. კომუნისტურში კი — ხან შეშას უგვიანებენ, როგორც ზევით, ჩვენ დროს ხდებოდაო, ხან კუპრს, ეშმაკებიც ხან დადიან სამსახურში და ხან არაო და ასე არიან სულები მიყრილები უპატრონოდ წამონოლილები და თურმენებივრობენ თავისთვის, ჰა-ჰა თვეში ერთხელ მოუწიოთ კუპრში ბანაობაო!“

ნიკალაიმ და ნიკამ კარგად იცინეს დილაადრიან, ისე, რომ მათ ხმაურზე ლენკასაც გაეღვიძა და საუზმის სამზადისა შეუდგა.

მალე კაცები საუზმეს მიუსხდნენ სამზარეულოში, მათ ახლადგაღვიძებული ტანკაც შეუერთდათ. საუბარი ისევ ნიკალაიმ დაიწყო:

— გუშინ მე და ლენკა ვლაპარაკობდით, ცოტა კი გვერიდება, მაგრამ გადავწყვიტეთ გვეთქვა შენთვის.

— გისმენ, ნიკალაი, — უთხრა ნიკამ, — მზად ვარ, რაც შემიძლია გავაკეთებ.

— ახლა ჩვენ, — დაიწყო ისევ მორიდებით ოჯახის უფროსმა, — არც მილიციაში ვართ და არც საავადმყოფოში, მათსავით უცნობს ხომ არ დაგიძახებთ, თან ტანკამაც გვკითხა წუხელ — „ძიას რა ჰქვიაო?“ იქნებ შენ მაინც შეარჩიო შენთვის დროებითი სახელი, სანამ ნამდვილს გავიგებთ? თან, როგორც თქვი საქართველოდან ყოფილხარ და რომელიმე ქართული სახელი გვითხარი და იმას დაგიძახებთ.

ნიკას გაეცინა, მხრები აიჩეჩა და თქვა:

— არ ვიცი, თქვენთვის მომინდვია ეგ საქმე, სახელი მე როგორ დავირქვა.



— მაშინ ჩვენ დაგარქმევთ, — დაიძახა ლენკამ, რო-
მელიც გაზქურასთან იდგა და მამაკაცებისთვის ერ-
ბოკვერცხს წვავდა.

— აბა, შენ იცი! — გაამხნევა ნიკალაიმ და თან ნიკას
შეხედა. ნიკამაც თავი დაიქნია.

— მამაჩემსაც და ნიკალაის მამასაც ძალიან უყ-
ვარდათ ჩვენი ბელადი სტალინი და ფრონტზეც მისი
სახელით იბრძოდნენ, — თქვა ლენკამ და მამაკაცებს
გადახედა, — ამიტომ იოსები რომ დაგარქვათ, ნინააღმ-
დეგი ხომ არ იქნები?

— არ ვიქნები, — მორჩილად წარმოთქვა ნიკამ, — და
ახალი ნათლიაც მეყოლება.

ტანკა წამოხტა სკამიდან, მაგიდას წრე შემოუარა და
ხმამაღლა დაიწყო ყვირილი:

— ძია იოსებ!.. ძია იოსებ!.. ძია იოსებ!..

ყველანი გამხიარულდნენ და ჩაით სავსე ჭიქების მი-
ჭახუნებით აღნიშნეს ნიკას ახალი ნათლობა.

— მაგარი ხალხი ხართ! — თქვა გამხიარულებულმა
ნიკა-იოსებმა, — ძალიან შემიყვარდით!

ნიკალაიმ მადლობა გადაუხადა დიასახლისს საუზ-
მისთვის და თან დააყოლა:

— წავედი ახლა მე სამსახურში, ხომ არ გამოისეირნებ-
დი, იოსებ, გაჩვენებდი სად ვმუშაობ?

— რატომაც არა, — თქვა ნიკამ, — რას ვაკეთებ სხვას.

ნიკალაი და ახლად მონათლული ნიკა-იოსები ნე-
ლა-ნელა გაუდგნენ სადგურისკენ გზას.

მეორე დღეს, დილით, მალხაზი და გოგი მონამეთაში ავიდნენ. მათ თვალწინ მთელი თავისი დიდებით გადაიშალა მთის დავაკებულ ადგილზე გაშენებული, გალავან-შემორტყმული მონასტერი, რომელიც ამაყად გადაჰყურებდა მის დაბლა მდებარე წყალწითელას ხეობას.

ადრეულ საუკუნეებში აქ, ციხე-ქალაქ წყალწითელში, ხარების ეკლესია ყოფილა აშენებული, რომელიც მტრის შემოსევების დროს დანგრეულა, ხოლო მონამეობრივად აღსრულებული არგვეთის მთავრები, დავით და კონ-სტანტინე დანგრეული ეკლესიის კრიპტაში დაუკრძალავთ. შემდგომ საუკუნეებში, სავარაუდოდ, მეფე ბაგრატ მეოთხემ აქ მონასტერი ააგო და მის ეკლესიაში წმიდა მონამეთა საფლავი მოაწყო.

მალხაზი და გოგი შეჰყურებდნენ ქართული ხელოვნების ამ უკვდავ ქმნილებას და ტკბებოდნენ მისი სილამაზით. მალხაზმა, რომელიც მორცხვად იდგა მუხ-ის ძირას, გოგის გადაულაპარაკა:

- უსინდისო კაცი ვარ, გოგი.
- რატომ ამბობ ამას? — გაოცდა გოგი.
- ამხელა კაცი ვარ და პირველად ამოვედი აქ, — თქვა მალხაზმა, — ასეთი სილამაზე გვქონია ახლოში და...არ ვიცოდი. მე ქართველი მქვია ამის შემდეგ?

გოგის გაეცინა და მიუგო მალხაზს:

- სილამაზე და გაოცება ჯერ კიდევ წინ გელის, ჩემო მალხაზ. ასე რომ, მოიკრიბე გონება და გამომყევი მე.



ძმაკაცები გადავიდნენ ლიანდაგზე და ნელ-ნელა გაუყვნენ მონასტრისკენ მიმავალ ბილიკს.

როდესაც მონასტრის შესასვლელს მიუახლოვდნენ, მალხაზმა გოგი შეაჩერა და უთხრა:

— გოგი, მე ეკლესიაში ქცევის წესები არ ვიცი, შენ გა-
მოგყვები და რასაც შენ გააკეთებ, მეც იმას გავიმეორებ.

— კი, ძმა, რაზეა ლაპარაკი. — მიუგო გოგიმ და
მონასტრის შესასვლელში შევიდა. მალხაზი ცხვარივით
გაჰყვა უკან.

ტაძართან ვიწრო ბილიკი იწყებოდა, რომლის მარცხ-
ნივ ეკლესიაში შესასვლელი კარი იყო, ხოლო ბილიკი
ეზოში გადიოდა, სადაც სასულიერო პირების სენაკები
და სატრაპეზო მდებარეობდა.

გოგი და მალხაზი ტაძარში შევიდნენ. ირგვლივ
საკმეველის საამო სურნელი იდგა. როგორც ჩანს, ღვ-
თის მსახურება ახალი დამთავრებული იყო. გოგი მივი-
და ანალოდიასთან, დიდი მეტანია შეასრულა, პირჯვარი
გადაიწერა, ანალოდიაზე დაბრძანებულ წმიდა დავით და
კონსტანტინეს ხატს ემთხვია, შემდეგ საკურთხევლის
მარჯვენა მხარეს დაბრძანებულ მონამეთა დავით და
კონსტანტინეს წმიდა ნაწილები მოილოცა და მესანთ-
ლის მაგიდისკენ გაეშურა. მალხაზი იმეორებდა ყვე-
ლაფერს, რასაც კი გოგი აკეთებდა. ძმაკაცებმა დაანთეს
სანთლები და მონასტრის ეზოსკენ გაეშურნენ. ეზოდან
ბავშვის სასონარკვეთილი, ერთმანეთში არეული ტირი-
ლის და კივილის ხმა ისმოდა. გოგი და მალხაზი როგორც
კი შევიდნენ ეზოში, დაინახეს, რომ ათი-თორმეტი წლის
გოგონა, რომელიც უკანასკნელ ხმაზე კიოდა, ახალგაზ-



რდა ქალს, რომელსაც ხელი ჰქონდა გოგონაზე მაგრად ჩაკიდებული, მუჯლუგუნებით იშორებდა. ხმაურზე სენაკიდან მღვდელი გამოვიდა. ახალგაზრდა ქალმა, რომორც კი დაინახა მამაო, შეჰდალადა:

— მიშველე, მამა გიორგი! ვეღარ ვაკავებ, ძლივს მოვიყვანე აქამდე!

თავისი სენაკის კართან მდგომმა მამა გიორგიმ ბავშვისკენ მიმართა მზერა. მალხაზმა მაშინვე შეამჩნია, რომ ეს ჩვეულებრივი გამოხედვა არ იყო. მამა გიორგის თვალებიდან რაღაც განსაკუთრებული სითბო იღვრებოდა, ერთი შეხედვით მკაცრი, მაგრამ ზეალმატებული ძალით გაჯერებული. გოგონამ როგორც კი შეხედა მამაოს, მაშინვე გაჩერდა და მის სახეს ბედნიერმა ღიმილმა გადაურბინა.

დაახლოებით თხუთმეტი წუთი იყო ბავშვი მამა გიორგის სენაკში და იქ მხოლოდ სიწყნარე სუფევდა. როგორც კი გოგონა გამოვიდა სენაკიდან და კიბის ბოლო საფეხური ჩამოიარა, ისევ გაუთავებელი კივილი დაიწყო. როგორც ჩანს ბოროტი გარეთ ელოდებოდა, რადგან ღვთიური მადლის გამო სენაკში ვერ შედიოდა.

გოგი და მალხაზი შევიდნენ სენაკში, მორიდებით მიესალმნენ მამა გიორგის, გოგი წარსდგა წინ და მამაოს მონინებით მიმართა:

— დაგვლოცე, მამაო.
— რატომ უნდა დაგლოცო!? — უთხრა მამა გიორგიმ,
— გეკუთვნის დალოცვა თუ რავაა შენი საქმე!? დალოცვა მაშინ უნდა მეითხოვო, თუ თვლი, რომ ხარ მისი ღირსი, თვარა მე კი არ ვილოცები, არამედ უფალი გლოცავს



და თავი ფრთხილად უნდა გეჭიროს! ღმერთმა დაგლო-
ცოთ! არ ჩანხართ ცუდი ხალხი. — გაელიმა მამა გიორ-
გის და გოგის და მალხაზს ჯვარი გადასახა. მერე გოგის
მიუბრუნდა და ჰკითხა:

- რავა ხარ, გოგი? ტაქსაობ ისევ?
- რა ვქნა, მამაო, საჭის ტრიალის მეტი არაფერი
ვიცი და ამით ვშოულობ პურის ფულს.
- არც ერთი წესიერი შრომა არ არის სათაკილო,
ყველა ღმერთის მიერ არის ნაკურთხი, — თქვა მამაომ,
გახედა კუთხეში მდგარ მალხაზს და იკითხა, — რაშია
საქმე? რა გაგჭირვებიათ? აქ დალხენილი კაცი იშვია-
თად თუ გამეოვლის, ისიც დაათვალიერებს აქოურობას
და მალევე გარბის.

გოგიმ მალხაზისკენ გაიხედა და დალონებულმა წარ-
მოთქვა:

- მეგობარი მყავს ცუდ დღეში და თქვენ თუ გვიშ-
ველით, მამაო, სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს.

მამა გიორგიმ შეხედა მალხაზს, კარგად დააკვირდა
და მერე გაოცებულმა ჰკითხა:

- სადოური კაცი ხარ შენ?
- მთისელი ვარ, მამაო, მალხაზ საყვარელიძე.
- შენ ალბათ მართლა ძალიან გიჭირს, მეორედ რომ
მოხვედი ჩემთან? — იკითხა გაოცებულმა მამა გიორგიმ.

მალხაზმა ჯერ გოგის შეხედა, მერე მამაოს, თუმცა
დაბნეულობისაგან თვალი ვერ გაუსწორა მღვდელს და
გაოგნებულმა ძლივს წარმოთქვა:

- არა, მამაო, მე მონამეთაშიც პირველად ვარ და
თქვენთანაც.



— რავა!? — გაიკვირვა მამაომ, — გუშინ არ იყავი აქანე? იმ ბიჭებს რომ მოყევი, სამნი რომ იყვნენ!?

მალხაზი სულ დაიბნა. არ ელოდა ასეთ შეხვედრას, მით უმეტეს ასეთ კითხვებს. ალარ იცოდა რა ეპასუხა და ისევ გოგისკენ გაიხედა, თითქოს ეუბნებოდა — „რამე მიშველეო“. გოგი უხერხულად შეიშმუშნა და მამაოს ღი-მილით მიმართა:

— ნამდვილად პირველად არის, მამაო, მონამეთა-ში და თქვენც პირველად გნახათ. მე ვესაუბრე გუშინ თქვენს შესახებ.

მამა გიორგი დაფიქრდა, მერე იესო ქრისტეს ხატს შეხედა, პირველად გადაიწერა და თქვა:

— გუშინ ოთხი კაცი ამევიდა ქუთაისიდან, ერთ-ერთი ეს იყო. რაცხა საქმე ჰქონდათ. ამის გარდა ყველა ლაპა-რაკობდა. ეს, აგერ კუთხეში იჯდა დაღვრემილი და ხმა არ ამოუღია. მერე რომ გევიდნენ, ეს იმათ კი მისდევდა, მაგრამ განმარტოებით მიდიოდა. ბიჯო! კი იქცეოდა რაცხა უცნაურად.

სენაკში მცირე ხნით სიჩუმემ დაისადგურა. მამა გი-ორგი უფლის ხატს უყურებდა და მერე ისევ განაგრძო:

— ესე იგი, რაღაც სერიოზული გჭირს, რადგან შენი ანგელოზი მევიდა გუშინ. მომიყევი, აბა, რაშია საქმე.

მალხაზი დაწვრილებით მოუყვა მამა გიორგის, რაც გადახდა მის ოჯახს, თავის ეჭვები და ვარაუდებიც გა-მოთქვა.

— ვიცი მე ეგ ბიჭები, — გაეღიმა მამა გიორგის, — როგორც იტყვიან, ფულის და გავლენების მოპოვების მიზნით, ყველაფერზე აწერენ ხელს. მეც მომიგზავნეს



ხალხი ჩამნერით. რაც მოუვიდათ, აგერ კითხეთ ანიჩქას, ჩვენს მესანთლეს, მოგიყვებათ.

მალხაზი ყურადღებით უსმენდა მამა გიორგის, დაბ-ნეული, თითქოს უწონადობას გრძნობდა, თითქოს სხ-ეულიდან გამოდიოდა და სადღაც მიდიოდა. როგორც იქნა მოიკრიბა ძალ-ლონე და ჰკითხა მამაოს:

— მამა გიორგი, მეშველება რამე? დამეხმარე, გადამირჩინე ოჯახი და მე ვიცი და ჩემმა კაცობამ...

— მე რა შემიძლია, — თქვა მამა გიორგიმ და ხელები გაშალა, — ყოვლის შემძლე უფალია ჩვენი იესო ქრისტე, — გადაიწერა მამაომ პირჯვარი და განაგრძო საუბარი, — ჩამანერინე შენი სახელი და შენი ოჯახის წევრები-საც. მე ვილოცებ თქვენთვის უფლის წინაშე, წევიკითხავ პარაკლისს, შენ კი ეცადე ჩემთან კავშირი არ გაწყვი-ტო. ნუ გეშინია, ღმერთი მართალ კაცს არ განირავს, ბოროტს კი ისე დასჯის, რომ სიკეთისკენ შემობრუნების სამუდამო სურვილი გაუჩნდეს.

მამაომ კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი, მერე მალხაზს შეხედა და ჰკითხა:

— ხატი თუ გაქვს სახლში? ან სანთელს თუ ანთებთ ოჯახში რომელიმე თქვენგანი?

მალხაზმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და სახეზე წამოწითლდა.

მამა გიორგი სენაკის მეორე ოთახში გავიდა და იქიდან ღვთისმშობლის ხატით ხელდამშვენებული დაბრუნდა. ეამბორა ხატს, მალხაზს გადასცა და უთხრა:

— ეს ღვთისმშობლის ხატია, „მსნრაფლშემსენე-ლი“ ჰქვია. თუ გულით ილოცებ ამ ხატის წინაშე, დედა



ღვთისა დახმარების ხელს გამოგიწვდის. ახალგაზრდები ხართ, ქართველები და აუცილებელია უფალთან ახლოს იყოთ. ერთ ამბავს მოგიყვებით ახლა. ერთხელ, ჩვენმა სახელმარკანტმა მეფემ დავით აღმაშენებელმა თავად აბაშიძეებს დაავალა სუფრა გაემზადებინათ, ჭამადი ყოფილიყო მრავალი, მხოლოდ მარილი არ ჩაედგათ სუფრაზე. აბაშიძეები დიდგვაროვნები იყვნენ და არ ეშლებოდათ სუფრის გაშლა, ჭამადიც მრავლად იყო და მეფის სიტყვისამებრ მარილიც არ მიიტანეს სუფრაზე. სადილის შემდეგ დავით მეფემ ჰკითხა სუფრის წევრებს:

„როგორ მოგეწონათ ჭამადი?“

ერთმა დიდებულმა უპასუხა:

„ყველაფერი კარგი იყო, მეფეო, მხოლოდ ჭამადს მარილი რომ ჰქონოდა უკეთესი იქნებოდაო.“

მეფეს თურმე გაეღიმა და თქვა:

„ასეთი ხალხი ვართ ქართველები, კარგები ვართ, მაგრამ მარილი გვაკლია. ეს მარილი კი ჩვენი სარწმუნოება — მართლმადიდებლობაა“, — ასე რომ, ბიძია, ლოცვას დიდი ძალა აქვს. ქართველობა არაა ადვილი საქმე. ჩვენ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ღმერთისგან. ღვთისმშობლის წილხვედრ მინაზე ვცხოვრობთ და ისე უნდა მევიქცეთ, რავარც უფლისთვისაა სათნო. დედა ღვთისა, მიწიერი ცხოვრების განმავლობაში არ იყო ნამყოფი მის წილხვედრ ივერიაში. როდესაც წამოსვლა დააპირა, უფალმა იესო ქრისტემ არ გამოუშვა, რადგან მისი სული ზეცად უნდა აეყვანა. დედამ ჰკითხა შვილს:

„მაშ რა ვუყო ჩემს წილხვედრ ივერიასო?“

უფალმა ასეთი პასუხი გასცა:



„არ გავწირო ერი ესე საზეპურო უკანასკნელ უამამ-დისო“.

— ხოლო ივერიაში ანდრია პირველწოდებული გა-მოაგზავნეს, — თქვა მამაომ, კიდევ ერთხელ გადაინ-ერა პირჯვარი და განაგრძო, — დღეს წუთისოფლის მთავარი სატანაა, ამიტომ ჩვენში სიმართლის თქმა და მართლმადიდებლობის ალიარება ძნელია, მაგრამ ღვ-თიური კანონებიდან გამომდინარე — აუცილებელი, ამიტომ ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი. ასე რომ, ვილოცოთ უფლისა მიმართ და ყველაფერი კარგად იქნება.

მალხაზმა მადლობა გადაუხადა მამა გიორგის და წას-ასვლელად სენაკის კარისკენ შეტრიალდა. მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, ჯიბეში ჩაიყო ხელი და როგორც კი მამაოსკენ შემობრუნება დააპირა მამა გიორგის მკაცრი ხმა შემოესმა:

— არ ქნა მაგ საქმე! თუ ფულის დახარჯვა გინდა, შედი აგერ ტაძარში, ანიჩქასგან იყიდე ორი კელაპტარი, ერთი შენი ოჯახის სახელზე დაანთე, მეორე კი — შენი მტრების.

გოგი და მალხაზი შევიდნენ ტაძარში, მალხაზი მივი-და მესანთლესთან და სთხოვა:

— ქალბატონო ანიჩქა, მამა გიორგიმ თქვენთან გამო-მაგზავნა და გთხოვთ, ორი კელაპტარი მომყიდოთ.

მესანთლეს გაელიმა:

— არ მქვია მე ანიჩქა, ელენე ვარ და მაინც ანიჩქას მეძახის, რა ვუყო? რა გავაკეთო?



მიაწოდა მალხაზს კელაპტრები და თან დააყოლა:

— თქვენთან ბოდიში, თქვენ არაფერ შუაში ხართ, თვითონ არის უცნაური მოძღვარი. მიუხედავად ამისა, დიდი მადლის მატარებელია და ყველას უანგაროდ ეხ-მარება.

გოგის და მალხაზს გაელიმათ, დაანთეს სანთლები, ოჯახებისთვისაც წამოიღეს და მდუმარედ გაუყვნენ მონასტრიდან გამომავალ ბილიკს. ლიანდაგზე რომ გა-დავიდნენ, მალხაზმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მგონი ახლა დავეშვი მიწაზე... სად ვიყავი არ ვიცი...

გოგის გაელიმა, მეგობარს ხელი გადახვია და უთხრა:

— ჯერ სად ხარ, მახო, ანი დეინახავ რაებს დაატრი-ალებს მამა გიორგი.

14

ნიკალაი და ნიკა რკინიგზის სადგურის საამქროში შევიდნენ. ობიექტი დიდი არ იყო, თუმცა საკმაოდ ბევ-რი ადამიანი ფუსფუსებდა შიგნით. ნიკალაიმ გააცნო თანამშრომლებს ნიკა, თუმცა დაუსწრებლად ყველამ იცოდა, ვინ იყო გაურკვეველი წარმოშობის კავკასიელი, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში „უცნობად“ იცნობდნენ. ნიკალაიმ ყველას გასაგონად ხმამაღლა წარმოთქვა:

— იცნობდეთ, იოსებ ქართველი! ჩვენი დასახლების სტუმარი!

— აკი სახელი არა აქვსო! — დაიძახა ვიღაც ქერათ-მიანმა ახალგაზრდამ საამქროს შორეული კუთხიდან, რომელიც თან დაზგის სახელურს ატრიალებდა.



— ჩვენ დავარქვით დროებითი სახელი, სანამ ნამდვილს გავიგებთ! — არ ცხრებოდა ნიკალაი, — აბა, უცნობს ხომ არ დავუძახებთ!?

— ნათლია შენ და ლენკა იყავით, თუ ტანკა? — იცი-ნოდნენ თანამშრომლები.

— ყველა ერთად! — უპასუხა ნიკალაიმ, — ასე რომ, იცნობდეთ იოსებს.

ნიკალაიმ ნიკას გაცნობით ყველას აგრძნობინა, რომ ეს ადამიანი დღეიდან იცხოვრებდა კამენკაში და ყველას სცოდნოდა მის შესახებ, რადგან ვინ იცის, როდის დასჭირდებოდა ადამიანების დახმარება. სადგურის დასახლება კი პატარა სოფელი იყო და ეს ინფორმაცია დღეს საღამოს ყველა ოჯახს ეცოდინებოდა.

ნიკამ რამდენიმე საათი დაჲყო რკინიგზის საამქროში, დაათვალიერა, მერე ნიკალაის დაემშვიდობა და სახლში წავიდა.

ნიკამ არ იცოდა, რა გაეკეთებინა. გონება ამღვრეული ჰქონდა. მისი ფიქრები მხოლოდ ერთ კითხვას დასტრიიალებდა — ვინ იყო და აქ როგორ მოხვდა? ფიქრებში გართულმა თითქმის მთელი დასახლება შემოიარა. ბოლოს, დაღლილობა იგრძნო და ნიკალაის სახლისკენ გასწია. ლენკამ სადილი შესთავაზა, მაგრამ ნიკამ დასვენება არჩია.

— დიდი მადლობა, ლენკა, ნამდვილად არ მშია. სჯობს დავისვენო. რაიმე უურნალები თუ გაქვს, გადავათვალიერებდი.

— უურნალებს გაგვიჩერებს ტანკა!? — თქვა ლენკამ — სულ ფურცლებად შლის და თვითმფრინავებს

აკეთებს, თან ამბობს მფრინავი უნდა გამოვიდეო. ქალი და მფრინავი? სტიუარდესა მაინც თქვას.

— რას იზამ, ბავშვია. — გაელიმა ნიკას და იქვე ხის ძირას მდგარ ბალის სკამზე ჩამოჯდა.

ლენკა სახლში შევიდა და მალევე გამოვიდა გარეთ. ხელში ორი დიდი ალბომი ეჭირა. შორიდანვე ჩანდა, რომ ალბომებში ბევრი ფოტოსურათი იყო ჩაწყობილი, რადგან ლენკას ხელებს მისი სიმძიმე აშკარად ეტყობოდა.

— ეს ჩვენი ოჯახის ალბომებია, — თქვა ლენკამ, — ბევრ საინტერესო ფოტოს ნახავ მანდ. მერე ალბათ მოგ-შივა კიდეც და ჩემს გაკეთებულ შისი მოგართევ. ასე რომ, არ მოიწყიო.

— გმადლობ, ლენკა, — თქვა დიასახლისის ყურადღე-ბით მოხიბლულმა ნიკამ, — ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი. ამ პატივისცემას არ დაგიკარგავთ.

ლენკა, მადლობის გამოსახატავად, შორიდან ხელის მოძრაობით მიესალმა ნიკას და სახლში შევიდა.

ნიკამ ალბომებს დახედა, მერე ერთი მათგანი გა-მოარჩია და ნელ-ნელა დაინყო მისი გადაფურცვლა. ძე-ლი, გაყვითლებული ფოტოები შემოსცქეროდნენ ნიკას ალბომიდან. სამხედრო ფორმიანი კაცები და თავსაფრი-ანი ქალები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. „რა საოცარი ჩაცმულობა და გამოხედვა აქვთ“, — ფიქრობდა ნიკა, — „ესენი, ალბათ, უკვე კარგა ხნის გარდაცვლილები არი-ან, რა არის ეს ცხოვრება? ფოტოებში როგორი ახალგაზ-რდები არიან!“

ნიკა ფურცლავდა ალბომს და თან ნელ-ნელა ძილი ერეოდა. უცებ, ერთ-ერთი ფოტოს დანახვისას, შეკრთა



და სკამიდან წამოიწია. ფოტოს შეხედვისას მისი გონება რაღაც უცნაურმა გაელვებამ მოიცვა. სურათზე გამოსახული ახალგაზრდა ქალბატონი თითქოს სადღაც ჰყავდა ნანახი და ვერ იხსენებდა, ან როგორ გაიხსენებდა, როდესაც ამნეზია სჭირდა. არადა, გულისხმა ჰყარნახობდა, რომ ის მისი ძალიან ახლობელი ადამიანი გახლდათ.

— ლენკა! — დაიძახა ნიკამ ისე, რომ ფოტოსთვის თვალი არ მოუცილებია, — სად ხარ?

ლენკა მალევე გამოვიდა სახლიდან, ხელში თეფში ეჭირა და ჭურჭლის საწმენდი ტილოთი ამშრალებდა. შეხედა ნიკას და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— რა არის, იოსებ? რა ხდება? ცუდად ხომ არ ხარ?

— არა, კარგად ვარ, — უპასუხა ნიკამ და თან ფოტო დაანახა, — ეს ახალგაზრდა ქალი ვინ არის, ხომ არ იცი?

ლენკა ახლოს მივიდა, დააკვირდა ფოტოს, მერე გაეღიმა და უთხრა ნიკას:

— ლამაზია ხომ?

— კი, ძალიან, — უპასუხა ნიკამ და თან დააყოლა, — თქვენი ახლობელია? ვიღაცას მაგონებს და არ ვიცი ვის.

— მე, როგორც ვიცი, — თეფშიანი ხელი შუბლზე მიიღო ლენკამ, თვალები ზევით აღაპყრო და არადამაჯერებლად წარმოთქვა, — ეგ ნიკალაის ბებიის და ქსიუშაა, როგორც ვიცი ქართველს გაჰყვა ცოლად და საქართველოში წავიდნენ. ნიკალაიმ იცის კარგად მაგათი ისტორია, საღამოს რომ მოვა, ჰკითხე და მოგიყვება.

— კარგი, ასე ვიზამ, — თქვა ნიკამ, — შენ კი ბოდიშს მოგიხდი, საოჯახო საქმეებს რომ მოგწყვიტე.



— კარგი ერთი. — გაეცინა ლენკას და სახლში შებრუნდა.

ნიკამ ქსიუშას კიდევ რამდენიმე ფოტო იპოვა. ნიკალაის მოსვლამდე ათვალიერებდა, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, სად ჰყავდა ეს ლამაზი ქალი ნანახი.

საღამოს, როგორც იქნა, ნიკალაიც მოვიდა სამსახურიდან. ნიკამ აცალა, რომ ევახშმა და მერე მიაკითხა. ფოტოები მაგიდაზე დაულაგა და ჰკითხა:

— ნიკალაი, ეს ქალი შენი ახლობელია?
— კი. ჩემი ბებიის და, ოქსანაა. — უპასუხა ნიკალაიმ,
— ისე ქსენიას ვეძახდით, თვითონ მოისურვა ასე. ნეტარი ქსენია პეტერბურგელის ხსენების დღეს, 6 თებერვალს იყო დაბადებული და სულ იმას ამბობდა თურმე, რომ ჩემი მფარველი ანგელოზის სახელით მომმართეთო. თან თვითონაც პეტერბურგში იყო დაბადებული. შენ რაში გაინტერესებს ბებიაჩემი?

— ეს სახე საიდანლაც მახსოვს და ვერ მოვდივარ აზრზე საიდან?

— წარსული აღარ გახსოვს და საიდან გაიხსენებ? — მიუგო ნიკალაიმ.

— თუ პეტერბურგელი იყო, აქ როგორ ცხოვრობდა?
— გაუკვირდა ნიკას.

— პირველი მსოფლიო ომის დროს, ლენინგრადელი ლტოლვილები, დროებით, აქვე ახლოს მდებარე ლტოლვილთა დასახლებაში მოათავსეს, მერე უკან აღარ წასულან და კამენკაში დასახლდნენ, — უპასუხა ნიკალაიმ და თითქოს რაღაც გაახსენდაო, განაგრძო, — სხვათა შორის, ქართველ ჯარისკაცს გაუცვნია ლტოლვილთა დასახლე-



ბაში, მოუყვანია ცოლად და საქართველოში წაუყვანია. მას შემდეგ მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის, მხოლოდ ფოტოები შემოგვრჩა ოჯახური ალბომიდან.

ნიკამ თავზე დაიდო ორივე ხელის გული და სასო-ნარკვეთილმა დაიძახა:

— ყველა გზა საქართველოსკენ მიდის!.. ნეტავ ვინ ვარ!.. საიდან ვარ!..

— კარგი, იოსებ, — ნიკას დაწყნარებას შეეცადა ნიკალაი, — მალე ყველაფერი გაირკვევა, მოითმინე. გული მიგრძნობს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. აი, ნახავ.

ნიკა დიდხანს იჯდა სკამზე, ხელებით მაგიდაზე იყო დაყრდნობილი და იატაკს დაჰყურებდა. ბოლოს, ასწია თავი, სახეზე ერთიანად განითლებულმა ნიკალაის მია-პყრო მზერა და ჰკითხა:

— შენ ქსენია ახსენე, პეტერბურგელი, ვინ იყო ეგ ქალი?

ნიკალაი ადგა, ხატების კუთხეზე გადაფარებული ფარ-და გასწია, ნიკას ერთ-ერთ ხატზე მიუთითა და უთხრა:

— აი, ეს არის ქსენია პეტერბურგელი, უფრო სწორედ ნეტარი ქსენია პეტერბურგელი. ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე, რომ სულ ამ ხატის წინაშე ლოცულობდა ქსიუშა.

— ეტყობა ძალიან ძლიერი წმინდანია, ასე რომ უყ-ვარდა. — შენიშნა ნიკამ.

— კი. რაღაც-რაღაცეები მაგის შესახებ მეც ვიცი, მაგრამ დღეს ხომ იცი რა დროა, ათეიზმი ჰყვავის ქვეყ-ანაში და ვის რად უნდა შენი რელიგია და შენი ქსენია პე-ტერბურგელი, არადა, საჭიროა და აუცილებელიც.

ნიკალაი მცირე ხნით ჩაფიქრდა და განაგრძო:

— ნეტარი ქსენია მეთვრამეტე საუკუნეში ცხოვრობდა. იგი გათხოვდა იმდროისათვის ძალზედ დაგვიანებულ, ოცდაორი წლის ასაკში. მისი ქმარი, პოლკოვნიკი ანდრეი პეტროვი, სამეფო გუნდის მგალობელი, ქორნინებიდან სამწელიწადნახევარში გარდაიცვალა. ატირებული ქსენია დაემხო მეუღლის მუხლებთან და გათენებამდე გონებადაკარგულივით არ განძრეულა. მეორე დღეს, ახალგაზრდა ქვრივს ძლივს იცნობდით. ერთ ღამეში იგი საგრძნობლად შეცვლილიყო, თმა გათეთრებოდა და მოხუცივით გამოიყურებოდა. სასაფლაოზე მან ყველას განუცხადა, რომ „ანდრეი არ მომკვდარა, მოკვდა ქსენია. ანდრეი აქაა, თქვენთან, თქვენს ნინ, ცოცხალია და კიდევ დიდხანს იცოცხლებს, იცოცხლებს სამარადისოდ“. ქმრის ტანსაცმელში შემოსილმა, სახლი, ქონება სულ გააჩუქა, უარი თქვა სახელმწიფოს მიერ, როგორც პოლკოვნიკის ქვრივისთვის, დანიშნულ პენსიაზე და ნათესავების მიერ შეთავაზებულ დახმარებაზე. მას აღარაფერი გააჩნდა. ნეტარმა ქსენიამ ყველაფერ ამქვეყნიურზე და რაც მთავარია საკუთარ თავზე თქვა უარი. მან იტვირთა სალოსობის განსაკუთრებული ღვანლი.

— რისი ღვანლი? — შეაწყვეტინა საუბარი ნიკამ ნიკალაის.

— სალოსობის. — გაიმეორა ნიკალაიმ.

— ეგ რაღაა? — იკითხა ნიკამ.

— სალოსებს უნოდებენ ქრისტეს გლახაკებს, ქრისტეთვის სულელებს. ქრისტესთვის სალოსობა არის მძიმე და დიდი ტვირთი, რისთვისაც ყველაფერ მიწიერსა და



ადამიანურზე უარის თქმაა საჭირო. ეს ღვაწლი ქრისტიანულ ცხოვრებაში ერთ-ერთ უდიდეს გმირობად ითვლება. ამ დროს, უნდა გადააბიჯო სიგიჟეს და დარჩე ჭკვიანი. სალოსები უარს ამბობენ არა მარტო მიწიერ კეთილდღეობაზე, არამედ საზოგადოებაში მიღებულ ქცევის ნორმებზეც. თავისი უცნაური ქცევისა და გამომეტყველების, პირდაპირი და ხშირად თამამი, უხეში მხილების გამო, მათ შეურაცხყოფის, ცემისა და დაცინვის ატანა უწევთ. თავდადება სიმართლისათვის, სიკეთისათვის, უსამართლობის მხილება, მოყვასისათვის თავგანწირვა იყო და არის მათი ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრესი მიზანი. წინასწარმეტყველების ნიჭითა და სასწაულმოქმედების ძალით დაჯილდოვებულებს, ხალხი მათ განსაკუთრებულებს, ღმერთის ადამიანებს ვუწოდებთ და მათ თვალში ისინი არიან ადამიანები მცხოვრებნი ღმერთში და ღმერთისათვის.

— როგორც ჩანს, შენ კარგად ერკვევი რელიგიაში, — სიტყვა შეაგება ნიკამ ნიკალაის, — საიდან ამდენი ცოდნა?

— დედა მყავდა მორწმუნე, — მიუგო ნიკალაიმ, — ეს ყველაფერი მან შემასწავლა. როგორც კი სტალინმა ეკლესია-მონასტრები გახსნა და წირვა-ლოცვის ჩატარების უფლება მისცა სამღვდელოებას, ხშირად ვესწრებოდით საღმრთო ლიტურგიას. ახლა, ჩვენი სამსახურის პარტიული კომიტეტის მდივანი გვიკრძალავს ლოცვას და მეც იძულებული ვარ, აღარ ვიარო ეკლესიაში და ფარულად ვილოცო.

— როგორც შენი მონათხობიდან გავიგე, ქსენია სასწაულებს ახდენდა. ეს კარგია და ნეტარს რატომ უწოდებდნენ? — იკითხა ნიკამ.

- მას ნეტარს ეძახდნენ, — უპასუხა ნიკალაიმ,
— რადგანაც იგი გონებით ყოველთვის იმყოფებოდა ღმერთთან, ცხოვრობდა უფალში. განუწყვეტილი ლოცვით იგი შეუდგა თვით სრულყოფილების გზას. ნეტარი ქსენია იყო მარად მგლოვიარე, მკაცრი, სიმართლეს მოწყურებული და ასევე იყო მშვიდი, მოწყალე, მშვიდობისმყოფელი, წმინდა გულის მქონე. თავის სიცოცხლეში ბევრი სასწაული მოახდინა და ახლაც აგრძელებს ხალხის დახმარებას...
- ეგ როგორ? — შეაწყვეტინა საუბარი ნიკამ ნიკალაის.
- ნეტარი დაკრძალეს პეტერბურგის სმოლენსკის სასაფლაოზე, — განაგრძო საუბარი ნიკალაიმ, — მორწმუნებმა საფლავზე სამლოცველო ააგეს და თავიანთი გასაჭირის შესახებ იქიდან ესაუბრებოდნენ წმიდანს. ნეტარი ქსენია კი ზეციდან ლოცულობდა მათთვის და ყველას ეხმარებოდა.
- სანამ ნიკალაი საუბრობდა, ნიკა წამოდგა და მივიდა ხატების კუთხესთან. დიდხანს უყურებდა ნეტარი ქსენიას ხატს, ბოლოს, პირჯვარი გადაიწერა და ნიკალაის უთხრა:
- უნდა წავიდე ლენინგრადში ნეტარი ქსენიას საფლავზე.
- ნიკალაიმ არაფერი უპასუხა. მივიდა, ხატების კუთხეს ფარდა ჩამოაფარა, პირჯვარი გადაიწერა, მერე მიუბრუნდა ნიკას და უთხრა:
- ახლა უკვე გვიანია, ძილის დროა, საუბარი ხვალ გავაგრძელოთ.

მონამეთადან მალხაზი და გოგი გელათში ავიდნენ, მოილოცეს საქართველოს უდიდესი სიწმინდე, სანთლები დაანთეს, დაიჩრქეს წმიდა მეფის, დავით აღმაშენებლის საფლავთან და მალევე გამობრუნდნენ უკან.

— მალხაზ, შენ სამსახურში მიგიყვანო თუ სახლში?
— ჰკითხა გოგიმ მალხაზს და მანქანის საქარე მინა ბოლომდე ჩამოსწია.

— ამდენი ემოციური დატვირთვის შემდეგ სამსახურის თავი ნამდვილად არ მაქვს, — უპასუხა მალხაზმა და ნიავისგან აწენილ თმებზე გადაისვა ხელი, — სადმე სატელეფონო ჯიხურთან გამიჩერე, დავურეკავ უფროსს და დღეს გავეთავისუფლები, არ დეინგრევა უჩემოდ სამსახური. სახლში კი მე თვითონ ავალ, არ შეგანუხებ შენ, ისედაც დღეს ბევრი დრო დაგაკარგვინე.

გოგის გაცინა და უთხრა მალხაზს:

— რაფერ ამბობენ რუსები? — „აბიჟაეშ, ნაჩალნიკ!“, — მერე მანქანა პირველივე შემხვედრ სატელეფონო ჯიხურთან გააჩერა და მანქანიდან გადასულ მალხაზს გასძახა, — ახლა რაფერ ფიქრობ შენ, შუა გზაში დაგტოვებ!?

მალხაზმა სამსახურში დარეკა, დაეთხოვა უფროსს და მერე გოგისთან ერთად ქუთაისიდან პირდაპირ სოფლისკენ გაუყვნენ გზას. როგორც კი მთისაში მალხაზის სახლს მიუახლოვდნენ, შენიშნეს მისი მეზობლის ჭიშკრის წინ გაჩერებული თეთრი ფერის „ვოლგა“, რომელშიც ორი ახალგაზრდა კაცი იჯდა. როგორც კი მათ



გოგის „უიგული“ შენიშნეს, მაშინვე დაძრეს მანქანა და სწრაფად გააქროლეს წინ.

მალხაზს არ მოენონა შექმნილი სიტუაცია. გოგის სთხოვა, სულ ცოტა ხანი მანქანა ეზოში შეეყვანა და რამდენიმე წუთს გაჩერებულიყო მასთან ოჯახში. გოგიც მიხვდა, რომ რაღაც მოხდა ან უნდა მომხდარიყო და მიპატიუებაზე არც დაფიქრებულა, მაშინვე შეაგორა მანქანა, მალხაზის მიერ გაღებული ჭიშკრის გავლით, მცენარეებით ლამაზად გაფორმებულ ეზოში. მერე სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან და მალხაზისკენ წავიდა, რომელიც ხმამაღლა უხმობდა მეუღლეს.

ქმრის შეძახილზე, სახლიდან ირინე გამოვიდა და გაკვირვებულმა ჰკიოთხა მალხაზს:

— რა ხდება, კაცო!? რა გული გამიხეთქე, ხოა მშვიდობა!?

— ლიკა სახლშია? — კითხვას კითხვითვე უპასუხა მალხაზმა.

— კი, აბა, სად უნდა იყოს? — მიუგო გაოცებულმა ირინემ და თან დააყოლა, — არ იტყვი რა ხდება, ადამიანო!?

ამასობაში სახლიდან ლიკაც გამოვიდა, რომელსაც ერთ ხელში წიგნი ეჭირა, ხოლო მეორე ხელის თითებით საწერ კალამს ატრიალებდა. ახალგაზრდა ქალი აშკარად განერვიულებული ჩანდა, რაც მაშინვე შეატყო მალხაზმა და ჰკიოთხა:

— ვინ იყვნენ ისინი, თეთრი „ვოლგით“ რომ იდგნენ მეზობლის ჭიშკრის წინ!?

— არ ვიცი, — მიუგო აკანკალებული ხმით ლიკამ, — დედამ გააკითხა და როგორც დაინახეს მათკენ მიმავალი



ირინე, მანქანა გადააყენეს. დედა უკან რომ შემობრუნდა სახლში, ცოტა ხნის შედეგ ისევ ჩამოაყენეს მანქანა ჭიშკრის წინ.

— ვერც შენ იცანი, ირინე? — ახლა ცოლს მიუბრუნდა მალხაზი.

— კარგად ვერ დევინახე, მარა იმას ჰგავდა ერთი, ჩვენთან რომ სტუმრობდნენ იმ დღეს.

მალხაზმა გოგის შეხედა და უთხრა:

— ხედავ, არ ისვენებენ! მაგათ ანი აქიდან ველარ მევიშორებ!

— წამოდი და დაველაპარაკოთ, მაგენი არ იქნებიან ჯერ წასულები, — მიუგო გოგიმ და მანქანისკენ წავიდა,

— თვარა ასე კუკუმალიობას თამაში არ ივარგებს.

— სწორი ხარ, ხომ იცი. წამოდი, წევიდეთ. მაგენი შორს არ იქნებიან წასული.

გოგი და მალხაზი წავიდნენ იმ მხარეს, საითაც მალხაზის მეზობლის ჭიშკართან გაჩერებული „ვოლგა“ მოწყდა ადგილიდან. სამასი მეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ იქვე ხის ძირას დაინახეს გაჩერებული თეთრი ფერის „ვოლგა“, რომელიც გოგის „უიგულის“ დანახვაზე კვლავ „მოწყდა“ ადგილიდან, დაღმართზე დაეშვა და დიდი სისწრაფით წავიდა მთისა-ქუთაისის დამაკავშირებელ გზისკენ. რამდენიმე წამში ორლობიდან გამოვარდა ლურჯი ფერის „უიგული“ და წინ მიმავალ „ვოლგას“ გაჰყვა.

მალხაზმა და გოგიმ ერთმანეთს შეხედეს.

— რაცხა არაა აქ საქმე მთლად კარგად! — თქვა გოგიმ და მანქანისკენ წავიდა.



— მეც ასე ვფიქრობ, ჩემო გოგი, — უთხრა მეგობარს მალხაზმა, ჩაჯდა მანქანაში, მიიხურა კარი და გააგრძელა, — რაღაც აპურდული სიტუაციაა და ამის უკან, ასე მგონია, ბევრი რამ იმალება. ერთი ჩემთან წევიდეთ და იქნებ რამე გავარკვიოთ.

ირინე და ლიკა აიგანზე მდგარ დივანზე ისხდნენ და ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს ვიღაცას გლოვობენო. როგორც კი მალხაზი და გოგი დაინახეს, მაშინვე ფეხზე წამოდგნენ და ახალი ამბების მოსმენის სურვილით გარინდულები, კიბეებზე ამომავალ ოჯახის უფროსს თვალს არ აცილებდნენ. მალხაზმა პირდაპირ ლიკას მიმართა:

— დღეს შენ აპირებდი გარეთ გასვლას!?

ლიკა დაიბნა. სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, მამის ნინ მდგომმა თავი ჩაღუნა და ატირდა.

მალხაზი ირინეს მიუბრუნდა და უკვე თითქმის იყვირა:

— რა ხდება!..?.. გამაგებინეთ!?

ირინე ჩამოჯდა სკამზე და დაიწყო:

— გუშინ ჩვენი მეზობელი ნათელა გადმევიდა. ვილაპარაკეთ. ასე თქვა: „გევიგე, რომ ლიკა ფეხმძიმედ ყოფილა და ცოდვაა ბოვშვი სულ მეცადინეობს და გარეთ არ გამოდის. ხვალ ჩემები უნდა მევიკითხო ლამარა-სთან და გევიყოლებდი, ცოტას გეისეირნებდა და გულ-საც გადააყოლებდაო“.

— მერე!..? — ვეღარ ითმენდა მალხაზი.

— შენ კი გაგვაფრთხილე, არსად გოუშვათო, — ძლივს ამოთქვა ირინემ, — მარა, ნათელას რავა არ ვან-



დობდი, იმის ხელში იზრდებოდა ბოვშვობიდან და პირობა მივეცი გამოგაყოლებ-თქვა.

— მერე!? — თავს ძლივს იკავებდა მალხაზი.

— თქვენ რომ ამოხვედით, მაშინ აპირებდნენ გასვლას, მარა აღარც ნათელა გამოჩენილა, ალბათ გადაიფიქრა-თქვა, ვიფიქრე...

მალხაზი თვითონ გადავიდა ნათელასთან დასალაპარაკებლად, მაგრამ მიუხედავად მრავალჯერ დაძახებისა, სახლიდან არავინ გამოსულა.

მალხაზი მიხვდა, რომ მეზობელ ნათელასთან შეთანხმებით და მისივე დახმარებით, ლიკას მოტაცება იგეგმებოდა. მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, სწრაფად მივიდა მანქანასთან, მამა გიორგის ნაჩუქარი ღვთისმშობლის ხატი და მოწამეთას მონასტერში ნაყიდი სანთლები გადმოიღო, შევიდა სახლში, ხატი პატარა მაგიდაზე დააბრძანა, შანდალი მოიძია, დაანთო სანთელი, დაიჩოქა ხატის წინ, პირჯვარი გადაიწერა და ნერვიულობისაგან ღონემიხდილმა წარმოთქვა:

— გმადლობ, ღვთისმშობელო, რომ არ გამნირე და გადამირჩინე ოჯახი. ახლა მივხვდი, რომ ღმერთის გარეშე ჩვენ არავინ ვართ. რომ არა, დედაო, შენი მფარველი ხელი, ახლა მე ამ გარენრებისაგან განადგურებული ვიქნებოდი. გთხოვ, გადმოაფარე შენი ძლევამოსილი კალთა ჩემს ოჯახს და გადაგვარჩინე უბედურებისაგან.

მალხაზმა შენიშნა, რომ რაღაც ნათებამ გაიელვა ოთახში. გაირინდა, უცხო რამ ურუანტელმა დაუარა სხეულში. ვერ გააცნობიერა, რა იყო ეს? მერე გაიფიქრა:

„ალბათ მომეჩვენაო“. ფიქრებმა გაიტაცა მალხაზი. უცებ, გარედან ირინეს ხმა შემოესმა:

— მალხაზი, გამოდი გარეთ! ქუჩის ბოლოს ჩოჩქოლია, რაღაც მოხდა მგონი, ხმამაღლა საუბრობენ მეზობლები!

მალხაზი სახლიდან გარეთ გამოვიდა, გაიხედა იქით, საიდანაც ხალხის ხმა ისმოდა, აღარ დაფიქრებულა და მაშინვე გაიქცა ქუჩის ბოლოსკენ. მას გოგიც გაჰყვა. ქუჩის ბოლოს პატარა მოედანი იყო და სოფლელებიც იქ შეკრებილიყვნენ და რაღაცაზე დჭობდნენ:

— ჰო, აპა! პირდაპირ ხეს შეჯახებია! — ამბობდა ერთი თანასოფლელი.

— რა მოხდა, მეზობლებო! — შორიდანვე შესძახა მალხაზმა.

— რა მოხდა და ყველას არ უნდა მისცე მანქანაზე და-ჯდომის უფლება! — აღელვებული ლაპარაკობდა სულ ახლახან სოფელში ამოსული სატვირთო მანქანის მძღოლი, — დროზე რომ არ გავჩერებულიყავი, მეც გადამაგ-დებდა გზიდან.

— ვინ!? შე იჯახაშენებულო!..ვინ!?. რა მოხდა, აღარ იტყვი!? — არ ცხრებოდა მალხაზი.

— ვინ და გენოიე! — იყვირა სატვირთო ავტომანქანის მძღოლმა, — მაგნებს ასე ჰერნიათ, რახან დიდი კაცის შვილები არიან, ყოლიფერის უფლება აქვთ! ისე შემოუხ-ვია მუხებთან, რომ ლამის გასასვლელი გზა გადამიკეტა და მარჯვენა მხარეს რომ დიდი მუხაა, იმას დევჯახა და კი მიამტვრია თავის თავიც და მანქანაც.

— რას ამბობ, კაცო! — შეიცხადა მალხაზმა, — არ გადამრიო! ხომ გადარჩა ადამიანი!?





— მგონი. — განაგრძო ხმამაღალი ლაპარაკი მძღოლ-მა, — კიდევ კარგი, მაგის ბედზე, უკან ლურჯი „შიგუ-ლი“ მოდიოდა, ძლივს გამოათრიეს მანქანიდან და წეიყ-ვანეს ქუთაისში.

— ეუჳ! მადლობა ღმერთს! გადარჩენილა! — თქვა გოგიმ, მერე მალხაზს ხელი მოჰკიდა, სახლისკენ წამოი-ყვანა და უთხრა, — აქ უკვე ჩვენი საქმე აღარაფერია, როგორც სჩანს უფალმა ჩაიბარა ეს საქმე.

როგორც კი მალხაზის მეზობელ ნათელას სახლს ჩაუარეს, გოგიმ შენიშნა, რომ ვიღაც ქალი ფანჯარაზე ჩამოფარებული ფარდის უკან იდგა და მათკენ იყურე-ბოდა. გოგიმ ამის შესახებ მალხაზს არაფერი უთხრა, მოერიდა მეგობრის გალიზიანებას, რადგან ისედაც ყვე-ლაფერი ნათელი იყო, რომ არა უფლის ძლევამოსილი ხელი, მალხაზის ოჯახი ამ ბინძური შეთქმულების მსხ-ვერპლი გახდებოდა.

„კიდევ კარგი, რომ დროულად მივაკითხეთ მამა გი-ორგის, თორემ კაცმა არ იცის, როგორ დამთავრდებოდა დღევანდელი დღე“. — გაიფიქრა გოგიმ და მალხაზთან ერთად განაგრძო გზა მისი სახლისკენ.

ნიკალაი დილით, როგორც ყოველთვის, ექვს საათზე წამოდგა საწილიდან. საბჭოთა კავშირში წარმოებულ მაღვიძარას ზარსაც რომ არ გაეღვიძებინა, საათის ხმაუ-რიანი მექანიზმი მაინც გააღვიძებდა, რადგან ის საათის წიკ-წიკს კი არა, პნევმატური ჩაქუჩის ხმას უფრო ჰეგავ-



და. თუმცა საბჭოთა მოქალაქეები დიდი ხანია შეჩვეულ-ნი იყვნენ ამ „სასიამოვნო ჰანგებს“ და ალბათ ნორმალური მაღვიძარა რომ გამოეყენებინათ, საერთოდ ვერ გაიღვიძებდნენ. სამსახურებრივ მივლინებაშიც კი თან დაჰქონდათ მაღვიძარები, რადგან მის გარეშე ზოგნი დღესაც კი ვერ გეგმავდნენ.

ნიკალაიმ პირდაპირ მდინარისკენ გასწია სავარჯიშოდ. გზაში გაახსენდა, რომ სახლის კარი ისე გამოიარა, რომ გასაღები არ გადაუტრიალებია. იფიქრა, რომ „ლენკა ალბათ ჩემზე ადრე ადგა და ვერ შევამჩნიო“. უკან მობრუნებულმა ნიკალაიმ ეზოში შესვლისთანავე ლენკას დაუწყო ძებნა, თუმცა ამაოდ. მეუღლე არც ბოსტანში ჩანდა და არც ეზოში სახელდახელოდ მოწყობილ სამზარეულოში. მაშინვე შევიდა სახლში, შეაღო საძინებლის კარი და ლენკას მხოლოდ მაშინ გაეღვიძა. ნიკალაიმ გაკვირვებულმა შეხედა ცოლს და ჰქითხა:

- ლენკა, შენ დღეს არ ამდგარხარ?
- არა! — უპასუხა ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მყოფმა ქალმა და თან დააყოლა — რა არის, რამე მოხდა?
- დილით სახლის კარი იყო ღია. არადა გუშინ ღამე მე თვითონ ჩავკეტე. — თქვა ნიკალაიმ და მხრები აიჩეჩა.
- იქნებ იოსები გავიდა შენზე ადრე, — იკითხა უკვე გამოღვიძებულმა ლენკამ, — მის ოთახში შეიხედე?

ნიკალაიმ ლენკას შეკითხვა უპასუხოდ დატოვა და სწრაფი ნაბიჯით ნიკას ოთახისკენ გაეშურა. ოთახის კარზე დააკაკუნა. გამოაღო და შეიხედა შიგნით. ნიკას საწოლი ალაგებული და გასწორებული დახვდა, ხოლო ნივთები — წაღებული. ტაბურეტზე კი წერილი იყო და-



ტოვებული, სადაც ეწერა: „ნიკალაი და ლენკა, ბოდიში მინდა მოგიხადოთ, რომ არ გაგაფრთხილეთ. ვიცოდი, რომ არ გამიშვებდით. ლენინგრადისკენ მიმავალი მატარებელი შუალამეს გადიოდა და გავყევი. ქსენია პეტერბურგელი გამომეცხადა სიზმარში და დამავალა ჩავსულიყავი მის საფლავზე. ასე მითხრა: „შენ გონების ნაწილობრივი გათიშვა გაქვს და აუცილებლად უნდა ჩამოხვიდე პეტერბურგში“. მე მალე დავბრუნდები. დიდი იმედი მაქვს, რომ მეხსიერება დამიბრუნდება. ჩემზე არ ინერვიულოთ. მილიციას არ შეატყობინოთ. თუ ათ დღეში არ დავბრუნდი, მაშინ მომძებნონ. კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდით. ძალიან მიყვარხართ. შეხვედრამდე“.

ნიკალაი ნერილს რომ კითხულობდა, ნერვიულობის-აგან ხელი უკანკალებდა. მერე ლენკას გადაეხვია და უთხრა:

— ღმერთმა ხელი მოუმართოს, იმედია ყველაფერი კარგად დამთავრდება...

...მატარებელი კი, რომელითაც ნიკა მგზავრობდა, მოსკოვი-ლენინგრადის ლიანდაგზე მიჰქროდა. ნიკა საერთო ვაგონის სავარძელში იჯდა, გასცექროდა რუსეთის უკიდეგანო სივრცეებს და ფიქრებს მისცემოდა: „ნიკალაის საუბარი ქსენია პეტერბურგელზე, ალბათ ძილში ჩამყვა, თორემ რაღა მაინც და მაინც ნუხელ გამომეცხადა წმიდანი. ნეტავ ტყუილად ხომ არ მივდივარ ლენინგრადში?“ ამის გაფიქრება იყო და მატარებელმა უცებ წაიბორძიკა, ისე, რომ ნიკა კინალამ მოპირდაპირე სავარძელზე გადავარდა. თითქოს რაღაც უხილავმა



ძალაშ შეაჩერაო. პირჯვარი გადაიწერა და ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა.

მატარებელი გვიან ღამე შევიდა ლენინგრადის ცენტრალურ სადგურში. ნიკამ არ იცოდა, როგორ მოქმედი იყო. სადგურში რომ გაჩერებულიყო, მილიცია შეამჩნევდა და როგორც უცხოს, აუცილებლად საბუთებს მოსთხოვდა. ნიკას საბუთები არ ჰქონდა, ამიტომ სასწრაფოდ უნდა გასცლოდა სადგურის ტერიტორიას, მაგრამ სად უნდა წასულიყო? სასტუმროში საბუთების გარეშე არავინ მიიღებდა და ისინიც მილიციას გამოუძახებდნენ. გადაწყვიტა, ტაქსი გაეჩერებინა და წეტარი ქსენიას საფლავისკენ წასულიყო.

ნიკამროგორც იქნა გამოაღწია სადგურის შენობიდან. რამდენჯერმე მილიციის პატრულს გადაეყარა, მაგრამ სასწაულებრივად აუარა გვერდი, არავის გაუჩერებია. ტაქსების გაჩერებაზე გრძელ რიგში მოუწია ჩადგომა, თუმცა არც ეჩქარებოდა, რადგან ღამის გათევა მაინც სასაფლაოზე მოუწევდა და რა მნიშვნელობა ჰქონდა, როდის მივიღოდა ადგილამდე. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა მოუწია რიგმა. მანქანაში როგორც კი ჩაჯდა, მძღოლმა მაშინვე დაიძახა:

- საიო!?
- სმოლენსკის სასაფლაოზე. — უპასუხა ნიკამ.
- რაო!? — გაიკვირვა მძღოლმა და მანქანის სიჩქარის კოლოფის ბერკეტი აამოძრავა, თან ღიმილით ჰკითხა ნიკას, — ამ შუალამისას, იქ რა უნდა აკეთო!?
- წეტარი ქსენიას საფლავზე მივდივარ.



— ბედი გქონია, რომ მე შეგხვდი, თორემ იქ არავინ წაგი-
ყვანდა. — ისევ გაეღიმა მძღოლს და სიჩქარეს მოუმატა.

— რატომ? არ შეიძლება? — გაიკვირვა ნიკამ.

ტაქსის მძღოლმა კიდევ ერთხელ შეხედა ნიკას და
ჰქონდა:

— ჯერ მითხარი საიდან მოდიხარ და მერე გავაგრ-
ძელოთ საუბარი.

— საქართველოდან, — მიუგო ნიკამ, — და ამას რაიმე
მნიშვნელობა აქვს?

— როგორ არა აქვს, მეგობარო, — წარმოთქვა გახ-
არებულმა მძღოლმა, — ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— რატომ? — ჩააციდა ნიკა.

— ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ თქვენთან შეი-
ძლება ლაპარაკი, — განაგრძო მძღოლმა, — ჯერ ერთი
იმიტომ, რომ მართლმადიდებლები ხართ და მეორე იმი-
ტომ, რომ წამდვილი კაცები თქვენ შორის ბევრი არიან,
— აქ პაუზა გააკეთა მძღოლმა, ნიკას ხელი გაუნიდა და
უთხრა, — ჩემი სახელი სემიონია, ქრისტეს მოციქულის
სახელი მქვია, სისხლით სუფთა რუსი ვარ, არაფერი მა-
ქვს შერეული.

— მე იოსები მქვია, სისხლით ქართველი. — უპასუხა
ნიკამ, თუმცა თავის ნათქვამში თვითონაც არ იყო დარ-
წმუნებული, ან საიდან იქნებოდა, როდესაც არაფერი
ახსოვდა წარსულიდან.

— ძალიან კარგი, — განაგრძო საუბარი კარგ ხას-
იათზე მოსულმა სემიონმა, — ამ მარშრუტზე ხშირად
უშიშროება გვიგზავნის ხოლმე „კლიენტებს“, გვალაპა-
რაკებენ რელიგიაზე, მერე გამოგვიძახებენ ხოლმე, სა-



დაც ჯერ არს და გვაჯანჯლარებენ, თქვენ საბჭოთა მოქალაქეებს ცხოვრების გზას უმრუდებთ ამ რელიგიური სისულელებითო.

— ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვა, რომ მე რელიგიასთან შორს ვარ, მაგრამ შექმნილმა სიტუაციამ მაიძულა დამარტინის მიმემართა ნეტარი ქსენიასთვის, — თქვა დამწუხრებულმა ნიკამ, — ნეტარი ქსენია სიზმარში გამომეცხადა და მითხრა, წამოვსულიყავილენინგრადში.

— კი, მაგრამ რა გჭირს ამისთანა? — იკითხა სემიონმა.

— ნაწილობრივი ამნეზია მაქვს, წარსული არ მახსოვს, — მიუგო ნიკამ, — რაც ახლა გითხარი, ესეც არ ვიცი სწორია თუ არა. სახელი ჩემმა ახლადშეძენილმა მეგობრებმა დამარქვეს. ქართველი რომ ვარ, ეს იქიდან დასტურდება, რომ კარგად ვსაუბრობ ქართულად.

— დაა! — გაოცდა სემიონი, — და შენმა მეგობრებმა ასე მარტო როგორ გამოგიშვეს ლენინგრადში.

— გამოვიპარე, — არ დამალა ნიკამ, — ისეთი კატეგორიული იყო ნეტარი ქსენია, რომ სხვა გზა აღარ დამიტოვა. მილიციას მეც ვერიდები, რადგან საბუთები არა მაქვს.

— მართლა ბედი გქონია, რომ მე შეგხვდი, — გადაიხარხა სემიონმა, — თორემ სხვა პირდაპირ მილიციაში მიგიყვანდა.

— შენ რატომ არ აკეთებ ამას? — ჰკითხა ნიკამ სემიონს.

— პირდაპირ გეტყვი, — უპასუხა სემიონმა, — მე მჯერა ნეტარი ქსენიასი და შენ სწორად მოიქეცი, რომ ჩამოხვედი მის საფლავზე. ის აუცილებლად დაგეხმარება. ის ყველას ეხმარება, ვინც გულით შესთხოვს

დახმარებას. ბებიაჩემი მიყვებოდა, რომ ნეტარი ქსენიას საფლავზე უამრავი ხალხი მოდიოდა თურმე. მოდიოდნენ იმ იმედითა და რწმენით, რომ მიცვალებულიც მოუსმენდა მათ ლოცვებს, არ განსჯის და დაეხმარება მწუხარებასა და გაჭირვებაში, როგორც ეხმარებოდა სიცოცხლეში. მოდიოდნენ ღარიბები და ღატაკები, რომელთაც იცოდნენ ამ დახმარების შესახებ და ამ წყალობით ცხოვრობდნენ. მოდიოდა თურმე ასობით მისი თაყვანისმცემელი და ნეტარი ქსენიას დახმარება ყოფილა ისეთი საგრძნობი, ისეთი ხილული, რომ ხმები უდიდესი ქომაგისა და მართლმადიდებელი ხალხის მეოხის შესახებ სწრაფად გავრცელებულა და უამრავი ადამიანი დაძრულა მისი საფლავისკენ. ყველას უნდოდა მიწის წალება მისი საფლავიდან და ამიტომ ხშირად მოპქონდათ მიწა და აყრიდნენ საფლავს. ბოლოს, სამლოცველო დაუდგამთ საფლავზე, რომელიც ბოლშევიკებს დაუკეტიათ. ომის შემდეგ, ხალხის დაუინებული მოთხოვნით სამლოცველო კვლავ გახსნეს, მაგრამ 1960 წელს კვლავ დაკეტეს ათეისტებმა.

— მერე, ასე მიატოვეს, თურა ხდება? — იკითხა ნიკამ.
 — ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ხალხის შესაჩირებლად, სამლოცველოში მოეწყო სკულპტურის საამქრო, — განაგრძო სემიონმა, — მაგრამ იქ მუშაობა შეუძლებელი იყო. დილით საამქროში მისულ მუშებს სკულპტურის მაგიერ, ხშირად მისი ნატეხები ხვდებოდათ. მერე ქსენიას საფლავი ამოქოლეს, დაადგეს მას კვარცხლბეკი, მასზე იდგნენ ოსტატები და ისე მუშაობდნენ. მაგრამ ყველაფერი ირყეოდა თურმე, არც ერთი ლურსმნის მი-



ჭედების უფლება არ მისცა ნეტარმა, ყველაფერი ხელი-დან უცვივდებოდათ. გადაწყვიტეს გაეკეთებინათ ძეგლი „ქალი ვინტოვკით“, „გოგონა ნიჩბით“, არ გამოუვიდათ არც ერთი. რაც არ უნდა მაგრად ჩაეკეტათ სამღლოცველო, დილით მოსულ ხელოსნებს ძეგლის მაგიერ კვლავ ნამსხვრევები ხვდებოდათ. რამდენიმე ხნის შემდეგ სამღლოცველოში მუშაობა სულ შეწყვიტეს.

— ახლა რა მდგომარეობაშია საფლავი და მისი სამღლოცველო? — იკითხა ნიკამ.

— კედლები სინესტისაგან გაშავდა, — მიუგო სემიონმა, — ბათქაში ჩამოინგრა, გაფუჭდა სახურავი, დაიკარგა ხატები, მაგრამ ხალხი მაინც მოდის და ევედრება ნეტარ ქსენიას, რომ მოწყალება გაიღოს და დაეხმაროს მათ. რას იზამ, კომუნისტებს რელიგია არ აინტერესებთ და ამიტომაც მისდით საქმე უკუღმა.

სემიონმა მთავარი გზიდან მარჯვნივ გადაუხვია, რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა გააჩერა მაღალ ჭიშკართან, ჩააქრო, შეხედა ნიკას და უთხრა:

— აი, იოსებ, მოვედით, იქით უკვე ფეხით უნდა შეხვიდე. თუ ღამის გათევა გიჭირს, ჩემთან წაგიყვან სახლში და ხვალ დილით გამოდი.

— დიდი მადლობა, სემიონ, — მიუგო ნიკამ, — შენ ისედაც დიდი პატივი მეცი. მე აქედან არსად არ წავალ, სანამ ნეტარი ქსენია წყალობას არ გაიღებს და არ დამიბრუნებს მეხსიერებას.

ნიკა მანქანიდან გადმოვიდა, მის წინ მდგარ სემიონს ხელი ჩამოართვა და დაღონებულმა წარმოთქვა:

— თუ, რა თქმა უნდა, მისი წყალობის ღირსი ვარ.



— მაინც ვერ გევიგე, რას გამორბოდა იმ თავდაღმართზე! — ყვიროდა გენოს მამა და ბოლთას სცემდა საავადმყოფოს დერეფანში, — მუხებთან მოსახვევში ოცდაათი კილომეტრის სიჩქარით შემოდის ყველაზე კაი მძლოლი და ეს რამ გადარია, თან ფხიზელი! — აუნია ხმას მაღალჩინოსანმა და იქვე მდგარ თავჩაქინდრულ ანზორს და ჯემალს შეხედა, — დედა! დევილუპე! ანზორიე, მოი აქანე!

ანზორი აინურა, განითლდა სახეზე და ძლივს გადადგა ნაბიჯი გენოს მამისკენ, მერე ძლივს ამოილულლულა:

— გისმენ, ბონდონ ბიძია.

— ბიძიას გაჩვენებ შენ! ტყუილად მქონდა შენი იმედი!? — ამოიხრიალა ბონდომ, — ვერ მიმიხედე ბოვშვს!

ანზორი თავჩაქინდრული იდგა ბონდოს წინ და არ იცოდა, რა მოემოქმედა ან რა პასუხი გაეცა კაცისთვის, რომელსაც შეეძლო ერთი ზარით ისიც და ნებისმიერი მათი ძმაკაცი გაექრო ან უკეთეს შემთხვევაში ციხეში გამოეკეტა. მაგრამ ძალლის ბედი ჰქონდა ამ მართლა ძალლის გაგდებულს. ბედზე საოპერაციოდან საავადმყოფოს მთავარი ექიმი გამოვიდა და ყველას ყურადღება მან მიიპყრო. ექიმი აჩქარებული ნაბიჯით გენოს მამისკენ წამოვიდა და როგორც კი მიუახლოვდა, მაშინვე აღელვებულმა დაიწყო:

— ელეფთეროვიჩ!

— რაო!? რა ხდება!? თქვი ჩქარა!

— ცოცხალი გადარჩება!.. მაგრამ...



- მაგრამ რა!? — იყვირა ბონდომ.
- ინვალიდი დარჩება!.. ოპერაცია ახლა დასრულდა, რაც შეგვეძლო გავაკეთეთ... — თქვა მთავარმა ექიმმა და ხელსახოცით შუბლზე ოფლი მოიწმინდა.
- ტფუ, თქვენი დედაც!.. — ახლა უკვე იღრიალა ელეფთეროვიჩმა, — თქვენც ექიმები გქვიათ! ტელე-ფონთან მიმიყვანეთ!
- მთავარი ექიმი კაბინეტში შეუძლვა ბონდოს. ტელე-ფონზე მოკლე საუბარი შედგა. ბონდომ დააგდო ტელე-ფონის ყურმილი მაგიდაზე, იქვე მდგომ სკამზე დაეჭვა და ამოილულლუდა:
- მოსკოველი პროფესორები უკვე ჰაერში არიან. ალბათ, ერთ საათში აქ იქნებიან. მოემზადეთ დასახვე-დრად!
- სანამ ბონდო განცდებში იყო და საავადმყოფოს მთავარ ექიმს ექიმობას „ასწავლიდა“, ანზორმა დრო იხელ-თა და ჯემალი კიბის უჯრედში გაიხმო:
- ბუჯო! ჯემალიე, აი, ჩვენი ამბავი ელეფთეროვიჩმა რომ გეიგოს, არ დაგვადგება კაი დღე, სიმონ!
- სიდან გეიგებს, ანზორიე, შენ და მე მაგას არ ვე-ტყვით და ბონდოიე მით უმეტეს! მეიგონებ ხოლმერაცხ-ას! — გაცხარდა ჯემალი, — მოდიოდა კაცი ჩქარა, ვერ დეიმორჩილა რული და დეეჯახა ხეს. უბედური შემთხ-ვევაა ეგი.
- კი, გეთანხმები, — მიუგო ანზორმა და სიგარეტი გააბოლა, — ჩვენ კი, მარა თემურიესი არ მჯერა რაცხა. მართლა გააქრო ის კაცი?
- რა ვიცი, სიმონ! — გაცხარდა ჯემალი, — მასე თქვა და არ იქნება მასე და მიყვება ზედ.



— ჰოდა, მაშინ მართლა გაგვტისკავენ, სიმონ, და გვინია ბონდოიე გვიშველის!? — ამოთქვა ანზორმა და სიგარეტის ნამწვავი ფეხით გასრისა.

— ვნახოთ რა იქნება და თუ გაჭირდა, უნდა მოვტყდეთ, სიმონ! — დაასკვნა ჯემალმა და საავადმყოფოს დერეფანში გავიდა.

სულ მალე მოსკოველი პროფესორებიც გამოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბონდოს მათთან გასაუბრება უნდოდა, ორივე ექიმმა მდუმარედ აუარა გვერდი მას და პირდაპირ რეანიმაციის განყოფილებაში შევიდნენ.

დრო ისევ ლოდინის რეჟიმში გადავიდა.

ბონდო ელეფთეროვიჩის მეთაურობით ყველა იქ მყოფი ადამიანი დიდი მოთმინებით და ხმის ამოუღებლად ელოდა პროფესორების გამოსვლას. ნერვიულობა საავადმყოფოს მედპერსონალსაც გადაედო. ამიტომ საავადმყოფოს ყველა თანამშრომელი ერიდებოდა იმ სართულზე სიარულს, სადაც ბონდო და მისი ხალხი იყვნენ. რთული ხასიათის მატარებელი კაცი გახლდათ ბონდო ენუქიძე. თავის სიფიცხეს ყველგან და ყველაფერში ავლენდა. არავის აზრს არ ითვალისწინებდა, რის გამოც მასთან ურთიერთობა არავის სურდა, თუმცა ღიად ამას არავინ ავლენდა, რადგან ბონდოსთვის ადამიანის განირვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. შვილიც მამას დაემსგავსა და შედეგიც დადგა.

უცებ, ბონდო ელეფთეროვიჩის გარემოცვაში ჩოჩქოლი ატყდა, როგორც გაირკვა, მოსკოველი პროფესორები რეანიმაციის განყოფილებიდან გამოვიდნენ. ისინი, ბონდოსთან ერთად, მთავარი ექიმის კაბინეტში



მიიწვიეს. როგორც გაირკვა, მათი დასმული დიაგნოზი სრულ შესაბამისობაში მოდიოდა ქართველი ექიმების დასკვნასთან. დიაგნოზს მოსკოველებმა მხოლოდ რამ-დენიმე წინადადება დაამატეს:

— პატივცემულო ბონდო ელეფთეროვიჩ, სამწუხ-აროდ საბჭოთა მედიცინა, რომელიც ერთ-ერთი პრი-ორიტეტულია მთელს მსოფლიოში, უძლური აღმოჩნდა შექმნილ სიტუაციაში. ხერხემლის ძვლების მრავალ-ჯერადი დაზიანების გამო, რომლის აღდგენაც სამწუხ-აროდ ვერ მოხერხდება, ამხანაგი გენადი გადაადგილე-ბას შეძლებს მხოლოდ ინვალიდის ეტლის მეშვეობით.

ბონდოსთვის ეს იყო შოკი. ერთადერთი ვაჟიშვილი, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა ენუქიძეების მისეული შტო, სამუდამოდ მიჯაჭვული აღმოჩნდა ინვალიდების ეტლზე. ნერვიულობისაგან განამებულმა და ღონე-მიხდილმა მამამ თავი ვეღარ შეიკავა და რომ არა მის გარშემო მყოფი ადამიანების სწრაფი მოქმედება, ბონ-დო მოწყვეტით დაეცემოდა იატაკზე. იგი სასწრაფოდ საკაცეზე დააწვინეს და გაიყვანეს პალატაში.

ქუთაისის საავადმყოფოში დატრიალებული ამბები, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, უცებ გავრცელდა ქა-ლაქსა და მის შემოგარენში. გოგი მაშინვე გაემგზავრა სოფელ მთისაში მალხაზთან შესახვედრად. თითქოს ელოდებოდნენ, მალხაზი ცოლ-შვილთან ერთად, ეზო-ში იყო ჩამოსული. ყველას გაეხარდა გოგის მისვლა. მე-ზობლებმაც გამოხატეს ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ვერ გაძედეს საყვარელიძეებთან გადასვლა. მალხაზიც



მოერიდა მათ მზერას და გოგი სახლში შეიპატიუა. ირინეს და ლიკას კი ანიშნა, რომ ეზოში დარჩენილიყვნენ.

— რა ხდება, გოგი? — იკითხა მალხაზმა, როგორც კი განმარტოვდნენ მეგობრები, — შენ ახალი გეცოდინება რამე?

გოგიმ დაწვრილებით უამბო მალხაზს ენუქიძეების ამბავი, მერე ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და თქვა:

— ეს საქმე დიდი საიდუმლოებებით არის სავსე. რაღაც მთავარი იმალება ამ ყველაფრის უკან.

— მეტი რაღა უნდა იმალებოდეს, გოგი? — გაიკვირვა მალხაზმა, — ლიკას მოტაცება უნდოდათ და არ გამოუვიდათ. ღმერთმა დასაჯა. შენ რომ არ მიგეყვანე მამა გიორგისთან, ეს უბედურება არ აგვცდებოდა. მისმა ლოცვებმა გადამირჩინა ოჯახი.

— კი, მაგ ამბავში სწორი ხარ, — უპასუხა გოგიმ, — მარა, მე მაინც ეჭვი მაქვს, რომ ნიკას გაუჩინარებაშიც ამათი ხელი ურევია.

— რას ამბობ, გოგი! — გაიკვირვა მალხაზმა, — იცი რამე თუ!?

— უბედურებაც ეგ არის, რომ არ ვიცი არაფერი, მარა ეჭვი მაქვს და თანაც ისეთი, რომ მგონია სადაცაა გამართლდება. მაგენი ყველაფერზე წამსვლელები არიენ. ხომ გეიგონე შენი ყურით, მამა გიორგიმაც გვითხრა ეგი.

— კი, მარა!.. — დაიბნა მალხაზი.

— არავითარი „კი, მარა!“ — წამოიძახა გოგიმ, — ასეა ეს! როგორმე მამა გიორგის უნდა ვთხოვოთ, მოგვაძებნინოს ნიკა ცოცხალი ან, ღმერთმა დაიფაროს, მკვდარი.



- ახლავე წევიდეთ მონამეთაში, თუ გაქვს შენ დრო?
- მაგიზა ამევედი აქ, ჩემო მალხაზ. ჩვენთვის ახლა ყოველი წუთი ძვირფასია.

მალხაზი და გოგი სწრაფად გამოვიდნენ სახლიდან. მალხაზმა დედა-შვილი გააფრთხილა, რომ არ გასულიყვნენ სახლიდან, იმ მიზეზით, რომ მალე მოვბრუნდებით, ჩასხდნენ მანქანაში და გაუყვნენ გზას მონამეთასკენ.

მამა გიორგი მონასტერში არ დახვდათ, სახლში ნასულიყო. ასე რომ, მალხაზს და გოგის მოუნიათ ოჯახში ხლებოდნენ მოძღვარს.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — შეეგება მამა გიორგი სტუმრებს, — მობრძანდით ოჯახში.

— დიდი მადლობა და დიდი ბოდიში, მამაო, — დაიმორცხვა გოგიმ, — არ გვინდოდა თქვენი შენუხება, მარა...

— შენ არ გეყურება, რასაც გეუბნები, — შეაწყვეტინა საუბარი გოგის მამა გიორგიმ, — იმერელი მაინც არ იყო. როდის იყო ქართველი კაცი, მით უმეტეს იმერელი სტუმარს ჭიშკართან ელაპარიკებოდა. მობრძანდი ოჯახში და იქანე დევილაპარაკოთ, თუ არა და კეთილი მგზავრობა, ჩემო ბატონო.

სხვა გზა არ იყო. მალხაზი და გოგი შევიდნენ სახლში. მამა გიორგიმ ისინი მისალებში მიიპატიჟა. შესვლისთანავე იგრძნეს განსაკუთრებული სიმსუბუქე, რომელიც ოთახში სუფევდა. კედლებზე დაბრძანებული ხატებიდან მადლი უხილავი ჩანჩქერივით მოედინებოდა. გოგიმ თავისი აღფრთოვანება ვერ დამალა და მამა გიორგის უთხრა:



— მამაო, ახლა ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ
თავი სამოთხეში მგონია.

მამა გიორგის გაელიმა და მიუგო:

— შენ ხომ ქუთეისში დეიბადე და გეიზარდე?

— კი, მამაო, აბა!?

— და არ იცი, რომ იმერეთია თვითონ სამოთხე?

— რავა?

— ეს ლექსი თუ გაგიგონია? უსმინე:

გიორგობის თვეში,

გულს გაუდის რეჩხი,

გინდ ყოფილხარ იმერეთში,

გინდა სამოთხეში.

— არ ვიცოდი, მამაო. — გაშალა ხელები გოგიმ.

— ჰოდა, ანი იცოდე, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სამოთხე-
ში და უნდა ვაკეთოთ კეთილი საქმეები, — თქვა მამა
გიორგიმ, გოგი და მალხაზი ოვალურ მაგიდასთან მიი-
პატიჟა, მერე თავისი არნივისებური თვალებით გადახე-
და ორივეს და განაგრძო, — აბა, გისმენთ, რაზე შეწუხ-
ებულხართ?

გოგიმ დაწვრილებით უამბო მამა გიორგის უკანასკ-
ნელ დღეებში განვითარებული მოვლენების შესახებ,
მოახსენა ამ საქმის ირგვლივ თავისი ვარაუდებიც და
მერე დასძინა:

— არ ვიცით, რა გავაკეთოთ. ეს ბიჭი ცოცხალია თუ
არა. თუ ცოცხალია, სად ვეძებოთ. ეგება რაიმე უჭირს.
იქნებ გვასწავლო რამე, მამაო, და დაგვეხმარო, ლამისაა
გასკდეს გული.



— მე რა შემიძლია, გოგი, ერთი უბრალო მღვდელი ვარ. მხოლოდ ლოცვაა ჩემი საქმე. მე მარჩიელობისთვის არ ვარ დადგენილი. ყოვლისშემძლე მხოლოდ უფალია, ამიტომ ვევედროთ მას, რომ დაგვეხმაროს. ეს იცოდეთ ორივემ, უფალი თავის ქმნილებას არ განირავს, ყველანაირად ხელს შეუწყობს, რომ ღმერთისკენ შემობრუნდეს. ათას განსაცდელს მოუვლენს, რომ დაარწმუნოს ჭეშმარიტებაში.

— კი, მამაო, გვესმის ეს და ამიტომაც გვინდა, რომ ლოცვით გამოვისყიდოთ ჩვენი ცოდვები, — ჩაერთო საუბარში მალხაზი, — მაგრამ ნამეტანი დევიბენით, ერთი ფიზიკურად გაქრა და არ ვიცით სად არის, მეორე აგერ დაინვალიდდა...

— რას გეტყვი, ძამიკო, იცი? — შეაწყვეტინა სიტყვა მამა გიორგიმ, — სწორედ აქ დამთავრდა ხილული დევნა. გაცილებით ძნელია უხილავი სულიერი დევნა. ბოროტი ყველანაირი იარაღით გებრძვის. როცა მარტო ვიყავი მონასტერში, ეშმაკი მოდიოდა, ოღონდ კარის ზღურბლს ვერ აბიჯებდა, იდგა და მელაპარაკებოდა. არაა საინტერესო, რას ლაპარაკობდა ის წყეული?!? რა და რა სახის ცხოველის და ქვემძრომის სახით არ მოდიოდა. იქცეოდა ძალლად და ყეფდა მთელი ღამე. ერთხელ, შუალამიანის ლოცვისთვის გავიღვიძე და ვხედავ, სამი ვირთხა დიდი გულმოდგინებით ღრღნიდა ჩანთას, სადაც სახარება მედო. მივხვდი, ვინები მყავდა „სტუმრად!“ ჰოდა, ქრისტეს სახელით ვუბრძანე, ნამდვილი სახე გამოეჩინათ!... გამოაჩინეს კიდეც. ჩემს წინ სამი კაცი აღიმართა... ისინი დიდხანს არ ეშვებოდნენ ეკლესიას... ჰოდა,



იმ ღამით ჩამიგდო ღმერთმა ხელში... ეს ვისთვის მეთქ-ვა!?! ვინ დამიჯერებდა!?!.. არავინ... უფრო მეტი, გიუად გამომაცხადებდნენ და „ფსიხუშკაში“ გამაქანებდნენ. ორი, იმ სამი კუდიანიდან, დღესაც ცოცხალია ფიზიკუ-რად, თუმცა ეკლესიას მოსცილდნენ, ისინი თავის სიკვ-დილით უნდა აღესრულონ, მაშინ ღმერთი განამწესებს მათ, სადაც ჯერ არს. ასე რომ, თქვენს ამბავში უხილავი ბრძოლა დაწყებულია. დაგამშვიდებთ, რომ საქმე ცუ-დად არ არის. მე ვლოცულობ, თქვენც და თქვენი ოჯახ-ის წევრებმაც ილოცეთ და მერჩმუნეთ, ყველაფერი კარ-გად იქნება.

— დიდი მადლობა, მამაო, კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდით შენუხებისთვის, — წარმოთქვა გოგიმ და მალხ-აზთან ერთად წასასვლელად მოემზადა, — დაგვლოცეთ, მამაო, და იმ იმედით მივდივართ, რომ ყველაფერი კარ-გად იქნება.

— მეიცა ახლა შენ, — გაეცინა მამა გიორგის, — ოჯახს არ დამილოცავთ?

— თქვენს ოჯახს რაღა დალოცვა უნდა, მამაო, — მი-უგო გოგიმ, — ისედაც დალოცვილია.

— მეიცა პანა ხანს, — უთხრა მამა გიორგიმ გოგის, — ეგი არის ჩემი მოყვანილი ციცკა-ცოლიკოური, გამისინ-ჯეთ, აბა!

მამა გიორგიმ ჭიქებში ჩამოასხა ქარვისფერი ქართუ-ლი ღვინო და გოგის და მალხაზს შესთავაზა. სტუმრებმა წესისამებრ დალოცეს ოჯახი, ხვავი და ბარაქა უსურვეს და დაემშვიდობნენ მამა გიორგის.



მალხაზი და გოგი მანქანაში რომ სხდებოდნენ, ამ დროს მამა გიორგი ჭიშკართან იდგა და იქიდან დაუძახა სტუმრებს:

— ისე, მე მთელ დუნიაზე მიცნობენ, ხომ იცით? რუსეთშიც კარგათ მიცნობენ, უორას მეძახიან! ისე ერთ კვირაში თუ გამეივლით, კაის იზამთ.

გოგიმ და მალხაზმა საკმაო მანძილი გაიარეს მამა გიორგის სახლიდან და არც ერთი ხმას არ იღებდა. ბოლოს, დუმილი ისევ გოგიმ დაარღვია:

— მალხაზ, მამაომ ყველაფერი იცის. მაგი პირდაპირ არაფერს ამბობს. შევატყვევ, რომ რაცხას ელოდება, იმიტომ გვითხრა, ერთ კვირაში შემომიარეთო. მარა რუსეთი და უორა რატომ ახსენა, ეს მართლა ვერ გევიგე.

— ჩემო გოგი, მე სულ ვერაფერი გევიგე. — მიუგო დამწუხრებულმა მალხაზმა.

გოგის მალხაზის ნათქვამზე გაელიმა:

— მალე მიხვდები შენც, ჩემო მალხაზ, რა ძლიერია ჩვენი სარწმუნოება.

მანქანა მთისას აღმართს შეუდგა და მალე მიუახლოვდნენ იმ საბედისწერო მუხებს, სადაც ეს უბედური შემთხვევა მოხდა. გოგიმ მანქანა გააჩერა და მალხაზს უთხრა:

— ნამოდი ერთი, ნაავარიები ადგილი მინდა ვნახო.

— ვნახოთ, კი ბატონო, მარა რად გინდა? — მიუგო მალხაზმა.

— ისე, მაინტერესებს.

გოგიმ და მალხაზმა დაათვალიერეს ის ადგილი, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა. მუხის ხე, რასაც მანქანა დაეჯახა კარგად იყო დაზიანებული.



— რა სიჩქარით დაეჯახა ეგ ოჯახაშენებული, ასე რომ არის დაგლეჯილი ეს ხე, — თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო გოგი და თან აკვირდებოდა მუხების მიმ-დებარე ტერიტორიას. ბოლოს, თითქმის იყვირა, — ასეც ვიცოდი!

გოგი მუხების უკან მდებარე პატარა ხევში ჩავიდა და იქიდან მანქანის სანომრე ნიშნით დაბრუნდა და ამაყად წარმოთქვა:

— როგორც გამომძიებლები ამბობენ, შემთხვევის ადგილზე რაღაც ფაქტები რჩებაო. ეს შენი სიძის მანქანის ნომერია?

— კი. საიდან!? — იყვირა მალხაზმა და ხელისგულები საფეთქლებზე დაიდო.

— ხევში ეგდო. როგორც სჩანს, ყველაფერი გაას-უფთავეს და ეს დარჩათ. — ჩაილაპარაკა გოგიმ და სა-ნომრე ნიშანი მანქანაში ჩადო.

18

ნიკამ სასაფლაოს ჭიშკარი გააღო და შევიდა ტერი-ტორიაზე. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ, სადღაც მოშორებით, სინათლე მოჩანდა, რომელიც ელექტრო-ნულ შუქს არ ჰგავდა. როდესაც ახლოს მივიდა ნიკა, შენიშნა, რომ ნანგრევების გვერდით გამურულ კედელზე სამი ანთებული სანთელი იყო მიმაგრებული, ხოლო იქვე ვიღაც იყო დამხობილი მინაზე და ქვითინებდა. ნიკამ სიბნელეში ვერ გაარჩია ქალი იყო თუ კაცი, ამიტომ იქვე დაგდებულ ქვაზე ჩამოჯდა და ანთებულ სანთლებს მი-



აშტერდა. ამ დროს, ზურგსუკან ქალის ხმა შემოესმა:

— მშვიდობა, მონაო ღვთისავ! შორიდან ჩამოხვედი ნეტარი ქსენიას საფლავზე?

ნიკა ფეხზე წამოდგა, შეტრიალდა და მის წინ მდგომი ახალგაზრდა ქალი დაინახა, რომელსაც გრძელი შავი კაბა ეცვა და თავზე შავი თავსაბურავი ჰქონდა მოხვეული. ნიკა თითქოს დაიბნა, არ იცოდა რა ეპასუხა, თვითონაც არ იცოდა, საიდან იყო და რა უნდა ეთქვა. მცირე პაუზის შემდეგ ნიკამ უპასუხა:

— მეც ეგ მაინტერესებს, ქალბატონო, გავიგო ვინ ვარ და საიდან მოვედი.

— მე ქალბატონი არ ვარ, დედა ლია დამიძახე, — მორიდებით მიუგო ქალმა და თავი დახარა, — მე აქვე ახლოს მდებარე მონასტრის მონაზონი ვარ და ხშირად მოვდივარ ხოლმე ნეტარის საფლავზე. მონაზვნად რომ აღმკვეცეს, მაშინ მაკურთხეს წმიდა ლია რომაელის სახელზე.

— როგორ? სახელი შეგიცვალეს? — გაუკვირდა ნიკას.

— კი. ასე ხშირად ხდება ხოლმე, ასეთია მართლმა-დიდებლური სარწმუნოების კანონიკა, — მორიდებული პასუხი გასცა დედაომ და თან დასძინა, — წმიდა ლია რომაელი მეოთხე საუკუნეში მოღვაწეობდა.

— ასე ადრე? — გაკვირვება ვერ დამალა ნიკამ.

— დიახ, — მიუგო დედაომ, — წმიდა ლია რომაელი დაიბადა მდიდარი რომაელების ოჯახში, გათხოვდა და ახალგაზრდობაშივე დაქვრივდა. უარი თქვა რა მაღალ-ჩინოსან რომაელზე გათხოვებაზე, ღირსმა ლიამ თავისი ცხოვრება მიუძღვნა ღმერთს. წმიდანი ძალიან მკაცრი





ცხოვრების წესით ცხოვრობდა და შეუერთდა ღვთისმო-სავი ქალების საზოგადოებას, რომელებიც შემოკრებილნი იყვნენ წმიდა იერონიმეს გარშემო. საზოგადოებაში ლია უპირატესი გახდა, ხოლო სამას ოთხმოცდაოთხ წელს მშვიდობით წარსდგა უფლის წინაშე. ის ჩემი მფარველი ანგელოზია, მრავალჯერ გამომეცხადა და კურთხევა მომცა, ხშირად მომელოცა ნეტარი ქსენიას საფლავი.

— ის თქვენთან არის? — მორიდებით მიანიშნა დედ-აოს დაჩოქილი ქალისადმი.

— დიახ, ეგ დედა ქსენიაა, მისი მფარველი ანგელოზი ნეტარი ქსენიაა, ერთ დღეს არიან დაბადებულნი.

სახელმა ქსენიამ, ნიკას ნიკალაის ბებიის და ქსიუშა გაახსენა, რომელიც საქართველოში გათხოვილა, ისიც ხომ პეტერბურგელი იყო და ნეტარი ქსენიას დაბადების დღეს იყო დაბადებული. ნიკას ყველაფერი აერია გონე-ბაში. არ იყო მზად ამდენი ინფორმაციის გადამუშავები-სთვის. იდგა დედაოს წინ და ხმას ვერ იღებდა ან რა უნდა ეთქვა... ისევ დედა ლიამ გამოიყვანა მდგომარეობიდან:

— ნეტარი ქსენია აუცილებლად გიშველით, ძმაო... — აქ მცირე პაუზა გააკეთა დედაომ და ჰერითხა უცნობს, — ბოდიშს ვიხდი, შენი სახელი არ ვიცი.

— იოსები დამარქვეს...

— ძმაო იოსებ, აქ ხშირად მოდის ხოლმე, პარაკლისის და პანაშვიდის ჩასატარებლად მამა იოანე, რომელსაც ძლიერი ლოცვა და ხედვის უნარი აქვს. ის ხვალ ჩვენს მონასტერში უნდა მოვიდეს პარაკლისის წასაკითხად. მე მოვუყვები მას შენს შესახებ და აუცილებლად დაგეხ-მარება. ცოტა უცნაური კაცი კი არის, ასეთებს ჩვენთან



სალოსებს ეძახიან, მაგრამ დიდი სიყვარულის მატარებელია. ასე რომ, დაელოდე.

— დიდი მადლობა, დედაო. — ძლივს მოახერხა ეთქვა ემოციებით დატვირთულ ნიკას.

— მადლობა უფალს. — უპასუხა დედა ლიამ და დედა ქსენიასთან ერთად გაუჩინარდა სიბნელეში.

— ნახვამდის. — თქვა გაოცებულმა ნიკამ და მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ ხელში სანთლები ეჭირა, რომელიც დედაომ დაუტოვა.

ნიკა ჩამოჯდა სამლოცველოსთან, მიეყუდა კედელს და ის ღამე ათასნაირ ფიქრებში გაატარა.

დილით, როგორც კი ინათა, ნიკა შეუდგა სამლოცველოს და მისი შემოგარენის დათვალიერებას. სამლოცველოში შესვლა შეუძლებელი იყო, აგურების გროვებით იყო ჩახერგილი შესასვლელი და სამლოცველოს კედლებთან მისასვლელი გზები. სახურავი ჩამოქცეული და დაშლილი იყო. მხოლოდ ნეტარი ქსენიას საფლავი მოჩანდა გასუფთავებული, მასზე აღმართული ლითონის ჯვარი კი გარშემო შემოწყობილი ქვებით იყო გამაგრებული. ესეც, როგორც ჩანდა, მომლოცველების მიერ იყო გაკეთებული. ნიკამ, როგორც იქნა მოახერხა და ნეტარი ქსენიას საფლავამდე მიაღწია. საფლავის გარშემო უამრავი წერილი იყო მიმოფანტული. ნიკამ რამდენიმე მათგანი წაიკითხა. ხალხი წმიდანისაგან დახმარებას ითხოვდა. ზოგი გამოჯანმრთელებას სთხოვდა, ზოგი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ითხოვდა, ჯადოს მოხსნას და სხვა. გარშემო გამურული კედლების ნანგრევებიც სავსე იყო წარწერებით, სანთლის ნაღვენ-

თებით ხომ მოსვრილი იყო იქაურობა. ნიკამ დედა ლიას ნაჩუქარი სანთლები მოიმარჯვა და ის იყო უნდა დაენთო, რომ სამლოცველოს გარედან ხმა შემოესმა:

— შეჩერდი! ჯერ ადრეა!

ნიკამ გარეთ, საფლავებისკენ გაიხედა, დაინახა კოსტუმში ჩაცმული საშუალო ტანის კაცი წვერებით, თავზეცილინდრი ეხურა, ხელებს იქნევდა და თითქოს ვიღაცას ესაუბრებოდა, არადა „ის ვიღაც“ არ ჩანდა. ნიკამ კიდევ ერთხელ მიმოიხედა ირგვლივ და ვერავინ შენიშნა, ძე ხორციელი არ ჭაჭანებდა გარშემო. დედა ლიამ უთხრა ნიკას, რომ ნეტარი ქსენიას საფლავზე მამაო მოვიდოდა. ეს კაცი მამაოს არ ჰერთვდა, თანაც კოსტუმიანი მღვდელი ნიკას ვერ წარმოედგინა, ამიტომაც ცოტა მოშორებით გაჩერდა და მოვლენების განვითარებას დაელოდა. წვერებიანი კაცი კი ვიღაც არარსებულთან საუბარს აგრძელებდა. ნიკას ეჭვი შეეპარა მის სიფხიზლეში, თან ფიქრობდა: „ამ დილაადრიან სად დალევდაო?“ მერე ზურგი შეაქცია და კვლავ გაიფიქრა: „შე დალოცვილო, ვინა ხარ? ნიკალაის ტელევიზორში ერთი კინო გადიოდა ბუდულაიზე, როგორ ჰერთვას მას, იქნებ აქეთ წამოხვიდე, კარგად შემოგხედო, საიდან გაჩნდი აქ?“

რამდენიმე წუთში უცნობმა „იმ ვიღაცასთან“ დაამთავრა საუბარი და ნიკასკენ წავიდა. როგორც მიუახლოვდა, ცილინდრი მოიხადა და ნიკას ღიმილით მიმართა:

— გამარჯობა, ქართველო! სხვათა შორის, ბუდულაიშავ ცილინდრს ატარებდა, ეს კი ყავისფერია.

ნიკა ერთ ადგილას გაშეშდა, განცვითებულმა ვერაფერი მოახერხა და მხოლოდ ხმამაღლა აღმოხდა:

— ვააპ!

წვერებიან-ცილინდრიან-კოსტუმიანმა კაცმა უცებ
მკაცრი გამომეტყველება მიიღო და ნიკას მკაცრად
უთხრა:

— დაწყნარდი! ყველაფერი ნორმალურად იქნება! შენ
ისეთ ადგილზე მოგიყვანა უფალმა, რომ აქედან ისეთი
წახვალ, როგორზეც შენ ოცნებობ.

ნიკა გაშეშებული და დადუმებული მიშტერებოდა
უცნობს, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ბუდულაი უწო-
და, ის კი განაგრძობდა:

— შენ ხმას იმიტომ არ იღებ, რომ არ მიცნობ, მე მამა
იოანე მქვია, ალბათ ჩემი საქციელიც გაოცებს. ახლახ-
ან ნეტარ ქსენიას ვესაუბრებოდი. არ გაინტერესებს, რა
მითხრა?

— რა გითხრა? — გაუცნობიერებლად იკითხა ნიკამ.

— რა მითხრა და მაგ ბიჭს მიხედეო. მე შენ აუცილებ-
ლად მოგხედავ, მაგრამ ჯერ უორასგან ველოდები პასუხს.

— უორა ვინ არის!? — იკითხა გაოცებულმა ნიკამ.

— უორა-გიორგი საქართველოშია, ის ჩემი მეგობარ-
ია, რაც მე ვარ, ისიც ის არის ანუ ჩემნაირია.

„აუ, კიდევ ერთი ბუდულაი?“ — გაიფიქრა ნიკამ და
თმაზე ხელი გადაისვა.

— აი, ეგ არ უნდა გეფიქრა, — დატუქსა ნიკა მამა იო-
ანემ, — ახლა უკვე გამოცდების ჩაბარება მოგიწევს.

— რა გამოცდების!? — შეცბუნდა ნიკა.

— მაგას მერე გეტყვი, — მიუგო მამა იოანემ, — ჯერ
ამ მოჭიკიკე ჩიტების საქმე მაქვს გადასაწყვეტი.

ნიკამ მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება გარშემო
მდგომ ხეებზე მსხდომ ჩიტების გამაყრუებელ ჭიკჭიკს.





ამდენი ჩიტი ერთად არასდროს ენახა, რაღაც საერთო ყრილობას ჰგავდა, ათასნაირი ხმა მოისმოდა ხიდან. ჩიტები ცხარედ „კამათობდნენ“. მამა იოანემ უსმინა ჩიტებს, მერე მოტრიალდა და ნიკას უთხრა:

— ნახე რა ხდება!? ჩიტები სახეობის გადარჩენაზე ბჭობენ!

მამა იოანე და ნიკა ათი წუთი მაინც იდგნენ ერთ ადგილზე. მამაო მიწას დასცექროდა და თავს ისე ამოძრავებდა, თითქოს სათითაოდ ყველა ჩიტის ხმის მოსმენა უნდოდა. ბოლოს, თვითონაც ჩიტების ხმაზე დაინტყო სტვენა. ჩიტებმა შეწყვიტეს ჭიკჭიკი, ყველა ერთიანად გაირინდა. მამაომ ისევ დაუსტვინა, საპასუხოდ ხიდან მხოლოდ ერთი ჩიტის ხმა გაისმა, თითქოს რაღაც პასუხი გასცაო, დანარჩენები ისევ გარინდულები იყვნენ.

— ნახე! — დაარღვია სიჩუმე მამაომ, — როგორ მიცნეს მე! როგორი იერარქია აქვთ ჩიტებს და როგორი ზრდილობა. ამათ მიცნეს მე, ხალხი კი ვერ მცნობს.

ბოლოს, ისევ რაღაც ჩაუჭიკიუკა ჩიტებს და მათი მთელი გუნდი ერთიანად ისევ აჭიკიუდა.

ნიკა განცვიფრებული შესცექროდა მამაოს და თავი სიზმარში ეგონა. ხმას ვერ იღებდა, რაღაც განსაკუთრებული შიში დაუფლებოდა. დაძაბული სიტუაცია ისევ მამაომ განმუხტა:

— მისმინე ახლა, ქართველო. შენი სახელი ხომ გახსოვს?

— არა, — უპასუხა ნიკამ, — კამენკაში ვინც შემიფარა, იმათ იოსები დამარქეს.

— შენ ნიკოლოზი გქვია, — გაეცინა მამაოს, — რუსულად ნიკალაი. მეტს ჯერ ვერაფერს გეტყვი, რადგან

უორასგან ველი პასუხს. მანამდე შენ ქალაქში ისეირნე, აქ დღისით ისეთი ამბავია, შეიძლება გაგიუდე ამდენ გადარეულ ხალხში, ხოლო რომ მოსალამოვდება, მოდი აქ, ილოცე ნეტარი ქსენიას საფლავზე და ლამე აქ გაათიე ხოლმე.

— კი, მაგრამ, — გაოცება ვერ დამალა ნიკამ, — მე საბუთები არ მაქვს და მილიცია დამაკავებს.

— გინდა, რომ გაიგო, რა ხდება შენს ირგვლივ!? — მკაცრად მიმართა მამა იოანემ და ნიკას თვალი თვალში გაუყარა.

ნიკამ თავი დახარა და ხმა არ ამოუღია, რაც თანხმობის ნიშანი იყო. მამაომ ჯიბიდან ოცდახუთმანეთიანი ამოილო და ნიკას ჩაუდო პერანგის ჯიბეში. ნიკამ იუკადრისა:

— ფული მაქვს, არ მინდა!

— შენ მხოლოდ უკან დასაბრუნებელი ფული გიდევს ჯიბეში, — უთხრა მამა იოანემ, — ამ ფულს კი მე შენ გასესხებ და საქართველოში რომ ჩამოვალ, მაშინ დამიბრუნებ.

მამაოსთვის ნიკას უხერხული მდგომარეობა, რა თქმა უნდა, გასაგები იყო და ამიტომაც უთხრა, რომ ეს ფული სესხად მოგეციო. მერე კი დასძინა:

— მაგრამ იცოდე, თუ გინდა, რომ ყველაფერი შენს სასარგებლოდ დამთავრდეს, სამგ ზავრო ტრანსპორტში იმგზავრებ უბილეთოდ და ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებზე გაივლი წითელზე. ამ ფულით კი საჭმელი იყიდე. ეს ჩემი კურთხევაა და უნდა შეასრულო. მე სამი



დღე არ ვიქნები, მეოთხე დღეს მოვალ და ჩავიბარებ გა-
მოცდას

როგორც კი დაამთავრა საუბარი მამა იოანემ, შეტრი-
ალდა და წავიდა.

ნიკა გასცემოდა მიმავალ მამა იოანეს და ვერ აცნო-
ბიერებდა ან რატომ მოვიდა ეს კაცი სასაფლაოზე ან რა-
ტომ მისცა ეს დავალებები მას — „თან ჩიტების ყრილო-
ბა ჩაატარა, იქნებ ყველაფერი ეს მე მომეჩვენა?“ ამის
გაფიქრება იყო და მაშინვე პერანგის ჯიბე მოისინჯა და
როგორც კი მამა იოანეს მიერ ნაჩუქარი ოცდახუთმანე-
თიანი ამოილო, მიხვდა, რომ ყველაფერი რეალური იყო.

კარგად რომ გათენდა ხალხმა ჯგუფ-ჯგუფად იწყო
სასაფლაოზე შემოსვლა და მაშინვე ალყაში მოაქციეს
ნეტარი ქსენიას საფლავი და სამლოცველო. ანთებდნენ
სანთლებს, ლოცულობდნენ, ტიროდნენ, საფლავიდან
აღებულ მინას სათუთად ნაჭრებში ან სპეციალურად შე-
კერილ პატარა ტომრებში ყრიდნენ, რათა თან ნაელოთ.
მომლოცველთა რაოდენობა თანდათან იზრდებოდა, ასე
რომ, ნიკას გაახსენდა მამა იოანეს სიტყვები: „შეიძლება
გაგიუდე ამდენ გადარეულ ხალხში, ხოლო რომ მოსალამ-
ოვდება, მოდი...“

ნიკამ კიდევ ერთხელ გაიხედა სამლოცველოსკენ,
პირჯვარი გადაიწერა და სასაფლაოს გასასვლელისკენ
წავიდა ნელი ნაბიჯებით. მიუხედავად დღის ასეთი ემო-
ციური დასაწყისისა, ბედნიერი იყო იმით, რომ ჯერ ერთი
თავისი ნამდვილი სახელი გაიგო და მეორე, რომ მომავ-
ლის იმედი ჩაუსახა მამა იოანემ.

მამა გიორგიმ გოგი და მალხაზი კი დაიბარა ერთი კვირის შემდეგ, მაგრამ ნიკას მანქანის სანომრე ნიშნის პოვნის შემდეგ, მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ მამაო ჩაეყენებინათ საქმის კურსში. ამიტომ მეორე დღეს, დილით გაემართნენ მონამეთას მონასტერში.

მამა გიორგის ტაძარში დილის ლოცვები დაემთავრებინა და თავის სენაკში ისვენებდა. როგორც კი გოგი და მალხაზი დაინახა გაკვირვებულმა შესძახა:

— რავა!? გევიდა უკვე ერთი კვირა!? — მერე გაელიმა და დააყოლა, — აჩქარდა ალბათ სამყარო, რავა გარბის დღეები.

— მამაო, სულ სხვა რაღაც აღმოვაჩინეთ და ამიტომ გეახელით, — მორიდებით მიუგო გოგიმ, — ბოდიში, მამაო, ასე რომ შემოვიჭერით. მშვიდობაც არ გვითქვამს, დაგვლოცე, მამაო.

— მშვიდობა მისაღებია, — უპასუხა მამა გიორგიმ, — მარა, რატომ უნდა დაგლოცოთ, ვალი მაქვს თქვენი თურა!? ან ლირსი ხართ დალოცვის, როდესაც მღვდლის კურთხევას არ ასრულებთ!?

— ბოდიში, მამაო, — ალაპარაკდა მალხაზიც, — ჩემი ბრალია ყველაფერი, იცით ჩემი ოჯახის მდგომარეობა, ნერვიულობისაგან თავს ველარ ვაკონტროლებ. გოგი არაფერ შუაშია.

— ნერვიულობა ცოდვაა, საყვარელიძის კაცო, — უთხრა მამა გიორგიმ და პირჯვარი გადაიწერა, — ღმერთმა იცის, რასაც აკეთებს. თუ გგონიათ, მის გა-



ՐԵՇԵ ՐԱՈՄԵ ԵԾԵՔԱ ԱԹ ՏԱՄՊԱՐՈՒՄԻ, ՌԱՅՆԴԱԿ ՇՄԻՆԻՑՎԵԼՈ
ՆՎՐՈՂԼՄԱՆԻՎ ՀԻ, ՏԱԼՈՒԱՆ ՏՎԵԾԵՔՈՒԹ, ՏԱՎՈ ԱՐ ՄՈՐԾՊԱՌՈՒԹ,
— ՇԵՄԾԵԳ ՄՎՈՐԵ ԵԲՈՒ ՌԵԲԱ, ԳԱՈԼՈՒՄԱ ԾԱ ԳԱՆԱԳՐԾՈ,
— ԸՄԵՐԹՄԱ ԾԱԳԼՈՎՈՒԹ! ԿԱՅ ԱԾԱՄՈԱՆԵՔՈ ԵԱՐՏ ՌԵՎԵ!
ԱԾԱ, ՐԱ ԵԾԵՔԱ, ՐԱԳՐՈՄ ՇԵՐՆԱԾԵԳՈՒԹ?

— ՄԱՄԱՐ, — ԾԱԽՆԿՈՒ ԳՐՈԳՈԹ, — ՄԱԼԽԱՅՈ ՏԱԵԼՄԻ ՌՈՄ
ՄԻՄՊԱՅԾԱ, ԻԹ ՄՇԵՋԸ ԾՈՎԱՐԵՒ ԳՎԵՐԾՈ, ՏԱԺԱԿ ԵՆՇՋՈՒԾՈՒՍ
ԾՈՒՔՈ, ԳԵՐՆՈՐՈ ԾԵՐՄԻՑՎՐԱ. ԳՇԱԼՄԱ ՌԱՎԵԱ ՄՈՐԾԵՆՈ, ԳԱՎԱԲԻ-
ՐԵ ՄԱՆՅԱՆԱ ԾԱ ԱՐ ՎՈՉՈՒ ՐԱԳՐՈՄ, ԱՖԳՈԼՈՒՍ ԾԱՏՎԱԼՈՒՐԵ-
ՔԱ ԾԵՎՈՌՆԿԵ. ԻԵՎԵ ՎՈՆՌՈ ԵԵՎՈԱ ԾԱ ԻԵԱՆԵԿ ՎՈՌՈՄՈՎԱԼԵ
ԾԱ, ԵՍ ՏԱՆՈՄՐԵ ՆՈՌԱՆՈ ՎՈՒՊՈՎԵ, ՌՈՄԵԼՈՎ ՄԱԼԽԱՅՈՒՍ
ԳԱՄԻՆԱՐԵԾՈՎՈ ՏՈԽՈՍ ՄԱՆՅԱՆՈՍԱԱ. ԱԳԵՐ, ՏԱՆ ՄԱՅՎԵ ԾԱ
ՎԵՐ ՎԵՎԴԵԳՈՒԹ, ՐԱԳՐՈՄ ՄՆԴԱ ԳԴԵԾԵԾՈՎՈ ԻԵԱՆԵ?

ՄԱՄԱ ԳՈՐԾԳՈԹ ՏԱՆՈՄՐԵ ՆՈՌԱՆՍ, ՌՈՄԵԼՈՎ ԳՐՈԳՈՒ ԵԺԻ-
ՐԱ ԵԵԼՄԻ ԱՐԾ ՇԵԽԵԾԱ ԾԱ ԱՐԾ ԱՐԱՎՈՒՏԱՐՈ ԳԱՐԾԵՔԱ ԾԱՄԻ-
ՆԵՎՈԱ ՏԱԵՒԵ. ՏԱՅՄԵՇՈ ԲԻՇԵԾԵԾԱՎՈ ԿԱՎՈՒ ՌՈՄ ՇԵՏԾՐԵԾՈՎԾԱ
ԱԹ ԱՄԾԱՎՍ, ՈՒՈԿՐԵԾԾԱ, ՌՈՄ ԵՍ ԿՎԵԼԱԾՈՎԵՐՈ ՄԱՄԱՐՄ ՈՎՈՍ
ԾԱ ԱՄՈՒՐՈՄ ԱՐ ՐԵԱԳՈՐԵՔԸ. ՄԱՄԱ ԳՈՐԾԳՈԹ ՀԻ ՄՇՎՈՒԾԱԾ
ՄՈՒՄՈ ԳՐՈԳՈՒ:

— ՐԱԾ ՄՆՊՈՐԵՔ ՇԵԲ ԱԵԼԱ ԱԹ ՏԱՆՈՄՐԵ ՆՈՌԱՆՍ?

— ՐԱ ՎՈՉՈ, ՄԱՄԱՐ, — ԱԵՐՈԱԼԾԱ ՄՈՎԵԼՈՎԾԵԼՈ ԿՈՒԵ-
ՎՈՏՏԱՆ ԳՐՈԳՈ, — ՄՈԼՈՎՈՒ ԵՄ ԱՐ ԲԻՎԱԿԵՆՈ ՏԱՅՄՈՒ ԿՄՐ-
ՇՈ-ՌԵՎԱ.

— ՄԵՐԵ ՄՈԼՈՎՈԱ ՐԱԾ ԳԵՒՊՎՈՍ? — ԳԱԵՎՈՆԱ ՄԱՄԱՐՍ, —
ԱՄՈՒՏԱՆԱ ԵՄՐԵԾԱ „ԳԱՈՄՆՈԿԵՔՈ“ ԿՎԵԼԾԾԾԱ ԱՌՈՎԾԵԿԵ
ԳԾԱՅԵ ԾԱ ԿՎԵԼԱՅԵ ՌՈՄ ՏԱՅՄԵ ԱԼԾՐԱՆ, ՄԱՌՈՆ ԵՐՏՈ ՌԵՆԱ-
ԳԱՆ ՏԱՅՄԵՏԱ ՏԱՄՈԽՈՍՔՐՈ ԿՈՇԵՎ ԾԱՏՔՈՐԾԵՔԱ. ԱՄՈՒՐՄ,



თქვენს შემთხვევაში თუ დამნაშავე ვერ იპოვეს, საქმე შეიძლება უკან შემოგიტრიალონ, შეეშლებათ თუ?

- რა ვქნათ, აბა, მამაო? გული ცუდს მიგრძნობს.
- გოგი, არ გეყურება შენ!? — მკაცრად მიმართა მამა გიორგიმ, — ერთ კვირაში-თქვა.
- კი, მესმის, მამაო, ალბათ შეიცვლება რამე. — მიუ-გო დამწუხრებულმა გოგიმ.

მამაოს შეეცოდა გოგი და მალხაზი, რადგან დიდ განცდებში იყვნენ და სცადა მათი დაწყნარება:

- გამეიხედე შენ აქეთ! მილიციაში რომ აპირებ გაქცევას. მაგი არ ქნა, შენ იმას საქმეს ვერ მოუგებ, რადგან ის ამ სოფლის მთავრისგან — ეშმაკისგან იმართება. მე ნანახი მაქვს ყველაფერი, ვიცი რაც ხდება, ამიტომ ველოდები ერთი კაცის აღიარებას, რომ ამით სხვა დამნაშავეები გაჩერდნენ. მე დაუფიქრებელ ნაბიჯს ღმერთი არ გადამადგმევინებს, რადგან თავის დროზე დიდი გამოცდები ჩამაპარებინა. შეურაცხყოფა და ავი სიტყვა ბევრი ვიწვნიე. რა სახის ცილისწამება არ გაავრცელეს ჩემზე, ხან ყაჩალობა დამნამეს, იარალის ტარება, ბანდის მეთაურობა. ააგორეს ავი სიტყვა ქალებზე, ფულზე, თამაშზე, ნათესავებს აიძულებდნენ „ეღიარებინათ“ ჩემი „დანაშაულებრივი საქმეები“. ძმისშვილი წეიყვანეს დაკითხვაზე და არაფერს ხელი არ მოაწერა, მეორე დღეს შვიდ კაცს აცემინეს. მერე მომწამლეს. ვიცი ვინც ჩეიდინა, კიბოთი გარდაიცვალა საწყალი. მაინც შემეცოდა, დაავალეს იმ გაჭირებულს. მეორედ კიდევ მომწამლეს უფრო ძლიერი საწამლავით. ესეც ვიცი ვინც ჩეიდინა, თბილისიდან იყვნენ. ჯერაც

ვერ გამევედი მდგომარეობიდან, ხომ ხედავთ ენა მე-ბორკება, ეს მოწამვლის შემდგომ დამრჩა. სულ სიცხ-ეები მაქვს, მაგრამ მაინც უნდა გოვუძლო, ექიმთან არ მივდივარ, ერთხელ კი გამსინჯეს. მე ჯერ არ გავალ ამ ქვეყნიდან. ორჯერ მანქანა დამატაკეს. ერთხელ მსუბ-უქად გადავრჩი, მეორედ მთელი ღამე ვეგდე ძვლებ-დამტვრული. ასე რომ, ყველაფერს თავისი დრო და თავისი ადგილი აქვს. თქვენ რომ დაწყნარდეთ ერთს გეტყვით, ყველაფერი კარგად მიდის. იოანესგანაც ველოდები პასუხს. კიდევ გევიმეორებ, აღიარების გა-რეშე მე რომ გავამულავნო სიმართლე, ნივთიერ მტ-კიცებულებას მომთხოვენ, რასაც ვერავინ წარადგენს და გაბრიელივით „ფსიხუშვაში“ გამომამწყვდევენ და დარჩება ამდენი საქმეები გასაკეთებელი. ასე რომ, მეი-ცადეთ რამდენიმე დღე და ყველაფერი გეირკვევა.

— იოანე ვინ არის, მამაო? — იკითხა გოგიმ.
— ოოო! — ბეჭებში გასწორდა მამა გიორგი, — იო-ანე ძალიან დიდი სულია, დიდი წინასწარმეტყველი, რუსეთში მასზე დიდი არ დადის დღეს. მას დიდი ჯვარი ადევს! მასში ღმერთი ჩამოდის! მისი ყოვლისმხედველი თვალი ყველგან ხედავს! იგი მოქმედი წმიდანია, რომელ-საც ღმერთი აძლევს ძალას და ცოდნას, რათა სულიერი თვალით მოატაროს და დაანახოს ზეციური სამყარო!.. ესუმრები რუსეთს!?

ამ დროს სენაკის კარზე ერთდროულად კაკუნის და ქალის ხმა გაისმა:

— უფალო, შემიწყალენ!
— რა არის, ანიჩკა! შემოდი! — გასძახა მამა გიორგიმ.



სენაკში მესანთლე შემოვიდა და მამაოს უთხრა:

— მამა გიორგი, ბონდო ენუქიძეა მოსული ტაძარში და თქვენი ნახვა უნდა.

— მერე, შე ოჯახაშენებულო, ვერ წამეიყვანე? — უსაყვედურა მესანთლეს მამა გიორგიმ.

— აქ კი არა, საკურთხეველში შედიოდა, ძლივს გავაჩერე.

— რავა! — გაიკვირვა მამაომ.

— რომ შემოვიდა, — უპასუხა მესანთლემ, — მაშინვე იკითხა, გიორგი კაბინეტშიაო? ჰასუხს არ დაელოდა და საკურთხევლისკენ გაემართა. ძლივს შევაჩერე. ენყინა.

— რატომ? — გაეცინა მამაოს.

— ასე თქვა: „ქუთეისში ყველა კაბინეტში წიხლის კვრით შევდივარ და რა გახდა გიორგის კაბინეტიო. ეს ფარდები სირცხვილია, ხელოსანს გამოვაგზავნი ხის კარებებს ჩავასმეინებო“.

— კაი, ანიჩკა, კაი, — დააწყნარა მესანთლე მამა გიორგიმ, — წაი, უთხარი ახლავე მოვა-თქვა, — მერე გოგის და მალხაზს მიუბრუნდა და უთხრა, — ბოდიშს ვიხდი თქვენთან, ბიჭებო, გავხედავ ერთი იმ ანტიქრისტეს, ვიცი მაგი რისთვისაც მევიდა.

გოგი და მალხაზი დაემშვიდობნენ მამაოს და გავიდნენ სენაკიდან.

— გამარჯობა, ბონდო! — ტაძარში შესვლისთანავე მიესალმა მამა გიორგი ენუქიძეს.

— სხვათა შორის, ელეფთეროვიჩი ვარ! — ნაწყენი კილოთი უპასუხა ბონდომ.

- ვიცი! ვიცნობდი! — მიუგო მამა გიორგიმ.
- ჰო, კარგი, გავატარე, - თქვა ბონდომ და საქმიანი კაცის იერი მიიღო, — საავადმყოფოში უნდა წამომყვე.
- რა ხდება ასეთი? — იკითხა მამაომ.
- მთელმა ქალაქმა იცის, ჩემი ბიჭი რომ ავარიაში მოყვა, არ გაგიგია? — ჰკითხა ბონდომ მამაოს.
- კი, რავა არა. როგორ არის ახლა? — კითხვითვე უპასუხა მამა გიორგიმ.
- გადარჩა, მარა სამუდამოდ ინვალიდად დარჩებაო, ასე თქვეს ექიმებმა, მოსკოვიდანაც ჩამევიყვანე პროფესორები, იმათაც იგივე დიაგნოზი დასვეს. ახლა აიჩემა, მღვდელი მომიყვანეთო, თან მაინც და მაინც შენზე თქვა და, თუ არ შეწუხდები, იქნებ გამომყვე. — ძლივს წარმოთქვა უკანასკნელი სიტყვები ბონდომ, რადგან არ იყო შეჩვეული თხოვნას, მაგრამ ერთადერთი შვილის გულისთვის ამაზეც წავიდა.
- რატომ, არ უთქვამს? რატომ უნდა მღვდელთან შეხვედრა? — იკითხა მამა გიორგიმ.
- არ ვიცი, არ მეუბნება, — მიუგო ბონდომ, — მხ-ოლოდ ის თქვა: „სიზმარში ვნახე მამა გიორგი და მინდა მასთან საუბარიო“.
- კი ბატონო, მე მზად ვარ, როცა გენებოთ.
- ახლავე წევიდეთ! ნუ გადავდებთ!

უკვე მესამე დღე დასრულდა, რაც ნიკა მამა იოანეს კურთხევას ასრულებდა. ძალიან ბევრი შეურაცხყოფის ატანა მოუწია. სადაც კი გზაჯვარედინს მიუახლოვდებოდა, ქუჩა მაშინ უნდა გადაეკვეთა, როდესაც ფეხით მოსიარულეთათვის შუქნიშნის წითელი ფერი აინთებოდა. ძალიან უჭირდა, ცალკე საფრთხე უნდა აეცილებინა და ცალკე კიდევ მძლოლების გინება მოეთმინა. ავტონ-სპექციის თანამშრომლებს ხომ უნდა მორიდებოდა ან გაქცეოდა, რადგან საბუთები არ ჰქონდა. ეს კიდევ არაფერი იმასთან შედარებით, რაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის დროს ხდებოდა. კურთხევის მიხედვით, ავტობუსებსა და ტროლეიბუსებში უბილე-თოდ უნდა ემგზავრა. კონდუქტორები, უბილეთო ქართ-ველს რომ დაინახავდნენ, სხვა მგზავრების დასანახად, ატეხავდნენ ხოლმე ლანძღვა-გინებას. იყო შემთხვევები, რომ კონდუქტორს მძლოლისთვის უთქვამს, გაეჩერებინა მანქანა და ნიკა ტრანსპორტიდან ჩამოუგდიათ. „ეს რა უბედურებაა“ — ფიქრობდა ხოლმე ნიკა, — „როდემ-დე უნდა ვიყო ამ დღეში? მართლა დავიღალე. მიუხედა-ვად იმისა, რომ უცხო ქალაქში ვარ და არავინ მიცნობს, სირცხვილისაგან ვიწვი“. როგორც კი ამას გაიფიქრებდა, მაშინვე ყურში მამა იოანეს სიტყვები ჩაესმოდა: „გინდა, რომ გაიგო რა ხდება შენს ირგვლივ!?” ყოვე-ლივე ამის შემდეგ, ჩვეულებრივ აგრძელებდა „სეირნო-ბას“ ქალაქში, თუმცა მილიციელებს ყოველთვის ერიდებოდა. როდესაც ნიკამ, თავისი „მოღვაწეობის“ მესამე

დღე დაასრულა, ქალაქის ცენტრში ავტობუსში ავიდა, რათა სმოლენსკის სასაფლაომდე მისულიყო. ასვლისთანავე კონდუქტორი ქალის მზერა იგრძნო, რატომლაც ის გველს მიამსგავსა. ტანში ურუანტელმა დაუარა და მამა იოანეს სიტყვები გაახსენდა: „უცნობი, რომელიც შიშ-სა და შფოთს აღგიძრავს გულში, არ არის ჩვეულებრივი ადამიანი, ის ან შეპყრობილია ან თვითონ არის ეშმაკი ხორციელი სახით“.

კონდუქტორი ქალი პირდაპირ ნიკასკენ წავიდა. ჯიქურ მივარდა მას და კი არ ჰქითხა, არამედ უყვირა:

— ბილეთი გააქვა!?

— არა! — უპასუხა ნიკამ მთელი სიმკაცრით.

კონდუქტორმა ატეხა საშინელი ლანძლვა. ნიკამაც აღარ დაუთმო. ძალიან დაძაბული სიტუაცია შეიქმნა, ისეთი, რომ ეს ყველაფერი შეიძლება ცუდად დამთავრებულიყო. ამ დროს, ნიკას ყურადღება მიიქცია, ავტობუსის წინა კართან მდგარმა სამხედრო ტანსაცმელში ჩაცმულმა ქალმა, რომელმაც ნიკას ანიშნა, რომ ფული გადაეხადა კონდუქტორისთვის. ეს ქალი იყო თუ მოჩვენება, თავისი ჩაცმულობით სხვა საუკუნიდან მოსულს უფრო ჰგავდა, ვიდრე თანამედროვე საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეს. თანაც სასწაული ის იყო, რომ ამ ორომ-ტრიალში მას ნიკას გარდა ვერავინ ამჩნევდა. ნიკა მაინც ჯიუტობდა, მაგრამ მას ერთი მამაკაცი მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— შვილო, მაგ კაპასს შენ ვერ გამოზრდი, თავს კი დააჭერინებ, მიეცი ფული და მშვიდობით ჩადი!



ნიკა გონს მოეგო. უცნობი მამაკაცის ხმა ძალიან წააგავდა მამა იოანეს ხმას. ამან ნიკა ცოტა დააწყნარა, თუმცა მეხსიერებიდან არ ამოდიოდა უცნაურ სამხე-დრო ფორმაში ჩაცმული ქალი, რომლის შემოხედვამაც გადააწყვეტინა ნიკას, არ გაემწვავებინა სიტუაცია.

ნიკამ, როგორც იქნა მიაღწია სასაფლაომდე. ჩამოჯ-და სამრეკლოს გვერდზე, ხის ძირას გაკეთებულ სკამზე, მთელი დღის დაღლილს მაშინვე ჩაეძინა. სიზმარი ნახა. გამოეცხადა ის უცნაურ სამხედრო ფორმაში ჩაცმული ქალი, ნიკას ჯვარი გადასახა და უთხრა:

— შენ გაიმარჯვე, ქართველო!

— ვინ ხარ! — იყვირა ნიკამ და უცებ გამოფხიზლდა.

ირგვლივ არავინ ჩანდა. მხოლოდ სამრეკლოს შეს-ასვლელში გაუჩინარდა სამხედრო ფორმაში ჩაცმული ქალი. ნიკა სახტად დარჩა, დილამდე თვალი არ მოუხ-უჭავს. დილით, როგორც კი ირიჟრაჟა, ჩიტების დიდი გუნდი მოფრინდა იმ ხეზე, რომლის ქვეშაც იჯდა ნიკა. ატეხეს დაუსრულებელი ურიამული. ნიკა გაოგნებული უყურებდა ამ სანახაობას და ერთმანეთში ერეოდა უკანასკნელ დღეებში განვითარებული მოვლენები. ყველაზე მეტად მაინც ეს სიტყვები დაამახსოვრდა: „შენ გაიმარჯვე, ქართველო!“

უცებ ჩიტების გუნდი ერთიანად მოწყდა ხეს და მი-წაზე დაფრინდნენ. ნიკამ გაიხედა სასაფლაოს შემოსასვ-ლელისკენ და სამლოცველოსკენ მომავალი მამა იოანე დაინახა, რომელიც ამჟამად მღვდლის შესამოსელში იყო გამოწყობილი.

მამაო შორიდანვე, ხელის აწევით მიესალმა ნიკას, მერე ჩიტებს თავისებურად „ჩაუჭიკიკა“ და ნიკასკენ გამოემართა, ჩიტები კი ისევ ხებზე დასხდნენ.

— მშვიდობა, ნიკალაი! როგორ ხარ?

— არა მიშავს, მამაო, ვუძღებ. — უპასუხა ნიკამ.

— რა დღეში იყავი გუშინ? — ღიმილით ჰკითხა მამა იოანემ ნიკას, — ის კონდუქტორი ამა სოფლის მთავრის მოციქულია, ის აგრესიას ვერ იტანს, რომ არა ნეტარი ქსენია, ვერ დამთავრდებოდა იქ კარგად საქმე.

— ის ნეტარი ქსენია იყო? — გაოცდა ნიკა.

— დიახ! ის გახლდათ, — მიუგო მამაომ და პირჯვარი გადაიწერა, — მისი მადლი ფარავდეს ჩვენს საქრისტიანოს! — მერე წვერებზე ხელი ჩამოისვა და დასძინა, — ამ დღეებში არც მე დამიტოვებიხარ მარტო, ასე რომ, შენი ვალი მაქვს.

— ვალი რატომ, მამაო? — იკითხა ნიკამ.

— კონდუქტორს რომ გადაუხადე ბილეთის საფასური, აი, ის ვალი. — წამოიძახა მამაომ, მერე ნიკას ხელკავი გაუკეთა და ნეტარი ქსენიას საფლავისკენ წაიყვანა, — მოდი ახლა ნეტარის საფლავზე მისი დაუჯდომელი წავიკითხოთ და მერე დანარჩენ საქმეებს მივხედოთ.

მამაომ საწყისი ლოცვების წარმოთქმის შემდეგ გადაშალა დაუჯდომელის საკითხავები და დაიწყო:

— რჩეულო სათნომყოფელო ღმრთისაო და ქრისტე-სათვის სულელო, წმიდაო ნეტარო დედაო ქსენია, მოთმინებისა ღვანელის თავსმდებელო და ბოროტად ვნებულო, შენი წმიდა ხსოვნის პატივისმცემელნი, შენდამი ქებისა გალობასა შევსწირავთ, დაგვიფარე შენ ხილულ-



თა და უხილავთა მტერთაგან, შენდამი მღალადებელნი: გიხაროდენ, ნეტარო ქსენია, მვედრებელო სულთა ჩვენთათვის... — კითხულობდა მამა ორანე და თან ცრემლებით ევსებიდა თვალები და მიუხედავად ამისა მაინც დაუცხრომლად განაგრძობდა მსახურებას... და ბოლოს, მამაომ ლოცვით დაამთავრა — შენ ხარ ჩვენი იმედი და სასოება, მსწრაფლშემსენელი და მხსნელი, შენდამი მადლობასა აღვავლენთ და შენთანა ვადიდებთ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

მამა ორანემ ნიკა თავისთან წაიყვანა სახლში, მოაწეს-რიგა, ახალი ტანსაცმელი ჩააცვა და ორივენი რკინიგ-ზის სადგურში წავიდნენ. ნიკამ, მამაოს რჩევით, ბილე-თი აიღო სადგურ კამენეკამდე. მატარებლის გასვლამდე ორი საათი იყო დარჩენილი და გადაწყვიტეს, შესული-ყვნენ იქვე მდებარე კაფეში ლუდის დასალევად. მამაომ ორი კათხა ლუდი მოატანინა ოფიციანტს, როგორც კი მოსვა სასმელი, ზევით აიხედა, საჩვენებელი თითი ასწია და თქვა:

- ხანდახან უფროსობა მაფრთხილებს, რომ არ დავლიო სასმელი. დღეს დამრთეს ნება, ამიტომ ამ კათხ-ას ბოლომდე დავცლი.
- ღმერთმა შეგარგოთ, მამაო! — გახალისდა ნიკაც.
- შეგიძლია, ბატუშკა დამიძახო, — გაელიმა მამაოს,
- შინაურები ასე მომმართავენ.
- კარგით, ბატუშკა. — მიუგო ნიკამ და მამაოს შეხედა.
- შენ რა, არ სვამ ლუდს? — გაიკვირვა მამა ორანემ.
- რა ვიცი... — უხერხულად შეიშმუშნა ნიკა.



— მისმინე, ნიკალაი, — უთხრა მამაომ, — ღმერ-
თი ცეცხლია და მისი მოახლოებისას სულს უჭირს,
ვერ უძლებს ღვთიურ სიმხურვალეს, საიდანაც მადლი
გამოდის, ამიტომ უფალი გვაძლევს უფლებას, რომ
გაგრილების მიზნით, ცოტაოდენი ალკოჰოლი მივი-
ღოთ. თქვენ, ქართველები ბედნიერები ხართ, რომ
ღვთიური სითხე, ღვინო გაქვთ, რომელიც ადამიანის
გულს ახარებს.

ამ სიტყვების მერე ნიკამ კათხა აიღო ხელში და ცოტა
ლუდი მოსვა.

— იცი რა არის, ნიკალაი, — განაგრძო საუბარი
მამაომ, — მე მიყვარს საქართველო და ქართველები.
მადლობელი ვარ, რომ თქვენ დიდ პატივს მიაგებთ წმიდა
ნინოს და წმიდა გიორგის. ძალიან მინდა, რომ წირვისათ-
ვის საქართველოდან ჩამოვიტანო ქართული ყურძნის
ზედაშე, თორემ აქ ხან თეთრი ღვინით წირავენ და ხან
პორტვეინით.

— ბატუშკა, — შეაგება სიტყვა ნიკამ, — მე თუ კიდევ
მეღირსა ოდესმე აქეთ ჩამოსვლა, აუცილებლად წამო-
გიღებთ ღვინოს.

მამა იოანეს გაეცინა:

— მოგიწევს, აუცილებლად მოგიწევს, სიტყვას გაძლევ.

მამაოდა ნიკარკინიგზის ბაქანზე გამოვიდნენ. ბალტი-
ის ზღვის მხრიდან ნიავი ქროდა და თან მლაშე წყლის
სუნი მოჰქონდა, დღეც ნელ-ნელა იწურებოდა. მამაომ ნი-
კას მხარზე ხელი გადახვია და ღიმილით უთხრა:

— შენ კამენკაში დაბრუნდები. ამ დღეებში მოგა-
კითხავენ საქართველოდან და ყველაფერს გაიხსენებ.



შენ ღმერთს უყვარხარ, გამოცდები კარგად ჩააბარე. დანარჩენს უორა მიხედავს.

ნიკა მარჯვენაზე ემთხვია მამა ოთანეს და ვაგონში შევიდა.

ნახევარი საათის შემდეგ მატარებელმა დატოვა პეტრეს ქალაქი და გეზი ცენტრალური რუსეთისკენ აიღო.

21

საავადმყოფოში მღვდელი რომ დაინახეს, ზოგს ლიმილი მოადგა სახეზე, ზოგი დაიმალა. მხოლოდ ერთი შუახნის მამაკაცი მიეგება მამა გიორგის, რომელიც ახლობლის საავადმყოფოში მოსული საავადმყოფოში. ოთხად მოიხარა წელში და მამაოს ხელი გაუწოდა:

— შენ აგაშენა, მამაო, ღმერთმა, რომ შემხვდი, კაი გამარჯობა შენი!

გაკვირვებულმა მამა გიორგიმ ხელი გაუწოდა უცნობს და მიუგო:

— გაგიმარჯოს, მოყვასო! რავა, ვიცნობთ ერთმანეთს თუ? მე რაცხა ვერ გიცანი?

— არა, მამაო, არ ვიცნობთ ერთმანეთს. — უპასუხა ლიმილით უცნობმა.

— მაშინ... — დაფიქრდა მცირე ხნით მამაო, თვალებში შეხედა უცნობს და განაგრძო, — მღვდელთან ხუმრობა არ ვარგა, რომ იცოდე, მარა ღმერთმა შეგინდოს, რაც ჩეიფიქრე.

— კაი, ახლა, გიორგი, — საუბარში ჩაერთო ელეფთ-ეროვიჩი, — რატომ გაღიზიანდი. მაგ კაცს არაფერი უკადრებია შენთვის.



ამასობაში მღვდლის და უცნობის დიალოგმა გარშემომყოფების ყურადღება მიიქცია და ცნობისმოყვარეების საკმაო რაოდენობა შეგროვდა დერეფანში. ვინც ოთახებში და პალატებში დაიმალნენ, ისინიც კი შეუერთდნენ სეირის მაყურებლებს. მამა გიორგიმ ელეფთეროვიჩსაც დაუბრიალა თვალები და მთელი სიმკაცრით უთხრა:

— მე არავინ ვარ, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ თქვენსავით, მარა ამ წვერით და ტანსაცმლით ღმერთმა შემმოსა, რათა მისი ნება აღვასრულო და ღმერთის ნების აღმსრულებლის შეურაცხყოფა, იგივე ღმერთის შეურაცხყოფა და უარყოფაა.

ელეფთეროვიჩი ახლა უცნობ მამაკაცს მიუბრუნდა და უთხრა:

— რა გეიფიქრე ამისთანა, შე ოჯახაშენებულო, რომ ასე გაანაწყენე ეს კაცი, შენ მაინც თქვი, თორემ გიორგი ამას ჩვენ არ გვეტყვის!

უცნობს ელეფთეროვიჩის დანახვაზე შეეშინდა, რადგან იცოდა ვინც იყო იგი და გაპარვაც კი დააპირა, მაგრამ ვინ გაუშვებდა.

ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ისევ მამა გიორგიმ დაარღვია ეს უხერხულობა:

— სხვა გზა არ გაქვს, უნდა თქვა, — გაეღიმა მამა გიორგის და განაგრძო, — თორემ ეს ხალხი იფიქრებს, შეაგინა სასულიერო პირსო, გეიგე!

— კი გევიგე, მამაო, — ძლივს ამოიღო ხმა უცნობმა, თან ცოტა გულზე მოეშვა გაღიმებული მამაო რომ დაინახა, — ჯანდაბას და ოხრობას ჩემი თავი, წესიერს ხომ



აფერს გეიფიქრებს აგი განყალებული ტვინი. ასე ამბობენ ხოლმე ხშირად, თუ მღვდელი შეგხვდება, იმ დღეს დათრობა არ აგცდებაო და...კაი ხანს არ დამილევია და მღვდლის დანახვაზე გევიფიქრე, დღეს მეშველა, დავთვრები-თქვა...

— დღეს არა, — უთხრა მამა გიორგიმ, — მარა, ხვალ კი დათვრები შენებურად.

— უჰ! გეიხარე, მამაო, — გაუხარდა უცნობს, — ხვალეც ამ თვისაა! ...

— მარა, — თითო დაუქწია მამა გიორგიმ, — არ აგინო შენს მეზობელს, რავარც იცი ხოლმე.

— ეგ საიდან იცი, მამაო? — გაუკვირდა უცნობს.

— მე არაფერი ვიცი, ღმერთმა იცის! — ხმამაღლა წარმოთქვა მამა გიორგიმ და ბონდოსთან ერთად გენოს პალატისკენ წავიდა.

გენო რეანიმაციის განყოფილების განცალკევებულ პალატაში იყო მოთავსებული და მასთან მუდმივად ერთი ექთანი იმყოფებოდა. ენუქიძის მემკვიდრეს მთელ სხეულზე არტახები ჰქონდა გადაჭერილი და ორივე ფეხზე სიმძიმები დაეკიდათ. გენოს მხოლოდ სასოწარკვეთოლი სახე მოუჩანდა მთლიანად დაბინტული სხეულიდან. სასოწარკვეთილი თვალები პალატის ჭერისკენ ჰქონდა მიპყრობილი და მიშტერებოდა ერთ წერტილს. მამა გიორგის და ბონდოს გამოჩენისას წამიერი რეაგირებაც კი არ მოუხდენია, მნახველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ თითქოს ვიღაცის წინაშე იდგა დამნაშავესავით და ცოდვებს ინანიებდა.

ბონდომ შესვლისთანავე ექთანი იხმო პარტიული ჩი-ნოვნიკებისთვის ჩვეული ჟესტით და ჰკითხა:

— როგორ არის!?

— არაფერზე რეაგირებს, ელეფთეროვიჩ, — მიუგო ექთანმა, — ასე იყურება ჭერში. მთავარმა ექიმმა ბევ-რჯერ სცადა დალაპარაკებოდა, მაგრამ ამაოდ, არ რე-აგირებს. თქვენ რომ გთხოვათ მღვდლის მოყვანა, მას შემდეგ ასეა სულ.

ბონდოს ექთნისთვის ალარაფერი უთქვამს და ფრთხ-ილად გენოს საწოლს მიუახლოვდა. დახედა შვილს და დაბალ ხმაზე წარმოთქვა:

— მამიკო, როგორ ხარ? შემომხედე, მე ვარ, ბონდო!

გენო არ განძრეულა და მეტიც, თვალიც კი არ დაუხ-ამხამებია. დამწუხებულმა ბონდომ მამა გიორგის შეხედა, მის თვალებში სასონარკვეთილი მამის მწუხ-არებას და სასულიერო პირისადმი ვედრებას ერთად მოეყარა თავი. ყოვლისშემძლე ელეფთეროვიჩი დახ-მარებას ითხოვდა იმ ადამიანისგან, რომლის სახელის გაგონებაზეც ყოველთვის ირონია ეუფლებოდა და მათ მოცლილებს ეძახდა.

მამა გიორგი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რასაც ითხოვდა მის წინ მდგომი ათეიზმით შეპყრობილი პარტიული მუშა-კი. მან მართლა ის „მოიმკა, რაც დათესა“, მაგრამ ახლა-მისი შვილის სასონარკვეთილი მდგომარეობიდან გამოყ-ვანა იყო მთავარი. მამაო მიუახლოვდა გენოს და უთხრა:

— უფალი ამბობს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურ-ალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისუენო თქუენ...“



გენო შეკრთა და მზერა ჭერიდან მამა გიორგისკენ გადმოიტანა. როგორც კი გენოს „გამოფხიზლება“ შენიშნა, ბონდო მაშინვე მიიჭრა მასთან და იყვირა:

— შვილო, მამა გენაცვალოს!..

მამა გიორგიმ ბონდოს ხელი მოჰკიდა, შემოაბრუნა თავისკენ და თვალებში ჩახედა. ენუქიძემ მის გამოხედვას ვერ გაუძლო, ეს ადამიანურ მზერას არ ჰგავდა, ამიტომ დახარა თვალები, მიხვდა, რომ იქ მისი ადგილი არ იყო და ოროსანი მოსწავლესავით, წელში მოხრილი გაიპარა და კუთხეში აიტუზა. მამა გიორგიმ კი განაგრძო:

— ასე ამბობს უფალი: „...ალიღეთ ულელი ჩემი თქვენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსვენებაი სულთა თქვენთაი, რამეთუ ულელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“.

გენომ შეხედა მამაოს და დაბალ ხმაზე ნარმოთქვა:

— ამინ!

ბონდო ამ სიტყვის გაგონებაზე ადგილზე გაშეშდა. რელიგიისკენ მისი შვილი საერთოდ არ იხედებოდა და არც აინტერესებდა. არც ოჯახში ასწავლიდნენ სასულიეროს არაფერს, პირიქით, ბავშვებს ოჯახში თვითონ აიძულებდა კედლის გაზეთი გაეფორმებინათ და თვალსაჩინო ადგილზე გამოეკრათ, რათა ყველა სტუმარს შემოსვლისთანავე შეენიშნა იგი. გაზეთს სახელიც შესაფერისი ჰქონდა — „პიონერულ-კომკავშირული ქუთაისი“. თუმცა მის გონებაში ისევ ათეისტმა ეშმაკმა იმძლავრა და დააწყნარა: „შემოგესმაო“.

მამა გიორგის კი ხელში ეჭირა ჯვარი და განაგრძობდა:

— დაწერილია: „აღდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი და ივლტოდნენ მოძულენი მისნი პირისა მისისაგან. ვითარცა მოაკლდეს კვამლსა, მოაკლდეს და ვითარცა ცვილი რაი დასდნის წინაშე ცეცხლასა, ეგრეთ წარწყმდნენ ეშმაკნი პირისაგან მათისა, რომელთა უყვარსთ ღმერთი და გამოისახავენ პირჯვარსა და სიხარულით იტყვიან: გიხაროდენ, ყოვლადპატიოსანო და ცხოველსმყოფელო ჯუარო უფლისაო, განმდევნელო ეშმაკთა შეწედა ჯვარცმულისა ძალითა, უფლისა ჩვენისა იქსო ქრისტესითა, ჯოჯოხეთსა შინა შთასვლითა ეშმაკისა ძალისა დამთრგუნველისაითა, რომელმანცა მოგუანიჭა ჩვენ ჯუარი მისი ყოვლადპატიოსანი, განსაღევნელად ყოველთა წინააღმდეგომთა ძალთა!“, — შემდეგ მამაომ ჯვარი შუბლზე დაადო გენოს და განაგრძო, — ჰოი, ყოვლადპატიოსანო და ცხოველსმყოფელო ჯუარო უფლისაო! შეეწიენ მონასა შენსა გენადისა, ყოვლადწმიდისა ქალწულისა ღმრთისმშობელისა და ყოველთა წმიდათა თანა უკუნისამდე. ამინ!

— ამინ! — კვლავ გაიმეორა გენომ და ლრმად ამოისუნთქა.

— გენადი! — მიმართა მამა გიორგიმ ენუქიძეს, რომელიც თვალს არ აცილებდა მამაოს და თითქოს ცდილობდა რაღაც ეთქვა, — შენი სახელი ქართულად რას ნიშნავს იცი?

— არ ვიცი, მამაო, რუსულია ხომ? — კითხვითვე უპასუხა გენომ.

— არა, ბატონო, ლათინურია, — მიუგო მამაომ, — და ქართულად კეთილშობილს ნიშნავს. ასე რომ, შენი სახე-



ლის მატარებელ კაცს უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე
სხვას. გეიგე, ბოშო!?

მამაოს გაეცინა, მერე პირჯვარი გადაიწერა, გენო-
საც გადასახა ჯვარი და მოულოდნელი კითხვა დაუსვა:

— რაო, იქანე მოგენონა? გელაპარიკნენ ხომ?

— კი, მამაო, — უპასუხა გენომ, რომელსაც განცვ-
იფრებისგან სახე გაბრნყინებული ჰქონდა, — თქვენ-
თან გამომაგზავნეს, — მერე მცირე ხნით დაფიქრდა და
ჰკითხა მამაოს, — თქვენ საიდან იცით, რომ იქ ვიყავი?

— მე იქანე ვცხოვრობ, — გაელიმა მამაოს, — გიორგი
ბრნყინვალეს მეზობელი ვარ.

ბონდომ თავზე დაიდო ორივე ხელი და თავისთვის
ჩაილაპარაკა:

— დედა, მიშველე! ორივე რავა ბოდავს! დევილუპე კაცი!

ექთანმა, როგორც კი დაინახა ბონდოს ასეთი მდგო-
მარეობა, მაშინვე მივარდა და დახმარება შესთავაზა:

— ელეფთეროვიჩ! მთავარ ექიმს დღვუძახებ ახლავე!

— დამანებეთ თავი! არ მინდა არაფერი! — იყვირა
ბონდომ.

ხმაურზე მამა გიორგი შემობრუნდა და ხმადაბლა
წარმოთქვა:

— თუ შეიძლება, გვაცალეთ, ბატონო!

უცებ, პალატაში სიჩუმემ დაისადგურა. მცირე ხნის
შემდეგ, გენომ მამაოს უთხრა:

— ასე მითხრეს, მამაო, იქ, რომ აღსარება მამა გიორ-
გის ჩაბარეო და ამიტომაც შეგაწუხე. ჩაიბარებთ?

— თუ მზად ხარ, ჩევიბარებ.

მამაომ ბონდოს და ექთანს სთხოვა, დაეტოვებინათ პალატა, სანამ მათ თვითონ არ მოუხმობდა. მერე ოლარი დააფარა ბონდოს და სთხოვა დაეწყო აღსარება.

გენომ ყველაფერი მოუყვა მამა გიორგის, როგორ დაგეგმა ნიკას ავარია, ლიკას მოტაცება და ყველაფერი ის, რაც ამ ამბავთან იყო დაკავშირებული. მამა გიორგიმ ეს ყველაფერი ზეციდან წინასწარ უწყებით იცოდა, ამიტომ მოუწონა გულწრფელობა გენოს და უთხრა:

— ეს ყველაფერი შენი გამოსასწორებელია, შვილო. ღმერთმა სწორედ ამიტომ გადაგარჩინა, რომ ამ ცხოვრებაში მიხედო ამ საქმეს, რათა იმქვეყნად ყოფა მცირედით მაინც შეგიმსუბუქდეს. იმ ქვეყანაში ვერც მამაშენის ფულები გიშველის და ვერც მისი პარტიული ჩინოვნიკობა. იქ ადამიანს მიაქვს მხოლოდ თავისი ცოდვები და კეთილი საქმეები, რომელიც წუთისოფელში ცხოვრების დროს გააკეთა. საშინელ სამსჯავროზე რომ წარსდგება და მისი გაკეთებული კეთილი საქმეები გადაწონის ცოდვებს, მაშინ საქმე არც თუ ისე ცუდად იქნება, ამიტომ დროულად უნდა შეუდგე საქმის გამოსწორებას.

— კაცი მოვკალი, მამაო, და ამას ღმერთი არ მაპატიებს, — თქვა დამწუხებულმა გენომ, რომელიც გამოცხადების შემდეგ ისე შეცვლილიყო, რომ მშობელი მამაც ვეღარ სცნობდა, — არ მაპატიებს და მეც მზად ვარ ყველაფერზე პასუხი ვაგო.

— რა იცი, რომ მოკალი, — გაეღიმა მამა გიორგის, — ნახე თუ?

— რავა! ცოცხალია? — გაიკვირვა გენომ.



— ანი, მაგ ამბავი მამაშენმა გაარკვიოს და მიხედოს, — განაგრძო მამა გიორგიმ, — მე უფლება არ მაქვს, მაგას ვუთხრა აი ამბავი, მე მხოლოდ ლოცვა შემიძლია, რასაც გპირდები, რომ არ მოგაკლებ. წმინდა წერილი გვასნავლის, რომე „...შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ“. მამაშენს მოუყევი აი ამბავი და იმან იცის, რა უნდა გააკეთოს. მაგი კი ეხერხება.

მამაომ კიდევ ერთხელ გადასახა ჯვარი გენოს, მერე ოლარი მოიხსნა, დაკეცა, ჩანთაში ჩადო, შებრუნდა პალატის კარისაკენ და დაიძახა:

— შემოდი, ანიჩკა! მე მოვრჩი ჩემს საქმეს!

მამაოს ჯერ სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კარი გაიღო და პალატაში პირველი ბონდო შემოიჭრა. მაშინვე მამაოს მხრებზე მოჰკიდა ხელი და აღელვებულმა ჰკითხა:

— გიორგი, მშვიდობაა!? დამიბრუნდება შვილი!? რა გითხრა, არ დამიმალო!? გაფიცებ შენ ღმერთს!

— რავა! შენ სხვა ღმერთი გყავს თუ!? — გაოცდა მამაო.

— რა გითხრა!? არ დამიმალო, გიორგი!

მამაომ თვალებში ჩახედა ამ გამოუსწორებელ ათეისტს და უთხრა:

— მე აღსარების გათქმის უფლება არ მაქვს, ამას მიკრძალავს, როგორც შენ ამბობ, ჩემი ღმერთი. ახლა კი შეგიძლია დაელაპარაკო შენს შვილს და შენ და შენს ღმერთს მოგიყვებათ ყველაფერს. მე ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე, ანი ვიღოცებ, რომ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდეს.

ბონდომ ჯიბისკენ წაილო ხელი და მამა გიორგის
ჰკითხა:

— რამდენია ჩემზე, გიორგი?

— შენ თუ ვინმესგან გაგიგია, გიორგი ფულს შოუ-
ლობს ადამიანის გაჭირვებაზე, მაშინ დამისვი ასეთი
შეკითხვა, ხოლო თუ ასეთი რამ არ გსმენია, მაშინ შენი
სიტყვები ჩემი შეურაცხყოფაა და დაბრკოლება. უფა-
ლი რას ამბობს, იცი? — „და რომელმან დააბრკოლოს
ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მომართ მორწმუნეთაი,
უმჯობეს არს მისა, დამო-თუ-იყიდოს წისქვილი ვირით
საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისა-
სა“, — ასე რომ, ყველას „ერთ ტაფაში ნუ ხარშავ“ და
რაც შენ გაინტერესებს, იმას ახლავე გეიგებ, რამეთუ „...
არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს...“.

ბონდო გაკვირვებული უყურებდა დერეფანში მიმა-
ვალ მამა გიორგის და ვერ აცნობიერებდა, ვინ იყო ეს
კაცი, ან რა უნდა ეშველა მისი შვილისთვის. ბოლოს, გა-
მოერკვა და გენოს პალატაში შევიდა.

მატარებლით მგზავრობისას ნიკას ბევრი დრო ჰქონ-
და ფიქრისთვის, თუმცა განვლილი მოვლენების ერთმა-
ნეთთან დაკავშირება უჭირდა. როდესაც ანალიზისთვის
გონებას დაძაბავდა, თავის ტკივილი ეწყებოდა და იძუ-
ლებული იყო არ ეფიქრა არაფერზე. მხოლოდ უკანასკ-
ნელ დღეებში განვითარებული მოვლენების და გადატ-
ანილი გაჭირვების სურათები გაიელვებდა ხოლმე მის



ნინ — სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ქალი, რო-
მელიც ნეტარი ქსენია იყო, ბუდულაით აღქმული და
ჩიტებთან „მოსაუბრე“ მამა იოანე, დედა ლია და მონა-
ზონი ქსენია, რომლებიც პირველი შეხვედრის შემდეგ
აღარ გამოჩენილან. ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა
ნიკას, რომ ღმერთმა დაახვედრა დედა ლია მას, რათა
სტუმარი დაეკვალიანებინა, აკი მამა იოანეს შესახებაც
მან მოუთხრო ყველაფერი და მუდმივად ერთი და იგივეს
იმეორებდა: „იოანე არის რუსეთის ძალიან დიდი წინას-
წარმეტყველი, რომელიც სალოსობით ნიღბავს ღმერთ-
შემოსილებასო, იგი მალე ჩამოვა საქართველოში და
დიდ საქმეებს დაატრიალებსო“.

ნიკასთვის მაინც გაუგებარი იყო, რას ნიშნავდა სა-
ლოსობა და ცდილობდა ჩაწვდომოდა მის არსა. მრავალ-
ჯერ გაიხსენა დედა ლიასთან საუბარი და ერთ ამბავზე
გაამახვილა ყურადღება. აი, რას უყვებოდა დედაო:
„ერთხელ, ტაძარში მწუხრი-ცისკრის ლოცვაზე ხალხი
საკმაოდ ბევრი იყო მოსული. მონაზვნები პირველ რიგ-
ში ვიდექით. მამა იოანე საკმევად ბარბაცით გამოვიდა,
ძლივს იმაგრებდა თავს. მე ვიცოდი, რომ მთვრალი არ
იყო, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა, რომ სასმელისგან კარ-
გად გალეშილი გეგონებოდათ. ფეხზე ძლივს იდგა და
ისე აკმევდა საკურთხეველში. რა თქმა უნდა, ყოველივე
ამან მრევლის გულისწყორმა გამოიწვია და ქალაქშიც
ხმა გავრცელდა „ლოთი“ მღვდლის შესახებ, რომელიც
მსახურობდა ამ ეკლესიაში. რატომ გააკეთა ეს მამა იო-
ანემ? ტაძრის წინამდლვარი და მომსახურე პერსონალი
ამპარტავნებაში იყვნენ. წინამდლვარს თავი მოჰქონდა

კეთილმორნმუნეობით, მრევლის სიმრავლით, მშენებლობით, გალობით, ქალაქში მზარდი ავტორიტეტით. მონაზვნები და მრევლის წევრები თავანეულნი იდგნენ წირვა-ლოცვაზე, ნაცვლად თავდახრილი სინანულისა. თავისი სალოსობით მამა იოანემ, ამდენ ხალხში, წყალში ჩაუყარა მათ მთელი თავიანთი „დიდება“. მათ შერცხვათ, რომ „სახელი“ ამ „ლოთმა“ მღვდელმა შეურცხვინა. ისინი უფრო მეტად ნერვიულობდნენ იმაზე, რომ ამ ინციდენტის შემდეგ, ტაძარს მრევლი შეუმცირდებოდა და შემოსავალს დაკარგავდნენ, ანუ წუთისოფლის საქმეებით უფრო იყვნენ დაკავებულნი, ვიდრე — ღვთიურით. ეს კარგად იცოდა მამა იოანემ, შეპირებულიც იყო ტაძრის წინამძღვარზე, რომ „რქებს დაგამტვრევო“ და შეუსრულა კიდეც. შემდეგში მამაომ ასეთივე საქციელით ქვეყნის ცოდვების, ადამიანთა განსაცდელების, მომავალი და ბოლო უამის სირთულეების წარმოჩენა დაიწყო, ზოგჯერ მოთქმამდე ტიროდა კიდეც. მოხდენილი აქვს უამრავი სასწაულები: არაყი წყლად აქცია, ლუდს ალუბლის წვენის გემო მისცა, ერთხელ ჩვენს წინ მდგომი გაუჩინარდა, ოცდასამ გრადუს ყინვაში, მის ეზოში ერთი გრადუსი სითბო იყო, ელმავალში მჯდომს, წმიდა ნიკოლოზის დაუჯდომელის კითხვისას, მარჯვენა ხელიდან ისეთი საამო სურნელი აუვიდა, რომ გაოგნებული ხალხი აქეთ-იქით იყურებოდა, ვერ იგებდნენ საიდან მოდიოდა სურნელება და კიდევ ბევრი რამ, რაზეც სახალხოდ საუბარი არ შეიძლება. მას გაყევი და მალე გაგიყვანს ამ ლაბირინთიდან, რომელშიც ღმერთის დაშვებით, შენი ნების საწინააღმდეგოდ შემოგიყვანეს“.



ნიკა ნელ-ნელა მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ ღმერთ-მა ის სხვა გზაზე გაიყვანა, რატომ და რისთვის, ამას ჯერ ვერ აცნობიერებდა. ბევრი კითხვა უტრიალებდა გონებაში, მაგრამ თავისი წარსულის დავიწყების გამო, მომავალზე ფიქრის ეშინოდა. არ იცოდა ვინ იყო, საიდან გაჩნდა აქ, ვინ იყვნენ მისი ახლობელი ადამიანები? ჰყავდა თუ არა ცოლ-შვილი? მშობლები? დედმამიშვილები და საერთოდ ვინ იყო!? მამა იოანესაგან გაიგო, რომ საქართველოდან იყო, რომ ერქვა ნიკოლოზი და ვინმე ჟორას უნდა მიეხედა მისთვის საქართველოში...

...მატარებელი დიდი სისწრაფით მიჰქოდა რუსეთის თვალუწვდენელ სტეპებზე. ლენინგრადის თეთრი ლამები ნელ-ნელა შეცვალა ცენტრალური რუსეთის შავ-ბენელმა ღამებმა... ნიკა შინ ბრუნდებოდა, თუმცა ეს „შინ“ არ იყო მისი სახლი, მაგრამ გული მაინც იქით მიუწევდა, რადგან იქ თბილი ოჯახი ელოდებოდა, რომლებმაც ოჯახის წევრივით მიიღეს უცნობი კაცი და უპატრონეს...

დალლილობამ მაინც თავისი გაიტანა და ნიკას, რომელიც ვაგონის ფანჯარასთან მდგომ სავარძელზე იჯდა, ჩაეძინა... მამა იოანე იდგა გზის პირას. გზას ორივე მხარეს მუხების ტყე გასდევდა. მამაო სადღაც შორს იცქირებოდა და თითქოს გზაზე მომავალ მანქანაში მყოფ მძღოლს რაღაცას ანიშნებდა. მძღოლი კი არც გზას უყურებდა და არც მამაოს. მანქანა დიდი სიჩქარით შემოვიდა მოსახვევში, საჭე ვეღარ დაიმორჩილა და დიდ მუხას შეეჯახა...

ნიკა უცებ შეკრთა და გამოეღვიძა. სიზმარში ნანახისგან შეშფოთებული, უცებ სავარძლიდან წამოდგა და

ვაგონის ფანჯრის რაფას დაეყრდნო. გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა გარეთ ჩამოწოლილ სიბნელეს, რომელსაც მატარებელი მიაპობდა. „რა იყო ეს?“ — ფიქრობდა ნიკა, — „ვინ დაეჯახა ხეს? როგორც ამბობენ, სიზმარი ან წარსულს გახსენებს ან გაფრთხილებს, რა მოხდება მომავალში. რატომ არ მითხრა მამაომ, რა ხდება ჩემს თავს? მან ხომ ყველაზე იცის ყველაფერი, ის ხედავს ნებისმიერ ადამიანს, ხედავს შორ მანძილზე, წარსული და მომავალი მის გონებაში ერთ ხაზს წარმოადგენს. ხომ მითხრა, როდესაც მემშვიდობებოდა: „რომ იცოდე, როგორ მიჭირს, როცა ღმერთი მომავალს მაჩვენებსო...“. მან იცის ჩემი წარსულიც და მომავალიც, მაგრამ არ მეუბნება, რატომ?.. რატომ?.. რატომ?..“

ნიკა ისევ სავარძელზე დაეშვა და მცირე ხნის შემდეგ ჩათვლიმა. კვლავ მამა ორანე გამოეცხადა, ახლა უკვე შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილი თავისი ლამაზი ღიმილით, რომელიც მის გარეგნობას განსაკუთრებულ იერს აძლევდა. ომახიანი ხმით დაუძახა ნიკას: „ნიკა-ლაი! შენ ხომ იცი, ჩემზე მაგარი არ არსებობს! ვიცი შენს შესახებ ყველაფერი, მაგრამ არ გეუბნები, რადგან შენი გონება საამისოდ ჯერ არ არის მომზადებული. შენ კამენკაში დაელოდე ადამიანებს, რომლებიც ყველაფერს გეტყვიან. ამ საქმეს უკვე უორა აგვარებს საქართველოში. აპა, გითხარი ყველაფერი! მომავალ შეხვედრამ-დე! ახლა კი ტკბილად დაიძინე!“

ნიკა დილით ვაგონის გამცილებლის ხმამ გააღვიძა:

— ათ წუთში კამენკაში შევდივართ! გაჩერება ხუთი წუთი! გთხოვთ, ჩამსვლელები მოემზადოთ ჩასასვლელად!



ნიკამ თვალებზე ხელის გულები გადაისვა და ფანჯარაში გაიხედა, მისთვის ნაცნობ გარემოს შეავლო თვალი. ფეხზე წამოდგა და გასასვლელისკენ წავიდა.

სადგურიდან ნიკა პირდაპირ ნიკალაის სახლისკენ გაეშურა. უმძიმდა ოჯახში მისვლა. ნიკალაის ოჯახი მას ენდო, მის მზრუნველობაზე შინაგან საქმეთა ორგანოების წინაშე პასუხისმგებლობა აიღო, ის კი ყოველგვარი შეთანხმების გარეშე წავიდა ლენინგრადში. ახლა, რომ მოყვება, რასაც იქ აკეთებდა: უბილეთოდ მგზავრობდა, გადასასვლელებზე წითელზე გადადიოდა, მამა იოანეს და ჩიტების კრებას ესწრებოდა და ასე შემდეგ, ყველა გიუად ჩათვლის და შეიძლება ისევ მილიციას ჩააბარონ და ბოლოს საგიუეთში მოხვდეს. „არაფერია გამორიცხული...“ — ფიქრობდა ნიკა, — „მაგრამ არა მგონია... ნიკალაი ჭკვიანი კაცია, გამიგებს“.

ფიქრებში ისე იყო გართული ნიკა, რომ ვერ გააცნობიერა როდის მიადგა ნიკალაის სახლის ეზოს ჭიშკარს.

ბონდო ენუქიძე ყურადღებით უსმენდა გენოს და ნელ-ნელა ფერს კარგავდა სახეზე. ვერ წარმოედგინა თუ მისი შვილი, რომელსაც არაფერი აკლდა ამ ქვეყანაზე, ასეთ საშინელ საქციელს ჩაიდენდა. როგორც კი საუბრის დროს, გენომ მცირედი დროით შეისვენა, რათა ფიზიკური და გონებრივი დალლილობისაგან სული მოეთქვა, ამ პაუზით ისარგებლა ბონდომ, ხელები მაღლა



აღაპყრო, მერე ორივე ხელის გულები თავზე შემოირტყა
და თითქმის იკივლა:

— რა გეკლდა, შე შობელძალლო, რომ ამ დღეში
ჩამაგდე!?

უცებ, გონს მოეგო, თვალებზე ცრემლმორეულ-
მა შვილს დახედა, რომლის თვალებიც უმწეობას გად-
მოსცემდა და შველას ითხოვდა, თითქოს რაღაც მძიმე
საგანი ჩაარტყეს თავში, მოცელილივით დაეცა გენოს
საწოლზე და მოთქმით აქვითინდა. ისედაც გაუბედურე-
ბულმა და თავისი უკულმართი საქციელის გამო სასო-
ნარკვეთილმა გენომ მამას თავზე ხელი გადაუსვა და
იქით დაუწყო დამშვიდება:

— დაწყნარდი, მამა, მე ყველაფერი მოვინანიე, ღმერ-
თი არ გაგვნირავს!

ბონდომ ნელ-ნელა ასწია თავი საწოლიდან, გენოს
მიერ მის თავზე დადებული ხელი ხელში დაიჭირა, ცრემ-
ლიანი თვალებით შვილის გამომშრალ და ჩაშავებულ
თვალებს შეხედა და კბილებში გამოსცრა:

— შენ იცი, რომ ამ ყველაფრის გამო, მე გამომაგ-
დებენ სამსახურიდან!? შენ მკურნალობას კი შენი წონა
ფული არ ეყოფა! ყველას დასაცინი გავხდები! რას იფ-
იქრებს ხალხი ჩემზე!.. რა გაკლდა!.. რით ვერ გაძეხი!.. იმ
გლეხის გოგოზე გაგიჟებულმა ოჯახიც დალუპე და შენი
თავიც! ქალები დეილია ამ დუნიაზე!.. რა ვქნა ახლა მე!?

გენომ უყურა... უყურა... ამ თავის თავზე და კარი-
ერაზე შეყვარებულ პარტიულ მუშაკს და დაბალ ხმაზე
უთხრა:



— მე ფული არ მჭირდება, არ ინერვიულო, მე ღმერთი მომხედავს. შენ რომ გამოვძვრე ამ სიტუაციიდან, საქმე არ უნდა აღძრან.

— შენ ხომ არ გაგიუდი!? — შეაწყვეტინა ბონდომ შვილს საუბარი, — რა საქმე უნდა აღძრან! შეხედე რა დღეში ხარ!? შენ დაიმტვრიე შენი თავი და კიდევ შენზე აღძრან საქმე, ძლივს გადარჩი ცოცხალი!?

— მაგიზა არ გეუბნები, — უპასუხა წყნარად გენომ, რომელსაც, როგორც ჩანდა ამ საქმეზე ნაფიქრი ჰქონდა უკვე, — მაი ვიცი. მე მეორე საქმიზა გეუბნები.

— ის საქმე მე რაში მანალვლებს! — იყვირა ბონდომ, ფაქტები არაა და იგი კაცი მოკვდა თუ დარჩა, რა ჩემი საქმეა!?

— დავუშვათ და გადარჩა!? — ჰკითხა გენომ, — ან ალაპარაკდა „პრავადნიკი“, რას შობი მერე!?

— რას ვშობი და მერე მივხედავ! — ანრიალდა ბონდო, წინასწარ რატომ ვიხადო ფულები!? გიუი ხომ არ ვარ!?

— რა გჭირს, მამაჩემო! — ახლა უკვე გენომ იყვირა, იმის შნო ალარ გაქვს, რომ ერთი მილიციელი არაოფიციალურად გააგზავნინო ამ საქმეზე!? მე ანზორიეს და ჯემალიეს არ ვეტყვი ამას, რადგან ის ბიჭი თუ მართლა ცოცხალია, კვალის დაფარვის მიზნით, მოკლავენ ეგენი და თემურიესაც ზედ დააყოლებენ, როგორც შემსრულებელს!

ამ სიტყვების გაგონებაზე, ბონდო, რომელიც ნერვიულობისაგან პალატაში ბოლთას სცემდა, უცებ შეჩერდა, თითქოს გონს მოეგოო, მიუახლოვდა გენოს საწოლს, სკამზე ჩამოჯდა და ჰკითხა შვილს:

— და რა უნდა გააკეთოს იმ მილიციელმა თუ გა-
მომძიებელმა?

— მოკიდოს თემურიეს ქეჩოში ხელი და აალაპარა-
კოს, სად და როგორ მიხედა იმ ბიჭს? გაყვეს კვალს, გა-
მეიკვლიოს და თუ ცოცხალია ხომ კარგი და თუ არა, კი
იცი, როგორც უნდა ჩეიფარცხოს ეგ საქმე.

— მაგას არ ვამბობ მეეც, — შეაწყვეტინა საუბარი
ბონდომ შვილს, — როდის ჩავთარცხავ ამ საქმეს, ახლა
თუ გვიან, რა მნიშნელობა აქვს. ახლა შენ მყავხარ
სადარღებელი.

— მამაჩემო, გეიგე, — მიუგო გენომ, — თემურიე
„პრავადნიკი“ მაგ ბიჭს საქართველოს ტერიტორიაზე არ
გადააგდებდა.

— რატომ ვითომ? — იკითხა გენომ.

— იმიტომ, რომ ანზორიემ ფული მარტო იმაში კი არ
გადოუხადა, რომ მატარებლიდან გადეეგდო, საცა მეე-
სურვებოდა, არამედ, იმენნა, რუსეთის ტერიტორიაზე
უნდა ჩამეეგდო.

— მერე? ჩამეეგდო, ამით რა! — არ ცხრებოდა ბონდო.

— მერე ის, რომ რუსეთმა თუ აღძრა საქმე, ციმბირი
უკან დაგვრჩება, ელეფთეროვიჩ! — იყვირა გენომ და
მერე დააყოლა, — გეიგე ახლა!? სანამ საქმე კანონის
ჩარჩოებში ჩაჯდება, მისი ჩაფარცხვა რუსეთში ადვილ-
ია. გეიგე ახლა, რატომაა საჩქარო მაი საქმე!?

ბონდო ამ სიტყვების გაგონებაზე სკამიდან ნამოდ-
გა, ჰალსტუხი შეისწორა, მიხვდა, რომ მოვლენები თუ
ასეთი სცენარით განვითარდებოდა, მისი კარიერა,
უკეთეს შემთხვევაში, ციხით დამთავრდებოდა. რადგან



საქმის გართულება მის კარიერას შეიძლება შეხებოდა, ელეფთეროვიჩმა ფიქრი სხვანაირად დაიწყო. უცებ, სახეზე წამონითლდა. ეს ნიშნავდა, რომ მან რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. გენოს შეხედა და უთხრა:

— ტელეფონზე დავრეკავ და ახლავე მოვალ!

„მიხვდა, როგორც იქნა“, — გაიფიქრა გენომ და მამას თვალი გააყოლა, — „პონდოიემ რომ იცოდეს, ეს ყველაფერი მამა გიორგიმ რომ მირჩია, ხელს არ გაანძრევს, მეტყოდა: „მაგ გიჟის ჭკუაზე არ გევივლიო!“ რა ვიცი, მეც მითხრა მამაომ: „ზევიდან მითხრენ, აი, ბიჭი ცოცხალიაო“ და ამ არეულ-დარეულ და ისედაც დოულაგებელ ტვინში რა ვიფიქრო?.. აღარც მე ვიცი“.

ამასობაში, გოგი და მალხაზი მთისაში ავიდნენ. საყვარელიძეების ჭიშკართან „ვოლგა“ იყო გაჩერებული. გოგის გაეცინა:

— მალხაზ ოცდაოთხი ოცდაოთხზე მოდის შენთან, რა ხდება ჩვენს თავს? მიუხედავად ამდენი არასასიამოვნო შემთხვევებისა, გული მაინც კარგს მიგრძნობს.

— მეც ასე ვარ, გოგი, — ჩაილაპარაკა მალხაზმა, — მამა გიორგიმ დიდი იმედი ჩამისახა, მარა ესენი ვინ არიან? თბილისის ნომრებია, ნეტავ რამე ხომ არ არის ახალი? ღმერთო, შენ გვიხსენი ამ გაჭირვებისგან.

— სტუმრები აივანზე ისხდნენ. მალხაზმა ვეღარ მოითმინა, ჭიშკარს არ იყო გაცილებული, რომ მეუღლეს დაუძახა:

— ირინე! ხომ არის მშვიდობა!

— კი, მალხაზი! მდახლები გვეწვივნენ თბილისიდან!

სანამ მალხაზი და გოგი ეზოს გაივლიდნენ, სახლის



კიბეებზე ნიკას ძმა, ზაზა გამოჩდა, სწრაფად ჩამოირბინა კიბეები და მასპინძელს მიეგება. ირინეც ჩამოვიდა ეზოში და მეუღლეს დაუძახა:

- ნიკას ძმა გახლავს, მალხაზი, ბატონი ზაზა.
- სასიამოვნოა, — თქვა მალხაზმა და ზაზას ხელი გაუწოდა, — ირინესგან და ლიკასგან ვიცი თქვენს შესახებ და როგორც იქნა გავიცანით ერთმანეთი. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს ოჯახში.
- ასევე მეც შორიდან გიცნობთ, — მიუგო ზაზამ, — სამწუხარო ამბავი მოვივიდა და ველარ მოვახერხეთ ერთმანეთთან მისვლა. როგორც ჩანს თქვენთანაც არ არის ახალი ამბები მომხდარის შესახებ.
- არა, მაგრამ რაღაც იმედებს გვაძლევს მამა გიორგი, — ჩაერთო საუბარში გოგი, — ვნახოთ, ღმერთის იმედად ვართ დარჩენილები.
- ასეთ ამოუცნობ და საიდუმლოებებით მოცულ საქმეს ჯერ არ შევხვედრივარ. — მოისმა ქალის ხმა აივნიდან.
- ეს ქალბატონი მერიკოა, ნიკას მეზობელი, — ამცნო ირინემ აივანზე ასულ მამაკაცებს, — იცნობდეთ.
- თქვენც ვერაფერი შეიტყვეთ ხომ, ქალბატონო მერი? — ჰკითხა მალხაზმა და ხელი გაუწოდა.
- მხოლოდ ერთი რამ გავარკვიე, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მისი მანქანა ვერ მოიძებნა, ახლა დასავლეთში ეძებენ, — უპასუხა მერიმ და მალხაზის შეთავაზებულ სკამზე დაჯდა.
- მალხაზმა და გოგიმ ერთმანეთს გადახედეს. მათ უკვე იცოდნენ ეს ამბავი, მაგრამ მამაოსთან შეხვედრის შემ-



დეგ, მანქანის სანომრე ნიშნის პოვნის შესახებ ხმას როგორ ამოიღებდნენ. ამიტომ გოგის სხვა გზა არ ჰქონდა და იცრუა:

— აქაც ახალი არაფერია. ერთადერთი ნათელი წერტილი ამ საქმეში მამა გიორგის მიერ მოცემული იმედია.

მერიკო და ზაზა, როგორც საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უმრავლესობა, სკეპტიკურად უყურებდნენ რელიგიას და იქ მოღვაწე სასულიერო პირებს, ამიტომაც ნაკლებად სჯეროდათ მათი. თუმცა, ახლა სხვა გზა არ ჰქონდათ, ყველას იმედით უყურებდნენ და უსმენდნენ, ვინც კი რაიმე სასიკეთოს ეტყოდა მათი იდუმალებით მოცული საქმის ირგვლივ.

— მაინც რა გითხრათ ასეთი მამა გიორგიმ? — იკითხა ცნობისმოყვარეობით ცნობილმა მერიკომ.

მალხაზმა გოგის გადახედა, სახეზე ეტყობოდა, რომ მეგობარს ევედრებოდა: „მიშველე რამე, რა ვთქვაო?“

გოგიმაც არ დააყოვნა და მერიკოს უპასუხა:

— ასე გვითხრა, ქალბატონო მერი: „სახარებაში წერია, ასე ამბობს უფალი ჩვენი იესო ქრისტე: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისუენო თქვენ...“.

ვერიკო, რა თქმა უნდა, ვერ ჩაწვდა სახარებისეულ სიბრძნეს, მაგრამ არ შეიმჩნია და, უმეცრებაში რომ არ ჩათვლოდა, თავი დახარა, რითაც გარშემომყოფა ამცნო, რომ მას სჯეროდა მღვდლის მიერ წარმოთქმული სიტყვებისა.

— ძია იოსებ!.. ძია იოსებ!.. დედა!.. ძია იოსები დაბრუნდა!.. — ყვიროდა ტანკა და გახარებული ჭიშკრისკენ გაიქცა, — ძია იოსებ! მობრძანდი! როგორ მოგვანატრეთავი, მამა როგორ ნერვიულობდა თქვენზე!

ტანკა ნიკას კისერზე ჩამოეკიდა და რაც ძალი დაღონე ჰქონდა ჩაეხუტა. ნიკამ შუბლზე აკოცა ბავშვს, მერე ჯიბიდან კანფეტები ამოილო და ტანკას გაუწოდა. ტანკამ ქალალდის პარკი გახსნა და იქიდან შოკოლადის ფილა ამოილო. სანამ გახსნიდა წარწერას დააკვირდა და მერე აღფრთოვანებულმა იყვირა:

— დედა! ხომ გითხარით, ძია იოსები არ მოგვატყუებდა, თქვენ რომ გეგონათ წერილში დაგვიწერა ლენინგრადში მივდივარო და სინამდვილეში ის საქართველოში წავიდოდაო. აი, შოკოლადის ფილას ქალალდზე რა აწერია და დამარცვლით წაიკითხა ტანკამ: „ლენინგრადის საკონდიტრო ფაბრიკა!“ მერე კიდევ ერთხელ აკოცა ნიკას და დედისკენ გაიქცა, რომელიც ჯერ კიდევ სახლის ზღურბლზე იდგა და გაოცებული შეჰყურებდა ეზოში მდგარ გაღიმებულ, მაგრამ მორცხვად მდგარ ნიკას.

ლენკამ ხელები გაშალა, ზეცას ახედა, პირჯვარი გადაიწერა და ემოციურად წარმოთქვა:

— მადლობა, დედაო ლვთისავ, რომ მშვიდობით მოაბრუნე იოსები! მადლობა ასეთი დიდი წყალობისათვის!

— სხვათა შორის, ჩემი ნამდვილი სახელი ნიკალაი ყოფილა და არა იოსები. ასე რომ, ჯერჯერობით ეს მაინც ვიცი. — გაეღიმა ნიკას და ლენკას ხელი ჩამოართვა.



სიხარულისგან აცრემლებულმა ქალმა კი თავისკენ მიიზიდა ნიკა, მაგრად ჩაეხუტა და საყვედურით წარმოთქვა:

— როგორ გვატკინე გული, ბიჭო! ასე შეიძლება! ნიკალაი გულს ვერაფერს ვეღარ უდებს, ვერც სახლში და ვერც სამსახურში! საკუთარ ძმასავით გვიყვარხარ და შენ კი...

ეს თქვა და აქვითინდა ლენკა.

— ბოდიშს ვიხდი, ლენკა, — ოჯახის დიასახლისის დაწყნარება სცადა ნიკამ, — ვიცოდი, რომ არ გამიშვებდით და ამიტომ გავაკეთე ასე.

— ...ამ სიშორეს იმიტომ წახვედი, რომ შენი ნამდვილი სახელი გაგეგო? — სლუკუნებდა ლენკა. მერე ცრემლები თავსაფრის ბოლოებით შეიმშრალა, გაულიმა ნიკას და განაგრძო, — ერთი ნიკალაი არ მეყოფოდა სახლში, ახლა მეორე გამომეცხადა...რა, იოსები ცუდი სახელია?

ნიკამ ჯიბიდან სუნამო ამოილო, რომელიც მამა იოანემ გამომშვიდობებისას აჩუქა, ასე უთხრა: „დაგჭირდებაო“ და ლენკას ხელში ჩაუდო. ქალი სიხარულისგან უფრო მაგრად ჩაეხუტა ნიკას, მუშტებს ურტყამდა ზურგზე და თან ბუზღუნებდა:

— ქრთამიც რომ მომიტანა ამ საძაგელმა, თან ისეთი, რომელიც მე მიყვარს! ეს საიდანლა იცოდი!? ჩემმა ქმარმაც კი არ იცის ეს!?

— სამაგიეროდ მამა იოანემ იცის. — მიუგო ნიკამ და გაულიმა ლენკას.

— ეგ ვინდაა? — იკითხა გაკვირვებულმა ლენკამ.

— აი, ჩემი სეხნია და შენი ქმარი ნიკალაი რომ მოვა, მაშინ ორივეს ერთად მოგიყვებით მამაოს შესახებაც და რაც ლენინგრადში გადამხდა თავს, იმასაც. მანამდე კი მარტო ერთს გეტყვი, ეს ის მამაოა, რომელიც ჩიტებსაც კი ელაპარაკება და ხშირად მათ კრებებსაც კი უტარებს ხოლმე.

ნიკა და ლენკა ჯერ კიდევ სახლში არ იყვნენ შესულები, რომ ჭიშკარი სირბილისაგან მთლიანად გაოფლილმა და აქოშინებულმა ნიკალაიმ შემოაღო. როგორც კი დაინახა ნიკა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, იქვე მდგარ ბალის სკამზე ჩამოჯდა და ძლივს წარმოთქვა:

— დიდება შენდა, უფალო!

იმდენად იყო დაღლილი სირბილისაგან, რომ პირ-ჯვრის გადაწერაც ვერ შეძლო, შუბლისკენ წაღებული ხელი მოწყვეტით ჩამოუვარდა და ორივე იდაყვით მუხ-ლებს დაეყრდნო.

ნიკა და ლენკა მაშინვე ნიკალაისკენ გაიქცნენ. ლენკამ იქვე ეზოს მაგიდაზე მდგარ გრაფინს დაავლო ხელი და ქმარს მიაწოდა. ნიკალაიმ, როგორც იქნა მოსვაცოტა წყალი და შვებით ამოისუნთქა. ლენკამ ველარ მოითმინა და ქმარს ლამის ყურში ჩასძახა:

— ადარ იტყვი, რა მოხდა? გული გაგვიხეთქე ყველას!

ნიკალაიმ, როგორც იქნა, ძლივს ამოისუნთქა და ამოიღო ხმა:

— ბორისოვიჩმა მითხრა, სადგურზე მატარებლიდან ჩამოსულ შენ სტუმარს მოვკარი თვალი, მგონი ის იყო. მეც აღარ დავაყოვნე და მაშინვე გამოვიქცი, — მერე სკამიდან ადგა, წელში გასწორდა და განაგრძო, — რო-



გორც ჩანს, ახალგაზრდობა წავიდა, გავარდა ნიაღვრის წყალივით, ვეღარ დავრბივარ, დავიღალე.

— სათევზაო ჯოხი და არყით სავსე ჭიქა რომ გიჭირავს ხელში, მაშინ რატომ არ იღლები!? — აწიწმატდა ლენკა.

— კარგი რა, ლენკა, წელიწადში ერთხელ ვსვამ და იმასაც მაყვედრი? — უსაყვედურა ნიკალაიმ ცოლს, — აი, ახლა კი მართლა დავლევ, იოსების ჩამოსვლა ხომ უნდა აღვნიშნოთ!

— იოსებს სახელი შეუცვალეს, — უცებ მოვიდა ხასიათზე ლენკა, — ახლა შენი სეხნიაა, ნიკალაი ჰქვია.

— რატომ? — იკითხა ნიკალაიმ, — პეტერბურგში, შემთხვევით მეფე ნიკოლოზ მეორის სასახლესთან ხომ არ ჩაიარე?

მასპინძლებმა ნიკას შეხედეს, აინტერესებდათ ამ ხუმრობაზე მისი რეაქცია, მაგრამ ნიკალაი-იოსები თავ-ჩაღუნული იდგა და ხმას არ იღებდა.

— კარგი, იოსებ, ბოდიში, ნიკალაი, — სევდიანი ღიმილით წამოიძახა ნიკალაიმ და ოჯახის სტუმარს მხარზე ხელი დაარტყა, — მადლობა ღმერთს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რას დაღონებულხარ, რაც იყო, იყო.

— ბოდიში, ნიკალაი, — ხმადაბლა, დამნაშავესავით დაიწყო საუბარი ნიკამ, — სხვა გზა არ მქონდა, ვიცოდი, რომ არ გამიშვებდი. მხოლოდ ერთ რამეზე ვნერვიულობდი ძალიან, რომ მილიციასთან პრობლემები არ შეგქმნდა, დანარჩენს კი ვიცოდი, რომ გამიგებდით შენც და ლენკაც.

— ჰო, უბნის ინსპექტორი გუშინ დილით იყო გადამოწმებაზე, — გაეცინა ნიკალაის, — მე დავიმალე. ლენკამ კი უთხრა, რომ სათევზაოდ არიან მდინარეზე წასულნიო. დამალვა ამ შემთხვევაში გამართლებული იყო. ჩემი გამოჩენა ეჭვს გააჩინდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეტყოდა — მარტო რატომ გაუშვიო, მეორე კი შეიძლება ეთქვა — წამოდი, ერთად ვნახოთო. ამიტომ არ გამოვჩნდი. ამბავი დატოვა — ხვალ საღამოს მოვალო. კარგია, რომ ჩამოხვედი, თორემ ხომ იცი მაგათი ამბავი, ბუზისგან სპილოს გაეთება იციან და მთავარს ვერ იძიებენ. დღემდე შენი ვინაობა ვერ დაადგინეს. რომ ჰკითხო, ყველა საბჭოთა მოქალაქეს ხელის გულზე ატარებენ და მის უსაფრთხოებაზე ფიქრობენ ოცდაოთხი საათი.

ნიკამ შეატყო, რომ ნიკალაი ნერვიულობდა. მასპინძელი ცდილობდა, რომ ეს არავის შეემჩნია მისთვის, მაგრამ ვერ შეძლო. მთელი თავისი ცხოვრება პატიოსნებით ჰქონდა გავლილი და ფარისევლობა მისი საქმე არ იყო. ნიკა გადაეხვია ნიკალაის და უთხრა:

— მაპატიი, ძმაო, რომ პრობლემებში გაგხვიე, მაგრამ მალე დამთავრდება ჩემი საქმე და გამარჯვებას ერთად აღვნიშნავთ ჩემს სამშობლოში — საქართველოში.

— ოპ! — გაოცებულმა წამოიძახა ნიკალაიმ, — ეგეც გაარკვიე, რომ საქართველოდან ხარ?

— კი, ნიკალაი, სახელი და სამშობლო, — უპასუხა ნიკამ, — დანარჩენი არ მითხრა მამა იოანემ. ყველაფერს კამენკაში შეიტყობო. ამ სიტყვების შემდეგ, ისეთი განცდა დამეუფლა, რომ თითქოს ლენინგრადიდან უცხო ოჯახში კი არ ვბრუნდებოდი, არამედ ჩემს ახლობლებში და ნა-



თესავებში. მამა ოოანე კი ყველას გულის ნადებს კითხულობს და როგორც ჩანს ეს ჩემი ნააზრევიც წაიკითხა და გაეღიმა, თუმცა არაფერი უთქვამს. ასე რომ, თავში ისევ დიდი კითხვის ნიშანი მიდევს და სულმოუთქმელად ველი მოვლენების შემდგომ განვითარებას.

— რა იცი, ყველაფერი ხდება ამ ქვეყანაზე, — თქვა ნიკალაიმ, — ისე, საქართველოში არ ვყოფილვარ, ამბობენ მიწიერი სამოთხეაო.

— შეიძლება, — მიუგო დამწუხრებულმა ნიკამ და საუბრის თემა შეცვალა, — ახალი საპარსები ჩამოგიტანე ლენინგრადიდან, „ბალტიკა“ ჰქვია.

— „ნევა“ აღარ გამოდის? — იკითხა ნიკალაიმ.

— როგორ არა, გამოდის, მაგრამ როგორც მითხრეს ეს უკეთესიაო.

— „ნევა“ წვერთან ერთად კანსაც აცლიდა სახეს, — გაეცინა ნიკალაის, — ეს, ალბათ, მარტო წვერს პარსავს. დიდი მადლობა ნიკალაი, — მერე მცირე ხნით გაირინდა და განაგრძო, — ამ სახელის შეგუება ნამდვილად გამიჭირდება, ასე მგონია ჩემს თავს ვეძახი.

ნიკა და ნიკალაი სახლში შევიდნენ და დიდხანს საუბრობდნენ, ნიკა დაწვრილებით მოუყვა ნიკალაის ყველაფრის შესახებ, რაც კი გადახდა ლენინგრადში. ნიკალაი ყურადღებით უსმენდა ნიკას. ანალიზისათვის, საუბრიდან ზოგიერთი ეპიზოდის შესახებ, სთხოვდა, რომ კიდევ ერთხელ მოეთხრო, რასაც ნიკა დიდი სიამოვნებით აკეთებდა. როდესაც ნიკამ დაასრულა თავისი თავგადასავლის თხრობა, ნიკალაიმ უთხრა:

— როგორც ვხვდები, საქმე იმაზე სერიოზულად არის, ვიდრე მე ამას ვფიქრობდი. ეჭვი მაქვს, რომ შენზე ნადირობაა გამოცხადებული. რატომ და რისთვის, არ ვიცი. ასე რომ, ამის შემდეგ სახლიდან ფეხს აღარ გაადგამ...

ამ დროს ნიკალაის სახლის ჭიშკარს უბნის ინსპექტორი მიადგა. დაუკითხავად შევიდა ეზოში და გარემოს დათვალიერება დაიწყო. ნიკამ და ნიკალაიმ სახლს მეორე მხრიდან შემოუარეს და ინსპექტორს წინ გადაუდგნენ.

— რაო, მიხალიჩ? ვინმეს ბატები ხომ არ დაეკარგა?
— ჰეითხა ნიკალაიმ.

ინსპექტორმა როგორც კი დაინახა ნიკალაი თავის სტუმართან ერთად, შეკრთა. არ ელოდა, რომ მათ მიერ უცნობად წოდებული ნიკა სახლში დახვდებოდა, ამიტომაც ათვალიერებდა გარემოს, რათა მერე ოქმი შეფეხინა ობიექტის ადგილზე არ ყოფნის შესახებ და პატაკი წარედგინა ხელმძღვანელებისათვის, რაც უსაქმოდ მყოფ უბნის ინსპექტორს საქმეში ჩაეთვლებოდა. იმედგაცრუებულმა ინსპექტორმა პასუხი არ გასცა ნიკალაის, ნიკას შემოწმების ოქმზე ხელი მოაწერინა და წავიდა.

ნიკალაიმ ვერ მოითმინა ინსპექტორის თავხედობა და ჭიშკართან მისულს მიაძახა:

— მიხალიჩ! ისე, მე არ უნდა გასწავლიდე, როდესაც პირად საკუთრებაში შესვლას დააპირებ, ჯერ უნდა დაუძახო ოჯახის წევრებს!

ინსპექტორს ნიკალაისკენ არც გამოუხედავს, მხოლოდ ხელი აიქნია და გზა განაგრძო. რამდენიმე ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული, რომ ფეხი ქვას წამოსდო და დაენარცხა ორლობებში. წამოდგა, ტანსაცმელი დაიფერთხა,



ვიღაც-ვიღაცები გინებით გააგზავნა რუსებისთვის
მიღებულ ერთ ადგილას და კოჭლობით გაუყვა გზას.

25

ბონდო ენუქიძე საკუთარ კაბინეტში ბოლთას სცემდა. ნერვიულობისგან აღარ იცოდა რა ექნა. ფანჯარასთან მივიდა, გადაიხედა, როგორც ჩანდა ვიღაცას ელოდა. მერე საწერი მაგიდის კუთხეში დამონტაჟებულ ლილაკს დააჭირა თითო და მანამ არ აუშვა, სანამ შეშინებულმა და სახეზე მთლიანად გაფითრებულმა მდივანმა არ შე-მოალო კაბინეტის კარი. ბონდომ ოთახში შემოსვლაც არ აცალა მდივანს და მაშინვე იყვირა:

— სად არის აქამდე!? რატომ ოპერატიულად არ ას-რულებთ ჩემს ბრძანებას, ამხანაგო ეთერი!

— ბონდო ელეფთეროვიჩ... — აუკანკალდა ხმა მდივანს, — სულ... სულ ხუთი წუთია, რაც დავურეკე მილიციის უფროსს და მითხრა: „ახლავე გამოვდივარო“.

ბონდო საწერ მაგიდასთან მივიდა, ჩაჯდა სავარძელ-ში, მერე შეტრიიალდა მარჯვნივ და ისე ძლიერად დაჰკრა მუშტი ტელეფონების მაგიდას, რომ სამი აპარატი იატ-აკზე გადავარდა და დაიშალა.

— ჩქარა!... — უკვე ღრიალზე გადავიდა ენუქიძე.

მდივანი შეუმჩნევლად გავიდა კაბინეტიდან და შეშ-ინებული აიტუზა მისაღების კუთხეში.

ამ დროს მისაღებში მილიციის უფროსი შემოვიდა და შეშინებული მდივანი რომ დაინახა, ჰკითხა:

- რა გჭირს, ეთერ? ფერი არ გადევს სახეზე?
- მდივანი იმდენად იყო შეშინებული, რომ პასუხიც ვერ გასცა მილიციის უფროსს, მხოლოდ სახელით მიმართა:
- უშანგიი... — და ხელით ანიშნა შესულიყო უფროსის კაბინეტში.

კაბინეტში შესულ წესრიგის დამცველს, არავინ დახვდა ადგილზე. მორიდებით უფროსის მოსასვენებელ ოთახში შეიხედა და ნანახით გაოგნებულმა, უკან დაიხია. დივანზე ბონდო გადაწოლილიყო, კისერზე ჰალსტუპი შეეხსნა და აჩქარებული სუნთქვადა. უშანგიმ გრაფინიდან წყალი ხელისგულზე დაისხა და ბონდოს სახეზე წაუსვა, მერე ჭიქაში ჩამოასხა და ნაძალადევად დაალევინა. ენუქიძე, როგორც იქნა გამოვიდა მდგომარეობიდან და სახე ხელისგულებში ჩადო. უშანგი იქვე მდგარ სავარძელზე ჩამოჯდა და ბონდოს ჰერთხა:

- მოხდა რამე, ელეფთეროვიჩ? გენოსკენ ხომაა მშვიდობა?

ბონდომ ძლივს წაილულლულა რამდენიმე სიტყვა ისე, რომ თავი მაღლა არ აუწევია:

- გენოსკენ იმაზე უარესი მშვიდობაა, რომელიც ადრე იყო, თუ ჰერთხა ამას მშვიდობა...

უშანგის არ მოეწონა, ბონდო რომ ასე გაუგებრად საუბრობდა. როგორც ჩანდა, ნერვები უკიდურესად დაძაბული ჰერთხა და ამიტომ შეწუხებულმა უთხრა:

- სასწრაფოს გამოვიძახებ, ელეფთეროვიჩ!
- ენუქიძე თითქოს გამოფხიზლდაო, თავი მაღლა ასწია, ბეჭებში გასწორდა და მის წინ სავარძელზე მოკალათებულ მილიციის უფროსს მიუგო:



— არ გინდა, უშანგი! სასწრაფო ახლა შენ ხარ და შენს გამოცდილებასა და კაი კაცობაზეა დამოკიდებული ჩემი და ჩემი ოჯახის ბედი.

— რა ხდება, ელეფთეროვიჩ! — ძლივს ამოძრავდა სიმსუქნისაგან ლამის სავარძელში ჩაჭედილი მილიციის უფროსი, — თქვენი გულისთვის გოუკეთებელს გავაკეთებ და გოუჩენელს გავაჩენ... რაზეა ლაპარაკი...

ბონდო ფეხზე წამოდგა. უშანგის ხელით ანიშნა — იჯექიო. გრაფინიდან წყალი დაასხა ჭიქაში, ცოტა მოსვა და ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. მერე უშანგის მოპირდაპირედ მდგარ სავარძელში მძიმედ ჩაეშვა და დაიწყო:

— ეს საუბარი და საქმე ჩვენს შორის უნდა დარჩეს, უშანგი...

— რაზეა ლაპარაკი, ელეფთეროვიჩ! — შეაწყვეტინა სიტყვა უშანგიმ და კვლავ ეცადა სავარძლიდან წამოდგომას, მაგრამ ვერ შეძლო და ისევ გადაწვა საზურგეზე.

— შენ ჩემი ბავშვობის ძმაკაცი ხარ და...

— რაზეა ლაპარაკი, ელეფთეროვიჩ! — წამოიძახა ისევ უშანგიმ.

— მაცალე ახლა, ბუჯო! — იყვირა ბონდომ და ორივე ხელი გაშალა, — გადაბრუნდა მამაჩემი ელეფთერი საფლავში, დამამთავრებიე სათქმელი!..

უშანგი ბონდოს ყვირილზე გაჩუმდა, ბეჭებში მოიხარა და თითქოს დაპატარავდაო. ცოტა სახეზეც წამოწითლდა, მაგრამ რაც მთავარია, ხმას აღარ იღებდა.

ენუქიძემ თვალები დახუჭა, თმებზე ხელი გადაისვა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რას ვამბობდი!?



- მამათქვენი ახსენეთ, ელეფთეროვიჩ. — შეახსენა უშანგიმ, - რაღაცის თქმას აპირებდით...
- მამაჩემი რა შუაშია აქ? — იკითხა გაოცებულმა ბონდომ.
- რაცხა საფლავშიო... — დაიწყო უშანგიმ და ბონდოს გაფართოებულ თვალებს რომ შეხედა, გაჩუმება არჩია.
- რაც ბავშვობაში იყავი, ისევ ის დარჩი! — მიაძახა ბონდომ და განაგრძო საუბარი, — ის დაკარგული ბიჭი უნდა მოვძებნოთ! მკვდარი იქნება თუ ცოცხალი უნდა მოვძებნოთ! გენო ყველაფერს მომიყვა. მხოლოდ ამ საქმეს უნდა მიეცეს არაოფიციალური მსვლელობა, მე საერთოდ არ უნდა მახსენო არსად. ახლა კი მისმინე ყურადღებით...
- ბონდომ დაწვრილებით გააცნო უშანგის საქმის ვითარება, თავისი შეხედულებებიც გააცნო ამ საქმის ირგვლივ და მერე დასძინა:
- არ გეშლება ახლა შენ, ეს საქმე ნორმალურ და ერთგულ გამომძიებელს ჩააბარე, რომელმაც ენის ტლიკინი არ იცის, მოძებნეთ ის თემურიე პრავადნიკი და დაწვრილებით მოაყოლეთ ყველაფერი. აბა, რას იტყვი!?
- ყველაფერს ვიზამთ, ელეფთეროვიჩ, — უპასუხა ახალი ამბების მოსმენით გონებადაძაბულმა უშანგიმ,
- ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქმის არაოფიციალურად წარმართვა არ გაგვიჭირდება, მაგრამ რუსეთის ტერიტორიაზე თუ რამე არის აღძრული ამ საქმის ირგვლივ, მისი დაფარვა გაძნელდება.



— ნახეთ ჯერ რა ხდება? — თქვა ენუქიძემ, — მითხარით და მე მივხედავ, ხალხს ჩავრევ, რუსეთშიც მყავს ნაცნობები, როგორც შავ ისე თეთრ სამყაროში და ბოლოს და ბოლოს ფულით ყველაფერი კეთდება. მაგი არაა პრობლემა.

— კაი, ბატონო, მივხედავთ ისე, რავარც საჭიროა, — თქვა უშანგიმ, ძლივს ნამოდგა სავარძლიდან, ფორმა გაისწორა და იკითხა, — გენოს ამბავი რავა იქნებაო, რას ამბობენ ექიმები?

— არსაიდან არაფერი, — ჩაიქნია ხელი ბონდომ, — საშველი არაა, ექიმები ამბობენ: „საბჭოთა მედიცინა უძლურია“. ასე რომ, შენი ნათლული, უშანგი, სამუდამოდ ინვალიდის სავარძელზე იქნება მიჯაჭვული...

უკანასკნელი სიტყვები ძლივს ნარმოთქვა ენუქიძემ, ყელში ნაღველი ბურთივით მოაწვა და ცრემლი ნამოუვიდა თვალებიდან.

უშანგიმ ანუგეშა ბავშვობის მეგობარი:

— კაი ახლა, ბონდო, ისეთი ტემპებით მიდის ეს ცხოვრება, რომ რამეს გამეიგონებენ მეცნიერები და ნამოდგება ფეხზე ბოვშვი.

— გაჩერდი, თუ ძმა ხარ! შენც ოცნებებში ხარ იმ გიუვით! — გაცხარდა ბონდო და სანერ მაგიდას მიუჯდა.

— ვინ გიჟივით, ელეფთეროვიჩ?

— აგერ იქ, ზეით, მონამეთაში რომ გიორგია!

— რაიო? — გაეცინა უშანგის, — ანგელოზებს მოვუმობ და უშველიანო?

— ილოცეთო მთელმა ოჯახმაო და ლმერთი ყოვლის-შემძლეაო, გადმოგხედავთო, მაგ ამბავი ეშმაკის ნამო-

ქმედარიაო. — ლაპარაკობდა თავისითვის ბონდო და თან სულ რამდენიმე საათის წინ თავისივე გადაყრილ ნივთებს ალაგებდა.

ბონდოს მიერ წარმოთქმულ სიტყვებზე მიღიციის უფროსს მწარედ გაეღიმადა ვითომ ძალიან შეწუხებულ-მა „სოლიდარობა“ გამოუცხადა თავის ბავშვობის მეგობარსა და ნათლიმამას:

— რავა ვერ ისწავლა ამ ხალხმა ჭკუა, რაღა დროს ლმერთია ამ მეოცე საუკუნეში, — მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო და განაგრძო, — მაგი ხომ იცი ვინაა?

— რა ვიცი, ვინაა?... ერთი ვიცი, რომ ვერაა, — უპა-სუხა ბონდომ და დამტვრეული ტელეფონის აპარატი ნაგვის ურნაში ჩააგდო, კაბინეტისითვის კარი ვერ ჩამოუკიდია და ზის იმ სკვაზინიაკში.

— გახსოვს? — არ ცხრებოდა უშანგი, — ასე თხუთ-მეტი წლის წინ თბილისში, საპირველმაისო დემონსტრა-ციაზე, მთავრობის სახლის წინ, ლენინის დიდი პლაკატი რომ დეინვა.

— ჰო! რავა არ მახსოვს, — დაუდასტურა ბონდომ, — ჰო, მითხრეს ვიღაც თბილისელი ყოფილა მაგისნაირი გიუი-გადარეული. და ეს რა შუაშია მაგასთან?

— შუაში კი არა, თავშია! — აუტყდა სიცილი უშანგის, ისე, რომ სახეზე მთლიანად განითლდა, — ამას მიუნოდებია სპიჩაი.

— კაი, კაცო, მაგი არ ვიცოდი? — გაუკვირდა ბონ-დოს, — მერე რა უქნეს ამ საცოდავებს?

— დეიჭირეს, ცემეს მაგრად, — უპასუხა უშანგიმ, — ის თბილისელი, ფსიხუშკაში შეაგდეს და ეს კიდევ აქეთ



გამოაგდეს. ახლა ზის მონამეთაში და აგიუებს ხალხს, თუ არ მეიქცევით წესიერად ღმერთი დაგსჯითო.

— ვაი, მაგის პატრონს! — გადაიხარხარა რამდენიმე საათის წინ საკუთარი კაბინეტის ნივთების მტვრევით დაღლილმა ბონდომ, — მერე შენ, როგორც ჩვენი ქალაქ-ის პირველმა მილიციელმა, ნახე ვინმე თავისი არასწორი საქციელის გამო, ღმერთის მიერ დასჯილი?

ბავშვობის მეგობრებმა დაინყეს სიცილი, მცირე ხნის შემდეგ კი ორივემ ერთად შეწყვიტეს ეს პარანოია და ერთმანეთს შეხედეს. უშანგიშ შეხედა ბონდოს მყის-იერად შეცვლილ სახეს და ჰკითხა:

— არ დამიმალო, ელეფთეროვიჩ! გაფიცებ ჩვენი ძმობის სიწმინდეს, შენც ის გეიფიქრე, რაც მე!?

ენუქიძე დაემხო მაგიდაზე და ამოიხრიალა:

— რა გინდოდა, შვილო! რატომ გამინადგურე ოჯახი!?

მეორე დღეს მერიკო და ზაზა გამოემშვიდობნენ მასპინძლებს და თბილისში წავიდნენ, იმ იმედით, რომ ნიკას ასავალ-დასავალს სულ მალე შეიტყობდნენ. კვირის ბოლომდე ისე მიიღია დღეები, რომ ნიკას შესახებ ახალი არაფერი გამოიკვეთა. გოგიმ და მალხაზმა კიდევ ერთხელ დაათვალიერეს ის ადგილები, სადაც ნიკას მანქანის სანომრე ნიშანი იპოვეს, მაგრამ ახალს ვერაფერს მიაკვლიეს. შაბათ დილით კი მონამეთასკენ გასწიეს და თან ლიკაც წაიყვანეს. ლიკა მამამისივით წუხდა,



რომ დაიბადა და გაიზარდა სოფელ მთისაში და ისიც პირველად მიდიოდა მონამეთაში. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში, საბჭოთა კავშირში მეტ-ნა-კლებად დაშვებული იქნა რელიგიური თავისუფლება, ხალხი მაინც წინა წლებიდან გამოყოლილი შიშის გამო, ნაკლებად დადიოდა წმინდა ადგილებში და მხოლოდ ექსკურსიებით ეცნობოდნენ ეკლესია-მონასტრებს, რომელსაც კომუნისტურ საზოგადოებაში განიხილა-ვდნენ, როგორც საქართველოს ისტორიის განუყოფელ ნაწილად და მიაკუთნებდნენ ჩვენი ქვეყნის წარსულს. კომუნისტურ-ათეიისტურ საზოგადოებაში სიტყვა „დიდება“, რომელიც დასაბამიდან ყოველთვის ღმერთს ეკუთვნოდა, დაისაკუთრეს და წაუმძღვარეს კომუნისტური პარტიის, მისი დამფუძნებლების და ხალხისად-მი მიძღვნილ ორზუნგებს. ასე რომ, ქვეყანაში ბოროტი განცხრომაში იყო, ხოლო ხალხი უმეცრებაში.

ლიკამ, როგორც კი მონამეთას მონასტრის ეზოში გა-დადგა პირველი ნაბიჯი, განსაკუთრებული შვება იგრძნო. თითქოს იმედი ჩაესახა, რომ თვითონ თუ ვერა, მისი შვილი, რომელიც ახლა ყალიბდებოდა მის მუცელში მო-მავლის ადამიანად, ივლიდა ეკლესიაში და აღადგენდა ოჯახში წინაპართა ტრადიციას ღმერთის მორჩილებისა და თაყვანისცემისა, რომელიც რამდენიმე ათეული წელ-ია წაელეკა ავი დროების ქარიშხლებს. ეკლესიაში შეს-ულ ლიკას, გოგი და მალხაზი დაეხმარნენ, რათა გაევლო წმიდა მონამების დავით და კონსტანტინეს წმიდა ნან-ილების ქვეშ მდებარე გვირაბში და შემდეგ კი სანთლე-ბი დაენთო წმიდათა ხატებთან. მერე კი ლიკა დროებით



„მიაბარეს“ მამა გიორგის მიერ ანიჩკად წოდებულ მე-სანთლეს და თვითონ კი მოძღვრის სენაკისკენ გაემართ-ნენ.

— კაი გამარჯობა თქვენი, — სენაკის მთავარ ოთახში შესვლისთანავე მოესმა გოგის და მალხაზს მამა გიორ-გის ხმა, რომელიც სენაკის პატარა ოთახში იყო გასული, — მოდით აქ, ერთი კარგი ქართველის სურათი უნდა გაჩვენოთ.

როგორც კი შევიდნენ ოთახში, დაინახეს, რომ მამა გიორგი კედელზე სტალინის დიდ სურათს ამაგრებდა. საქმეს რომ მორჩა, სტუმრებს ხელი ჩამოართვა, მოი-კითხა და უთხრა:

— ამისთანა დიდი ქართველი გიორგი ბრწყინვალეს და ილია ჭავჭავაძის შემდეგ არ ჰყოლია საქართველოს. ან გარდაცვლილმა ჩვენმა პატრიარქმა, კალისტრატე ცინცაძემ, რომელსაც მოვა უამი და ჩვენი ეკლესია წმი-დანად აღიარებს, რა მისწერა იცით სტალინს?

გოგიმ და მალხაზმა ერთმანეთს შეხედეს და გაკვირ-ვება გამოხატეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს მათთვის უცნობი თემა იყო და მზერა ისევ მამა გიორგის მიაპყ-რეს, რომელმაც გააგრძელა დაწყებული საუბარი:

— ასე დაწერა უწმიდესმა კალისტრატემ: „კაცთა შორის რჩეულო! ჩემი მოხუცებულობის ოცნება იყო, სა-კუთარი თვალით მენახა ჩვენი ხალხის სიამაყე და მსოფ-ლიოს უდიდესი ადამიანი, მაგრამ ბედმა არ მარგუნა ეს ბედნიერება. ალბათ ამისი ღირსი არ ვარ. ჩემი კადნიერი მამულიშვილური სიყვარულის გამომხატველად მოგა-რთმევ ქართულ კულას წარწერით: „იოსებ ქართველს,

მსოფლიოში უღალატო ადამიანს, მაშვრალთა წინამძღვარს. მადლობით გულსავსე საქართველოს მართლმადიდებელთა მწყემსის კალისტრატე კათალიკოზ-პატრიარქისაგან“.

— სტალინის სადღეგრძელოს ყოველთვის ვსვამ, მამაო! — წარმოთქვა სიამაყით გოგიმ.

— სტალინი წმიდანია, შვილო. მხოლოდ მან შეძლო წინ აღდგომოდა მასონებს და სამოცდათი წლით შეაჩერა მათი გაბატონება მსოფლიოს ერთ მესამედზე. პოლიტბიუროს ოცდაცხრამეტი წევრიდან სტალინი იყო ერთადერთი, რომელიც მასონთა ლოჟას არ ეკუთვნოდა. იგი აირჩია ღმერთმა სატანა-ლენინის წინააღმდეგ, მან შეძლო ჯოჯოხეთის ფსკერზე ჩასულიყო და იქიდან დაერტყა სატანისა და მისი მოდგმისათვის. სტალინმა თავის თავზე იმდენი ცოდვა აიღო, რომ ლენინიც კი მოატყუა. დაარწმუნა, რომ ისიც მათი მოდგმის იყო და კიდეც გაანადგურა. მხოლოდ ტროცკის არ სჯეროდა მისი.

— რა ვიცი, მამაო, — საუბარში ჩაერთო მალხაზი, — კი გაანადგურეს რუსებმა და...

— აბა, სწორი ხარ შენ, — სიტყვა შეაწყვეტინა მამაომ მალხაზს, — ქართველი მეომრების, მეცნიერებისა და ქართული საზოგადოების წარჩინებული ადამიანების დახმარებით სტალინმა რუსი ერი გააძლიერა. დაშლილი, დამარცხებული, სულიერი მონობისათვის განწირული, ზესახელმწიფოდ აქცია, ეკლესიების ნგრევა შეაჩერა და მართლმადიდებლური რწმენის აღდგენა დაიწყო. მათ კი, იმის მაგივრად, რომ ხელის გულზე ეტარებინათ ქართველი ერი, ჩვენივე მოღალატეების ხელშეწყობით,



განადგურების პირამდე მივყავართ. სტალინი ღმერთის რჩეული და ზეციდან მოვლენილი იყო. ღამე დიდხანს ლოცულობდა....

მამა გიორგი მცირე ხნით შეჩერდა და მერე ისევ განაგრძო:

- თქვენ მარტო არ ხართ მოსული, ხომ?
- არა, მამაო, — გაუკვირდა მალხაზს, — ქალიშვილი მახლავს. კი, მარა თქვენ საიდან მიხვდით? ...
- მაგი არაა თქვენთვის ასახსნელი, — უთხრა მამაომ მალხაზს, — გასძახე ანიჩკას, მოიყვანოს ბოვშვი, თვარა ფეხმძიმედაა და ცოდვაა.

მალხაზი მამაოს ბოლოს ნათქვამმა სიტყვებმა სულ დააბნია, გაიფიქრა: „ჩემი შვილის ფეხმძიმობა საიდან იცისო?“ გავიდა ტაძარში, ლიკა მოიყვანა სენაკში და მამაოს წარუდგინა:

- იცნობდეთ, მამა გიორგი, ჩემი ქალიშვილი ლიკა.
- ვიცი, ვიცი, — გაელიმა მამაოს, — ბიჭის დედა გახდება.

ახლა კი ლიკამ ვერ დაფარა გაოცება:

— მამაო, ჯერ არავის უთქვამს ჩემთვის, ბიჭი დაიბადება თუ გოგო. ექოსკოპიას არ ვიკეთებ, არ მინდა ბავშვმა დასხივება მიიღოს და თქვენ საიდან?

— მე, ჩემო კარგო, ისიც ვიცი სახელს რას დაარქემდოთ. ასე რომ, ღმერთმა დაგლოცოთ! — წარმოთქვა ომახიანად მამაომ, საუბრის თემა შეცვალა და ისევ სტალინს დაუბრუნდა, — გერმანელებმა ომის დროს, მარტო საკონცენტრაციო ბანაკებში სამი მილიონი ტყვე დახოცეს, ომის დროს დახოცილებზე აღარაფერს ვამბობ, ეს ყველამ იცის, უამრავი საბჭოთა მოქალაქე უგზოუკვლოდ

დაიკარგა. სტალინმა არც ჭირისუფალი და არც დაკარგულები უყურადღებოდ არ დატოვა და ყველას დაეხმარა. მე უნდა შევეჯიბრო სტალინს.

გოგი, მალხაზი და ლიკა გაოცებული უყურებდნენ მამა გიორგის და ვერ ხვდებოდნენ, ამ ყველაფრის შესახებ რატომ უყვებოდა მათ. მამაომ უხერხულობის განმუხტვის მიზნით გააგრძელა საუბარი:

— მალხაზ! შენ და ლიკამ ტაძარში დაანთეთ სანთლები და შეევედრეთ უფალს, რათა წყალობა გაიღოს და გადმოგხედოთ, ხოლო გოგი დარჩეს პატარა ხანი, სალაპარაკო მაქვს.

როგორც კი მამა-შვილი სენაკიდან გავიდნენ, მამაომ გოგის უთხრა:

— მაგათ ამას ვერ ოუხსნი, გოგი, უგზოუკვლოდ დაკარგულები კი ვახსენე, მარა ამას შენ მიხვდებოდი. რასაც ახლა გეტყვი, მალხაზს არ უთხრა ჯერ, არ მინდა, რომ მეტად ინერვიულონ. ბიჭი ცოცხალია და ჯანმრთელი, მაგრამ ცემისგან არაფერი ახსოვს. ამჟამად რუსეთშია.

— მართლა, მამა გიორგი, — იყვირა აღტაცებისგან გოგიმ, — საიდან გეიგე მაი ამბავი?

— არაა მაი შენი საქმე, — უსაყვედურა მამაომ გოგის, — მე ჩემი ინფორმატორები მყავს ზევით, ზეცაში. ბონდონ დეინწყებს ახლა ძებნას და ჩამეიყვანს, მხოლოდ ახლა მისი ადგილსამყოფელი მარტო მე ვიცი და იოანემ. ასე რომ, საქმე კარგადაა და ხელი არ შემიშალოთ. დააწყნარე ოჯახი და უთხარი, მამაო ლოცულობს და ყველაფერი კარგათ იქნება-თქვა. გეიგე, რაც გითხარი!?



— კი, მამაო, შენ შემოგევლე! — წამოხტა სკამიდან გოგი და მამაოს ჩაეხუტა, — ყველაფერი ისე იქნება, რავარც მითხარი!

გოგიმ არაფერი შეიმჩნია მალხაზთან და ლიკასთან, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა:

— მამაომ თქვა, ყველაფერი კარგად იქნებაო.

— მე მჯერა მისი. — თქვა ლიკამ და მანქანაში ჩაჯდა.

27

მილიციის გამომძიებელი ნოშრევან წულაია თავისი მანქანით სოფელ ფარცხანაყანევში შევიდა. იქვე „ბირჟაზე“ თემურა პრავადნიკის სახლი იკითხა და გზა განაგრძო სოფლის სიღრმეში. ნოშრევანის დაძახილზე სახლიდან ახალგაზრდა ქალბატონმა გამოიხედა და მანქანიანი სტუმარი რომ დაინახა, შორიდან დაუძახა:

— ხვალ აღარ მიდის რეიისში და ასე მითხრა, ზეგე მევიდეს და ხარისხიანი მწვანილი მეიტანოს, თვარა არ წევიღებო!

გამომძიებელს გაეცინა: „ეს ახლავეა დასაჭერი, როგორც ჩანს მწვანილით სპეკულანტობს. ვაი, შე უბედურო, რა დღე გელოდება, არ იცი ჯერ“. მერე გახედა მასპინძელ ქალს და დაუძახა:

— უთხარით თემურს იქნებ გამოიხედოს, მილიციიდან არიან-თქვა!

ქალი ელდანაკრავივით შეტრიალდა სახლში და რამდენიმე წამში თემურიც გამოჩნდა. აჩქარებული ნაბი-



ჯით გამოემართა ჭიშკრისკენ და შორიდანვე დაიწყო დაპატიჟება:

— მობრძანდით, ბატონო! რაშია საქმე? გვიჭერენ?.. ვხუმრობ, რა თქმა უნდა, კაი გამარჯობა თქვენი!.. მობრძანდით!..

ნოშრევანმა მიპატიჟებაზე უარი არ თქვა, რადგან თემურს, საქმის არაოფიციალურობიდან გამომდინარე, განყოფილებაში ვერ წაიყვანდა. როგორც კი სტუმარ-მასპინძელი სახლში შევიდნენ, თემურმა მაშინვე მეუღლე იხმო:

— ნარგიზა! გაშალე სუფრა! ღვინოს ახლავე ჩამოვასხამ!

ნოშრევანმა თემურს ანიშნა შეჩერებულიყო, რადგან არ იყო საჭირო არაფერი.

— რავა! — იუკადრისა მასპინძელმა, — სტუმარი ღვთისააო, ამბობენ.

თემურმა უცნობი სტუმრის სახის გამომეტყველებით იგრძნო, რომ ორგანოს თანამშრომელი მასთან საქეიფოდ არ იყო მოსული და საუბრის თემა მაშინვე შეცვალა:

— ამ საქმეზე, ბატონო, ყველა ჩალიჩობს და მეც... ისე, ჩვენი უბნის ინსპექტორი საქმის კურსშია და არ ვარ მასთან შერცხვენილი... ასე რომ...

ნოშრევანს მნარედ გაეცინა, შეხედა თემურს და უთხრა:

— დაჯექი, დაჯექი და სანამ ჩვენ ვისაუბრებთ, აქ არავინ შემოვიდეს!

თემურმა ოთახის კარი ჩაკეტა და ნოშრევანთან ერთად უურნალების მაგიდასთან დაჯდა.



— მე ნოშრევან წულაია ვარ, გამომძიებელი მილიცი-ის სამმართველოდან, — უთხრა ნოშრევანმა და საბუთი უჩვენა თემურს, — საქმე მაქვს შენთან და არ დაიწყო ახლა არ ვიცი და არ გამიგია და რაცხა-რაცხეები კიდევ.

— მე არაფერი დამიშავებია, უფროსო... — აუ-კანკალდა ხმა თემურს, — ისიც არ ვიცი, რას მეკითხ-ებით? გვეჭამა რაცხა და თან გველაპარაკა... პირველად ხართ ოჯახში... ახლავე...

— შენ, ახლა გატყობ, არ გაჩერდები და ამიტომ სათქმელს პირდაპირ გეტყვი! — აუნია ხმას ნოშრევანმა, — სად გადააგდე ის ბიჭი, რომლის არც სახელი იცოდი და არც გვარი!?

თემურმა ფერი დაკარგა. ნამდვილად არ მოელოდა ასეთ კითხვას გამომძიებლისგან. ეგონა, რომ ალბათ მემ-წვანილები დაიჭირეს და კვალს გამოყვნენო. ენა დაება, აშკარად გასცა თავის თავი და ტყუილის თქმას აზრი აღარ ჰქონდა. ნოშრევანმა ოპერატიულად აუღო ალღო შექმ-ნილ სიტუაციას, მაგიდაზე მდგარი გრაფინიდან ჭიქაში წყალი ჩამოასხა და თემურს მიანოდა. წყლის დალევის შემდეგ მასპინძელი მდგომარეობიდან ნაწილობრივ გა-მოვიდა და თავი ჩაღუნა, აღარ იცოდა რა გაეკეთებინა. უხერხულობის მოხსნა ისევ ნოშრევანმა ითავა:

— იმ შემთხვევაში თუ გამოძიებასთან ითანამშრომ-ლებ, სასჯელი საკმაოდ შეგიმსუბუქდება.

თემური დუმდა. მარჯვენა მუხლი აუკანკალდა, აშკა-რა იყო, რომ თავს ვეღარ აკონტროლებდა. ბოლოს, რო-გორც იქნა სახეშეცვლილმა და დაბნეულმა ძლივს ნარ-მოთქვა:

- მე რა უნდა გავაკეთო?
- ეს უკვე სხვა საუბარია, — უპასუხა ნოშრევანმა, — სად გადააგდე!?
- ვორონეჟთან ერთი პატარა სადგურია, კამენკა. არ გადამიგდია, იქვე ფანჩატურში დავაწვინე.
- ცოცხალი იყო თუ მკვდარი!?
- ცოცხალი, მაგრამ გათიშული დავტოვე.
- ამაღამ წავალთ ერთად მატარებლით და თან მომიყვები ყველაფერს, — უთხრა ნოშრევანმა, — ახლა კი გამომყევი და ოჯახს ამბავი დაუტოვე, რომ ორ-სამ დღეში დაბრუნდები. მე გარეთ დაგელოდები, გაქცევა არ სცადო, შენთვის უფრო ცუდი იქნება.

ნოშრევანი თავის თანაშემწესთან, თემურთან, გოგისთან და მალხაზთან ერთად თბილისი-მოსკოვის მატარებლით რუსეთისკენ მიჰქროდა. თემური გზადაგზა ყველაფერს უყვებოდა ნოშრევანს და თან თავის საქციელს ნანობდა:

— ფულს დავხარბდი, ვალები მქონდა, თან ანზორიემ მითხრა, რომ „ვინცხა პრესტუპნიკიაო და თუ შემოგაკვდება არც მაგაზე ინერვიულოო“, არ უნდა მექნა, მარა ახლა ყველაფერი გვიანია, ნეტავი ცოცხალი იყოს, აფერი მინდა სხვა.

მალხაზი და გოგი კუპეების გასასვლელ დერეფანში იდგნენ ფანჯარასთან და გაჰყურებდნენ რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებს.

— კიდევ კარგი, სადმე აქ არ გადააგდო, თორემ ნიკას ვეღარც ცოცხალს ვიპოვიდით და ღმერთმა დაიფაროს ვეღარც მკვდარს. — თქვა მალხაზმა და კიდევ ერთხ-



ელ გახედა სტეპებს, რომელსაც ბოლო არ უჩანდა, მით უმეტეს სიბნელეში.

- გული მეუბნება, ჩემო მალხაზ, რომ ვიპოვით ნიკას.
- უთხრა მეგობარს გოგიმ და კუპეში შევიდა.

დილით ადრე, გენოს მეგობარი ჯემალი ფარცხანაყანევში მიადგა თემურის სახლს, არც კი შეხმიანებია, ისე ატეხა ბრახუნი კარზე. ოჯახის დიასახლისი შემინებული გამოვარდა გარეთ, ის იყო უნდა ეკივლა, რომ უცებ კედელთან მდგარი ჯემალი შენიშნა და დაწყნარდა, მხოლოდ ის თქვა:

- რა ხდება, ჯემალიე!?
- ხომაა მშვიდობა!?
- თემურიეს ხომ არ შეემთხვა რამე!?

ჯემალმა კითხვას კითხვითვე უპასუხა:

— ნარგიზა! გუშინ ვინ იყო აქანა?

— გამომძიებელმა მოაკითხა და საცხა წეიყვანა, — უპასუხა ნარგიზამ, — მანამდე ცალკე ლაპარაკობდნენ, ჩემთვის არაფერი უთქვამთ. საჭმელიც არ ჭამეს, ისე წევიდენ.

— სად წევიდენ არ უთქვამთ?

— ორი-სამი დღე არ ვიქნებიო, ასე დეიბარა.

ჯემალმა გაარკვია ყველაფერი და მაშინვე ანზორთან გაიქცა, მოუყვა ძმაკაცს რაც ხდებოდა და ურჩია:

— ბუჯო! სანამ დროა, უნდა ევითესოთ, თვარა გაგვაყოფიერენ თავს და თუ სროკი გვაკმარეს ბედნიერები ვიქნებით!

ანზორი არ იღებდა უცებ გადაწყვეტილებებს და ამიტომ უთხრა ჯემალს:



— ჯერ ვნახოთ რას გვეტყვის გენოიე. მაგან წამეინყო
აგი საქმე სიმონ და მერე მევიფიქროთ რა გავაკეთოთ.

— გენოიე რაღას მეიფიქრებს, ბუჯო!? — გაცხარდა
ჯემალი, — მაგის მაგიერ ახლა მამამისი ფიქრობს და
რავა გგონია, განირავს თავის შვილს!?

— რასაც გეუბნები გეიგე და წევიდეთ ახლა საავად-
მყოფოში, შენ როგორც თქვი ორი-სამი დღე გვაქვს დრო.

როგორც იქნა შეაღნიეს გენოსთან პალატაში. ენუქიძე
ინვა საწოლზე და ფართოდ გახელილი თვალებით ფან-
ჯრისაენ იყურებოდა, თითქოს ვიღაც უხილავს ეძებსო. მეგობრების პალატაში შემოსვლა არც გაუგია. მხოლოდ
მაშინ შეკრთა, როდესაც ანზორის ხმა გაიგო:

— რავა ხარ, გენოიე? მოგვანატრე თავი, ბუჯო.

— თქვენი მტერი იყოს ისე, რავარც მე ვარ, სიმონ, —
უპასუხა გენომ და ცრემლმორეული თვალებით შეხედა
ძმაკაცებს, — რასაც ვეძებდი, აგერ კი ვიპოვედა სიცოცხ-
ლის ბოლომდე ინვალიდების სავარძელში უნდა ვიჯდე.

— ჩვენც ასე მოგვინევს, სიმონ, მხოლოდ კამერაში,
— პირდაპირ საქმეზე გადავიდა ჯემალი, — რა ხდება,
გენოიე? ძალლობა ჩეერია საქმეში?

— კი, — დაუდასტურა გენომ, — მარა არაოფიციალ-
ურად, ასე რომ, დაწყნარდით!

— რავარი დასაწყნარებელია, სიმონ, — ჩაერთო საუ-
ბარში ანზორი, — აგერ, თემურიე ეიყვანეს, ახლა ჩვენ
მოგვადგებიან, რა ვქნათ?

— თემურიე კი არ ეიყვანეს, რუსეთში წეიყვანეს.

— მერე? უკან რომ ჩამოვლენ, ჩვენ არ მოგვძებნიან?

— იკითხა ჯემალმა.



— თუ იგი ბიჭი ცოცხალია, გადავრჩებით და თუ არა, მაშინ ცოტა გართულდება საქმე. — მიუგო გენომ.

— ბოლო-ბოლო, როგორ მოვიქცეთ ჩვენ? — ჩააცივ-და ჯემალი გენოს.

— ყველამ ერთად ვილოცოთ, რომ ის ბიჭი ნორმალური დოუბრუნდეს ოჯახს. — თქვა გენომ და მეგობრებს შეხედა, რომლებმაც ლოცვის ხსენებაზე უცნაურად გაიღიმეს და გენოს თვალი აარიდეს.

ამ დროს პალატაში ექთანი შემოვიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მნახველებს უნდა დაეტოვებინათ იქაურობა.

28

მატარებელი გრაფიკის მიხედვით ჩამოდგა სადგურ კამენკაზე. თემურმა ყველაფერი მოუყვა და აჩვენა გამომძიებლებს, გარდა ერთისა, არ თქვა, რომ ნასვლამდე ფანჩატურში დაგდებულ ნიკას ძლიერი დარტყმა მიაყენა, თუმცა მის ჩადენილ ამ უსასტიკეს დანაშაულში ეს დეტალი არაფერს ცვლიდა, ამას ცხოველიც კი არ გააკეთებდა, მაგრამ ფულის შოვნით შეპყრობილ თემურს ზღვარი ადამიანობასა და არაადამიანობას შორის, დიდი ხანია, ნაშლილი ჰქონდა. ამას თვითონაც კარგად ხვდებოდა თემური. მისი, უღმერთობით გამოწვეული შინაგანი შიში იმდენად ძლიერი იყო, რომ ამხელა გოლიათური შეხედულების კაცი თაგვის სინდრომით დაავადებულიყო და დასამალად სოროს ეძებდა. მილიციის ორგანოებში გამობრძმედილ ნოშრევანს, თემურის ასე-

თი მდგომარეობა არ გამოჰქონდა მხედველობიდან და როდესაც საჭირო ინფორმაცია სჭირდებოდა, ხმას ცოტას აუწევდა, რაც ფეხის დაბაკუნებას უფრო ჰგავდა და თემურიც მაშინვე ალაპარაკდებოდა ხოლმე.

თემურისგან ინფორმაციის ამოღების შემდეგ იწყებოდა მთავარი პროცესი, ურთიერთობა ადგილობრივ ორგანოებთან, რომლებსაც აღნიშნული საქმე, როგორც იტყოდნენ ხოლმე ორგანოებში — „გაპრავებული“ ჰქონდათ.

საქმე ქრთამით უნდა დაწყებულიყო, რაზეც ბონდო ენუქიძემ ქუთაისშივე იზრუნა და თუ საქმეს დასჭირდებოდა, ოპერატიულად მიაწვდიდა თანხას.

ნოშრევანმა გადაწყვიტა დაბალი რგოლიდან დაეწყო ძებნის ოპერაცია და სადგურის მილიციის განყოფილებისაკენ წავიდა. კარი დაკეტილი დახვდა. დააკაკუნა, მაგრამ ხმა არავინ გასცა.

— ამხანაგო! — მოესმა ნოშრევანს ზურგს უკან ქალის ხმა, — მანდ რას ეძებთ!?

ნულაია სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი და ამიტომ არ გაჰკვირვებია ეს შეკითხვა ქალბატონისგან, რომელიც რკინიგზელის ფორმით წარსდგა მის წინაშე. აათვალიერ-ჩაათვალიერა ნოშრევანი და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— კვლავ ეს კავკასიელები, — მერე კი ხმამაღლა დაიწყო საუბარი და თან სიმკაცრე გაურია ხმაში, — ვერ გაიგეთ!? ვის ეძებთ-მეთქი!?

სანამ რკინიგზელი ქალი კივილზე გადავიდოდა, ნოშრევანმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წიგნაკი ამოიღო



ჯიბიდან და ლამის თვალებზე მიაფარა. ქალმა ამოიკითხა რა წიგნაკში ორგანოს თანამშრომლის წოდება — „პოდპოლკოვნიკი“, მაშინვე მოლბა და ხმის ტემბრიც შეცვალა:

— კოსტია... უკაცრავად... ამხანაგი ლეიტენანტი წუხელ მთელი ღამე მორიგეობდა, თვალი არ მოუხუჭავს და ეტყობა ჩაეძინა. ახლავე გავაღვიძებ.

განყოფილების კარზე ბრახუნმა და რკინიგზელი ქალის ყვირილმა, როგორც იქნა, შედეგი გამოიღო და ოთახიდან ვიღაცის ხრიალი გაისმა:

— ახლავე... გავაღებ!

როგორც კი ოთახის კარი გაიღო, პირველი რამაც ნოშრევანს უკან დაახევინა, შიგნიდან „გამოვარდნილი“ საშინელი სუნი იყო, რომელიც არყის, კიტრის მწნილის და თამბაქოს კვამლის ერთგვარ ნაზავს შეიცავდა. ხოლო კართან, აჩეჩილ მაისურსა და ტრუსებში შემოსილი, სახენაშლილი საშუალო ასაკის მამაკაცი იდგა, რომელიც თვალებს ძლიერ ახელდა და როგორც კი დაინახა მის წინ მდგომი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი უცხო მამაკაცი, რომ არა რკინიგზელი ქალის ოპერატიულობა, საუბრის გინებით დაწყებას აპირებდა:

— კოსწია... ოი!... ბოდიში... ამხანაგო ლეიტენანტო! ეს ამხანაგი პოდპოლკოვნიკი თქვენთან არის!

მილიციელი უცებ გამოფხიზლდა და წოდებით უფრო სის მიმართ პატივის მისაგებად გამლილი ხელის მტევანი საფეთქელზე მიიღო.

ნოშრევანმა არ დააყოვნა და შენიშვნა მისცა:



— ამხანაგო ლეიტენანტო! მე ასე ვიცი, რომ წეს-დების მიხედვით, ფორმის ქუდის გარეშე ხელით პატივის მიგება არ შეიძლება! ამიტომ, გაძლევთ ხუთ წუთს, რათა თავი წესრიგში მოიყვანოთ და ბაქანზე გამოხვიდეთ!

მერე იქვე მდგარ რკინიგზელ ქალს შეხედა, რომელ-საც ღიმილის გამოსახატავად ისე ფართოდ გაეღო პირი, რომ ვერცხლისფრად მოელვარე ყველა რკინის კბილი უჩანდა. ბაქანისკენ მიმავალმა წულაიამ გაუღიმა რკინ-იგზელ ქალს და გადაულაპარაკა:

— მთელი ღამე არ უძინია, არა? კარგი მორიგეობა სცოდნია.

ქალმა კოსწიას დაცვა და დახმარება სცადა და ნოშ-რევანს მიაძახა:

— სხვათა შორის ჩვენ აქ კარგად ვმორიგეობთ, — მერე ჯიბიდან ტუჩისაცხი ამოილო, კარგად გაინითლა ტუჩები და განაგრძო, — თუ სურვილი გაქვთ, შემიძლია ამ ღამით თქვენთან ერთადაც ვიმორიგეო.

ნოშრევანმა, როგორც კი წარმოიდგინა ქალის წით-ლად შეღებილი ტუჩები და ვერცხლისფერი კბილები, გუნება წაუხდა და ნაბიჯს აუჩქარა.

წულაიამ ბაქანზე გამოსულ ლეიტენანტს რამდენიმე შეკითხვა მისცა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. კოსწია ვერ აზროვნებდა, თან როგორც სჩანდა, მომხდარი საქმის შესახებ ბოლომდე საქმის კურსში არ იყო. ამ დროს ბაქა-ნზე მილიციის კაპიტანი გამოჩნდა, რომელიც სწრაფი ნაბიჯით მიიჩქაროდა კოსტიასკენ. ხოლო ბაქანზე გა-მოსასვლელ კართან კი ის რკინიგზელი ქალი იდგა და ამომავალი მზის სხივები მისი კბილების ელვარებას მეტ



ბრწყინვალებას ანიჭებდა. როგორც სჩანდა მისი ოპერ-ატიული მოქმედების შედეგი იყო, სადგურში კაპიტნის უეცარი გამოჩენა. ოფიცერი მოახლოებისთანავე, წესი-სამებრ ნარსდგა გამომძიებლის წინაშე და ოფიციალური მისალმების შემდეგ, ხელი ჩამოართვა და წარუდგინა თავისი თავი:

— მილიციის კაპიტანი ვიქტორ ეიტენგანი! რკინიგ-ზის ზედამხვედელობის განყოფილების უფროსი.

— სასიამოვნოა, ამხანაგო კაპიტანო, — მიუგო ნოშ-რევანმა და მის გვერდით გაუბედურებულ ლეიტენანტს გადახედა, რომელსაც ჰალსტუხის შებმა დავინცებოდა და პერანგზე ჰქონდა საცოდავად ჩამოკიდებული, მერე კი ისევ კაპიტანს მიუბრუნდა და უთხრა, — ერთი-ერთზე გასაუბრება მინდა თქვენთან.

— დიახ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, წამოპრძანდით სადგურის უფროსის კაბინეტში, იქ თავისუფლად გავი-საუბრებთ.

ვიქტორმა ნოშრევანს ბოდიში მოუხადა ლეიტენანტის საქციელის გამო:

— რა ვქნათ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ამ რუსებს ვერ გადააჩვევ არყის სმას თუ გინდა კოსმონავტის ფორმა ჩააცვი, ერთ და ორ ჭიქაზე რომ ჩერდებოდნენ, რა უჭირთ, სანამ ბოლომდე არ გამოცლიან ბოთლს, ვერ ის-ვენებენ. ქალებიც ამით სარგებლობენ და დანარჩენი კი თქვენ თვითონ ნახეთ.

— არ მიკვირს, ამხანაგო კაპიტანო, — გაეღიმა ნოშ-რევანს, — ნაცნობი სიტუაციაა, ახლა კი საქმეზე გადა-ვიდეთ.



წულაიამ ეიტენგანს აუხსნა სიტუაცია, რისთვის იყო ჩამოსული კამენკაში. ნიკას სურათიც ამოიღო და აჩვენა კაპიტანს. ვიქტორი კარგად დააკვირდა ფოტოს, მერე თავისი საქალალდე გახსნა, ამოიღო ასევე ნიკას სურათი, რომელსაც ზედ „უცნობი“ ენერა, ორივე ერთად ნოშრევანს წინ დაუდო და ჰქონდა:

— ეს ფოტო ყველა რესპუბლიკაში გავაგზავნეთ წითელი ცირკულარით. თქვენ არ მიგიღიათ?

— ჩემთვის არავის უცნობებია, — უპასუხა ნოშრევანმა, — როგორც ჩანს ფოსტამ დააგვიანა. თუ ძებნილი ნიკოლოზ ნაცვლიშვილი ცოცხალია, ჩვენ არ გვინდა, რომ სხვადასხვა გარემოებების გამო, ამ საქმეს ოფიციალური მსვლელობა მივცეთ. გამიგებთ ალბათ, მე ყველანაირად მომზადებული ჩამოვედი.

— ცოცხალი კი არის, მაგრამ არაფერი ახსოვს, თავისი სახელიც კი არ იცის. ვის პასუხისმგებლობის ქვეშაც ახლა თქვენს მიერ ძებნილი იმყოფება, იმ ოჯახში იოსები დაარქვეს და არის ასე ჯანმრთელად, მაგრამ დამწუხრებულია ნაწილობრივი ამნეზის გამო.

— ჩვენ მისი ახლობლები წამოვიყვანეთ თან, — მიუგო ნოშრევანმა კაპიტანს, — ისინი დაგვეხმარებიან იმაში, რომ მას დაუბრუნდეს მეხსიერება და ამასთან ერთად წავიყვანთ მას საქართველოში, ხოლო საქმის ძიებას სხვა მიმართულება მივცეთ.

— რას გულიხმობთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო? — იკითხა კაპიტანმა.

— რადგან ნიკა ნაცვლიშვილი ცოცხალია, შეიძლება აქ ყველაფერი უბედურ შემთხვევას მივაწეროთ, რომ



მას ნაწილობრივი ამნეზია დაეწყო საქართველოში, ჩაჯ-და თბილისი-მოსკოვის მატარებელში და გაუცნობიერებლად ჩამოვიდა კამენკაში, სადაც დაყაჩაღების მიზნით, ის ქუჩის ხულიგნებმა სცემეს და ამით მდგომარეობამ კატასტროფული ხასიათი მიიღო.

— ჩვენ მაინც მოგვიწევს საქართველოში ჩამოსვლა, რომ ჩავატაროთ გამოძიება მისი გადაადგილებების შესახებ, სად და რა მდგომარეობაში ნახეს ბოლოს ახლობლებმა და მერე ვისაუბროთ დანარჩენზე. — თქვა კაპიტანმა და შეხედა ნოშრევანს.

ნოშრევანი მიხვდა, რომ აქ უკვე საუბარი სხვა მიმართულებით უნდა წაეყვანა და არც დაყოვნა:

— მე მოგაწვდით ყველანაირ ცნობებს და დაკითხვის ოქმებს, რაც თქვენ გესაჭიროებათ, მათ შორის სამედიცინო ცნობას, რომ ნიკოლოზ ნაცვლიშვილს ამნეზიის ნიშნები ემჩნეოდა ბოლო წლების განმავლობაშიც და დანარჩენი...

— დანარჩენი... თქვენ ჩემზე კარგად იცით, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო... — წარმოთქვა ვიქტორმა და საჩვენებელი თითი ზევით ასწია, — თორემ მე პრობლემა არ მაქვს.

— ძალიან კარგი, — გაეღიმა ნოშრევანს, — მაშინ თქვენი იმედი მაქვს, სად და რამდენი?

— ჯერ მოვინახულოთ ამხანაგი ნიკოლოზ ნაცვლიშვილი, — მთავარ კითხვას მაინც თავი აარიდა ეიტენგანმა, — და მერე დავგეგმოთ „შტურმი“ უფროსობაზე.

ნოშრევანმა და ვიქტორმა ხელი ჩამოართვეს ერთ-მანეთს, რაც უკვე შეთანხმებას ნიშნავდა. ეიტეგანმა

სადგურის უფროსის ტელეფონიდან დარეკა განყო-
ბილებაში და უბნის ინსპექტორი გამოიძახა.

მიხალიჩად წოდებული კამენკის უბნის ინსპექტორი
ათ წუთში ადგილზე იყო და ორგანოს სამივე თანამშ-
რომელი ნიკალაის სახლისკენ წავიდნენ. გოგი და მალხ-
აზი დროებით სადგურზე დატოვეს, საჭიროების შემთხ-
ვევაში კი მათ გამოიძახებდნენ.

ნიკალაი სამსახურში იყო წასული, ტანკა — სკო-
ლაში. სახლში მხოლოდ ნიკა და ლენკა იყვნენ. ლენკამ,
რომელიც ეზოში სარეცხს რეცხავდა, მაშინვე შეამჩნია
სახლისკენ მომავალი ორი მილიციელი და ერთი სამოქა-
ლაქო პირი. ქალური ინტუიციით მიხვდა, რომ ეს ხალხი
მისი სტუმრები იყვნენ. წინსაფარზე შეიმშრალა საპნი-
ანი ხელები და ეზოს ჭიშკრისკენ გაეშურა.

— გამარჯობა, ელენა ნიკალაევნა, — მიესალმა ლენ-
კას ვიქტორი, — როგორ ხართ?

— ძველებურად, ამხანაგო კაპიტანო, ზოგჯერ
დაუბატიუებელი სტუმრები რომ არ გვაწუხებდნენ.

— ჩვენზე ამბობთ, ელენა ნიკალაევნა? — გაელიმა
ეიტენგანს.

— იცის, ვისზეც ვამბობ! — უპასუხა დოინჯშემოყრ-
ილმა ლენკამ და მიხალიჩს შეხედა.

— ვიცით, ვიცით, ლენოჩკა, — მიუგო კაპიტანმა, —
ასეთი რამ მეორედ აღარ განმეორდება, ოფიცრის სიტყ-
ვას გაძლევთ. ახლა კი, სხვა საქმეზე ვართ მოსული. შეი-
ძლება შემოვიდეთ?

— მობრძანდით, მაგრამ ნიკალაი რომ სამსახურშია?



— ეგეც ვიცით, ლენოჩქა. მას გააფრთხილებდნენ და მალე მოვა.

როგორც კი სტუმრები ეზოში შევიდნენ, ვიქტორი ისევ ლენკას მიუბრუნდა და უთხრა:

— ელენა ნიკალაევნა, გაიცანით ჩვენი სტუმარი საქართველოდან, ამხანაგი ნოშრევან წულაია.

— ოი! მართლა? ქართველია? — გაუკვირდა ლენკას, — მე კი შენსავით ებრაელი მეგონა, — მერე ნოშრევანს მიუბრუნდა და უთხრა, — თქვენთან ბოდიში, ამხანაგი ქართველო, მე და ვიტია თანაკლასელები ვართ და გვიყვარს ხუმრობა, არა ვიტიოკ?

— რას იზამ, ლენოჩქა, — თქვა ვიქტორმა, — ნიკალაი ჩემზე იღბლიანი გამოდგა. მე კი ჯერ კიდევ უცოლო ვარ. ახლა კი შენი ქართველი სტუმარი გვაჩვენე, იოსებად რომ მონათლეთ.

— სხვათა შორის უკვე გადავნათლეთ, — გაელიმა ლენკას, — ისიც ნიკალაი ყოფილა.

ვიქტორმა და ნოშრევანმა ერთმანეთს შეხედეს და თითქმის ორივემ ერთდროულად ჰკითხეს ლენკას:

— საიდან შეიტყო? მას ხომ...

— იქიდან! — უპასუხა ლენკამ, მარჯვენა ზეცისკენ ასწია და მერე იმავე ხელით პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო, — რომლისაც, თქვენ, ათეისტებს არ გჯერათ!

ამასობაში სახლიდან ნიკა გამოვიდა და სტუმრებს ცნობისმოყვარეობით დააკვირდა, თუმცა ვერავინ იცნო და ისევ ლენკას შეეკითხა:

— მშვიდობაა, ლენკა?

— კი. შენთან არიან.



ნოშრევანმა ნიკას ხელი ჩამოართვა და ქართულად
მიესალმა:

— გამარჯობა, ნიკა! სასიამოვნოა თქვენი გაცნობა,
როგორ ხართ?

— გმადლობ, ვინ ბრძანდებით? — კითხვას კითხ-
ვითვე უპასუხა ნიკამ.

— მე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ნოშრევან წუ-
ლაია გახლავარ, — წარუდგინა თავი ნოშრევანმა ნიკას
და განაგრძო, — ჩევენ ბევრი სალაპარაკო გვაქვს.

მალე ნიკალაიც გამოჩნდა. ნოშრევანმა და ვიქტორმა
კი გოგის და ანზორის მოსაყვანად მიხალიჩი გააგზავნეს.
სანამ ყველა შეიკრიბებოდა, ნოშრევანი ნიკასთან ერ-
თად განმარტოვდა, საქალალდიდან ლიკას ფოტოსურა-
თი ამოიღო, ნიკას აჩვენა და ჰქონდა:

— ამ ქალბატონს თუ იცნობ?

ნიკამ, როგორც კი შეხედა ფოტოსურათს არც კი
დაფიქრებულა და მაშინვე უპასუხა:

— ეს ხომ ქსიუშაა, ნიკალაის ბებიის და... თქვენ მას
იცნობდით?

ორგანოებში მუშაობის მრავალწლიანი გამოც-
დილების მქონე წულაია, რომელსაც უამრავ საქმის გახ-
სნაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა და წარმატებით
ართმევდა თავს თვით ურთულეს საქმეებსაც კი, უცებ
დაიბნა. თუმცა მალევე მოეგო გონს, ნიკას ნათქვამი
სიტყვები მიაწერა მისივე ფსიქიკურ მდგომარეობას და
კვლავ კითხვა დაუსვა:

— თქვენ იცნობდით მას?



— მხოლოდ სურათებიდან, ბატონო გამომძიებელო, — უპასუხა ნიკამ და იქვე წიგნების თაროზე მოთავსებული ალბომი გადმოიღო, — აი, ნახეთ...

ნოშრევანმა ქსენიას ახალგაზრდობის ფოტოსურათი გვერდით დაუდო ლიკას ფოტოს და განცვიფრება ვეღარ დამალა:

— შეხედეთ, ხალხო! გაჭრილი ვაშლივით ჰეგვანან ერთმანეთს!

ეს იყო შოკი. სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა ირგვლივ. ბოლოს, ოთახში შემოსულმა ნიკალაიმ, დაინახა რა თუ როგორ დასცექეროდნენ ყველანი ქსენიას და ლიკას ფოტოსურათებს, დაარღვია მის სახლში გამეფებული მდუმარება:

— გამარჯობა, ხალხო! ასე მოგეწონათ ბებიაჩემის და, რომ ხმასაც ვერ იღებთ?

ვიქტორს გაეღიმა და უთხრა ნიკალაის:

— მოდი, აბა, გვაჩვენე, რომელია შენი ბებიის დის ფოტო?

ნიკალაიმ ორივე ფოტოსურათს დასტაცა ხელი და დანანებით წარმოთქვა:

— დამცინით, ხომ?

ხოლო, როგორც კი ფოტოსურათებს დახედა, ნელ-ნელა სახეზე ფერი შეეცვალა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეს რა არის? რა ხდება? ხომ არ შევიშალე?

ოთახში გოგი და მალხაზი შემოვიდნენ. მალხაზმა, როგორც კი დაინახა თავისი სიძე, მაშინვე მისკენ წავიდა და გადაეხვია. ნიკა ცივად შეხვდა სიმამრს და გა-

ფართოებული თვალებით გამომძიებელს უყურებდა, თითქოს ეუბნებოდა: „რა ხდება ჩემს თავსო?“

ბოლოს ყველანი დასხდნენ, ნიკას დაწვრილებით მოუყვნენ მისი პიროვნების, ოჯახის შექმნის და მისი მეუღლის შესახებ. მხოლოდ არ შეხებიან იმ უბედურ შემთხვევას, რამაც მოახვედრა ნიკა კამენკაში. ნიკა-ლაიმ ყურადღებით მოუსმინა ყველას და შემდეგ იკითხა:

— ყველაფერი ნათელია, მჯერა თქვენი დახმარებით ნიკასაც მალე დაუბრუნდება მეხსიერება, მე მხოლოდ ერთს ვერ ვხვდები, ერთნაირი სახეები ფოტოსურათებში დამთხვევაა თუ?

მალხაზმა, რომელსაც არ ჰქონდა ნანახი ეს ფოტოსურათები, აიღო, დახედა და ღიმილით მიმართა ნიკალაის:

— დამთხვევა არ არის ნიკალაი, შენ გაგიკვირდება, მაგრამ ფაქტია, რომ შენ შენი სიძისთვის გაგიწევია პატრონობა.

ყველამ მალხაზს შეხედა. ვერ მიხვდნენ, რას ნიშნავდა მისი სიტყვები, თითოეული მათგანის გონებაში ათასნაირმა აზრმა გაიელვა. ნიკალაიმ კი იკითხა:

— ვერ მივხვდი, რას გულისხმობთ? ეს პირდაპირი მინიშნებაა თუ ირიბი?

— ქსენია, ქსიუშა... ნამდვილი სახელი ოქსანა ერქვა, ჩემი ბებია იყო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოიყვანა ბაბუაჩემმა საქართველოში და ცოლად შეირთო. ასე რომ, მე და შენ ნათესავები ვართ და რომ ჩამოხვალ ჩემთან, გაჩვენებ ბებიაშენის დის საფლავს. რაც შეეხება ჩემი ქალიშვილის ზღაპრულ სილამაზეს, ის მას ქსენიასგან გამოჰყვა.



ნოშრევანმა, ვიქტორთან ერთად, ადვილად მოახ-ერხა სხვადასხვა ინსტანციებში საქმეების მოგვარება, რა თქმა უნდა, ქრთამმა თავისი „სათქმელი თქვა“ და ნიკასთან ერთად გაემგზავრნენ საქართველოში. ნიკამ ნიკალაის მადლობა გადაუხადა, დაემშვიდობა და შეჰ-პირდა, რომ მალე შეხვდებოდნენ საქართველოში.

29

ბონდო ენუქიძე გენოსთან პალატაში თანაშემწის მიერ მორთმეულ სავარძელში იჯდა და შვილს ესაუბრებოდა:

— როგორც იქნა ჩეიფარცხა საქმე! შენმა აღვირახ-სნილმა თავისუფლებამ ამ დღეში ჩაგაგდო და იმას, ვინც ახლა მოჰყავთ, არაფერი ახსოვს. შენი ძმაკაცები შეშ-ინებულები სოროში იმალებიან. იგი მემწვანილე-პრა-ვადნიკი, გასიებული რომ იყო ახალ წელს დასაკლავი ღორივით, რუსეთში სამი დღით წევიდა და ოცი კილო დეიკლო. რა დღეში ხარ, ბონდოიე ენუქიძე!? რა სასტავი გყავს! უკეთესს ვერ ინატრებ!?

— რა გინდა ახლა, მამაჩემო! მაცალე ავადმყოფო-ბა! — ვეღარ მოითმინა გენომ და გაქცევა რომ შესძლე-ბოდა, პალატაში არ გაჩერდებოდა, — ნუ გადამაყოლებ ახლა ამ ჩანყობილ საქმეს. თუ ასე გააგრძელე, მირჩევ-ნია ციხეში ჩავჯდე და ჩემი ცოდვები იქ მევინანიო.

— კარგი მაშინ, — თქვა ბონდომ და სავარძლიდან წა-მოდგა, — ჯერ აი საქმე ბოლომდე არაა დამთავრებული. ის თბილისელი, რას გეიხსენებს, მდგომარეობიდან რომ

გამოვა, ჯერ არავინ იცის. იმას უნდა მივხედო და ამასაც თუ კარგად ჩავამთავრებ, მერე შეგიძლია იფიქრო ცოდვების მონანიებაზე. წევედი ახლა მე სამსახურში. ნოშრევანი იქანა მოვა და მომიყვება ყველაფერს. შენ ჭკვიანად იყავი და გნახავ მალე.

ბონდო მიდიოდა საავადმყოფოს დერეფანში და თვალებიდან ცრემლი მოსდიოდა, რომელსაც შვილის წინ დიდი ძალისხმევით იკავებდა. დღე და ღამე არეული ჰქონდა, აზროვნებაშიც ბზარი გაუჩნდა. მის მთავარ მიზანს მხოლოდ შვილის და ოჯახის გადარჩენა წარმოადგენდა. აღარც სამსახურზე ფიქრობდა და აღარც მის გარშემო მყოფ ადამიანებზე. მღვდელს სათოფეზე არ ეკარებოდა და მასაც კი ესტუმრა მონასტერში. „ეეჲ, ბონდოია ენუქიძე, მგონი წევიდა შენი საქმე დაღმართზე“. — გაიფიქრა ბონდომ და ჩაჯდა თავის შავი ფერის „ვოლგაში“.

ნოშრევანი მისაღებში ელოდებოდა ბონდოს.

— ჩამოდით უკვე? — ჰკითხა ბონდომ გამომძიებელს და ხელი ჩამოართვა, — შემოდი, დევილაპარაკოთ, — მერე მდივანს ანიშნა, არავინ შეეშვა მასთან.

წულაია ბონდოს დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს, ანგარიშიც ჩააბარა და უთხრა:

— ისე, ელეფთეროვიჩ, სწორად უთქვამთ: „ქრთა-მი ჯოჯოხეთს ანათებსო!“, სულ გააქრეს ყველაფერი, ერთი ფაქტიც აღარ არსებობს აღძრული საქმიდან, მხოლოდ ერთი თვითმხილველი დარჩა, რომელმაც იცის აი საქმე და იგიც ნათესავი აღმოჩნდა დაზარალებულის.



- რავა, ქართველია? — გაუკვირდა ბონდოს.
- არა, აი, ბიჭის სიმამრის ბებია აღმოჩნდა, თვითმხილველის ბების და. — მიუგო ნოშრევანმა.
- ეუჟ! — იყვირა ბონდომ, — რა მძახალი დამიკარგავს!
- მაგან გადაარჩინა სიკვდილს, — გააგრძელა საუბარი წულაიამ, — თორემ კიდევ ერთ ტრუპს წამოვკიდებდით და საქმე დამძიმდებოდა. გადავრჩით.
- ახლა ის ბიჭი იქნება საპატრონო, — ჩაილაპარაკა ბონდომ, ადგა სავარძლიდან, ფანჯარასთან მივიდა, მერე შემოტრიალდა, ნოშრევანს დაკვირვებით შეხედა და ჰკითხა, — შენ სტაჟიანი გამომძიებელი ხარ და დაგეჯერება, მართლა არაფერი ახსოვს? თუ თავს იკატუნებს?
- მართლა დაკარგული აქვს მეხსიერება, ელეფთეროვიჩ, — უპასუხა ნოშრევანმა, — როგორც მე ვიცი, მაგდავადებას ექიმები ნაწილობრივ ამნეზიას უწოდებენ. თან ამბობენ, განკურნებადიაო, მარა დრო სჭირდებაო.
- მაინც რამდენი? — არ ეშვებოდა ენუქიძე.
- წლებიო, ამბობენ და არ ვიცი ზუსტად, — თქვა წულაიამ და ხელები გაშალა, — აგერ, სახლში რომ მივიყვანეთ, მეუღლე გადაეხვია, გადაკოცნა. ამან უყურა, უყურა და ბოლოს უთხრა: „ქსიუშა, შენ აქ რა გინდაო?“
- ვინ? — გაუკვირდა ბონდოს.
- ქსენია ის ქალია, ელეფთეროვიჩ, მაგის სიმამრის ბებია, წელან რომ გითხარი. — გაახსენა ნათქვამი ნოშრევანმა ბონდოს.
- ჰო! ჰო! იგი, საერთო ნათესავი, — გაიხსენა ენუქიძემ, — მერე ეგი რა შუაშია ამის ცოლთან.



— შუაში კი არა, როგორც იტყვიან თავშია, — გაეცინა ნოშრევანს, — ლიკას და ქსენიას სურათები გვერდი-გვერდზე რომ დადეს, ვერ გაარჩევდით რომელი რომელი იყო, მართლა გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს.

— უყურე შენ! რას არ გეიგებს კაცი!? — გაიკვირვა ბონდომ, ისევ ფანჯარასთან მივიდა, გახედა ქარიან ქუთაისს და გაიფიქრა: „ამის მკურნალობადა მაკლდა. თან წლები დასჭირდებაო. სადაა მაგის ნერვები და გადასაყრელი ფული!?", მერე გაიარ-გამოიარა კაბინეტში და კვლავ ფიქრებმა „ნაიღო": „დავუშვათ და ვუმკურნალე, გამოჯანმრთელდება და დეინყებს ჩემს წველას, კარგად ვიცი თბილისლების ამბავი. მეც ვერ მევითმენ და შემომაკვდება მაგ შობელძალლი. ჰოდა, რა მნიშვნელობა აქვს ახლა გავასალებინებ თუ მერე, მკურნალობის შემდეგ. ასე რომ, დროსაც მევიგებ და ფულიც არ დამეხარჯება...", მერე ნოშრევანს მიუბრუნდა და უთხრა, — შენ ხომ არ ხარ უკმაყოფილო, ჩემო ნოშრევან? ჩემმა მძღოლმა ხომ გადმოგცა შრომის საფასური?

— კი, ელეფთეროვიჩ, — ნამოდგა ფეხზე წულაია, — ყველაფერი რიგზეა, მადლობის მეტი რა მეთქმის, როდესაც დაგჭირდებით, თქვენს სამსახურში მიგულეთ, მოგემსახურებით, რავარც საჭიროა.

— კაი, ჩემო ნოშრევან, შენ თავისუფალი ხარ, კიდევ ერთხელ მადლობა. ანი მივხედავ სამსახურს და ჩემს ინვალიდ შვილს.

საყვარელიძების ოჯახში, მიუხედავად სიძის ასეთი მდგომარეობისა, მაინც საზეიმო განწყობილება იყო. ლიკა ყველანაირად ცდილობდა ნიკასთვის რაიმე მაინც გაეხსენებინა, მაგრამ ამაოდ ნიკა ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, გარდა ნაწილობრივი ამნეზისა არაფერს უჩიოდა, მხოლოდ ნანახი სიზმრების შედეგად წუხდა, რადგან უცნაურ ხილვებს ხედავდა და აზრი ვერ გამოჰქონდა. ლიკასთან სიახლოვე დიდ შვებას ჰგვრიდა, როგორც კი განმარტოვდებოდა, რაღაც განსაკუთრებული სევდა ეუფლებოდა და თავს ეულად გრძნობდა. ბოლოს, ლიკას გაუბედა და უთხრა:

— ნავიდეთ თბილისში, იქნებ, ნაცნობ გარემოში რომ მოვხვდები, რაღაც მაინც გავიხსენო?

— მერიკომაც ასე მითხრა. — მიუგო ლიკამ.

— მერიკო ვინ არის? — იკითხა ნიკამ.

— შენი მეზობელია თბილისში, ვერ იხსენებ ხომ? — ჰკითხა დამწუხრებულმა ლიკამ და ნიკას თავზე ხელი გადაუსვა.

— ვერა, სამწუხაროდ... — მიუგო ნიკამ და გარეთ აივანზე გავიდა.

ამ დროს ჭიშკართან „უიგული“ გაჩერდა და მანქანიდან გოგი გადმოვიდა. აივანზე მდგარ ნიკას შორიდანვე აუწია ხელი, გაუღიმა და დაუძახა:

— სახლშია მალხაზი?

ნიკამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და ის იყო ლიკასთვის უნდა დაეძახა, რომ სახლიდან მალხაზიც გამოვიდა და გოგისთან შესახვედრად ჩქარი ნაბიჯით წავიდა.



— რა ქენი, გოგი, ნახე? — შორიდანვე დაუძახა მალხაზმა.

— კი, გველოდება. ახლავე წამოიყვანეთო, — მიუგო გოგიმ, — ან აქამდე სად იყავითო. როგორც კი ჩამეიყვანეთ, ამოგეყვანათ, რიგი მაქვს აქანა თუ რაო?

სულ მალე გოგი და მალხაზი, ნიკასთან და ლიკასთან ერთად მონამეთას მონასტერში ავიდნენ. თავდაპირველად ტაძარი მოილოცეს, რადგან მამა გიორგის მკაცრად ჰყავდა გაფრთხილებული მასთან მიმსვლელი ყველა ადამიანი, რომ თუ ტაძარს არ მოილოცავდნენ, არ შესულიყვნენ მამაოსთან სენაკში. მამა გიორგი ჩვეულ ადგილას იჯდა, გადაშლილი ჰქონდა დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა წიგნი და კითხულობდა. როგორც კი სტუმრები დაინახა, ფეხზე წამოდგა, ჯვარი გადასახა, ხელი ჩამოართვა და თქვა:

— მეიყვანეთ დაკარგული?

— კი, მამაო, იცნობდეთ, ჩემი სიძე ნიკა. — წარუდგინა მალხაზმა ნიკა მამაოს.

— შენ ხარ იოანეს ნიკოლოზი? — ჰქითხა მამაომ ნიკას.

— კი, მამაო, ალბათ დაგირეკათ ხომ ტელეფონზე? — უპასუხა ნიკამ.

მამა გიორგის გაელიმა და მიუგო ნიკას:

— ჩვენ ტელეფონი არ გვჭირდება, ისედაც უწყვეტია ჩვენი კავშირი. ამ საკითხს ზევით აგვარებენ ჩვენები.

ნიკამ ვერ გაიგო, რას გულისხმობდა მამაო და ამიტომ საუბრის თემის შეცვლას შეეცადა:

— უკაცრავად, თქვენ მამა გიორგი ბრძანდებით?

— დიახ, მამა გიორგი ვარ, თუმცა იოანე უორას მეძახის.



— კი, მამაო მეც მითხრა. საქართველოში რომ ჩახვალ, უორა მოგხედავსო, — მორიდებით წარმოთქვანიკამ, — თქვენი იმედი მაქვს. ყველა თქვენს დავალებას შევასრულებ.

— მჯერა, რომ შემსრულებელი ხარ, — გაეცინა მამა გიორგის, — იოანემ ხომ გარბენინა ავტობუსებში და ტროლეიბუსებში უბილეთოდ? ქსენია რომ არ ყოფილიყო იმ ავტობუსში, ის კინდუქტორი ცოცხალს არ გაგიშვებდა.

— მამა იოანემაც მითხრა ეგ ამბავი, — დაუდასტურა ნიკამ, — ნეტარი ქსენია ძალიან დამეხმარა.

— კი, ძლიერი წმიდანია, აქანაც ხშირად ჩნდება ხოლმე. — თქვა მამაომ და პირჯვარი გადაიწერა, — მარა, შენ იოანეზე მომიყევი, რას შვრება, როგორ არის?

— მამა იოანემ ბევრი რამ მასწავლა, — დაიწყო ნიკამ, — მან დამაყენა ჭეშმარიტი სარწმუნოების გზაზე. მამა იოანემ დამანახა, რომ ღმერთს ყველა დროში ჰყავდა წმინდანები და ეყოლება ბოლო ჟამსაც, რომ, რაც არ უნდა ცუდი დრო დადგეს, ღმერთი თავის მორწმუნეთ არ მიატოვებს. მამა იოანე არის ღვთის გამოვლინების იმხელა მადლი, რომ მასთან ბოროტის შიში არ არსებობს. ეს ვიგრძენი მასთან ყოფნისას. ვიგრძენი, როგორ უყვარს ღმერთს ადამიანი და რომ ღმერთი არ გასწირავს და არ მიატოვებს მას.

— მაგარ პრესში გაგატარა, ხომ!? — ჩაერთო მამაო საუბარში, — არ უჭირს მაგას ღმერთთან ურთიერთობა.

— დიახ, მამაო, — განაგრძო ნიკამ, — მამა იოანეს ღმერთით ყველაფერი შეუძლია. იგი არის ღმერთის სიყვარულის ადამიანური სახე. მას სხვა თვისებებიც უხვად

აქვს, მაგრამ პირველი და მთავარი თვისებათაგანი, რომელსაც ის ღმერთიდან დედამიწაზე ატარებს, ეს არის უდიდესი სიყვარული და იმედი. ლენინგრადში ყოფნისას, მე დავრნმუნდი, მამაო, რომ მამა ოთანე ამ ცოდვით დაბნელებულ დედამიწაზე არის გადარჩენის მახარებელი. მისი შემხედვარე ადამიანი გრძნობს, რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა და ვერავითარი ბოროტი ძალა მას ვერ წაართმევს ადამიანს. სულ მამხნევებდა და ხშირად იმეორებდა ამ სიტყვებს: „ჩემზე მაგარი არ არსებობსო...“

— მაგნაირი ჩვენც გვყავს, — შეაწყვეტინა სიტყვა მამა გიორგიმ ნიკას, — გაბრიელი ჰქვია, დიდი სალოსია. მაგრამ ის ცოტა სხვანაირად ამბობს: „ჩემზე დაქოქილი არ არსებობსო“, თუმცა ეს ერთი და იგივე სიტყვებია, ნუგეშისა და იმედის სიტყვები. დეიმახსოვრე, ნიკოლოზ, ჩემი სიტყვები — მხოლოდ წმიდანისაგან მოდის ღმერთის ცოცხალი რწმენა და ნუგეში, სხვებისგან კი ბოროტის შიში უფრო შემოდის ადამიანში. ისინი ქადაგებენ წიგნებიდან, რომ ბოროტი დედამიწას შეიპრობს, მართალთ და წმინდანთ ანამებს, რომ მისი იქნება ყოველგვარი ძლიერება, რომ ძნელი იქნება მის ბეჭედს თავი დააღწიოს ადამიანმა. მათი ქადაგებებით ხანდახან რთული და სასონარმკვეთი სურათი იხატება. ხოლო წმინდანი სულ სხვანაირად წარმოაჩენს.

— დიახ, მამაო, — ჩაერთო საუბარში ნიკა, — ხშირად მეუბნებოდა: „მე ქრისტეს სიყვარულით ჯვარს ვეცმები! როგორ, მე ქრისტეს ბეჭედი მქონდეს და ანტიქრისტეს ბეჭედი მივიღო!? არასოდესო!“ ეს სიცოცხლის სიტყვები მე პირველად რომ მესმოდა, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო.



— ამიტომ, ჩემო ნიკოლოზ! — წარმოთქვა მამა გიორგიმ, — მალე შენ და შენს მეუღლეს ვაჟკაცი შეგეძინებათ და ჯანმრთელად უნდა დახვდე ახალშობილს. იქანა, პეტრეს ქალაქში რომ იყავი, ის დედა ლია, შენი მეუღლის მოსახელე წმიდანი, მე დაგახვედრე. იმის შემდეგ ხომ აღარ გინახავს ის დედაო?

— არა! — უპასუხა გაკვირვებულმა ნიკამ და კანსაკუთრებული ყურადღებით დაელოდა მამაოს პასუხს.

— ვერც ნახავდი, — გაეღიმა მამა გიორგის, — ის ლია რომაელი იყო, მეოთხე საუკუნის წმიდანი, იმან და ნეტარმა ქსენიამ დეინწყეს შენი გამოჯანმრთელების პროცესი, მერე მამა იოანემ გააგრძელა და ახლა მე უნდა დავასრულო. როგორ გითხრა: „უორა დაამთავრებსო“.

— რა უნდა გავაკეთო, მამაო? — იკითხა ნიკამ.

— ნუ გეშინია, — გაეღმა მამაოს, — მე არც ავტობუსებში, არც ტროლეიბუსებში და არც ქუთაისის ავტოქარხანაში არ გარბენინებ. ამ ქალაქში მეტროც არ გვაქვს, თუმცა ერთ გვირაბში მოგიწევს გაძრომა. მანამდე თქვენი სახელები ჩამანერინეთ, პარაკლისი რომ წევიკითხო, ბავშვის სახელი ჯერ თქვენ არ იცით, იმას ზევიდან მეტყვიან.

— გვირაბი სად არის, მამაო? — იკითხა ნიკამ.

— აქ, ტაძარში, — უპასუხა მამაომ ისე, რომ თავი არ აუნივერსი ზევით, სტუმრების სახელებს წერდა ფურცელზე, — ანიჩკას ჰკითხე და გასწავლის, რაც უნდა გააკეთო. თან ღვთისმშობელს დოუნთე სანთელი აქაც და სახლშიც და სთხოვე, რომ დაგეხმაროს. შენ კიდევ არაფერზე ინერვიულო, — უთხრა ლიკას მამაომ, — ბოვშვი გყავს

გასაჩენი, ყველაფერი კარგად და მაღე დამთავრდება. ეს ჩვენ გვეჩერება, თვარა ღმერთს არსად ეჩერება, იქანა, ზეცაში დრო არ არის. ხვალ აუცილებლად გამეიარეთ, ახლა კი წაბრძანდით, გოგის დაველაპარაკები და იგიც შემოვა ტაძარში.

როდესაც მალხაზი, ნიკა და ლიკა სენაკიდან გავიდნენ, გოგიმ მაშინვე ჰკითხა მამაოს:

— რა ხდება, მამაო? ხომ მშვიდობაა?

— ანგელოზმა მამცნო, — მიუგო მამა გიორგიმ, — ცუდი საქმე ჩეიფიქრა ბონდო ენუქიძემ და მალხაზი და ოჯახობა გააფრთხილე, სახლიდან არსად გოუშვან ნიკოლოზი. არა მგონია, მაი საქმე გააკეთოს იმ არაკაცმა, მარა, როგორც იტყვიან: „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“. ასე რომ, შენი იმედი მაქვს, ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ!

სანამ ნიკა და ლიკა წმიდა დავით და კონსტანტინეს წმიდა ნანილების ქვეშ მდებარე გვირაბში გაივლიდნენ, გოგიმ მალხაზს ყველაფერი უთხრა, რაც მამა გიორგიმ დააბარა. მერე კი ყველამ სანთლები დაანთეს და მთისაში გაემგზავრნენ.

მალევე მამა გიორგიც გამოვიდა მონასტრიდან, ტაქ-სი გააჩერა და ქუთაისისკენ აიღო გეზი.

— ბონდო ენუქიძე სად მუშაობს იცი, შენე? — ჰკითხა წვერიანი კაცის დანახვაზე შეშინებულ მძღოლს.

— მაგი ვინ არ იცის? — გაუკვირდა მძღოლს.

— ჰოდა, მიმიყვანე იქანე.

როგორც კი მამა გიორგი ენუქიძის კაბინეტის მისაღებში შევიდა, შეშინებული მდივანი წამოხტა სკამიდან და მამაოს კაბინეტის შესასვლელ კართან გადაეღობა.



- თათბირი აქვს, ბატონო, და არ შეიძლება შესვლა!
- შედი, უთხარი გამევიდეს ერთი წუთით, ორი სიტყვა უნდა გითხრას გიორგიმ-თქვა! — უთხრა მდივანს მამაომ და თან მოემზადა, უარის თქმის შემთხვევაში თვითონ შესულიყო კაბინეტში.

ძალიან არ უნდოდა მდივან ეთერის კაბინეტში შესვლა, მაგრამ მამაოს განრისხებულ თვალებს რომ შეხედა სხვა გზა აღარ ჰქონდა, გააღო კაბინეტის კარი და შევიდა შიგნით.

ენუქიძე გამოვარდა გაცეცხლებული, მამაო შეიპატიუა იქვე მდებარე თავისი პირველი მოადგილის კაბინეტში და შესვლისთანავე იკივლა:

— გიორგი! შენ რომ იქ, ეკლესიაში თათბირს თუ წირვას, თუ რა ჰქვია, ლოცვას ატარებ, მე გივარდები შიგნით? ვერ მეითმინე პატარა ხანს?

— რას გეტყვი იცი, ბონდოია ენუქიძე? — მიუგო მშვიდად მამა გიორგიმ, — მამაშენი ელეფთერი კაი კაცი იყო და შენ ვის დეემსგავსე ასეთი?

— გიორგი, შენ აქანა თუ მამაჩემზე სალაპარაკოდ მოხვედი, მაგის დრო არ მაქ მე! — იკივლა ისევ ენუქიძემ და წასვლა დაპირა.

— ამეიგდე თავიდან იმ ბიჭის მკვლელობის ამბავი, თვარა არც შენ ბიჭს დაადგება კაი დღე! — წარმოთქვა მამაომ მთელი სიმკაცრით, გააღო კაბინეტის კარი და წავიდა.

ბონდო ერთ ადგილას გაშეშდა, მაგრამ მალევე მოეგო გონს, გავარდა დერეფანში, თუმცა მამა გიორგის კვალს ვეღარსად მიაგნო.

ნიკა და ლიკა საღამოს, სახლის აივანზე ისხდნენ და გაჰყურებდნენ მზის ჩასვლას. ბუნების მიერ შექმნილი ეს სურათი, ნამდვილი საოცრება იყო. ამნვანებულ მთებს შორის, წითელ-ყვითელ ფერებით შემკობილი მზე, მთელი თავისი დიდებით დილამდე ემშვიდობებოდა იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელს, რომელიც დასახლებული იყო მშრომელი, გულანთებული, სტუმართმოყვარე და სამშობლოს ერთგული ქართველებით. საქართველოში სოფელი ჯერ კიდევ სოფლობდა, ზნეობრივად სრულყოფილი ხალხის სამჭედლოს წარმოადგენდა და „ამარაგებდა“ დიდ ქალაქებს წესიერი ადამიანებით. თუმცა ბევრი ვერ უძლებდა ქალაქის ცხოვრების რიტმს და საკუთარი მოთხოვნილებების სწრაფად დაკმაყოფილების სურვილით შეპყრობილი ისე მიექანებოდა ცოდვების უფასყრულისაკენ, რომ ამას თვითონაც ვერ აცნობიერებდა. გაზრდილი ამბიციების მქონენი კი ისეთ უხამსობებს სჩადიოდნენ, რომ საბოლოო ჯამში საზოგადოების დიდი ნაწილი საკუთარ თავში წარმოქმნილ ლპობის მორევში იწყებდა დახრჩობას და იქ სხვასაც ითრევდა, ეს კი ზრდიდა მკვლელობების, თვითმკვლელობების და ათასი უბედურებების რიცხვს.

— მართლაც როგორი მოულოდნელობებით არის სავსე ჩვენი ცხოვრება — დაარღვია სიჩუმე ლიკამ, — ნერვიულობით და ლოდინით დაღლილი ხმას ვეღარ ვიღებ, მინდა გელაპარაკო და სასაუბროდ სიტყვებს ვერ ვუყრი თავს. არ ყოფილა სიყვარული ისეთი, როგორიც



შორიდან ჩანს, ათასნაირი მოულოდნელობებით ყოფილა სავსე. როგორ მომენატრე. ასე მგონია საუკუნე გავიდა შენს ლოდინში.

— შენ მაინც იცი, ჩემო ლიკა, რაზე უნდა იფიქრო, მე ეგეც არ ვიცი. ჩემი ტვინი გაჩერებულია, წარსულს ვერ აღიქვამს, თითქოს გონებამ გულში გადმოინაცვლაო, უნდა საუბარი და ვერ საუბრობს. რაღაცას კი ცდილობს, რომ მამცნოს, მაგრამ ვერ მოდის ჩემამდე. გრძნობები, რომელსაც ვერ ვაცნობიერებ, ძალიან მომაწვა, ასეთი რამ კამენკაში არ დამტართნია, აქ სულ სხვა რამ ხდება. მაგრამ ვგრძნობ, რომ ახლოს არის სიხარული, მხოლოდ როდის და რომელი კარიდან შემოვა, ეს არ ვიცი.

საუბარსადა აზრების გაცვლა-გამოცვლაში ნიკას და ლიას აივანზე შემოალამდათ. ნიკამ ფეხმძიმე მეუღლე საწოლამდის მიაცილა, დააწვინა, საპანი გადააფარა, თვითონ კი იქვე მდგომ სავარძელში ჩაჯდა და მონატრებული ლიკას ცქერით ტკბებოდა. „როგორ ჰგავს ბებიამისა“ — ფიქრობდა ნიკა, — „ასეთი მსგავსება არსად მინახავს. ღმერთო, გადმომხედე, გამომიყვანე ამ მდგომარეობიდან, დამიცავი ბოროტი სულებისგან, გადამირჩინე ოჯახი“...

მთელი დღის დაღლილ ნიკას ნელ-ნელა ჩათვლიმა და ჩაეძინა...

...ისევ ის მხედარი ინდოეთიდან მომავალი, ნაცვალზე რომ ელაპარაკებოდა... ისევ ის ხმა შემოესმა მთაზე მდგომ ნიკას:

— ნაცვლები ვიყავით!.. ნაცვლები!..

...ნიკას უცებ გაელვიძა. მაშინვე ლიკას შეხედა, რომელსაც სახეზე ღიმილი შერჩენოდა და მშვიდად ეძინა. ნიკა დაწყნარდა და ისევ სიზმარს დაუბრუნდა. ის კამენეაში ნანახი სიზმრის გაგრძელება იყო. რადგან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ნიკამ თავისი ნამდვილი გვარი შეიტყო, მიხვდა, რომ მისი გვარის შესახებ აცნობებდა უცხო მხედარი. რაღაც ახალი იყო მოსალოდნელი, რომელიც ჯერ ნიკასთვის ბურუსით იყო მოცული. ვერც მამა იოანეს მუხებთან გამოცხადებას ხსნიდა. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ კვლავ ჩაეძინა და ახლა მამა იოანე იხილა... ხმა ჩაესმა: „მამა იოანე დიდი მასწავლებელია, რომელსაც ძალუძს ისე შეგაყვაროს ქრისტე, როგორც თვითონ უყვარს. ის გამოგწვრთნის ქრისტეს ერთგულებაში, რომ ვერანაირმა ანტიქრისტეს ხრიკებმა და ძალამ ვერ დაგიმორჩილოს... ის ქრისტიანობის ბერმუხაა...“

დილით გოგი ადრე ამოვიდა მთისაში და მალევე მალხაზთან და ნიკასთან ერთად გაბრუნდა უკან, რათა ასულიყო მონამეთას მონასტერში. ნიკას გაუკვირდა, ასე დილადრიან რა საჭირო იყო ეკლესიაში წასვლა. თითქოს მიუხვდა გულის ნადებსო და გოგიმ უთხრა ნიკას:

- წირვას ატარებს მამა გიორგი და ასე მითხრა, აუცილებლად დაესწროს, უნდა ვაზიარო.
- რას უნდა მაზიაროს? — იკითხა ნიკამ.
- ქრისტეს სისხლსა და ხორცს, — უპასუხა გოგიმ, — თვითონ უკეთესად აგიხსნის.

როგორც კი მონამეთას მონასტრის ტერიტორიაზე ფეხი დადგეს, ზარიც დაირეკა. მამა გიორგიმ წირ-



ვა ჩაატარა და ზიარების დროც დადგა. მაზიარებელი მხოლოდ ერთი ქალბატონი აღმოჩნდა, რომლისგანაც მამაომ აღსარება ჩაიბარა და მერე ნიკას უხმო. ოლარი თავზე გადააფარა და უთხრა:

— შენთვის ახლა ზიარება აუცილებელია, ხოლო როდესაც გეიხსენებ ყველაფერს, სრულყოფილ აღსარებას მერე ჩამაპარებ.

გადასახა ჯვარი, მოხსნა ოლარი და საკურთხეველში შევიდა.

ნიკა, როგორც კი ეზიარა ქრისტეს სისხლსა და ხორცს, მაშინვე განსაკუთრებული, აქამდე არნახული და არგანცდილი სიმსუბუქე იგრძნო. მასზე გადმოსულმა ღვთიურმა მადლმა, რომლის ძალასაც ნიკა ვერ აცნობიერებდა, მთელს სხეულში ელექტრონივით გაიარა და რომ არა გოგის და მალხაზის დახმარება, რომლებიც მუდამ ნიკას სიახლოვეს ტრიალებდნენ, შეიძლება წაქცეულიყო კიდეც. ნიკა მესანთლის სკამზე დასვეს, ამასობაში მამა გიორგიმაც დაამთავრა ჩამოლოცვა, ჩამოვიდა ამბიონიდან, მიუახლოვდა ნიკას და ჯვარი, რომელიც ხელში ეჭირა, დაადო თავზე, ჩუმად რაღაც ლოცვა წაიკითხა და შებრუნდა საკურთხეველში.

ნიკამ შვებით ამოისუნთქა.

მამა გიორგიმ გოგი იხმო ამბიონთან და უთხრა:

— ყველაფერი კარგად იქნება, ზეცაში შეისმინეს ჩვენი ვედრება. გვერდიდან არ მოცილდეთ და ყურადღება გააათმაგეთ, დადგა დრო მისი მდგომარეობიდან გამოსვლისა და გადარჩენისა.



გოგიმ, მალხაზმა და ნიკამ მამა გიორგის მადლობა გადაუხადეს და მთისასკენ აიღეს გეზი. ნიკას ეს გზა მრავალჯერ ჰქონდა გავლილი, მაგრამ ახლა რაღაც განსაკუთრებულად ეჩვენებოდა. ყველაფერს თითქოს სხვა თვალით უყურებდა და აღიქვამდა. უცებ, თითქოს გონება დაუმძიმდა, ხან თავის ტკივილს და ხან გულის აჩქარებას გრძნობდა, აზროვნება თავიდან გულისკენ, ხან კი პირიქით, გულიდან თავისკენ მონაცემლეობდა. ბოლოს, ადამიანურმა ძალისხმევამ ვეღარ გაუძლო ამ ამოუცნობ მდგომარეობას, ნიკას გონებასთან ერთად, თვალებიც დაუმძიმდა, ზურგით მყარად მიეყრდნო მანქანის უკანა სავარძელს და ჩათვლიმა.

გოგი და მალხაზი ნიკას თითოეულ მოძრაობას აკონტროლებდნენ. როგორც კი მალხაზმა დაინახა, რომ ნიკამ ჩათვლიმა, აფორიაქდა, სახეზე წამონითლდა, გოგის მიაპყრო უსუსურად თვალები, თითქოს მისგან შველას ითხოვდა. გოგი მაშინვე მიხვდა მალხაზის გამოუვალ მდგომარეობას, საჭედან მარჯვენა ხელი აიღო, საჩვენებელი თითო ტუჩებზე მიიღო და მალხზს თვალებით ანიშნა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

გოგის ნელა მიჰყავდა მანქანა. ქალაქის ქუჩები მშვიდად გაიარეს და ნელ-ნელა შეუდგნენ მთისასკენ მიმავალ აღმართს. როგორც კი მიუახლოვდნენ ადგილს, რომელსაც ქალაქელებიც და სოფლელებიც „მუხებს“ უწოდებდნენ, ნიკამ უცებ გაახილა თვალები და წამოიძახა:

- გოგი ბიძია, თუ შეიძლება გამიჩერე!
- ცუდად ხომ არ ხარ? — ჰკითხა მალხაზმა და წყლით სავსე ბოთლი მოიმარჯვა, რათა ნიკასთვის მიეწოდებინა.

— არა! — უპასუხა ნიკამ და მანქანიდან გადავიდა.

გოგი და მალხაზიც გადმოვიდნენ მანქანიდან, იქვე შორიახლოს დაიწყეს მოძრაობა და თან თვალი და გონება ნიკასკენ ჰქონდათ მიპყრობილი. ნიკა იქვე დიდი მუხის ქვეშ, სახელდახელოდ გაკეთებულ სკამზე ჩამოჯდა, ხელის გულები თვალებზე აიფარა და ხმამაღლა დაიყვირა:

— მოგკლავ, შე შობელძაღლო! ვის უპირებ მოკვლას!.. თქვე ნაძირლებო!.. მანქანას დაანებეთ თავი!.. მომკლეს, ამათი!.. ლიკა, ძვირფასო!..

ნიკა გაჩუმდა და თითქოს გაითიშა. გოგიმ და მალხაზ-მა ხელი მოჰკიდეს და მანქანაში ჩასვეს. იმდენად ღრმა ძილს მისცემოდა ნიკა, რომ გოგიმ პულსიც კი გაუსინჯა. მერე მალხაზს შეხედა, შვებით ამოისუნთქა და უთხრა:

— ნევიდეთ, ძმაო, მგონი ახლა იწყება ჩვენი მთავარი საქმე.

როგორც კი მივიდნენ სახლში, ნიკა ფრთხილად გად-მოიყვანეს მანქანიდან და მაშინვე საძინებელში საწოლ-ზე დააწვინეს. მწოლიარეს ეტყობოდა, რომ ღრმა ძილს მისცემოდა. ლიკამ ტირილი დაიწყო და ახლა ის გახდა მისახედი. ბოლოს, ყველა და ყველაფერი დაწყნარდა.

ნიკას, უკვე მეორე დღე იყო, ღრმა ძილით ეძინა. გოგიმ მამა გიორგი მოინახულა და აცნობა ყველაფერი:

— მალხაზი თავზე ადგას, მამაო, მე თქვენთან წამევ-ედი, რა ვიცი, გვეშინია, რომ არ გეიღვიძებს, არაფერი მოუვიდეს.

მამა გიორგის გაეღიმა და მიუგო გოგის:

— მაგი ახლა ქრისტეშია, მაცხოვრის სისხლი და ხორ-ცი აქვს მიღებული და ღმერთმა უკეთ იცის, რა უნდა



გოუკეთოს თავის ქმნილებას. მარტო წარსულის გახსენება არაა საქმე, მერე ცხოვრების სწორად წარმართვაა საჭირო. მაგი ახლა ზეცაშია ანგელოზებთან, ვიცი ეს მე. არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნება.

მთისაში ყველამ გაიგო ნიკას ამბავი. სოფელი თითქოს გარიზდულიყო, ყველა ელოდებოდა მოვლენების შემდგომ განვითარებას.

32

მამა გიორგი, დილით, მონამეთაში ტაქსით ავიდა. როგორც კი მონასტერს მიუახლოვდა, შენიშნა, რომ შესასვლელ თაღლაპი შავი ფერის „ვოლგა“ იყო გაჩერებული. მამაო მანქანიდან არ იყო ჯერ გადმოსული, რომ „ვოლგიდან“ განრისხებული ბონდონ ენუქიძე გადმოვიდა, ჩქარი ნაბიჯით მამა გიორგისკენ წავიდა და შორიდანვე მიაძახა:

— გიორგი! ასეთი ლაპარაკი შენ ჩემთან არ გინდა. ეტყობა არ იცი კარგად, მე ვინ ვარ!

მამა გიორგიმ შეხედა ენუქიძეს მშვიდად და ყოველგვარი აღელვების გარეშე უთხრა:

— „სალამი ლვთისააო“, არ გაგიგია, ბონდო? რავა, ჩეუბი დეიწყე დილიდანვე? გაწყენია ვინმემ თუ?

— მაგას შენ მეუბნები მე!? ბონდო ელეფთეროვიჩს!? — აბობოქრდა ენუქიძე, — ვინ გეკითხება შენ, რას ვუზამ იმ ბიჭს!? რომ დააგდე იქანა სიტყვა და გამეიქეცი!? მაგან მე შვილი დამიინვალიდა და ვაპატიებ მაგას!? ასე მიცნობ შენ!? თუ გგონია, შენ ვინცხა-ვინცხეებს რაღაცეებს რომ ატყუებ და გიჯერებენ, მეც დამაგომებ და



ფეხქვეშ გაგეგები!? შენებურად არ გეიგო ჩემი ნათქვამი და რასაც შენზე ხალხი ამბობს, ერთი სიტყვა არ მჯერა მე! ...

— მერე, მთავრობიდან დაგირეკეს და გითხრეს, დეიჯერეო!? — მკაცრად უთხრა მამაომ, — არ გჯერა და ნუ გჯერა, შე კაცო! რავა, მე დაგპატიუე, ამოდი გამოფენა მაქვს-თქვა, თუ ცირკის არენაზე გამოვდივარ და სეანსებს ვაწყობ-თქვა!? თუ შენთან მოვედი სახლში და გითხარი ესა და ეს ვარ და დაგეხმარები-თქვა!? არა, ბატონო, ასე არაა საქმე, შენ რომ გგონია და რატომ იცი!? არც მე მჯერა შენი კაი კაცობისა!?

ამ სიტყვების გამგონე ბონდომ უცებ ტონი შეიცვალა და უთხრა:

- ამას რატომ მაკადრებ, გიორგი?
- რას გაკადრებ, შე კაცო?
- კაცობა რა მოსატანია აქ!? — კადნიერად მიმართა ბონდომ.

- ესე იგი, გჯერა შენი კაცობის? — უთხრა მამაომ.
- აბა, რა!

— ჰოდა, შენ რომ გჯერა შენი კაი კაცობის, მეც მჯერა ის, რაც ღმერთმა მომცა! — მკაცრად თქვა მამა გიორგიმ.

სიჩუმე ჩამოვარდა, დაძაბულობა ნელ-ნელა მატულობდა. ცოტა ხნის შემდეგ, ბონდომ ძალიან უხეში კილოთი მიმართა მამაოს:

- მაინც რა არ მოგწონს ჩემს კაცობაში!?
- მომეშვი ახლა, ადამიანო, ხოა „ნიჩია“, ჰოდა, გაჩუმდი! მე არ გამოგყიდებივარ შენ! — უთხრა მამაომ და ცოტა ხნის შემდეგ დაამატა, — ღმერთმა შეგინდოს!



ბონდომ რატომღაც გამარჯვებულად იგრძნო თავი, აგრესიას და ხმას მოუმატა:

— ახლა, შენ მღვდელი რომ არ იყო, მაგ სიტყვებს სხვას ნამდვილად არ ვაპატიებდი!

— ესე იგი, გამოდის, რომ ბოდიში უნდა მოგიხადო!?

— მიუგო მშვიდად მამაომ.

ბონდომ ნიმის მოგებით შეხედა, მამა გიორგის კი თვალები უცნაურად აენთო, სახე შეეცვალა და უთხრა:

— გამოდის, ბოდიში უნდა მოგიხადო იმაში, რომ ხუთი წლის წინ რუსეთში, საძმოში, ორმოცდაათი ათასი მოიპარე და უდანაშაულო კაცი კინაღამ მოაკვლევინე!? ამაში!? თუ იმაში მოგიხადო ბოდიში, სტუდენტობის დროს, საწყალი სოფლელი გოგო შეაცდინე და დღესაც გაუბედურებული რომ დადის!? თუ კიდევ იმისთვის მოგიხადო ბოდიში, რომ ფულებზე წევხარ და შენი დისშვილი ზესტაფონში სასადილოში სხვის თეფშებს რეცხავს და ნორმალურ სამუშაოს არ შოულობ მისთვის!?

ბონდომ ფერი დაკარგა და მხრები ჩამოყარა. აშკარად შეეტყო, რომ მოულოდნელობისა და წარსული ამბების გამო ცუდად გახდა. პირველი ორი დანაშაული არავინ იცოდა, გასაიდუმლობული ჰქონდა ენუქიძეს. მამაომ საიდან გაიგო ეს ყველაფერი, გამოცანად დარჩა მაღალჩინოსანს. შეხედა რა ბონდოს უსუსურ მდგომარეობას, მამა გიორგიმ მშვიდად მიუგო ამ ღვთისმგმობელ არაკაცს:

— რა გიოხრა იცი, ბონდო? ამას იმიტომ კი არ გეუბნები, რომ დაგამცირო და განახო ვინცხა ვარ! არამედ იმიტომ, რომ ვერ ვიტან, როცა მელას ქათმების მწყემ-



სად მოაქვს თავი! თანაც შენნაირებს სინანული არ აქვთ! ჰოდა, გონს მოდი, თორემ ცუდად წაგივა საქმე! შენს შვილს კი ღმერთი მიხედავს, არ სჭირდება შენი ად-ვოკატობა.

ნირნამხდარი ბონდო ხმას ვერ იღებდა. ბოლოს, თითქოს რაღაც გაახსენდაო, შეხედა მამაოს და უთხრა:

— რავა ყველაფერი ერთად მაჯახე, ცოტა სიბრალული მაინც გამოგეჩინა...

— მე არ დამიწყია ეს კამათი, შენ დეინყე, — მიუგო მამა გიორგიმ, — შემოგთავაზე „ნიჩია?“, არ მეინდომე. ახლა რას გეტყვი, იცი? ნასწავლი კაცი ხარ და გეცოდინება ალბათ. იყო ასეთი ბერძენი ფილოსოფოსი არის-ტოტელე. იმას აქვს ნათქვამი ასეთი სიტყვები: „გაიძვერას სინდისი რომ გოულვიძო, სილა უნდა გააწნაო“. ახლა კი წადი, ბონდოია, თვარა კიდევ რაცხა წამომცდება და აღარ მინდა, რომ გული გატკინო.

ბონდო დამცირებული წალასლასდა თავისი მანქანისკენ და მისი შავი ფარდებით გაწყობილი შავი „ვოლგა“ მალევე გაუჩინარდა მოწამეთას მონასტრის მიდამოებიდან.

მამა გიორგი მონასტრისკენ წავიდა. როგორც კი შესასვლელ თაღს გასცდა, დაინახა მისკენ მომავალი ტაძრის მესანთლე ელენე, რომელიც სახეზე მთლიანად გაფითრებულიყო. მამაომ შენიშნა მისი ასეთი მდგომარეობა და შორიდანვე დაუძახა:

— რა იყო, ანიჩკა? მოხდა რამე?
— ახლა გევედი ტაძრიდან ეზოში და დევინახე, მამაო, რომე თქვენი სენაკის კარი ლიაა და გული გამისკტა,

ვიცი, რომ გუშლამ გასაღებით დაკეტეთ და... — უპასუხა შეშინებულმა ქალმა მამაოს და მასთან ერთად წავიდა ტაძრის ეზოსკენ, სადაც მამა გიორგის სენაკი იყო გან-თავსებული.

მამაო სენაკში შევიდა და უცებ აღმოხდა:

— ეს რა ამბავია აქ!.. ნახე, ბიჭო!..

ოთახს ეტყობოდა, რომ ვიღაცეები იყვნენ იქ ნამყოფი. წიგნები არეული იყო და საბუთები აქექილი, ჭადრაკის ფიგურები გადმოყრილი, ლოგინიც აშლილი და აწენილი. მამაომ ლეიბი ასწია და თქვა:

— დაა!.. თუმნიანი დავტოვე და ხელიც არ უხლიათ...

— აბა, რას ეძებდნენ? — შეეკითხა ელენე.

— რას ეძებდნენ!? აი, ამას! — თქვა მამაომ და ძველი, მომცრო წიგნად აკინძული, გაყვითლებული ხელნაწერ-ები აჩვენა ელენეს, — ეს ძველი ქართველი წმიდანების წინასწარმეტყველებაა ბოლო უამზე!.. ჰმ! ეძებენ, კო-მუნისტების დრო მთავრდება და ახლა აინტერესებთ, რა ელით? როგორ გადაირჩინონ თავი. აგერ, ბონდოია ენუქიძეს ფულის მუთაქა რომ გამოაცალო, მაგისგან ქუთაისში „კალოშებით“ ჩამოსული რაჭველი შეგრჩება ხელში. ახლა აინტერესებთ, რა ელით მომავალში? იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ამას მათ არ მივართმევ. ეს ბაბუაჩემმა დამიტოვა, დიაკვანი იყო, მლოცველი კაცი. ამ წიგნის არსებობა არავინ იცოდა ჩვენს ოჯახში. ამ ხელნაწერებს ჩემი გვარი საუკუნეებია ინახავს. ჩემი ერთ-ერთი წინაპარი იმერეთის მეფის კარზე მსახურობდა და ამ ხელნაწერებს მეფეც კითხულობდა. ისე მწერ-ალი ვერ შეადგენს თავის დღიურს განვლილ დღეზე,



როგორც ამ ნაწერებში ჩვენს წინაპრებს ჩვენი დღევან-დელი დღე აქვთ ნაწინასწარმეტყველები და აღნერილი. ამ წიგნს ვერ გაიჩერებ, თუ ნამდვილი სული არა გაქვს. ამას ვერ ხვდებიან. მე რომც მომკლან, ამ წიგნს ლმერ-თი მაინც არ ჩაუგდებს მათ ხელში, რადგან ამ წიგნს ჯერ ერთი, წმიდანები იცავენ თვითონ, ხოლო მეორე, ეს წიგნი სხვადასხვანაირად იკითხება. წმიდანებს ისე კი არ დაუწერიათ, რომ ბოროტებმა ამ წიგნით რაიმე სარგებელი ნახონ! თუმცა, მარტო ბოროტი კი არ არის ბოროტი, ზოგჯერ კეთილსაც შეუჩნდება ბოროტი, გეიგე, ანიჩკა!?

ეს წიგნი იმიტომ განახე, რომ ეს მოგონილი არ არის, როგორც სეფისკვერზე იძახიან — გიორგიმ თაბაშირიდან გააკეთებია სეფისკვერი და გეიძახის მეხუთე საუკუნის არისო!.. ეს ტარტაროზები, ესენი!..

მამა გიორგიმ და ელენემ დაალაგეს და მოანესრიგ-ეს სენაკი. მამაო ჩამოჯდა სკამზე და ელენესაც ანიშნა დამჯდარიყო. მერე წვერზე ჩამოისვა მარჯვენა ხელის მტევანი და განაგრძო საუბარი:

— ამ ხალხმა ვერ გეიგო, რომ ლოცვაა საჭირო. აგერ, გაბრიელი სულ ყოველთვის სახარებისეულ სიბრძნეს იმ-ეორებს: „ლოცვა მთებს გადადგამსო“. აგერ, ამას წინეთ, თბილისში რომ მივემგზავრებოდი, მცხეთის ჯვარს მი-ვუახლოვდით თუ არა, მანქანა ჩაქრა. მძღოლი ეწვალა, ეჯახირა და ვერ დაქოქა. მივხვდი, რომ ჩემი ანგელოზი არ გვიშვებდა წინ. გამახსენდა, თბილისში ფეხით რომ მივდიოდი ხოლმე და მცხეთის ჯვარს მივუახლოვდებო-დი, გადავდიოდი გზიდან და იქვე პარაკლისს ვკითხუ-



ლობდი. ეს წესად მქონდა. ამჯერად კი, რადგან მანქანით მივდიოდი, თავში არ მომსვლია და ანგელოზმაც შემახ-სენა: „გადადი და წაიკითხეო“... მეც გადავედი გზატკე-ცილზე, მთის ძირში დავდექი და წევიკითხე პარაკლისი. ლოცვას რომ მოვრჩი, მივედი მანქანასთან და ჩავჯექი. მძღოლმა მითხრა: „ჰო, გიორგი, ჩაჯექი და ხომ იცი... არ იქმება, ახლა „ბუქსირით“ უნდა ვცადო... გზის პირზე დადექი, ანაფორა რომ გაცვია, უფრო გაგიჩერებენ“. არ არის მაგი მანქანის ბრალი, აგი ჩემი ბრალი იყვა-თქვა, რომ არ შევჩერდი და არ ვილოცე. ახლა მიდი და დაქო-ქე-თქვა. კი ჩაცინა მძღოლს, მაგრამ მაინც დამიჯერა. გზას ჯვარი გადავსახე თუ არა, ჩემმა ანგელოზმა მანქა-ნა დაქოქა. გადაირია კაცი: „ეს რა ვნახეო“... თბილისში ისე ჩავედით, ჩემსკენ არ გამოუხედია...

მერე მამაომ დავითნი გადაშალა, შეხედა ელენეს და უთხრა:

— წაი ახლა, ანიჩკა, შენ ტაძარში და მიხედე შენს საქმეს, მე კი ჩემსას მივხედავ.

მონასტრის დაბლა კი მთებს შორის, ტალღების წყ-ნარი დუღუნით, მიედინებოდა მრავლის მომსწრე და მნახველი მდინარე წყალწითელა.

ნიკა, როგორც იქნა, გამოვიდა ღრმა ძილიდან. ის უკვე სხვა ადამიანი იყო. ამას პირველ რიგში თვითონ გრძნობ-და. თავისი თავის თვითონ შერცხვა, რომ აქამდე ვერ გაიხსენა თავისი წარსული. სიზმარში ხომ ყველაფერმა



კინოფილმის კადრებივით გაირბინა მის წინ და ეს მოხდა ელვისებური სისწრაფით. ნიკა წამოდგა საწოლიდან, ჩაიცვა და მაშინვე ლიკას მოსაძებნად გავიდა, რომელსაც, როგორც ჩანს, ახალახანს გაეღვიძა და აივანზე იდგა.

— ლიკა! — დაუძახა ნიკამ, დაიჩოქა მის წინაშე, ხელები მოხვია და თავი მუცელზე მიადო, — ამ ვაჟკაცის ხმა იქ მესმოდა!

— სად იქ? — გაოცდა ლიკა.

— იქ, ზეცაში, უფალთან — უპასუხა ნიკამ ლიკას, ისე, რომ ფეხზე არ წამომდგარა, — იესომ დამიბრუნა მეხსიერება, ლიკა, ჩემო სიყვარულო!

ლიკას მთელ სხეულში ურუანტელმა დაუარა, ბავშვიც კი ამოძრავდა დედის მუცელში, მყისიერი სიხარულით და ემოციებით გაბრუებული ლიკა მუხლებზე დაეშვა, გადაეხვია მეუღლეს და აქვითინდა. სიტყვებს ვეღარ უყრიდა თავს და გრძნობებს მხოლოდ ტირილით გამოხატავდა, მისი ბაგეები მოძრაობდა, მაგრამ ხმას არ გამოსცემდა. ასე დაჩოქილნი და ერთმანეთს ჩახუტებულნი დიდხანს იყვნენ ახალგაზრდები, სანამ ორივე ირინეს ხმამაღალმა შეძახილმა არ გამოაფხიზლა:

— დედააა... რა ხდება?!.. ღმერთო, არ დამღუპო!..

ნიკა და ლიკა უცებ მოეგნენ გონს, სიხარულის ცრემლებით სავსე თვალები მიაპყრეს ირინეს და ორივემ ერთად წარმოთქვეს:

— გავიმარჯვეთ!.. დიდება უფალს!..

— სასწაულია! — არ ცხრებოდა აღფრთოვანებული ნიკა, — ახლა მიკვირს, როგორ არ მახსოვდა ეს ყველაფერი!? მრცხვენია ყველასი, ვინც ჩემი ასეთი მდგო-

მარეობის შესახებ იცოდა! ახლა დავრწმუნდი, რა დიდი ძალა ჰქონია უფალს, რაც მე ვნახე, ეს შეიძლება ბევრმა არ დაიჯეროს, მაგრამ შედეგი ხომ სახეზეა.

ამ დროს მალხაზიც შემოვიდა ეზოში. ის მაშინვე მიხვდა, რაც მოხდა, გადაეხვია სიძეს და უთხრა:

— მომილოცავს საჩვენოში დაბრუნება. ახლა გოგიც ამოვა ქალაქიდან და მოგვიყევი ყველაფერი, რაც ნახე.

საყვარელიძეების ოჯახში დილიდანვე დიდი მხიარულება სუფევდა. მალე გოგიც შემოუერთდა მათ და ნიკამ ახლობლების გარემოცვაში დაიწყო საუბარი თავისი სიზმრისეული ხილვის შესახებ:

— როგორ აღმოვჩნდი ყვავილებით მოფენილ მინდორში არ ვიცი. უცებ, ხასხასა ბალახით დაფარული ბილიკი დაიგო ჩემს წინ. დაახლოებით სამსართულიანი სახლის სიმაღლის ანგელოზი გამოჩნდა, გამიძღვა და მანიშნა გავყოლოდი. ჩემს გარშემო არნახული სილამაზე გადაიშალა. ასეთი ფერები დედამიწაზე აღბათ, არსად მოიპოვება, ყოველ შემთხვევაში მე არ მინახავს. კამკამა მდინარეები და ჩანჩქერები, ათასნაირი სხვადასხვა ფერის ჩიტები ერთობლიობაში ენით აუწერელ ჰარმონიას ქმნიდნენ. ამ სილამაზეში შევნიშნე ჰატარა სახლები, თუმცა იქ არავინ დამინახავს. ანგელოზი კი მიჰყვებოდა ბილიკს. დიდხანს არ გვივლია, უცებ აღმოვჩნდი ტყეში, რომელიც განსაკუთრებული, წარმოუდგენელი სიმწვანით იყო დაბურული. შორს გამოჩნდა ხეებისგან შექმნილი თაღი, რომლის ქვეშ ორი შავოსანი სასულიერო პირი იდგა. მათი გამოჩენისთანავე ანგელოზი ჩამომცილდა გზიდან და მამაოებთან პირისპირ დამტოვა. ისი-



ნი შორს იყვნენ და ამიტომ მათი სახეები ვერ გავარჩიე. იმას კი მივხვდი, რომ მე მელოდებოდნენ. დრო თითქოს გაიწელა, თუმცა ბოლოს მათ წინ აღმოვჩნდი და ჰოი, საოცრებავ! ... მამა გიორგი და მამა იოანე... სახტად დავრჩი... მათ ხელი მომკიდეს და ერთად გავაგრძელეთ გზა წალკოტში.

— ღვთისმშობელმა შეისმინა ჩვენი და შენი ვედრება და მეოხედე უფალთან, რათა შეგინყალოს, — მითხრა მამა გიორგიმ და გამიღიმა, — ახლა უფლის სავანისაკენ მივემართებით. იოანემ ბევრი ილოცა შენთვის და მოვედით აქამდე.

— არც გიორგის დაუკლია შენთვის ლოცვა, — გაეცინა მამა იოანეს, — თავმდაბლობს ახლა, თორემ ჩემზე მეტ პარაკლისებს კითხულობს.

ამ დროს მივადექით ლამაზი ყვავილებით შემკულ ღობეს, რომლის იქით დაბურულ სიმწვანეში თეთრი, უფრო სწორი იქნებოდა ქათქათა ფერის სახლი იდგა, რომლის სართულებიც ვერ გავარჩიე, რადგან სახლი ზღვის ტალღებივით ირხეოდა. სახლიდან თეთრი ანაფორებით შემოსილი სამი ადამიანი გამოვიდა. უფალი, რომელიც შუაში იდგა, მაშინვე ვიცანი. ეს წამიერად მოხდა, შემდეგ მისი სახე და სხეული ისე აელვარდა, რომ თვალის გასწორება მიჭირდა. მამა გიორგიმ გადაულაპარაკა მამა იოანეს:

— პეტრე და იოანე მოციქულებთან ერთად არის. მუხლი მოვიყაროთ.

როგორც კი დავიჩოქეთ, ორი ანგელოზი დაგვადგა თავზე. მამა გიორგი და მამა იოანე წამოაყენეს და





ერთ-ერთმა მათგანმა არაამქვეყნიური ნაზი ხმით წარ-
მოთქვა:

— მხოლოდ მამები შევლენ სავანეში, — მერე მე
ფამხედა და მითხრა, — შენ აქ დაელოდები. შეგიძლია
წამოდგე, მხოლოდ თავი დახარე.

მიუხედავად თავდახრილი ლოდინისა, დაღლა საერ-
თოდ არ მიგრძვნია. განსაკუთრებულ სიმსუბუქეს
ვგრძნობდი და ისე ავივსე სიცოცხლის წყურვილით,
რომ სურვილი გამიჩნდა, გავფრენილიყავი. ოცნებებში
„წასულმა“ ვერც კი შეენიშნე, როგორ მომიახლოვდნენ
მამა გიორგი და მამა იოანე.

— მომილოცავს! — მითხრა მამა გიორგიმ, უფალმა
შეისმინა ჩვენი ვედრება და შეგინყალა.

— დიდება უფალს და მადლობა! — ვუთხარი მამებს
და იქვე შევეკითხე, — მე ჯერჯერობით კვლავ ვერ-
აფერს ვიხსენებ და რა უნდა გავაკეთო?

— შენი მფარველი ანგელოზი მოგხედავს, რომელიც
ჩვენი წასვლის შემდეგ მოვა შენთან. — მითხრა მამა იო-
ანემ და მალე ორივენი გაუჩინარდნენ.

დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია, ანგელოზი გამოჩნ-
და, წაცნობი სახე ჰქონდა, ხატებზე ხშირად მინახავს, რომ
მომიახლოვდა წმიდა ნიკოლოზი იყო. მე ხომ ნიკოლოზი
დამარქვეს მშობლებმა და მის სახელზე მომნათლეს
ეკლესიაში. წმიდა ნიკოლოზი გამიძლვა წინ და ცაზე გა-
მოსახულ ეკრანისმაგვარ დიდ ღრუბელთან მიმიყვანა.

— ახლა ამ ეკრანზე ყველაფერი გამოჩნდება, რაც
კი შენი დაბადებიდან დღემდე მომხდარა, — მითხრა
წმიდა ნიკოლოზმა, — და ეს ყველაფერი შენს გონებაში

გადაინაცვლებს, მაგრამ მე როგორც შენმა მფარველმა ანგელოზმა, გამოვითხოვე კურთხევა უფლისგან, რომ უფრო მეტი გავაკეთო შენთვის, რათა შენი ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე, დანაშაული არ ჩაიდინო. მუხ-ებთან შენმა განრისხებამ ეს აშკარად დამანახა.

— ვერ გავიგე, წმიდა მამაო, — შევბედე წმიდა ნიკოლოზს, — იქნებ ამიხსნათ?

— ჯერ შენს წარსულს გაჩვენებენ და მერე გეტყვი დანარჩენს. — მითხრა წმიდა ნიკოლოზმა და ეკრანიანი ღრუბლისკენ გამახედა.

ეკრანზე ჩემმა წარსულმა, დაბადებიდან დღემდე, უცებ გაიელვა და ყველაფერი უმნიშვნელო დეტალებამდე გამახსენა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წმიდა ნიკოლოზი მიყურებდა და ჩემი დაუფარავი სიხარულის გამო, თვითონაც კმაყოფილი იყო. მერე კი მითხრა:

— ადამის დაცემის შემდეგ, ადამიანურმა გონებამ გულიდან თავში გადაინაცვლა და დღესაც მდგმურად არის იქ. ადამი, დაცემის შემდეგ, ღმერთს ვეღარ ხედავდა, მხოლოდ ხმა ესმოდა მისი. ადამიანი, მას შემდეგ, გულით აღარ ფიქრობს, აღარ აზროვნებს გულით და აღარც გულით საუბრობს. დავიწყებული იქნა სიტყვები: გულისყური, გულისხმა, გულითადობა და სხვა. ხშირად ამბობთ ხოლმე: „გონება მეფანტებაო“, ეს იმიტომ მოგდით, რომ ის თავის ადგილას ანუ გულში არ გაქვთ. ასეა საქმეც, ის შესრულებულად მაშინ ითვლება, როდესაც გულით არის გაკეთებული და არა თავში მდგმურად მყოფი გონებით. შენ ახლა უფალმა გონება გულში დაგიბრუნა. ეს ღვთის დიდი საჩუქარია და ამასთან დიდი პა-



სუხისმგებლობაც. რატომ დაგიბრუნა უფალმა გონება გულში, იცი?

მე გაოცებული ვუყურებდი წმიდა ნიკოლოზს და ამ კითხვაზე პასუხი არ მქონდა. ეს თვითონაც კარგად იცოდა წმიდანმა და ამიტომ განაგრძო:

— მუხებთან შენი განრისხება იმის მომასწავლებელია, რომ ემზადები შურისძიებისთვის, რაც შენი საქმე არ არის, წმიდა წერილში პირდაპირ გინერიათ, რომ „შურისგება ღმერთისაა“. ამიტომაც შენი გონება გულში იქნა დაბრუნებული, რომ მიმტევებელი გახდე და შურისძიების სანაცვლოდ შენს მტერს, შენს ამ მდგომარეობამდე მიმყვანს კი არ გადაუხადო სამაგიერო, არამედ დაეხმარო, რათა ფეხზე წამოდგეს და გააგრძელოს სიცოცხლე. „გიყვარდეს მტერი შენი“ — გასწავლის წმიდა წერილი. იყავი ყოველთვის მიმტევებელი, ხოლო შენს მტერს ღმერთი მიხედავს.

გავპედე და ვკითხე წმიდა ნიკოლოზს:

— მე ყველაფერს შევასრულებ, წმიდა მამაო, მაგრამ წუთისოფელში, ამდენი ურნმუნო ადამიანის გარემოცვაში შევძლებ კი შევინარჩუნო გულში გონება?

— გულისხმიერება რომ შევინარჩუნოთ, ამიტომ სწორი ლოცვა უნდა ისწავლოთ, — მიპასუხა წმიდა ნიკოლოზმა, — სწორი ლოცვა ყველაფერს შეგაძლებინებთ, დაგაბრუნებთ ღმერთში, თქვენს ნამდვილ სამშობლოში. ამას გეუბნებოდა შენი დიდი წინაპარი, რომელიც შენ ადრე გამოგეცხადა, რომ გითხრა „ჩვენი წინაპარი ნაცვალი იყო და ინდოეთიდან მოვდივარო“. ხომ ხარ ნაცვლიშვილი?

მე თანხმობის ნიშნად თავი ჩავლუნე, რადგან გაოგნებული ვიყავი ამდენი სასწაულების ხილვით. წმიდა ნიკოლოზმა კი განაგრძო საუბარი:

— შენი წინაპარი მართლა იყო ინდოეთში ერეკლე მეფესთან ერთად. იქ ბევრი ბრძოლა მოიგეს და ალაფიც დიდძალი დააგროვეს. ქართველ მეომრებს შეეძლოთ დარჩენილიყვნენ ინდოეთში და განცხრომით ეცხოვრათ იქ, მაგრამ არ უდალატეს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს და სამშობლოში დაბრუნდნენ, რათა შემდგომში ზეციური სამშობლო დაემკვიდრებინათ. ამას გამცნობდა შენი წინაპარი. ხოლო, მამა იოანე რომ იხილე მუხებში და მანქანის ხეზე დაჯახება, ეს შემდგომში, შენი გამოფხიზლებისათვის საჭირო ხილვა იყო. ასე რომ, უფალმა წყალობა მოილო შენზე და ვალდებული ხარ წუთისოფელში იცხოვრო ღმერთის მცნებების შესაბამისად. ხშირად წარმოთქვი ლოცვა — „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“. მე, მუდამ შენთან ვიქნები. გზა მშვიდობისა!

ნიკამ დაამთავრა თხრობა, თვალი მოავლო მის გარშემო მსხდომთ და თქვა:

— კიდევ ერთხელ და მრავალჯერ გავიმეორებ, ძალიან მერიდება თქვენი, რომ ჩემს გამო ასეთ დღეში ჩაგაყენეთ. ყველანაირად ვეცდები, რომ ჩემს ოჯახთან ერთად სათანადო პატივი მოგაგოთ და სიკეთით გადაგიხადოთ სამაგიერო.

ნიკა ფეხზე წამოდგა, პირჯვარი გადაინერა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— დიდება და მადლობა უფალს და მადლობა თქვენ ყველას!

გოგიმ და მალხაზმა გადაწყვიტეს, რომ ნიკასთან ერთად წასულიყვნენ მონამეთაში მამა გიორგისთან. ირინე წინააღმდეგი წავიდა:

— ამოასუნთქეთ ეს კაცი, ისედაც დაიტანჯა ამდენი განცდებით, დღეს დეისვენეთ და ხვალ წადით მონასტერში!

— იქ ამეისუნთქავს, ჩემო ირინე, — თქვა გოგიმ და მალხაზს შეხედა, — მამა გიორგის რომ სასუნთქი აპარატი აქვს, მასეთი არ მეიპოვება ამ დუნიაზე.

მალხაზმა მეგობარს დასტურის ნიშნად ხელი ხელზე დაჰკრა და მალე სამივენი მონამეთას გზას დაადგნენ.

მამა გიორგი მონასტრის შესასვლელში დახვდათ. გაშალა ხელები და ნიკას მისამართით ხმამალლა წარმოთქვა:

— მშვიდობა შენს დაბრუნებას საჩვენოში!
— მშვიდობა, მამაო, დამლოცე, მამაო, თუ ლირსი ვარ!

— თქვა ნიკამ და მამაოს წინ დიდი მეტანია შეასრულა.

— რას შობი, კაცო! — შეიცხადა მამაომ, — დიდ მეტანიას პატრიარქის საპატივცემულოდ აკეთებენ და მცირე მეტანიას კი — მეუფების. მე ვინ ვარ, რომ ჩემს წინ იჩოქებ!? ადექი ზეით და მოდი აქანა, ჩაგეხუტო. ღმერთმა დაგლოცოს! თუმცა კი დაგლოცა გუშდამ, — მერე გუშში ჩაიხუტა ნიკა და ყურში ჩასჩურჩულა — რაიო წმიდა ნიკოლოზმა? კარგათ იქნება ყოლიფერიო?

ნიკა ქვითინებდა მამა გიორგის მკერდზე და ამიტომ პასუხი ვერ გასცა მოძლვარს. ცოტა სული რომ მოითქვა ძლივს მიუგო:



— დიდი მადლობა, მამაო, თქვენ და მამა იოანეს, რომ
მიხსენით ამ გაჭირვებისგან. არ ვიცი, როგორ გადაგიხა-
დოთ მადლობა ამ უდიდესი პატივისცემისათვის.

— მადლობა უფალს! თვარა ჩვენ ვინ ვართ, უბრალო
მღვდლები, — თქვა მამაომ და წვერზე ხელი ჩამოისვა,
— ხოლო რაც შეეხება მადლობის გადახდას, მაგი კაი
თქვი, ხომ იცი შენ? მაგ თემაზე წამოი ჩემთან სენაკში და
იქანა ვისაუბროთ. თან გუშინ, რაჭიდან იყვნენ ჩემთან,
კაი ხვანჭკარა მომართვეს და შენი ამქვეყნად მობრუნე-
ბა ვადლეგრძელოთ. მართალია, მთლად წასული არ იყა-
ვი, მარა რაცხა ნაწილით ხომ იყავი იქეთ?

ამასობაში მამაოს სენაკთანაც მივიღნენ. მამა გი-
ორგიმ გააღო სენაკის კარი და სტუმრები მიიპატიჟა.
მერე ღვინო ჩამოასხა ჭიქებში, უფლის სადიდებელი
თქვა და ნიკას მობრუნება ადლეგრძელა. წვერზე გად-
მოღვრილი რამდენიმე წვეთი ღვინო ხელის ერთი მოს-
მით მოიცილა და თქვა:

— ისე, მომისწარით, ხომ იცი? ხვალ დილაადრიან
ფეხით მივდივარ თბილისში და მოგიწევდათ აქ ლოდინი.

— მამაო, მე წაგიყვანთ, — წამოიძახა მოსმენილ-
ით გაკვირვებულმა გოგიმ, — ფეხით რავა გაგიშვებ
დედაქალაქში?

მამაოს გაელიმა და უთხრა გოგის:

— მანქანა კი არ მიჭირს, გოგი, ბოლო-ბოლო ტაქსით
წავალ, მარა ფეხით სიარული სჯობს. ხალხმა მღვდე-
ლი უნდა დეინახოს, არ უნდა აფიქრებინო მათ, რომ ამ
ათეისტების ქვეყანაში ქრისტიანობა აღარ არის. ღმერთ-
მა დაგვიფაროს, ამის გაფიქრებაც კი არ მინდა, მარა



ფაქტი სახეზეა. მე უკვე მეშვიდედ მივდივარ თბილისში ფეხით და კიდევ მრავალჯერ უნდა ჩევიდე. დავალება მაქვს ასეთი.

— ისე საშიში არაა, მამაო? განსაკუთრებით ღამით? — იკითხა მალხაზმა, — ათასი გადარეული დადის დუნიაზე?

— შიშით ამქვეყნად უნდა გეშინოდეს ღმერთის და საკუთარი ცოდვების, — უპასუხა მამა გიორგიმ, — დანარჩენის მე არავისი და არაფრის მეშინია. ერთხელ, ღამით, რიკოთზე გადავდიოდი ფეხით და უცებ რამდენიმე მგელმა წრეში მომიქციეს. სად გინდა წახვიდე? გეექცევი და გაასწრებ თუ? ჰოოდა, გადევინერე პირჯვარი და ვთხოვე წმიდა გიორგის — მიშველე-თქვა. უცებ, რაცხა წათებამ ჩამეიქროლა და ჩემს გარშემო არც ერთი მგელი აღარ იდგა. ა! ასეთია ღმერთის ძალა! ასე არაა, ნიკოლოზ?

— კი, მამაო, — დაუდასტურა ნიკამ, — თქვენზე უკეთ ვინ იცის ეგ.

— გზაში, ფეხით სიარულისას, — განაგრძო მამაომ, — მხოლოდ ნადირი არ გხვდება, უფრო მეტი ბოროტი ადამიანი გხვდება, რომელიც ეშმაკისაგან ისეა შეპყრობილი, რომ ნადირზე უარესია. უცნობი, ვინც შიშსა და შფოთს აღიძრავს გულში, არ არის ჩვეულებრივი ადამიანი. ის ან შეპყრობილია ან თვითონ ეშმაკია ხორციელი სახით. უბრალო ადამიანს არ აქვს მეორე ადამიანის შეშინების არც ძალა და არც სურვილი. რომ არა ღმერთისგან მფარველობა, ასეთებს შეუძლიათ დააზიანონ ადამიანი, როგორც სულიერად, ისე ხორციელად. არ ისვენებს ბოროტი, განსაკუთრებით ბოლო ჟამს. მთე-

ლი ჯოჯოხეთი ამოსულია ქვეყნად ადამიანთა მისატა-ცებლად, მაგრამ ნუ გეშინიათ, აქვე არიან წმიდანებიც. როდესაც ასეთი ადამიანი შეგხვდება ქუჩაში, ტრანს-პორტში, ეკლესიაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, უნდა ილოცო. ლოცვა და მარხვა — ეს ორი იარაღი დაგვიტოვა ჩვენ ქრისტე ღმერთმა. თუ ეს ეშმაკეული შენს ზურგს უკან ან გვერდით იმყოფება, უნდა ილოცო „მამაო ჩვენო...“. ეს ლოცვა შენს ირგვლივ წრეზე, როგორც მაღალი ელექტრო ძაბვა, ურტყამს ბოროტს!.... და თუ ეს ბოროტი შენს წინ მოკალათდა და თვალებში მტაცებლურად გიყურებს, მაშინ იმეორე ლოცვა: „ქრისტე ღმერთს დიდება!“ ან „ქრისტეს დიდება!“ — ეს სიტყვები მოქმედებს სიგრძეზე, როგორც ლაზერის სხივი. ბოროტი იმიტომ გირტყამს შიშს, რომ დაგიმორჩილოს, დაგიპყროს და მისი ძლიერება აღიარო. ბოროტი ხარობს, როდესაც ქრისტეს მორწმუნე მის წინაშე კანკალებს. იცის ღმერთმა, რომ ჩვენ უძლურნი ვართ და შეწევნის გარეშე არ დაგვტოვებს ბოროტის წინაშე, მაგრამ ქრისტე ღმერთს უნდა, რომ ჩვენ თვითონაც ვიბრძოლოთ, არ დავემორჩილოთ და ქედი არ მოვუხაროთ ბოროტს. თავიდან შეიძლება ძალიან შეგეშინდეთ, მაგრამ არ დანებდეთ, რადგან ბოროტი ცდილობს შიშით ღმერთი დაგავიწყოთ. თქვენ კი უნდა ივაჟკაცოთ, ძალა მოიკრიბოთ და განაგრძოთ ქრისტეს დიდება. ლოცვისას თვალებში არ უყუროთ, მაგრამ ნურც თავს ჩაქინდრავთ, არამედ უყურეთ სახის არეში. თავიდან ყველაფერი ერთად დაგატყდება: შიში, ეჭვი, უიმედობა, უძლურება, მაგრამ სცადეთ და ბრძოლა დაიწყეთ. ნახავთ, ღმერთი



როგორ შეგეწევათ და ვინ უფრო ძლიერი აღმოჩნდება. არ მოგეშვება ბოროტი და არც შენ მოეშვა ლოცვასა და ქრისტეს დიდებას. იბრძოლე და ღმერთი, რომელიც ამ ბრძოლაში უხილავად შენთან არის, გაგაბარებს, დაგანახებს ქრისტეს ძლიერებას...

მამაომ ჭიქებში ხვანჭკარა ჩამოასხა, სამშობლოს სა- დლეგრძელო დალია და განაგრძო:

—ქრისტეს მსახურებსა და მორწმუნებს ლაჩრო- ბა არ გვეკადრება. ქრისტიანი თავმდაბალი უნდა იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მტერს თავი დაუხარო. ქრისტიანები სხვებზე კაცომოყვარები ვართ, მაგრამ ბრძოლაში ყველაზე მამაცები და სასტიკებიც. შიში იძუ- ლებითი მორჩილებაა და ჩვენ არ შეგვფერის ბოროტის მორჩილება. ბოროტთან ბრძოლით, ღმერთი ავაუკაცებს სულს. ისიც იცოდეთ, ღმერთი მოწყალეა და თქვენზე აღმატებულ ძალას არ დაუშვებს, მას ყველაფერი გან- საზღვრული აქვს. როგორც ისწავლება და იწრთობა სიყვარული, ისე იწრთობა და ისწავლება სიმამაცეც, გამბედაობაცა და ვაუკაცობაც. არ შეგეშინდეთ ბორო- ტი სულის ძალის, გარეგნობის, თვალების, ხმის, რადგან იგი მათ იყენებს ჩვენი შეშინებისა და დამცირებისათვის. როდესაც შიში მოდის, ნუ მიეცემით სასოწარკვეთილე- ბასა და პანიკას. ამ დროს ღმერთის წინაშე უნდა აღია- რო, რომ შენ არაფერი ხარ, რომ უძლური ხარ, არავინ ხარ ღმერთის გარეშე და იწყო ლოცვა. ღმერთი უხილა- ვად, თანდათან გაგაძლიერებთ და იმასაც დაგანახებთ, ეს „უშიშარი“ და „მაგარი ბიჭი“, როგორ აიძურნება და ლაჩრულად გეიპარება. დიდია და უძლეველი ქრისტე

ღმერთი! ასე რომ, ეშინოდეთ ჩვენს მტრებს და არა ჩვენ. ჩვენ კი უნდა გვეშინოდეს ჩვენი ცოდვების. გეიგონეთ ახლა, რატომ არის საქართველოში ფეხით სიარული აუცილებელი!? ქრისტემ იმიტომ დაგვასახლა ამ მიწაზე, რომ ბოროტი სწორედ აქ ღვთისმშობლის წილებედრ მიწაზეა უფრო მეტად გაძლიერებული. საქართველო საუკუნეების მანძილზე ეპორძოდა ბოროტ ძალებს და ამას ჭკუით, ჯვრით და ხმლით აკეთებდა. ახლა მით უმეტეს, ათეისტების ეპოქაში ხომ მთლად ეინყვიტა. წუთისოფლის თავადია იგი და ამიტომაც ძნელია ჩვენში ღვთიური კანონებით ცხოვრება, ამიტომაცაა ქართველობა ძნელი, მაგრამ ამასთან აუცილებელი!

გოგი, მალხაზი და ნიკა გულისყურით უსმენდნენ ამ მართლაც ზეციდან მოვლენილ წმიდანს და არ სურდათ, რომ მამა გიორგის დაქსრულებინა საუბარი.

— ჩემს თავზე გამოვცადე ბოროტის მოქმედება, მამაო, — თქვა ნიკამ, — და რომ არა თქვენი და მამა იოანეს ლოცვა და დახმარება, დღეს სად ვიქნებოდი, კაცმა არ იცის...

— ჰო! — გაელიმა მამა გიორგის, — შენ მაგრად იყავი შებოჭილი, მთავარი გებრძოდა. უფალმა გიხსნა მაგ უბედურებისგან, დაილოცოს მისი განგება, — თქვა მამაომ, პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო, — ერთ რჩევას მოგცემთ კიდევ. ყოველთვის, ბოროტ ადამიანებთან შეხვედრის შემდეგ, აუცილებლად მიდით წმიდა მღვდელთან, რადგან უხილავად ბოროტი მაინც აზიანებს სულს და გონებას. წმიდანმა იცის, რა სახის ზიანი მოგაყენა ბოროტმა. ის უხილავად გაასწორებს და



აღგიდგენთ ძალებს, გამოიტანს თქვენგან ბოროტის ის-რებს და გაგაძლიერებთ შემდგომი ბრძოლებისთვის.

მამაომ ჭიქები კვლავ შეავსო და მიმართა თანამეინახეებს:

— აგერ, ერთიც დავლიოთ, ღმერთი სამობითაა. ამ ჭიქით, დავით და კონსტანტინე დიდმოწამეების თამადობით ყველა წმიდანის დიდება იყოს! — მამაომ შესვა ცოტა ღვინო, დადგა ჭიქა და ნიკას მიუბრუნდა, — აბა, ახლა შენ მოყევი, რა გითხრეს ზეით?

ნიკა დაწვრილებით მოუყვა მამა გიორგის, რაც სიზმარში იხილა და ბოლოს შეეკითხა:

— წმიდა ნიკოლოზის დავალების შესასრულებლად როგორ უნდა მოვიქცე, მამაო?

— როგორ უნდა მეიქცე და, — წვერ-ულვაშზე ჩამოსვა მამაომ ხელი და განაგრძო, — კარგია, რომ დაგხვდი აქანე, წევიდეთ საავადმყოფოში და მევინახულოთ გენოიე ენუქიძე.

გენო მნახველებს საავადმყოფოს დერეფანში დახვდა. იჯდა მისთვის საგანგებოდ გერმანიიდან ჩამოტანილ, ინვალიდის სავარქელში. ხელების მტევნები კეფაზე შემოეჭდო და შეჰყურებდა ჭერს. მამაო ისე წამოადგა თავზე, რომ გენო არც კი განძრეულა.

— კაი გამარჯობა შენი! — მიესალმა მამაო გენოს.

ენუქიძე გამოერკვა ფიქრებიდან და გაუღიმა მამაოს. მერე პირჯვარი გადაინერა და უთხრა მამაოს:

— დამლოცე, მამა გიორგი, მე ცოდვილი. ლამის არის გავგიჟდე ამ საავადმყოფოში. მადლობა უფალს, რომ მობრძანდი, ცოტა მემეშვა გულზე.

მამაომ ნიკას ანიშნა მისულიყო ახლოს.

— ა! გეიცანი, გენადი, აგია ნიკოლოზი, მოკვლას რომ უპირებდით!

გენომ თავი დახარა და აწევას აღარ აპირებდა, მამა გიორგის რომ არ ეთქვა:

— ჩამოართვით ახლა ერთმანეთს ხელი, თქვენ ორივენი ღმერთის შვილები ხართ და არ შეიძლება ნაჩხუბრები და გაბუტულები იყვნეთ. უფალი გაგინათებთ და გაგიხსნით გზას.

ნიკამ ხელი გაუწოდა გენოს და უთხრა:

— რაც იყო, იყო. მთავარია, რომ ცოცხლები ვართ, დანარჩენს ეშველება.

გენომ, რომელსაც თავი დახრილი ჰქონდა, ამ სიტყვების გაგონებაზე თვალებში შეხედა ნიკას, ჩამოართვა ხელი და მიუგო:

— ბოდიშის მეტი არაფერი მეთქმის. ღმერთმა დამსაჯა ამისთვის. ანი, ჩემს სიცოცხლეს რაღა აზრი აქვს, ახალგაზრდა კაცი მივეჯაჭვე სავარძელს...

— უფალი დიდია, გენო, — შეაწყვეტინა სევდიანი საუბარი ნიკამ, — იმედს ნუ დაკარგავ, ყველაფერს ეშველება.

— კაი ახლა, გამეიხედეთ აქეთ, — ჩაერთო საუბარში მამა გიორგი, — დროა საქმეზე გადავიდეთ. ნიკოლოზ, დროა უკვე კურთხევა შეასრულო, კი იცი ვისიც. მოგინევთ ორივეს წასვლა ლენინგრადში, ნეტარი ქსენიას საფლავზე.

მამა გიორგი, ამ სიტყვებს რომ ამბობდა, იმდენად კატეგორიული იყო, რომ გარშემო მყოფთაგან ხმა ვე-





რავინ ამოილო. ნიკას არ გაჰკვირვებია მამა გიორგის კურთხევა, გენო კი ვერ გარკვეულიყო, რა შუაში იყო აქ ლენინგრადი და საფლავი.

— ვერ გევიგე, მამა გიორგი, — გაბედა ენუქიძემ და ჰკითხა მოძღვარს, — სად უნდა წევიდეთ?

— პეტრეს ქალაქში, ახლა ლენინგრადი რომ ჰქვია, — უპასუხა მამაომ, — დანარჩენს ნიკოლოზი აგიხსნის. მამაშენს არ გოუჭირდება ალბათ, თქვენი მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება, სულ რამდენიმე დღე მოგინევთ იქ ყოფნა.

მამა გიორგიმ ყველას ხელი ჩამოართვა, დაემშვიდობა და წასვლის წინ თქვა:

— სანამ თქვენ მეივლით იქოურობას, მეც ქე ჩამოვალ თბილისიდან. მცხეთაში ვილოცებ თქვენთვის. აბა, ღმერთი გფარავდეთ!

გენო ენუქიძე მეორე დღეს გამოწერეს საავადმყოფოდან. ბონდო ენუქიძე არ იყო თანახმა, რომ გენო და ნიკა წასულიყვნენ ლენინგრადში. ჯერ ერთი, არ სჯეროდა მამა გიორგის, რომელსაც ამ ბოლო დროს, სულელად მოიხსენიებდა, მეორეც, ეშინოდა, რომ გენოზე გამნარებულ ნიკას შური არ ეძია და მისი ერთადერთი შვილი არ გაესტუმრებინა იმ ქვეყნად. როდესაც სახლში მივიდნენ, გენომ მამამისს სთხოვა, რომ თოკი მოეტანა.

— რად გინდა თოკი? — გაუკვირდა ბონდოს



— თავი უნდა ჩამევიხრჩო, — უპასუხა გენომ, — აპა, რად მინდა ასეთი სიცოცხლე! მოდი შენ ჩაჯექი ამ „კრესლოში“ და გნახავ რაფერ მეიხდენ აქოურობას! მე გინდაც გზაში მოვკეტე, მაგი მირჩევნია, აქანა ცოცხლად ჩალპობას. გეიგე, მამაჩემო, რომ ღმერთი არსებობს და თუ ინება, შეუძლებელს გააკეთებს! მე მჯერა ღმერთის, შენ თუ არ გჯერა, მაგი შენი პრობლემაა.

ბონდო ეზოში გაჩერებულ მანქანას გარშემო უვლიდა და აკვირდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გენოს საუბრის მოსმენა არ სურდა. ხან ეზოს კუთხეში დაბმულ ქართულ ნაგაზს მოეფერა, ხან ცოლს შესძახა და ასე ცდილობდა ყურადღების გადატანას, რათა ბოლოს და ბოლოს გენოს თავის განზრახვაზე აღარ ეფიქრა და ჩაექნია ხელი. გენომ კარგად იცოდა მამის ხასიათი, მისი სუსტი წერტილები. თუ გინდოდა, რომ ბონდოს ყურადღება მიგექცია, უნდა გესაუბრა ფულზე, ძვირად ღირებულ ნივთებზე, ინტრიგებზე და ასე შემდეგ. ამიტომ გენომ სწრაფად შეცვალა სტრატეგია და ვითომ დამწუხებულმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— თუ ფული გენანება ჩემი გამოჯანმრთელებისათვის, მაშინ ვისესხებ და ისე წავალ...

ბონდო, რომელიც ეზოში ადგილს ვერ პოულობდა, უცებ შეჩერდა, სახეზე მთლიანად გაფითრებულმა ხელები თავში წაიშინა და იყვირა:

— რას რომავ! ვის ენანება ფული!?!.. მე!?!.. ბონდო ელეფთეროვიჩს!..

გენომ პასუხი არ დაუბრუნა, თავისი ეტლი სახლში შესასვლელი კარისკენ დაძრა და დედას უხმო საშველად:



— მოდი, მომხედე, დედაჩემო! შემიყვანე სახლში, წამოვწები მაინც, სანამ სული ამომძვრება!

ამ სიტყვებმა ბონდო ენუქიძე უფრო გააცოფა, სას-ნრაფოდ ჩავიდა სარდაფში და იქიდან შავი პორტფე-ლით დაბრუნდა. მიიჭრა შვილთან, გახსნა პორტფელი და იყვირა:

— ფულის მეტი რა მაქვს!.. შეხედე!.. მთელ დუნიას ვიყიდ!..

გენომ შეხედა ფულის ხსენებაზე გადარეულ ბონდოს და მშვიდად უთხრა:

— რა ვიცი?.. ჩემს ჯანმრთელობას და სიცოცხლეს კი არ ყიდულობ!

— აბა, ეს რა არის! — იყვირა ბონდომ და ხელი შვი-ლისკენ გაიშვირა.

— ეს სიცოცხლე არაა, მამაჩემო!.. ეს ტანჯვაა!..

ბონდოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვეღარ ლაპარაკობდა, თითქოს მშრალი ბურთი გასჩროდა ყელ-ში. ბოლოს, ცხვირსახოცი ამოილო ჯიბიდან, ნერვიულო-ბისაგან სახეზე მომდინარე ოფლი მოიწმინდა და პორტ-ფელიანად სახლში შევარდა.

გენომ მამას თვალი გააყოლა და გაელიმა — მიზანი მიღწეული იყო!

მეორე დღეს გენო, თავის ბიძასთან და ნიკა, მალხაზ-თან ერთად თვითმფრინავით ლენინგრადის აეროპორტ-ში დაეშვნენ.

ნიკამ აეროპორტის სატელეფონო ავტომატიდან სახ-ლში დაურეკა მამა იოანეს. საბედნიეროდ, მამაომ აილო ყურმილი. ნიკას გაუკვირდა, რადგან დღის ამ დროს, მამა იოანე სახლში არ არის ხოლმე:



— ჩამოხვედით უკვე? გელოდებოდით. — გაისმა ყურმილში მამა იოანეს ხმა.

— კი, მამაო, — უპასუხა ნიკამ, — თქვენი კურთხევის შესაბამისად ვიმოქმედებთ, მამაო. დაგვლოცეთ, მამაო.

— ღმერთმა დაგლოცოთ! — გაისმა ყურმილში, — შენ და ის, შენი „დამამშვენებელი“, სასაფლაოზე წადით და მეც მოვალ იქ. იმ ორს კი შეუძლია სასტუმროში გაჩერდნენ, რადგან სასაფლაოზე გაუჭირდებათ, დაიღლებიან.

მალხაზმა და გერის ბიძამ — კოტემ, უარი თქვეს სასტუმროში წასვლაზე და ოთხივე გაემგზავრა სმოლენსკის სასაფლაოზე.

ნიკა მისვლისთანავე შევიდა ნეტარი ქსენიას საფლავზე მდებარე სამლოცველოში, დაიჩოქა წმიდანის საფლავთან და მადლობა გადაუხადა დახმარებისათვის. მერე მიმოიხედა, დაათვალიერა ირგვლივ ყველაფერი. მისი წასვლის შემდეგ არაფერი შეცვლილიყო, მხოლოდ კედელზე მიკრული წერილების რაოდენობა იყო გაზრდილი. სამლოცველოს გარეთ დარჩენილები კი უყურებდნენ დანგრეულ სამლოცველოს და ცოტა არ იყოს სკეპტიკურად განეწყვნენ. კოტე მხრებს იჩეჩდა და თავისთვის ბურდღუნებდა:

— აქ რა სასწაული უნდა მოხდეს? ვერ არიან ესენი კარგად!..

ნინადადება არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ხიდან ჩიტების პატარა გუნდი ჩამოფრინდა და ჭიკ-ჭიკით ზედ ყურთან გაუქროლა კოტეს. ეს უკანასკნელი არ მოელოდა მოვლენების ასეთ განვითარებას და შეშინებული გვერდით გადახტა. ამ დროს, სასაფლაოს შესასვლელთ-

ან მამა იოანე გამოჩნდა. ირგვლივ ხეებზე მსხდომი ჩიტები მამაოსკენ გაფრინდნენ, კოტემ ეს რომ დაინახა, მიხვდა, რომ აქ სხვა განზომილებაში მოხვდა. მამაომ შორიდანვე დაუძახა ნიკას:

— მე ხომ გითხარი, ესენი სასტუმროში და-ტოვე-მეთქი! კიდევ არ მიჯერებ ხომ!?

ნიკამ მხრები აიჩეჩა. მამაოს კი გაეღიმა, გადაეხვია ნიკას, სამჯერ გარდასახა ჯვარი, მოიკითხა და მერე სტუმრებს გაეცნო.

— უორა როგორ მყავს!? — იკითხა მამაომ, — სადღაც ტყეში გაათია გუშინ ღამე, როგორი უშიშარია ეგ კაცი.

კოტემ და მალხაზმა ერთმანეთს შეხედეს. ნიკამ თვალით ანიშნა — არაფერი ეთქვათ.

მამა იოანემ კი დაიწყო ჩვეულ სტილში:

— მაგრამ ჩემზე მაგარი არ არსებობს! მე ქრისტე დამპირდა, ვისზეც შენ მთხოვ, ყველას გადავარჩენო!

კოტეს, რომელიც მამა იოანეს ზურგს უკან იდგა, გაეღიმა, საჩვენებელი თითო საფეთქელზე მიიდო, ნიკას შეხედა და წასვლა დაპირა. მამა იოანე უცებ შემოტრი-ალდა კოტესკენ და თითქმის უბრძანა:

— წახვალ ინტურისტ „პრიბალტიისკაიაში“ და ორ ორადგილიან ნომერს დაჯავშნი, დანარჩენი შენ არ გე-საქმება, ეგ თითო კი მანამდე გეტკიება, სანამ მე არ მოვ-ისურვებ მის განკურნებას.

ამას რომ ამბობდა, კოტემ მის თვალებში ცეცხლის ალი დაინახა, რამაც ძალიან შეაშინა ქუთაისში კაი გამ-რტყმელ ბიჭად ცნობილი ვაჟკაცი, ხოლო იმ თითში, რომლითაც მამაოს დასცინა, არასასიამოვნო ურუან-



ტელი იგრძნო. მთასავით კაცი თითქოს დაპატარავდა. არაფერი უთქვამს, ისე შეტრიალდა და წასვლა დაპირა.

— შეჩერდი! — გააჩერა მამაომ, — ესეც წაიყვანე! — და მალხაზზე მიუთითა, — ჩემს გარეშე სასტუმროდან ფეხი არ გადგათ! — მერე მცირე ხნით შეჩერდა და განაგრძო, — თუმცა არც დაგჭირდებათ, იქ ყველაფერია.

ნიკას ასეთი მკაცრი მამა იოანე არასდროს ენახა, ამიტომ მალხაზსა და კოტეს ანიშნა დამორჩილებოდნენ და გასცლოდნენ იქაურობას. მამაოს ეს სიმკაცრე რაღაცის მანიშნებელი იყო. შემდეგ კი მამაოს მიუბრუნდა და მორიდებით ჰკითხა:

— რა ხდება, ბატუშკა?

— ეს ადგილი წმიდა ადგილია, ნეტარი ქსენიას სავანეა და აქ ეშმაკის მიმდევარი არ უნდა იყოს! იმ დიდზე ვამბობ, თორემ ის მეორე არაფერ შუაშია. აქ გამოაგზავნეს, რომ ჩვენ ჭკუა დაგვარიგოს! ვინ ვის დაარიგებს ვნახავთ! თითის ტკივილი არ დააძინებს მაგას! მარცხენა ხელის თითებით მოუწევს ტელეფონის დისკოს ტრიალი და თავისი პატრონისთვის ანგარიშების ჩაბარება! მაგისი აქ ყოფნა კი არა, არამედ მაგის ანთებული სანთლიდან, სხვისთვის სანთლის გადაკიდებაც კი არ შეიძლება.

— ბატუშკა, ჩვენ როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ნიკამ.

მამაო უცებ შეიცვალა და ისევ ის მხიარული მამა იოანე გახდა, რომელსაც ნიკა იცნობდა. მარჯვენა ხელი ასწია მალლა და უთხრა ნიკას:

— პირველ რიგში, ის საბარძიმე ღვინო მომეცი, რომელიც ჩამომიტანე.

ნიკას მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ შეპირებული ღვინო უნდა გადაეცა მამაოსთვის. ბოდიში მოუხადა და

საგანგებოდ ბოთლებში ჩამოსხმული კახური საფერავი
მიართვა.

— ოოო! დიდი მადლობა, ნიკალაი, — გაუხარდა მამაოს,
— ახლა კი მეორე, ამ ღამით ორივე აქ დარჩებით და ილო-
ცებთ ნეტარის საფლავზე. მე ხვალ დილით მოგაკითხავთ.
იმაზე ნუ იდარდებთ, ისინი მიხედავენ თავის თავს.

მამა იოანემ პირჯვარი გადასახა გენოს და ნიკას და
წავიდა.

მალე დაღამდა. გენოს მოსვენება სჭირდებოდა. ამ-
იტომ ნიკამ ენუქიძე ეტლით სამლოცველოში შეიყვა-
ნა, საგანგებოდ წამოლებული ლეიბი ნეტარი ქსენიას
საფლავთან ახლოს გაშალა და გენო ზედ დააწვინა.
ენუქიძემ შვებით ამოისუნთქა და მალევე ჩაეძინა.

ნიკამ სანთლები დაანთო და ის იყო ლოცვა უნდა
დაეწყო, რომ ფეხის ხმა შემოესმა. მოულოდნელად მუხ-
ლებზე დაჩოქილ ნიკას დედა ლია დაუდგა წინ. მას თან
ორი მონაზონი ახლდა.

— წმიდა დედაო, თქვენ? — წამოიძახა გაოცებულმა
ნიკამ.

— კი, მე ვარ, ნიკოლოზ, — ქართულად დაელაპარა-
კა წმიდა ლია ნიკას, — შენ უკვე ყველაფერი იცი ჩემს
შესახებ. მიხარია, რომ კარგად ხარ. უფრო მეტად კი ის
გამიხარდა, რომ შენი მტერი ჩამოიყვანე ნეტარი ქსე-
ნიას სავანეში. თუ უფალი ინებებს, ჩვენ აუცილებლად
დაგეხმარებით.

ნიკა ყურადღებით უსმენდა წმიდა ლიას. ვერ გაებედა,
თავი აეწია და შეეხედა წმიდანისთვის. პირჯვარი გადაი-
წერა, გულში ლოცვა წარმოთქვა და დიდი ძალისხმევის
შედეგად მაინც გაბედა შეეხედა წმიდანისთვის, მაგრამ



დედა ლია არსად ჩანდა... ნიკა თავისივე დანთებული სანთლების წინ აღმოჩნდა, რომლებიც უკვე თითქმის ჩამწვარიყო...

დილით ჩიტების ჭიკჭიკმა გამოაფხიზლა სამლოცველოს კედელთან ჩამომჯდარი ნიკა. მაშინვე გენოსკენ გაიხედა, რომელსაც მშვიდად ეძინა. ადგა, სანთლები აანთო, ილოცა და მერე ჭიშკრისკენ გაიხედა. ჯერ მომლოცველები არ ჩანდნენ, სანამ მოვიდოდნენ გენო უნდა გადაესვა ეტლზე, თორემ ეგზალტირებული ადამიანები გადაულიდნენ ზედ. თითქოს გაიგო ნიკას გულისათქმა გენომ, თვალები გაახილა, ნიკას უცნაურად შეხედა და ჰკითხა:

- დედა ლია ვინ არის? სიზმარში გამომეცხადა.
- წმიდანია.
- ქართველია?
- არა, რომაელი.
- აბა, ლია რატომ ჰქვია, თან ქართულად მელაპარაკებოდა.

— ლია არ არის ქართული სახელი, ქართულად მშობელს თუ შემწყნარებელს ნიშნავს, — აუხსნა ნიკამ, — წმიდანი კი ყველა ენაზე ლაპარაკობს. ისე კარგია, რომ გამოგეცხადა, გვეშველება ანი, წუხელ აქაც იყო, შენ გეძინა.

— გვეშველა და ეგ არის, — გაელიმა გენოს, გადაბრუნდა გვერდზე, დასისხლიანებული პერანგი ხელით ასწია და უთხრა ნიკას, — მეტყობა რამე?

ნიკა ნანახით სახტად დარჩა. ხერხემალზე ოპერაცია იყო ჩატარებული, ნაკერები ახლად შეხორცებულს ჰგა-



ვდა. ნიკამ აღარ იცოდა რა მოქმედება. ბოლოს, როგორც იქნა ჰკითხა მასავით გაოგნებულ გენოს:

— რა ხდება? მგონი სულ ვფხიზლობდი და... როდის ვინ რა გააკეთა... ან რატომ გააკეთა?..

— მიტომ გკითხე, სიმონ... ბოდიში, ნიკა, დედა ლია ვინაა-თქვა? — იცინოდა გენო და დასისხლიანებულ პერანგს ისწორებდა, — სიზმარში მევიდა, ვიღაც სამხედრო ფორმიან ქალთან ერთად, თან ორი ანგელოზი ახლდა, მითხრენ ხერხემალი უნდა გაგისწოროთო. არც მომისმინენ და დეინყენებით ფათური. მალე მორჩინენ, ბუჯო... ბოდიში, ნიკა. მერე მითხრა იმ ქალმა, დედა ლიას რომ ეძახდნენ: „სამი დღე სასტუმროში იყავი, იქანე ეიდგი ფეხი და მერე წაი სახლშიო“. მგონია, ამათი შემხედვარე, სულ გავრეკე, სიმონ!.. ბოდიში... ნიკა.

— არა მგონია, გენო, — უთხრა ნიკამ, — აქ უფრო სერიოზულად არის საქმე, მამა იოანეს უნდა დაველოდოთ, ის გვეტყვის რა მოხდა!?

— იგი არ ყოფილა აქანა და რას გვეტყვის? — გაუკვირდა გენოს.

— მოვიცადოთ, ასე აჯობებს. — თქვა ნიკამ და კიდევ ერთხელ დახედა ნაოპერაციებ ხერხემალს.

მალე, სასაფლაოს ჭიშკართან მამა იოანეც გამოჩნდა, ხელებს იქნევდა და ისე ჩანდა, რომ თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა. როგორც კი მიუახლოვდა სამლოცველოს, დაიძახა:

— ნიკალაი! უთხარი მაგას ადგეს ფეხზე და წამოვიდეს, სასტუმროში მივდივართ! ეტლი შენ წამოილე, მაგასაც მოკიდე ხელი, არ წაიქცეს და ახლა ფეხი არ მოიტეხოს! მე გარეთ ტაქსის გავაჩერებ და დაგელოდებით!



მამა ოოანემ, როგორც კი დაამთავრა საუბარი, შეტრიიალდა, წავიდა ჭიშკრისკენ და ხელების ქნევით ისევ გააგრძელა საუბარი იმ ვიღაც უხილავთან.

ნიკა დაიბნა, მაგრამ მალევე მოვიდა გონს და გენოს ხელი გაუწოდა. ენუქიძემ, მის წამოსაყენებლად, ნიკას გამოწვდილი ხელი რომ დაინახა, მთისას მუხები გაახსენდა, როდესაც სასიკვდილოდ განწირულ ნიკას ზევიდან დაჰყურებდა, წამოყენების ნაცვლად, წიხლი უთავაზა და საბოლოოდ გათიშა...

— მაპატიი, ნიკა... მაშინ არაუკურად მოვიქეცი.

— ხელი მომეცი, ხელი, ბევრს ნუ ლაპარაკობ, — უთხრა ნიკამ, — დაივიწყე... შენ, ძველი კაცი უნდა განაგდო საბოლოოდ...

ნიკამ ნელ-ნელა ფეხზე წამოაყენა გენო. ამ უკანასკნელმა თავისი მდგომარეობა ვერ გააცნობიერა და დაზღვევის მიზნით, სამლოცველოს კედელს მიეყრდნო. მერე კი, ნიკას დახმარებით გადადგა ნაბიჯი... ერთი... მეორე და ნელ-ნელა წავიდა სასაფლაოს ჭიშკრისკენ...

მამა ოოანე უკვე მანქანაში იჯდა და ნიკას და გენოს ელოდებოდა. ნიკა დაეხმარა გენოს, რომ კარგად მოთავსებულიყო მანქანის უკანა სავარძელზე. მანქანა დაიძრა, გახარებული გენო ელოდებოდა მამა ოოანეს-გან მოკითხვას, თუმცა მამაომ სულ სხვა თემაზე დაიწყო საუბარი:

— ნიკალაი, გახსოვს ვალოდია? თავისი სიცოცხლე ბავშვთა სახლის შემდეგ, სულ მათხოვრობაში რომ გალია?

— როგორ არ მახსოვს, მამაო, — უპასუხა ნიკამ, — რა არის? ხომ არაფერი მოუვიდა?



— შენ ხომ გითხრა სამოცდაათი წლის რომ გავხდები, მერე წავალ ღმერთთანო, — თქვა მამაომ, პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო, — ორი კვირის წინ შეუსრულდა სამოცდაათი და გავიდა ამ ქვეყნიდან. მესამე დღეს დავკრძალეთ. როგორ გაიცანი, ერთხელ კიდევ მოყევი, კარგი მოგონებაა.

ნიკას აშკარად შეეტყო, რომ განიცადა ვალოდიას გარდაცვალება, თუმცა გონება მალევე მოიკრიბა და განაგრძო საუბარი:

— ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი, ღირსია. მთელი თავისი სიცოცხლე დაუბანელმა, მშერმა და სიცივით გათანგულმა ქუჩაში მათხოვრობაში გაატარა. სარდაფებში ეძინა, მაგრამ არასდროს ღმერთზე აუგი არ წამოსცდენია. გახსოვს, ბატუშკა? მე, რომ ტაძარში გამაგზავნე, აი, იქ, ტაძრის წინ შევხვდი, ასფალტზე იჯდა და მათხოვრობდა. ხელი მოვკიდე და ტაძარში შევიყვანე. როგორც კი, იქ მომსახურე მანდილოსანმა ლუდამ, ვალოდიას მოჰკრა თვალი, მაშინვე კომკავშირული შემართებით მოსთხოვა ვალოდიას ტაძრის დატოვება. მე მიზეზი ვკითხე ქალს, მან ვალოდია სუნზე მიმითითა — მლოცველებს აწუხებსო. მე ვალოდია დავიცავი, ხელი მოვკიდე და გარეთ არ გავუშვი, ლუდას კი ვუთხარი: „ეს კაცი ამ გლახაკის სუნით, სულის სურნელებას ფარავს! შენ კი, მიუხედავად შენი ნელსაცხებლისა, სულით ყარხარ-მეთქი!“ ამ სიტყვების გაგონებაზე ლუდას ელდა ეცა, მე კი გარეთ გამოვედი, ვალოდიაც გამომყვა და მითხრა: „მადლობა, მეგობარო, შენ ხომ ქართველი ხარო?“ „კიი-მეთქი“ - ვუთხარი. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ დამისვა შეკითხვა: „ეს სომხები მართლმადიდებლები თუ არია-



ნო?“ ვუპასუხე: „შეიძლება ცალკეულები არიან კიდეც, ისე ზოგადად, არ არიან მართლმადიდებლები-მეთქი“. ვალოდიამ ჩაიცინა და მითხრა: „ისინი ყვავები არიან, ქართველები კი არწივებიო!“ ბოლოს, რომ ვემშვიდობებოდით ერთმანეთს, ასეთი რამ მითხრა: „შენ მალე წახვალ საქართველოში, მე კი მალე მივალ ღმერთთან. ბევრი ვიწვალე და ახლა ღმერთთან მივალ, ოღონდ სამოცდაათი წლის უნდა შევსრულდეო...“, მერე შემომხედა, დიდხანს მიყურა და მითხრა: „სამებას მე შენზე ვეტყვიო...“

— ჰო! სწორედ ეგ მაინტერესებდა, — შეაწყვეტინა საუბარი მამა იოანემ ნიკას, — წუხელ სიზმარში გამომეცხადა და მითხრა: „იმ ქართველს, ნიკალაის, მე რომ ვიცნობ, თუ დახმარება დასჭირდეს აუცილებლად მითხარი — სამებას ვთხოვო“.

ნიკას სიხარულის და სინანულის ცრემლები ერთად მოადგა თვალებზე, მამაოს კი გაელიმა, გენოსკენ შებრუნდა და ჰკითხა:

— ნუ, გენადი, როგორ ფიქრობ, ღირს ვალოდიას შეწუხება?

გენო ნიკას და მამაოს საუბრის მოსმენის შედეგად, იმდენად იყო ემოციურად დატვირთული, რომ მამა იოანეს შეკითხვა ვერც კი გააცნობიერა და გაფართოებული თვალებით შესცქეროდა მანქანის წინა სავარძელზე მჯდარ, მომლიმარ მღვდელს. ბოლოს, როგორც იქნა უპასუხა:

— არა მგონია... ჯერ არც ვიცი... ვნახოთ... — მერე, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და განაგრძო, — ჯერ სრულ ჭკუაზე არ ვარ... სად ვარ, ისიც არ ვიცი...

— ლენინგრადში ხარ, ამხანაგო! ლენინგრადში! —
თქვა ხმამაღლა ტაქსის მძღოლმა, რომელსაც შავანაფო-
რიანი, წვერებიანი, ჯვრიანი კაცის შიშით და რიდით აქა-
მდე ხმა არ ამოუღია და მანქანა სასტუმროს წინ გააჩერა.

36

ნიკამ და მისმა თანმხლებმა პირებმა სასტუმროში
სამი დღე დაჲყვეს. გენოს უკვე შეეძლო გამართული
სიარული. ხერხემაღზე ოპერაციის შედეგად წარმოქმ-
ნილი ნაჭრილობები თითქოს გამქრალიყო. თუ ძალიან
დააკვირდებოდა ადამიანი, ოდნავ თუ შეამჩნევდა ნა-
იარევს. თვითონ გენო ჯერ კიდევ შოკირებული დადიოდა
სასტუმროს აპარტამენტებში. ტელეფონზე მოლოცვებს
კოტე პასუხობდა. გენოს, ნიკას და მამა იოანეს გარდა,
არავისთან სურდა კონტაქტი. ბონდოს მხოლოდ ორი სი-
ტყვა უთხრა ტელეფონის ყურმილში, ესეც იმიტომ, რომ
ეჭვიან მამას მოჩვენებები არ დაწყებოდა.

მამა იოანემ კოტეს მზერა დაიჭირა, რომელიც თი-
თის ტკივილის გამო, საცოდავად უყურებდა მლვდელს.
მამაოს გაეღიმა, ჯვარი გადასახა და უთხრა:

— უფალმა შეგინდოს! მალე გაგივლის!

საქართველოში გამომგზავრების წინა დღეს, მამა
იოანე ეწვია სტუმრებს და ყველანი ერთად ნეტარი ქსე-
ნია პეტერბურგელის საფლავზე წავიდნენ. მამა იოა-
ნემ პარაკლისი წაიკითხა. ყველამ სანთლები დაანთეს.
გენომ და ნიკამ მუხლმოდრეკით მადლობა გადაუხა-
დეს ნეტარ ქსენიას, წმიდა ლიას და ყველა იმ უხილავ
ძალებს, რომლებმაც ადამიანები გაჭირვებაში არ მია-



ტოვეს და გადაარჩინეს ისინი უბედურებისაგან. თით-განკურნებულმა კოტემ, ამ დიდებული სასწაულის აღ-სანიშნავად, ყველანი რესტორანში დაპატიჟა, მაგრამ მამა იოანემ ცივი უარი თქვა:

— რჯულის კანონის თანახმად, ჩვენ გვეკრძალება ასეთ ადგილებში შესვლა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მგზავრობის დროს გადავაადგილდებით სხვა-დასხვა მიმართულებებით.

გადაწყდა, რომ ბანკეტი სასტუმროს ნომერში გაემართათ. მეორე დღეს კი მამა იოანემ სტუმრები საქა-რთველოში გამოაცილა. ნიკას და გენოს განსაკუთრებით დაემშვიდობა და უთხრა:

— გაივლის რამდენიმე ათეული ნელინადი და მე სამოლვანეოდ საქართველოში ჩამოვალ, უფრო სწორედ — გამომაგზავნიან. მე ვიმსახურებ ყველგან, სადაც კი ღვთისმშობლის წილსვედრი მიწაა, ხოლო სამლოცველოები განლაგებული იქნება ძირითადად თბილისა და ქუთაისში. იმედი მაქვს თქვენ მასპინძლო-ბას გამიწევთ.

— თქვენთვის, ბატუშკა, ჩვენი სახლის კარები ყოვ-ელთვის ღია იქნება, — მიუგო ნიკამ, — ჩვენ ახლაც გე-ლოდებით. ბოლოს და ბოლოს მამა გიორგი ახლოს ხომ უნდა გაიცნოთ.

— უორა და მე დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, — გაელიმა მამა იოანეს, — ჩამოსვლით კი ჩამოვალ, როდე-საც შენ ბიჭს მონათლავ. ასე რომ, მოემზადე.

— თქვენც იცით, ბატუშკა, რომ ბიჭი დაიბადება? — გაუკვირდა ნიკას.



— სახელიც კი ვიცი წინასწარ, მაგრამ არ გეტყვი, — ნიშნის მოგებით თქვა მამაომ, — ეს ჯერ საიდუმლოა.

მერე მიუბრუნდა გენოს და უთხრა:

— შენ კი ამ ცოდვას, სხვა ცოდვებთან ერთად, აუცილებლად მოინანიებ! მიმიხვდი, რომელზეც გეუბნები ხომ?

გენომ თავი ჩალუნა, მიხვდა, რომელ ცოდვას გულისხმობდა მამაო. ის ხომ, თავის თანამზრახველებთან ერთად, ფეხმძიმე ლიკას მოტაცებას აპირებდა და თან ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებას, რომ ქალს მუცელი მოშლოდა. გენომ მუშტი დაირტყა შუბლზე და თვალები ცრემლით აევსო.

მამაომ ხელი მოხვია გენოს და უთხრა:

— შენში ძველი ადამიანი აღარ არსებობს, ახლა ახლით უნდა შეიმოსო და ამაში მამა გიორგი და შენი ახალი მეგობრები დაგეხმარებიან.

მამა ოანერმ კიდევ ერთხელ დალოცა სტუმრები, ჯვარი გადასახა და წავიდა...

ბონდო ენუქიძემ თვითმფრინავის ტრაპზე ჩამომავალი გენო რომ დაინახა, ხმამაღლა შესძახა:

— მართალი ყოფილან ეს შეჩვენებულები!.. მართლა დადის!.. მალადეც ლენინგრადელ ექიმებს!

ბონდო ვერაფრით დაარწმუნეს ღმერთის მიერ მოვლენილ სასწაულში, სანამ არ უთხრეს, რომ გენოს სხეულზე ეპოვა ოპერაციის კვალი, რაც, რა თქმა უნდა, ვერ იპოვა, თუმცა გული არ გაიტეხა და ახლა ყველაფერი მედიკამენტებით მკურნალობას დააბრალა.



— მაგი ვერაფერს გეიგებს, დაანებეთ თავი! — ამ-ბობდა გენო, — ფულის მეტი არ სწამს არაფერი! ათეისტი ათეისტად დარჩება!

ნათლისდების დილა გათენდა თბილისში. ნიკას ეკლესიაში უნდოდა წასვლა, მაგრამ ფეხმძიმე ლიკას, რომელსაც დღე-დღეზე უნდა ემშობიარა, ვერ ტოვებდა მარტო. გადაწყვიტა სახლში წაეკითხა ლოცვები. როგორც კი ხატების კუთხეში სანთელი აანთო, საძინებლიდან ლიკას ხმა შემოესმა, რომელიც შველას ითხოვდა. ნიკა მიხვდა, რომ ლიკას მშობიარობა ეწყებოდა და იმის მაგივრად, რომ საძინებელში შესულიყო, ფანჯარა გამოალო და მთელი ხმით იყვირა:

— მერიკო, გვიშველე! ...

ლიკა სასწრაფოდ იქვე, ვერაზე მდებარე მესამე სამშობიაროში გადაიყვანეს. ნიკამ ნერვიულობისაგან აღარ იცოდა რა ექნა. ვერც მერიკოს დამშვიდებამ უშველა. ამ დროს დერეფანში მომავალი ბებიაქალი დაინახა, იქით გაიქცა და იყვირა:

— რა ხდება!..?.. როგორ არის!..?

— მაღარიჩი თქვენზეა!.. ბიჭია!.. ბიჭი!.. — უპასუხა ბებიაქალმა და თან თეთრი ხალათის ჯიბიდან ხელი ამოილო.

ნიკას ბებიაქალის ეს მოძრაობა მხედველობიდან არ გამორჩენია, ამოილო ჯიბიდან წინასწარ მომზადებული ხუთთუმნიანი და ბებიაქალს გამოთავისუფლებულ ჯიბეში ჩაუცურა.

— გილოცავთ! — თქვა გახარებულმა ბებიაქალმა და თან დაამატა, — ექიმიც ახლავე ჩამოვა და გაგესაუბრებათ.

ნიკა მიხვდა, რასაც გულისხმობდა ბებიაქალი, ჯიბიდან ამოილო წინასწარ მომზადებული ასმანეთიანი და ექიმისთვის გადასაცემად მოამზადა.

ბავშვის დაბადებამ დიდი სიხარული მოუტანა ყველას, ვინც კი ნიკას და ლიკას სიყვარულის ამბავი იცოდა. ეს იყო გვირგვინი იმ სიყვარულისა, რომელიც ლმერთმა უბოძა ადამის მოდგმას. მხოლოდ სიყვარული შეაძლებინებს ადამიანს, იაროს უფლისმიერი გზით, დაუბრუნდეს თავის პირვანდელ მდგომარეობას და შეიმოსოს სამოსელი პირველი. ძალიან რთული გზა გაიარეს ნიკამ და ლიკამ და ამიტომ ღირსნი იყვნენ ბედნიერებისა, იმ ბედნიერებისა, რომელიც მათი შვილის დაბადებით დაიწყო. მხოლოდ ერთ პრობლემას ვერ აგვარებდნენ, რომელი სახელი შეერჩიათ ბავშვისთვის. მშობლებს სურდათ, მამა გიორგის საპატივცემულოდ, გიორგი დაერქვმიათ, მაგრამ ბიჭი იოანობას დაიბადა. კონსულტაციისთვის ნიკამ თავის მოძღვარს — მამა ანტონს მიაკითხა, რომელიც მთანმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში მოღვაწეობდა. მამაომ გაიხსენა, რომ რამდენიმე წლის წინ ქართული ეკლესის წიაღში, კერძოდ ბეთანიაში, მოსაგრეობდა ბერი, სახელით გიორგი-იოანე. ასე რომ, გამოსავალი მოიძებნა და ახლადშობილს სახელად გიორგი-იოანე დაარქვეს. ნიკას განვლილი ცხოვრების გამოცდილებიდან და განსაცდელებიდან გამომდინარე, მშობლებმა გადაწყვიტეს გიორგი-იოანე სასწრაფოდ მოენათლათ. ნიკამ რჩევისათვის და კურთხევისთვის



ისევ თავის მოძღვარს მიაკითხა. მამა ანტონმა ყურ-ადლებით მოუსმინა თავის სულიერ შვილს და უთხრა:

— ნიკოლოზ, შენ დიდი განსაცდელები გადაიტანე. უფალმა გიხსნა ბოროტისაგან და ამით დაგანახა თუ რა დიდი ძალა აქვს ლოცვას, რომელსაც აუცილებლად შეისმენს ღმერთი და თავისი ანგელოზების მეშვეობით გიხსნის გაჭირვებისაგან. შენს ახლადდაბადებულ ბავშვს აუცილებლად სჭირდება მფარველი ანგელოზი, რათა დაცული იყოს იგი ეშმაკის შემოტევებისაგან. ამიტომ მოანათვლინე სასწრაფოდ.

— მამაო ანტონ, სწორედ ამისთვის მოვედი თქვენთან, რომ მომინათლოთ შვილი.

— დიდი სიამოვნებით, ნიკოლოზ, — მიუგო მამა ანტონმა, — ბავშვის მონათვლაზე უარს როგორ გეტყვი, მაგრამ უმჯობესია ეს მსახურება მამა გიორგიმ ჩაატაროს მონამეთაში. ვიცი, რომ შენც გაქვს ამის სურვილი, მაგრამ მოძღვრის წინ არ წახვედი, რაც სათონ არის უფლისათვის. მე, როგორც შენი მოძღვარი, კურთხევას გაძლევ მონამეთაში ლიკასთან ერთად ჯვარიც დაიწერო და ბავშვიც მონათლო.

ნიკამ მადლობა გადაუხადა მამა ანტონს რჩევისა და კურთხევისათვის, დაპატიჟა ჯვრისწერაზე და იმავე შაბათს გაემგზავრა მთისაში. ნიკას არც თავისი მხსნელი ნიკალაი და ლენქა დავიწყებია, სასწრაფო დეპეშა „აფრინა“ კამენკაში...

კვირას, წირვის შემდეგ, ნიკა და ლიკა საქორწილო გვირგვინებით დამშვენებულნი იდგნენ ტაძარში და უსმენდნენ მამა გიორგის, რომელიც ჯვრისწერის მსახურებას ასრულებდა. მას გვერდს მამა ანტონი უმშვენებ-

და. ნიკას მეჯვარე ნიკალაი გახლდათ, ხოლო ლიკასი — მერიკო. როდესაც ჯვრისწერის და ნათლობის რიტუალი დამთავრდა, მამა გიორგიმ იქადაგა ამბიონიდან:

— ჩემო ძმანო და დანო, დღეს ჩვენ მოწმენი გავხდით უფლის დიდი წყალობისა, იმ წყალობისა, რომელიც უფალმა გაიღო ამ ახალგაზრდა წყვილის მიმართ. ისინი ბოროტი ადამიანების მიერ იქნენ განწირულნი, დიდი გამოცდა ჩააბარა ნიკოლოზმა უფალს. ის არ გაბოროტდა, პირიქით, ბოროტებას სიკეთით დაუპირისპირდა და გაიმარჯვა კიდეც. მაგრამ სამწუხაროდ დღეს ასეთი ადამიანები ძალიან ცოტანი არიან. უმრავლესობა ფარისევლობის საბურველს არის ამოფარებული. ასე ჰგონიათ, რომ ღმერთი ვერ ხედავს მათ! ღმერთს ყველაფერი აღრიცხული და დაფიქსირებული აქვს. დადგება დრო, როდესაც ტაძრები ხალხით გაივსება, მაგრამ ოთხასი მორწმუნიდან ღმერთს შეიძლება სამი უყვარდეს, ბევრს კაცომოყვარეობით სწყალობდეს, ბევრს კი არ სცნობდეს. ტაძრებით გაივსება საქართველო, მაგრამ ბევრ ეკლესიაში ღმერთი არ იქნება, რადგან სიწმიდეს არ დაიცავენ მღვდლები. როდესაც სიწმიდეს არ იცავენ, ღმერთი იქ არის! ღმერთი რომ ყველგან არის, ეს სხვა ამბავია.. ღმერთი ყველგან არის, მაგრამ ტაძარი იმიტომაა, რომ ღმერთი იქ გისმენს და შენც გეხმიანება. ეს ღმერთან საურთიერთო განსაკუთრებული ადგილია, რომელიც თვითონ ღმერთმა დაგვიწესა და ის წესები თუ არ შესრულდა, ღმერთი არ შეისმენს ჩვენს ვედრებას. საბედნიეროდ, ნიკოლოზმა და მის გვერდში მდგომა კეთილმა ადამიანებმა, გამოიჩინეს მორჩილება, ღმერთის ყველა დავალება შეასრულეს და შედე-



გიც სახეზეა. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ! ჩვენთან არს ღმერთი!

— არს და იყოს! — დაადასტურეს ტაძარში მყოფმა ადამიანებმა და პირჯვარი გადაიწერეს.

მამა გიორგიმ მამა ანტონს შეხედა და მერე დამსწრე საზოგადოებას მიმართა:

— ჩვენთან სტუმრად იმყოფება ნიკოლოზის მოძლვარი თბილისიდან, მამადავითის ეკლესიის წინამძღვარი მამა ანტონი და ვთხოვოთ მას, რომ დაგვლოცოს!

— ღმერთმა დაგლოცოთ, მამაო, და თქვენ, ჩემო მოყვასნო! — წარმოთქვა მამა ანტონმა, — დღეს ბეჭდიერი დღეა, კიდევ ერთი ლამაზი და ღვთისმოსავი ოჯახი შეიქმნა ჩვენს ღვთივეურთხეულ მიწაზე. უფალმა შეისმინა ვედრება ადამიანისა, რომელსაც უდიდესი უნარი აღმოაჩნდა მიტევებისა, სიკეთით სიბოროტის ძლევისა. „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა უბრალო ხელითა“ — ბრძანებს მეფსალმუნე დავითო. ხედავთ, ძმანო, რას გვასწავლის დიდი წინასწარმეტყველი? ცარიელი ხელით უფალს ვერ მივეახლებითო. იქნებ ქვეყნიურ საბოძვარს სთხოვს ღმერთი მისკენ მიმავალს? იქნებ ძვირფასი თვალ-მარგალიტისა და ოქრო-ვერცხლის შექენაა საჭირო უფალთან წარსადგომად? მაგრამ უფალი ხომ დავით წინასწარმეტყველის პირით ყოველგვარი ქვეყნიურისგან ხელის აღებასა და განდგომას თხოულობს ჩვენგან? მაშ, რა შეიძინოს კაცმაზეცას გასამგზავრებლად? რით დაიმშვენოს ხელი ღვთისაკენ მიმავალმა ადამიანმა? რით და უფრო ძვირფასი და სათუთი ძლვენით, ყოველგვარ ქვეყნიურ სიმდიდრეს გარდამეტებული საგანძურით — განწმენდილი და





გამართლებული სულითა და შემუსვრილი და დამდაბლებული გულით. სული და გული — აი, ის უმთავრესი ძღვენი, უფლის ზეციურ სამკვიდრებელში რომ შეინირება. აი, ის გამოსასყიდი საფასე, ცოდვის მონობისაგან კაცი რომ გამოიხსნება. აი, ის ქვეყნიური მონაპოვარი, რომლითაც ხელდამშვენებული ადამიანი ზეცას აღიყვანება და უფლის წინაშე მართალთა თანა დაემკვიდრება.

ამიტომ, საყვარელნო ძმანო, გაუხსენით გულის კარნი მეუფეს დიდებისას და დაამკვიდრეთ თქვენს სულსა და გულში და მით განიწმიდენით. გაუხსენით სინანულის კარნი სულს თქვენსას და მწუხარების ცრემლებით განიბანენით. გახსენით გულისა და გონების კარნი თქვენი და ღვთის მადლით აღორძინდით და გამართლდით. მაგრამ ვიდრე გავმართლდებოდეთ უფალ ღმერთან, საჭიროა გამართლება მის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანთან, გამართლება ჩვენს მოყვასთან. აკი ბრძანებს ამაზე მაცხოვარი: „უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი, არცა მამამან თქვენმა მოგიტევნეთ თქვენ შეცოდებანი თქვენნიო“, ამიტომ ღვთის შენევნით ვგონებ დადგა უამი ურთიერთშენდობისა და პატიების. დადგა უამი ერთმანეთთან მუხლის მოდრეკისა და შერიგების. დადგა უამი გულიდან ძვირის განდევნისა და ქრისტესმიერი სიყვარულის დამკვიდრებისა...

რომანში გამოყენებულია დოკუმენტური მასალა
წიგნიდან „ფეხითმოსიარულე“



დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71

www.mtsignobari.ge



კიბეც ურისხელ მაინც განუცდაა ტემ-
პაროტი სიყვარულის ძალა, მიმუშვილი,
თუ რა დადი მოფრინისლება სტირიტების
ჩას, რა სახურია და ფაქტიზი მოსავალი-
ლია ეს უძინესი გრძელება. ღმიერთი შეს-
უარესელ ადამიანებზე სხეადასტა
გამიაცილებს უშევებს და ვინც გაუძლებს
და გამოავისებს ზას, ის სამუდამოდ
ტყვიაზება უფალო - სიყვარული-
ან გადადის ერთგულებაში და ერთ-
გულებიდან მარადისობაში.

